სერგი (გიორგი) საჯაია

გულსმიწერაქვებული ახავაი
და
წინგაუხედავად ყურდახშობილი
საზოგადოება

რაგადობანი

I

თბილისი
2016 წ.

უაკ (UDC) 328(479.224)
ს-372

რედაქტორი **ზურაბ ცუცქირიძე**

გამოცემის რედაქტორი **ზურაბ ქობალია**

რეცენზენტი **ალეკო გაბელაია**

საკომპიუტერო უზრუნველყოფა **ქეთევან ხორგუაშვილი**

გამომცემლობა „ზენაარი“, თბილისი, ზანდუკელის 1.
ელ.ფოსტა: zurkob@gmail.com ტელ.: 599 343 727

ISBN 978-9941-9440-7-9

≈*≈

1. ჭაობური „დემოკრატია“ და იერიში ქართულ ცნობიერებაზე

„პოეზიის დედოფლისა“ და
„პროზის რაინდის“ მიერ
ოკუპირებული მწერალთა
კავშირი – მწერლობის სასაკლაო

„და შენ, კაპერნაუმ, თვით ზეცამდე ამაღლებულო,
ჯოჯოხეთამდე დაემხობი შენ...“

მათე, 11,23;

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული...“

ი. ჭავჭავაძე

„... და მიუტანა ცოლსა და შვილებს პოეტის
სისხლით ნაყიდი პური“.

ო. ჭილაძე

შემობიჯება ესოდენ პატივცემულ საფიხვნოში მავალდებულებს, იმ გულწრფელობით ვაოთხივკუთხო სათქმელი, როგორც ილორის წმიდა გიორგის ხატი (დიდება მის სახელს), დღეს გასხვისებულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მომუხლმაგრე ჩვენდა იმედად, მოითხოვს მლოცველისგან...

სამწუხაროდ, უბედურება და მისი სამერმისო შედეგები, რომელიც საქართველოს მწერალთა შემოქმედებით კავშირში ქართული სიტყვაკაზმულობის დასანგრევადაა ჩასანგრებული, გაცილებით სათავზარია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

მით უმეტეს, რომ ამ დღეებში საინფორმაციო საშუალებათა ჩასაფრებანი, რომლებიც არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავენ ეროვნულ-სახალხო სულისკვეთებას, აშუქებენ მხოლოდ სკანდალს, აურზაურს, დაჰყავთ იგი ხულიგნურ გაწევა-გამოწევამდე სათავმჯდომარეო სავარძლისთვის ქვემეხების აგრუხუნებამდე და ა.შ.

არა, რა თქმა უნდა, არაა ასე მარტივად საქმე!..

მან, ვინც ტექნოკრატიული დასავლეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოში ეს ყველაფერი დაგეგმა, შეასრულა და ხალხს ასე საძრახად გაუსაჯარისა, იცის, რასაც აკეთებს, როგორ გამოათაყვანოს თავისი სამიზნე, რანაირად მოსწყვიტოს ერი საკუთარ მწერლობას, რა ცრუმოძრაობით შეაზიზღოს კი არა მარტო, <u>როგორ მიუმდგომლოს ის სრულიად საქართველოს</u> და ა. შ.

რას იზამ, ჯერჯერობით ზეიმი მათ ქუჩაზეა.

სწორედ ასეთი მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ამარად დარჩენილ საქართველოში გაბედავს ქვეყნისათვის თავსმოხვეული ხელისუფლება საერთაშორისო ურთიერთობიდან საქართველოს სახელმწიფო ენის გაძევებას და გაუმართლებლად, ყველანაირი დიპლომატიური პროტოკოლის დარღვევით, მას ჩაანაცვლებს მორიგი დიდმპყრობელი სახელმწიფოს სამუშაო ენით.

<u>ასეთ დროს, როდესაც საზოგადოებას ძილქუში მოერევა და ღირსება გაუბლაგვდება, მწერალმა უნდა აიღოს საერისკაცო სადავე, ალაგმოს ვიღაცის მიერ რატომღაც ჭარბი უფლებამინიჭებული ჯოგების პარპაში ქართველი ერის ღირსებაზე</u>.

ამ ვითარებაში საქართველოს მწერალთა ე. წ. 24-ე ყრილობა (თუ რატომ ე. წ. ამაზე ქვემოთ გაუწყებთ), რომელიც ჩატარდა 2014 წლის 21 ივნისს, ქართული სულიერების წინააღმდეგ საგანგებოდ ჩასაფრებულ ძალებს სჭირდებოდათ ფაქტიდან გამომდინარე სიცხადედ, რომლის შესაბამისადაც საზოგადოებრივ მიმოქცევაში უნდა გაისაგნოს ეთნოდივერსიული სტერეოტიპი ქართული მწერლობის კნინობითობის შესახებ (ი. ჭავჭავაძის სახალხო დებულებას **–„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“** უნდა ჩაენაცვლოს სისხლადრეულთა ახურუშებული ხმაბოდვა (უკაცრავად, მკითხველო): **„და მოვიდეს დიდი დედა დიდი შუაღამიდან გადაიხსნას დიდი საშო, როგორც კომბოსტო ჩაგავლოს ქეჩოზე თავისი ნახევრადღვთიური ხელები და შეგაბრუნოს იქ, საიდანაც გამომძვრალხარ“ (პ.შამუგია).**

ყოველივე ამის გასწვრივ, წესით, უნდა ვხედავდეთ და გავიცხადოთ, რომ აგრესიული გლობალიზმის (ამ შემთხვევაში ტექნოკრატიული დასავლეთის, კერძოდ კი ანგლო-ამერიკანიზმის) დაკვეთა მოითხოვს, მიზანმიმართულად განადგურდეს ქართველი ერის მარადიულმყოფი დედაეკლესია და ჩვენი (ქართველთა) გონითი განფენის სივრციდან აქრისტესმხედრებული ეროვნულ-სახალხო მსოფლმხედველობა.

უკეთეს შემთხვევაში ევრო-ატლანტიკური რასიზმი, ისევე, როგორც კრემლიდანური „მფარველობა“, ქართველს ასტვენილ ადამიანად მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, რაკიღა მისი აზრით ემოციური წყობის ხალხს მეთვალყურეობა სჭირდება გარედან, მან ლაგამი ამოგვდო.

ცხადია, საკუთარი სახელმწიფოს ასაღორძინებლად საჭიროა ერთიანი ეროვნული ცნობიერება, რასაც განაპირობებს ერის ვინაობა და მისგან გამომდინარე სულისკვეთება. <u>ქართული მწერლობა თავისი არსებობის არაერთათასოვანი წლის მანძილზე (მათ შორის, წყეული საბჭოთა კავშირის დროსაც), დიახაც, რომ წამგაუცდენლად აფხიზლებდა ერსაც და ქვეყანასაც</u>.

დღეს ტექნოკრატიულმა დასავლეთმა არათუ დაგვიპყრო, ყველანაირი ქვეგამხედვარობით ცდილობს, თავს მოგვახვიოს მის მიერ რეგლამენტირებული აზროვნების წესი და ყოფითი ყოველდღიურობა. ასეთ დროს, ბუნებრივია, <u>ქართული მწერლობა, რომელიც ყოველთვის განაპირობებდა-მეთქი ჩვენი ხალხის გიორგიანულ და ქრისტესმხედრულ შინაარსს</u>, მისთვის ყელში გაჩხერილი დაბრკოლებაა და, შესაბამისად, უპირველესად გასაცამტვერებელ სამიზნედ დაიდგინა იგი.

ყველანაირი დამპყრობი ამნაირად იქცევა. გაიხსენეთ მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლები. საბჭოთა ხელისუფლება რუსეთის იმპერიაში მოსახლე უმწერლობო მკვიდრ ხალხებს უქმნიდა კირილიცაზე დაფუძნებულ დამწერლობასა და მათ ცნობიერებაზე გაწვდენილ მწერლობას (მათგან იური რიტხეუ – მიუხედავად საბჭოთა პროპაგანდის დიდი მცდელობისა და, რა თქმა უნდა, საკუთარი გამორჩეულობისა, მაინც ვერ გახდა იმავე რუსეთში იმ დროის მეორე ვასილ შუკშინი).

ასეთ ხელგამოღებაში, რაკიღა ჩვენ რუსეთზე გაცილებით უადრესი და საკაცობრიო მნიშვნელობის ლიტერატურა გვქონდა და გვაქვს, მისი მთლად მიცხრაკლიტულება ვერ გაიმიზანშეწონილეს, თუმცა ის, რაც შემოგვრჩა, საბჭოთა არტახებში მოგვიქციეს (ამ ვითარებაშიც კი ქართულმა ნიჭმა და ძალისხმევამ ახალი მწვერვალებითა და მთაგრეხილებით გაამდიდრა დროსა და სივრცეში გაკიდეგანებული ქართული მწერლობა. ამის მიზეზი მისი საძალისხმევო ჯიშის, კოლხური უხსოვარდროობა და ლასკარული საკუთარხმიერება გახლდათ).

განსხვავებით საბჭოთა იდეოლოგიისა, ჩვენს ქვეყანაში დღეს რუსიზმს ჩანაცვლებულ საოკუპაციო ძალას – ტექნოკრატიულ დასავლეთს საერთოდ არ სჭირდება ქართული ლიტერატურის საკაცობრიო სიმაღლეები. იგი საამრეგიონოდ ითადარიგებს მხოლოდ სათვალსეირო, გამრთობ, გამამდდაბიურებელ, ხალხისა და საზოგადოების გამაჯოგებელ ნაჯღაბნებს.

ასეთი ქუჩისფსკერული გაწიგნებები, ბუნებრივია, ვერ იჭაჭანებენ მწერალთა ისეთ საყდრიონში (გნებავთ, ციხიონში), რომელსაც მესვეურობს რწმენა, ზნეობა, ნიჭიერება, მადალმხატვრულობა, დახვეწილი გემოვნება, ქვეყნისთვის თავდადება და ა.შ. რადგან მას ვერანაირი ხელისუფლება (თუ ის მთლად არ გაგიჟდა) ვერ გაუბედავს და არც მოუნდომებს თავში წათაქებასა თუ გამოწიხლვას.

სამაგიეროდ, ისეთი გალანძღული, გაპამპულებული, კაც (ქალ) ღმერთობაზე ხელწაპოტინებული, საქმეში ჩახედულთა მიერ კორუფციაში (ხელმრუდობაში) შემჩნეული, მაშასადამე, ეშმაკისთვის სულმიყიდულთა ერთობა, როგორადაც დღევანდელი მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელობა დადგინდა საზოგადოების თვალში, სწორედაც რომ სჭირდებათ ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ჩასანგრებულ ძალებს. ამ მიზეზის გამო ასეთ კავშირს სახალსო მხარდაჭერა არა აქვს. ის კი არადა, ქვეყანაში აგრესიული გლობალიზმის მიერ ხელდასმულ ნამესტნიკურ ხელისუფლებას ყოველ წუთს შეუძლია, ესაუბროს მას არა თუ თითისქნევით, მუჯლუგუნითაც კი.

ცხადია, რომ ტექნოკრატიული დასავლეთი, რომელიც ევროპის ხალხთა კულტურას კი არ მოუძღვება ჩვენთან, არამედ თავისი საოკუპაციო ყოველდღიურობით უფრო ხავერდოვნად გვიპყრობს, ვიდრე მუჟიკური სულსწრაფობა, ორივე შემთხვევაში მიზანი ერთია – ქართული შინაარსის აღგვა!

ისტორიასთან მიმოწაფებაში გამეორება ჭკვიანისთვის ცოდნის დედად უნდა იქცეს:

თუ ქართული მწერლობა (ი. ჭავჭავაძე... კ. გამსახურდია, გ. რობაქიძე, მ. ჯავახიშვილი და ა. შ.) საქართველოს თავისუფლებისთვის იბრძოდა, ე.წ. ქართული პროლეტკულტურა, პირიქით, სწორედ ამას უპირისპირდებოდა და ხმაბოდვაში ჩაძირული, მსოფლიოში უვინაო ინტერნაციონალიზმის გასაბატონებლად იკაპიწებდა მკლავებს. შედეგი?

– ეთნოფაბრიკაციული საბჭოთა საქართველო თავისი დივერსიული სასხლეტებით!..

არაფერია შეცვლილი, – ე. წ. არასამთავრობოები (ეს ახალი სტეფანე შაუმიანები და სერგო ორჯონიკიძეები) ჭაობური დემოკრატიის მორევში პიროვნების უფლებათა დაცვის საბაბით ერთბაშად უნდომებენ ქართველ ერს გათახსირებაში გაურჩხულებას.

ამას ემსახურება აგრესიული გლობალიზმის მიერ ჩვენს თავზე უკვე ნაცადი ნელი მოქმედების ჭურვად კონსტრუირებული და საზოგადოების ერთ ნაწილში „უბორნიის მწერლობად“ (უკაცრავად, მკითხველო, ზოგან კიდევ თავიანთი ხელცდუნების გამო „მნძრეველთა ლიტერატურად“) წოდებული ხმაყროყინა მჯდაბნელობა, რომელსაც ავიწყდება, რომ პიროვნება ეროვნული ვინაობის გარეშე, როგორც ზ. გამსახურდია მოსწრებულად აცხადებდა, ცხოველს ემსგავსება.

ამ ზნეობრივ სარეველათა (сарняк-თა) თვითდამკვიდრებაში საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ბოლო დროის საპამპულო კაცთღმერთობამაც გაიღო წონადი წვლილი.

დღესაც, ისევე, როგორც საბჭოთა დიქტატურის წლებში, საქართველოში კვლავაც ასიმილატორული, ქვეყნის დაუფარავად გადამჯიშებელი იდეოლოგია აურზაურობს – უფრო შეფარულად, შედეგიანად და ჩამძაღლებლად. რაც შეეხება ე. წ. საქართველოს კპ ცკ-ის მეორე (რუსი) მდივნის ინსტიტუტს (თუმცა, რომელი არ იყო მერუსეთე), იგი გაცილებით უბოდიშო ხელისფათურის უფლებით ჩაანაცვლა აშშ-ის ელჩმა. თუ ადრე კრემლი ქართულ მიწებზე სხვადასხვა, უფრო ხშირად არაგულითადი მიზეზებით შემოხიზნულ ე. წ. უმცირესობებს ავტონომიურ რესპუბლიკებს უქმნიდა, დღეს აშშ-ის ელჩის მოვალეობაა, ადგილზე გააძლიეროს ე. წ. არასამთავრობოებების მხარდაჭერითა და წაქსიანებით ქვეყანაში აგრესიული ვითომ უმცირესობების დიდმპყრობლური ათარეშებები ქართული ჯიშისა თუ ეროვნულ-სახალხო შინაარსის, მამაპაპური სააზროვნო წესის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, მისი გადაუდებელი საქმეა, საქართველო აქციოს ტექნოკრატიული დასავლეთის ზომბად, გაუყოველდღიუროს მისგან მართვადი ქაოსი, აცხოვროს ხმაბაძვაში, დაუხშოს პირველადისკენ ყველა გასახედი, აქციოს მეორადის მომხმარებლად, „აბედნიეროს“ პარაზიტულ განცხრომაში და დაუპირისპიროს მეურნე კაცის მეჭირნახულეობას. ამისთვის კი საგულდაგულოდ ინგრევა ერთიანი ეროვნული მიზანი და სულიერი ნიშანსვეტი.

თვალებს ძალით თუ დაიბრმავებ, თორემ, შეუძლებელია, არ დაინახო ის საგანგაშო ვითარება, როცა ქვეყანაში სულ უმნიშვნელო თანამდებობაზეც კი ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციების ანუ აგრესიული გლობალიზმის ადგილობრივი და მოხალისე აგენტურის (იგივე პავლიკმორეზოვული და შვონდერ-შარიკოვული (მ. ბულგაკოვი) ჯაშუშობის) მიერ

საგულდაგულოდ შერჩეული, ნაცადი ქართველთმოძულე ინიშნება. ასეთ დროს ისეთი მწერლობა, რომელიც წმიდა ილია მართლის სწავლებით **„მამული, ენა, სარწმუნოება“** იხელმძღვანელებს, მიუღებელია მათთვის. ამიტომ საგანგებოდ იინკუბატორებენ (შეადარეთ საბჭოთა კავშირის პროლეტარულ მწერალთა რიგებში გაწვევებს) იმგვარი „ლიტერატურის“ მეხელცდუნეებს, რომელთა მხატვრული გემოვნება შემოიფარგლება ამნაირად გასახეზოგადებული მდგომარეობით: **„დე, იყოს, ასე... ვიყოთ ასე საკუთარ განავალში გამომწყვდეულნი“ (პ. შამუგია) ან კიდევ „მაგარ ძღნ..ში ვარ“ (ლ. ბუღაძე).**

ეს აგრესიული გლობალიზმისთვის მომავლის ლიტერატურაა – მიზნობრივად თავსმოხვეული ქართველი ერისთვის. მანამდე კი მისი ხელშეწყობით წინაურდება ისეთი საპამპულო „მწერალთა შემოქმედებითი კავშირი“, რომელსაც მესვეურობენ ერთბაშად „პოეზიის დედოფალი“ და „პროზის რაინდი“. ამ უკანასკნელისთვის კი, როგორც საზოგადოებრივი აზრიც გვიდასტურებს, ქართველ მწერალთა შემოქმედებითი კავშირი მხოლოდ და მხოლოდ სავაჭრო დახლია (ან „საიმისმქნელო“ საამქრო) და არა შემოქმედებითი სივრცე თუ სამოღვაწეო ასპარეზი.

ბუნებრივია, ქვეყანაში ნამესტნიკური ხელისუფლებისა და მისი საოკუპაციო კონტინგენტისთვის სულზე მისწრება გახლავთ იმგვარად დეგრადირებული კრებითობა, რომლის ძალისხმევით შეიძლება, თავს მოახვიო საზოგადოებას ე. წ. 24-ე ყრილობის მსგავსი გნიასი, სადაც სიტყვაკაზმული მწერლობის გარდა ყველაფერი იყო. სწორედ ამიტომ, ვიმეორებ, ეს ისეთი კრებითობაა, რომელსაც უბოდიშოდ შეაგინებენ, გაატაკიმასხარავებენ, გაიხელისბიჭებენ იქ, „სადაც ჯერ არს“. ისინი საზოგადოებრივი მხარდაჭერით ვერ სარგებლობენ და მათი მუხლმაგრობა ე. წ. წიგნის არმკითხველი არასამთავრობოებებისა თუ აშშ-ის ელჩის კეთილ ნებაზე არის დამოკიდებული. ქართული მწერლობის ამგვარ ოდიოზურ ქურსუმში ჩამწყვდევისთვის მათ ჯოგური კორუფციის ნებართვითაც დააჯილდოვებენ და ასე სულგაყიდულებს იგუებენ. ის კი არადა, როგორც უკვე განვაცხადე, „თავგასართობად „პროზის რაინდის“ წოდებასაც მიანიჭებენ და „პოეზიის დედოფლადაც“ აატახტებენ. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ საგანგებოდ გამოინკუბატორებული ის უწარსულო, უვინაო და უარავინო „მწერლობა“, რომელიც საკუთარი დედის მიმდგომლობით განიცდის ორგაზმს (ისევ და ისევ ბოდიში, პატივცემულო მკითხველო), – მომუხლმაგრდება, გაისაყოველთაოებს ასპარეზს და ჩაანაცვლებს ქალბატონ მაყვალა გონაშვილისა და ბატონ რევაზ მიშველაძის ე. წ. მწერალთა კავშირს. ასეთია გეგმა.

აქ მე იმგვარადვე უნდა ვითერგღრიალო, როგორც 1993 წლის 27 სექტემბერს, მდინარე კოდორზე მომხდურის მიერ საკუთარი ოდაბადედან ჩემი ხალხის დედაწულიანად გაძევებისას, რადგან მკაფიოდ ვხედავ, რომ ქართული მწერლობის გარიგითება-დაკნინებით ეროვნულ მწერლობას ჩასაწალდად მოადგნენ, რითაც ქართველად ყოფნას ამდაბიურებენ.

ამავე დროს დიდი მოკრძალებით, მაგრამ სიტყვის უკან დაუბრუნებლად უნდა ვუსაყვედურო მშობლიური სიტკვაკაზმულობის მეჭირნახულეებს: თ. ჭილაძეს, გ. გეგეშიძეს, გ. დოჩანაშვილს, ბ. ხარანაულს, – ის

საფრთხე, რომელზეც მე უკვე გეთავისტკივილეთ, სწორედ მათ შემოქმედებასთან მიერთსხეულების შედეგადაც გახდა ჩემთვის მკაფიოდ დასანახი, ანუ მათი მიმოწაფებითაც გავერკვიე ამ ვერაგობებში. როგორ დავიჯერო, რომ ამჯერად მათ ვერ დალანდეს იგი და ამ ე. წ. 24-ე ყრილობაზე არმობრძანებით ხელიდან გაუშვეს საშუალება, რათა მათი ბრძნულად გადადგმული ჩვეული ნაბიჯებით გაეკვლიათ გზა ქართველ მწერალთა იმ ნაწილისთვის, რომელთაც იმ დღეს ა. ხორავას სახელობის მსახიობის სასახლეში ავმოსურნე და ქართველთმოძულე ძალების ხელებდაკაპიწება ვეღარ მოითვალსაწიერეს.

რა თქმა უნდა, საბჭოთ სისტემამ საქართველოს მწერალთა კავშირის შეუგინებლობებს თავისი სისხლიანი ხელები უბოდიშოდ შემოუმარწუხა, მაგრამ ამავდროულად ამავე მწერალთა კავშირიდან იქნევდა სამამულო ხმალს კ. გამსახურდია, ერს აფხიზლებდა მ. ჯავახიშვილი, პოეზიის ბერმუხად იდგა გ. ტაბიძე, ქართულ ზნეობას ამუხლმაგრებდნენ ლ. ქიაჩელი, ნ. ლორთქიფანიძე და ა.შ.

სწორედ მათ გვერდით და აქ ჩამოყალიბდნენ მწერლებად ა. კალანდაძე, მ. მაჭავარიანი, გ. რჩეულიშვილი, ძმები ჭილაძეები, გ. გეგეშიძე, ნ. დუმბაძე, გ. დოჩანაშვილი და მრავალი სხვა დიდოსტატი ქართული სიტყვაკაზმულობისა.

კი, ბატონო, კომუნისტურ ძალადობასთან უთანასწორო შერკინებაში ის მარცხდებოდა კიდეც, უფრო მეტიც, შიგადაშიგ გადაუდგამს არც თუ საამაყო ნაბიჯებიც, მაგრამ არასოდეს საპამპულოდ და სატაკიმასხროდ არ გადაქცეულა... ასეთად იგი დღეს ჩამოყალიბდა მიზნობრივად. ეს მიზანი ქართველ ერს არ დაუსახავს.

ახლა რაც შეეხება თვითონ ე. წ. 24-ე ყრილობას და მისი ლეგიტიმურობის ხარისხს: მე, ჩემი ასაკისა და ნამსახურეობის გამო, მრავალი კრების, კონფერენციის, ყრილობისა თუ სახალხო თავყრილობის არათუ მონაწილე ვყოფილვარ, ზოგიერთ მათგანს, მათ შორის, სახალხო მიტინგებს გავძღოლილვარ კიდეც.

არსად, არასდროს არ მინახავს ის, რაც ამ ე. წ. ყრილობაზე ვნახე. მოგეხსენებათ, ყრილობის ჩატარებას გააჩნია თავისი სამუშაო წესი (უპრიანი იქნება, თქვენთან ერთად შევიხსენოთ იგი): იმის შემდეგ, რაც უფლებამოსილი პირი გახსნის მას, ირჩევა ყრილობის სამუშაო პრეზიდიუმი, სამანდატო კომისია, სამდივნო. მტკიცდება დღის წესრიგი, მუშაობის რეგლამენტი, მოისმენენ და ამტკიცებენ სამანდატო კომისიის მოხსენებას ყრილობის ჩატარების უფლებამოსილების შესახებ. ამის შემდეგ ქვეყნდება ანუ საჯარისდება საანგარიშო მოხსენება, რომელსაც განხილვის შემდეგ ამტკიცებენ. შეფასება ეძლევა საანგარიშო პერიოდში ხელმძღვანელობის (ამ შემთხვევაში მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობისა და სამდივნოს) მუშაობას. ასევე მტკიცდება სარევიზიო კომისიის ანგარიში.

მხოლოდ ამის შემდეგ ტარდება არჩევნები. მთელი ეს პერიოდი, სანამ ყრილობა მიმდინარეობს, მას წარმართავს საგანგებოდ არჩეული სამუშაო პრეზიდიუმი, რომელთაგან ერთ-ერთი თავმჯდომარეობს რიგრიგობით. ყრილობის წინაშე ანგარიშვალდებულ ყოფილ ხელმძღვანელობას

სამუშაო პრეზიდიუმში არაფერი ესაქმება და იგი დარბაზში ზის (არის გამონაკლისი, როდესაც სამუშაო პრეზიდიუმში ირჩევენ).

არც ერთი ეს „წვრილმანი“, რომელთაგან ერთიც რომ დაირღვეს, ყრილობა ლეგიტიმურობას კარგავს – იმ დღეს არ შესრულებულა. ე. წ. 24-ე ყრილობის პრეზიდიუმს თავკაცობდნენ (რა უფლებით, რა ხარისხში?!) მ. გონაშვილი და რ. მიშველაძე, რომლებიც მიკროფონთან მათთვის არასასურველი აზრის გამომთქმელს ლამის ხელჩართულ ბრძოლას უმართავდნენ. ძირითადად, ასეთი გახლავთ იმ ე. წ. ყრილობის (უფრო კი „სხადნიაკის“) მსვლელობა, რითაც ის დაემსგავსა მუჟიკურ ხელჩართულობას და არა მწერალთა საპატიო ყრილობას.

რატომ მოხდა ასე?! როგორ, მწერალთა კავშირის მესვეურებმა არ იციან კრების ან ყრილობის წაყვანა?! იციან, როგორ არ იციან, მაგრამ მათ იმ დღეს, როგორც ჩანს, ხელს აძლევდა აქ მობრძანებული მწერლებისთვის ორგანიზებული ქაოსის თავსმოხვევა, რათა შემდეგ ჩასაფრებულ გაზეთებს ექილიკათ „ქართველი მწერლების არაჯეროვან საქციელზე“. ასეთი გახლდათ დაკვეთა იქიდან, საიდანაც იღწვიან „თანამედროვე მსოფლიო წესრიგისთვის“... <u>იქ სჭირდებათ არა ქართველი ერის თანამდგომი და მოსარჩლე მწერლობა, არამედ წიოკობასა და საძრახოებაში მოყოველდღიურე კრებითობა.</u>

მეტსაც გეტყვით, ამ დღეებში სარწმუნო და საქმეში საფუძვლიანად ჩახედულმა წყარომ გამანდო „პოეზიის დედოფლისა“ და „პროზის რაინდის“ არადედოფლური და ნაკლებ რაინდული ქვეშქვეშობა: ერთი თვის წინ მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელობისა და მწერალთა აკადემიის რწმუნებულთა შემთანხმებლური მოლაპარაკების თანახმად 24-ე ყრილობის დელეგატის სტატუსი მიეცემოდათ იმ მწერლებს, რომლებიც არსებული წესდების შესაბამისად იყვნენ მიღებული მწერალთა კავშირის რიგებში (იხილეთ მწერალთა კავშირის ცნობარი, თბილისი, „მერანი“, 2012 წ.).

როგორც გაირკვა, „რაინდმაც“ და „დედოფალმაც“ ამჯერადაც პირი უტეხეს შეთანხმებას. მათ სხვადასხვა უკადრისი ილეთით მოახერხეს ასამდე ისეთი მწერლის „ჭურში ჩატყუება“ და ამგვარად ე. წ. 24-ე ყრილობის მუშაობიდან ჩამოცილება, რომლებიც არ იწონებენ მწერალთა მამულიშვილური და შემოქმედებითი მოღვაწეობის მაგივრად კაცღმერთულ ათოხარიკებებს.

ასეთი ქვეშქვეშობით მათგან უმართავი მწერლების ნაცვლად მწერალთა 24-ე ყრილობის ორგანიზატორებმა სათანადო დელეგატის მანდატი უბოძეს ამ ღონისძიების წინმსწრებად მწერალთა კავშირის რიგებში ჯგუფებად, დასტა-დასტა და ბითუმად („оптом“) მიღებულ „წევრებს“, რომელთა უმეტესობას ჯერჯერობით მწერლური ჭირნახული არ მოუდოვლათებიათ (არაფერი დაუწერიათ და არც გამოუქვეყნებიათ. ნიჭიერი ხალხია და აწი დაწერენო, განუმარტავთ ამ საქმის თაოსნებს).

არა, ბატონებო!.. ეს მარტო ვირეშმაკობა კი არაა, ეს ყალბისმქნელობაა, ანუ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად დასჯადი ქმედებაა ესეც.

ასეთ ვითარებაში საჭიროა, დაზუსტდეს და გამოქვეყნდეს ამ ე. წ. დელეგატთა სია, <u>რომლებიც მწერალთა შემოქმედებითი კავშირის რიგებში სამომავლოდ შესაქმნელი თხზულებების საფუძველზე მიიღეს</u>.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ ვინ გამოიყენეს ერთჯერადი მოხმარების რაობად ანუ საგნად, მაშასადამე, ე. წ. 24-ე ყრილობის დაგეშილ ხმოსნებად, რომელთა ხელებითაც უხანგრძლივდებათ თვალებში ნაცრის მყრელი ყოველდღიურობა ზნეობრივად ბერწ თანამოსაქმეებს.

აქ ხმამაღლა უნდა განვაცხადო, ეს არ არის ის შემთხვევა, რომელზეც შეიძლება დავა, მერე რა მოხდაო! <u>გათითოკაცებული, ერთიანი მსოფლაღქმითი ნიშანსვეტის არმქონე ქვეყანა და ერი, თუ ის თავის ვინაობაში არ გაერთსხეულდა, უნდა შეეგუოს საკუთარი მარადიულყოფის ნგრევას, რადგან მხოლოდ ქუდზეკაცური გაერთმეშტება უზრუნველყოფს ქართველთა გონითი განფენის სივრცეში უსაფრთხოებათა გამუხლმაგრებას, რაც დედან შინაარსში აწყალუხვებს ეროვნულ ძალისხმევას.</u>

<u>დანაგვიანებული ან გასარეველიანებული ცნობიერება ერს ვერასოდეს შეაქმნევინებს საკაცობრიო ღირებულებას, ამით იგი ყავლგასულობაში დგინდება, ეს კი თვითდასაფლავების წინადღეა; ისევე, როგორც ორგანიზაციული ქაოსი:</u> ის, რომ ამ ე. წ. 24-ე ყრილობამ არ აირჩია. ყრილობებს შორის მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელი ორგანო ანუ გამგეობა, ეს ამ თვითმარქვია ყრილობის თაოსანთა გამოჭენებული თვითმხილებაა არა მხოლოდ თაღლითობაში, არამედ ქართული მწერლობის უბოდიშოდ ფეხზე დაკიდების მცდელობაშიც და თუ გნებავთ, ორგანიზაციულ უმწიფრობაში.

ასევეა სამარცხვინო წინგაუხედაობა ქვეყნისთვის თავსმოხვეული ე. წ. პირველი ქალბატონის (და არა პირველი ლედის, როგორც მას უწოდებენ ხმაბაძვაში მოხვიხვინეები) სანდრა რულოვსის მწერალთა შემოქმედებითი კავშირის საპატიო წევრად დადგენა, რაც საანგარიშო დროში მომხდარა...

ამაზე შორს წასული მლიქვნელობა, მაამებლობა თუ მდარე გემოვნება ძნელია, დაასახელო, საერთოდ!

ცხადია, მწერლობა განაპირობებს (უნდა განაპირობებდეს) ერის ცნობიერებას, აქედან გამომდინარე, მე მაინტერესებს, ქალბატონ სანდრა რულოვსის საპატიო წევრად შემობიჯება ქართველ მწერალთა რიგებში მისი რომელი ნაწარმოების საფუძველზე მოხდა?!

თუ ეს მის მიერ ინგლისურად დაწერილი მოგონებები გახლავთ, მასში საქართველოს დედანი შინაარსი, ანუ ქრისტესმხედრული სული ხომ მრუდე სარკეშია წარმოჩენილი?!

როდესაც საზოგადოებას ასეთ „მწერლობას“ აკადრებენ და შემოუბედავენ, ეს იმის ნიშანია, რომ გადაშენების პირას მყოფთა შორის ჩვენთან სასათბურო პირობებია. უფრო მეტიც, როგორც თავადაც რწმუნდებით, იქიდან, საიდანაც „ჯერ არს“ ჩვენს ქვეყანაში მიზნობრივად მოხდა სახელმწიფოს ინტერესებისა და ადამიანის სულისკვეთებათა ხელოვნური და შორსგამიზნული გამიჯვნა.

მათი აზრით, ქართული სახელმწიფო არ უნდა იყოს ქართველი ერისა და ქართველი ადამიანის მარადიულყოფის გარანტი, შესაბამისად, ქართველმა მწერალმაც ქართველი კაცის სატკივარს ყური უნდა დაუხშოს.

საკამათო რად არის ის, რომ მწერალთა შემოქმედებით კავშირს კაცდმერთობის კვარცხლბეკზე შესასკუპებლად არ უნდა ეცალოს მაშინ, როდესაც ქართული ენა ხელოვნურადაა ისეთ ქუჩისფსკერთან მიარტახებული, საიდანაც უკვე გადაშენების სიცხადეა. დიახ, როდესაც თაობა ბედნიერებას დედაენაზე ვერ იერთსხეულებს, იგი არაა ბედნიერი, რადგან ის არ ცხოვრობს საკუთარ ვინაობაში, ანუ მოსწყდა დედან შინაარსს. ასეთი საფრთხის წინაშე, რაც შეიძლება, მეტი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ და ღირსეულად მოვეკიდოთ (ვუავთანდილოთო, იტყვიან ამ დროს) ჩვენს სულიერებას, ამ შემთხვევაში მწერლობას, რომელიც ყველაზე საიმედო საფუძველი და დასტური გახლავთ ეროვნული მარადიულყოფის. პატრიოტიზმს ყავლი არ გაუდის, ის არ ძველდება. ჩვენი სანაქები ერისკაცი და მწერალი თამაზ ჭილაძე ამ რამდენიმე წლის წინ წერდა: **„ნუ წარმოვიდგენთ ჩვენს ქვეყანას მხოლოდ მოდელიორებისა და კლოუნების „პოდიუმად“. იმედია, დამერწმუნებით, რომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება კულტურის შოუდ გადაქცევა. ალბათ, ჩემზე უკეთესად მოგეხსენებათ, რომ სანახაობა და სალაფავი მონების საქმეა, კულტურა კი ხალხის“ (გაზ. „კვირის პალიტრა“, 28 თებ. – 6 მარტი, 2011 წ.).**

სამწუხაროდ, საზოგადოება დღეს, მრავალი მიზეზის გამო, ჯეროვნად ვერ აკეთებს სამერმისოდ წასადგომ დასკვნებს., უფრო მეტიც, რჩება შთაბეჭდილება, რომ ეროვნული სულიერებისადმი მტრულად განწყობილი ძალების ეთნოდივერსიული პროპაგანდის წყალობით მათ არც სჭირდებათ ასეთი განცდა. მათთვის თვითკმარი მდგომარეობაა აშშ-ის „ჰუმანიტარული პასუხისმგებლობის“ მოიმედეობა და ვერ ისიგრძეგანებენ, რომ იგი სსრკ-ის „ინტერნაციონალურ მოვალეობაზე“ უფრო ვერაგია.

ყოველივე ამის გასწვრივ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის დღევანდელი ქმედუუნარო მდგომარეობა განაპირობა იმან, რომ მისი გამგეობის მესადავე ნაწილი გახლავთ ისეთი ადამიანები, რომლებიც ღვთისა და ერის ხმისთვის ყურისგდებას თავგანწირვით ეწინააღმდეგებიან. მათთვის „მერე რაა“, რომ იქ, „სადაც ჯერ არს“, ქართველი ერი საგანგებოდ დაზუსტებული რეგლამენტის მოსაზღვრულობაში მხოლოდ ფოლკლორულ ფაქტადაა მოაზრებული.

კიდევ უფრო საბედისწეროა მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მესვეურთა დანაშაული ახალგაზრდა თაობის წინაშე. მან ვერ გახადა საკუთარი რიგები შემოქმედი ახალგაზრდებისთვის მაღალი გემოვნების, საინტერესო, მიმზიდველი და საერისკაცო. შედეგად, ისინი შეატოვა განახირებულ სექტებში მომწერავე სულსაპყართა რიგებს, რომლებიც ვერასდროს ვერ იოცდაცამეტებენ, ანუ არ იქრისტესმხედრებენ.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მესვეურთა ზემოთ ხსენებული ოდიოზური საქმიანობის გამო ე. წ. მოდერნიზმი და ავანგარდიზმი ჩვენში იმპორტირდება არა თავის დედან, ანუ ჯანსაღ შინაარსში, არამედ იგი საქართველოში შემოჭენდა სისხლაღრევად, შეშლილობად და ფსიქოპათოლოგიურ სისასტიკედ, გარყვნილებად, სულცდუნებად და ა.შ. დიახ, ეს გახლავთ ჭკუისმიღმურ ენაზე ახმაურებულ უტოფართა ჯოგი, რომელიც მიზნობრივადაა გაუზრდელებული და გაუსაქმურებული. ამის თვალსაჩინო მაგალითად, ისევ და ისევ, უნდა შეგოგთავაზოთ თავის დროზე ნიჭიერი დამწყები პოეტი პ. შამუგია, რომლის პირველი კრებულის რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორია ბატონი რ. მიშველაძე. სამწუხაროდ, მან იგი ვერ შეუნარჩუნა ქართულ მწერლობას და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) დევნილი კაცი, რომელიც „ქართველო, ხელი ხმალს იკარს“ უნდა იდგენდეს ჰიმნად, აი, როგორ ცოდვისკითხვაშია ჩაძირული: **„ბოლოსდაბოლოს, ღმერთი სხვა არავინაა თუ არა დაკომპლექსებული ეშმაკი...“ („რასაკვირველია, მეც ვიუიმავებ, ღმერთს რომ შევეშველო...“), „აქებდე იმას, რასაც ჩვენში უთვალავი შესატყვისი აქვს, დიახაც, უთვალავი. მაგალითადრე სირი, შიბლა, დიშლა, ბალაყანა, ტინკი-ვინკი, კუტუ, ჭუჭუ, ჭუჭულიკა, კიტრი, ...“ (ცენზურა ს. საჯ.).**

რამდენად ღრმა და უიმედო ძილქუშში უნდა იყოს საზოგადოება, რათა მან თავისი მწერლობის სადავეები ჩააბაროს ადამიანთა ჯგუფს, რომელთა საყრილობო მოხსენებაში კრინტიც არ დაძრულა იმაზე, რომ აგრესიულმა გლობალიზმმა არა თუ დაგვიპყრო და დაამყარა საოკუპაციო რეჟიმი, ქვეყანას გადაუჯიშა მომავალი, სრულიად საქართველო გადააქცია საეთნოფაბრიკაციო პოლიგონად, საზოგადოებრივ მიმოქცევაში დაამკვიდრა დივერსიული სტერეოტიპები საქართველოსა და ქართველი ერის შესახებ და ა.შ.

ეს კიდევ რაა! როგორც გახსოვთ, მიმდინარე აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულიდან წინამდებარე ე. წ. 24-ე ყრილობამდე ხაშურის, ქარელის, გორის, საჩხერის, კასპის, ახალგორისა და ა.შ. იმ სოფლებიდან, რომლებიც საოკუპაციო ხაზთან მდებარეობენ, აგრესორებმა და ოკუპანტებმა გაიტაცეს, დიახ, ქართული მიწიდან ტყვედ წაიყვანეს ჯონჯოლის მკრეფავი და ძროხის მწყემსავი დედაბრები, ხეიბარი მოხუცები, უწვერული ჭაბუკებიც კი. დაახლოებით იგივე ხდებოდა მდინარე ენგურის გასწვრივაც. სხვადასხვა ცნობით, ორივე ოკუპირებულ რეგიონში ზემოთ მითითებული დროის განმავლობაში მომხდურებმა 80-ზე მეტი მშვიდობიანი ადამიანი დააპატიმრეს, აწამეს, შეურაცხყვეს, სულში ჩაუფურთხეს, დააზარალეს... ხმამაღლა, ვიმეორებ, მათ შორის მშიერი, კინაღამ მიხრწნილი დედაბრებიც იყვნენ, რომლებსაც ჯონჯოლის მწნილით უნდა მოეკლათ შიმშილი. ის კი არადა, ოკუპირებულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ტყვეთა სყიდვა, მონათმფლობელობა და კატორღა ჩვეულებრივ ყოველდღიურობად იქცა, რისთვისაც სათანადო ნედლეულად ისევ და ისევ ქართველები გამოიყენებიან.

როდესაც ასეთი ეროვნული თავზარისადმი დამოკიდებულება მწერალთა შემოქმედებითი კავშირის საანგარიშო მოხსენებაში არ აისახება, იქ გათელილია დიდი გალაკტიონის მოწოდება, **„დრო, დრო აღნიშნე...“** ასეთ უდარდელობას, ჩანს, უფრო ღრმა მიზეზიც აქვს, – აქ დიდი ხანია, **„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად...“** არ გახლავთ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის მესვეურ ნაწილში მსოფლმხედველობრივი სვლაგეზი.

უფრო მეტიც, 2014 წლის 20 მარტს ისტორიულ ჰერეთში, დღეს აზერბაიჯანის მფლობელობაში არსებულ ქ. კახში, საკუთარ სახლებში ოჯახებითურთ ამოხოცეს ძმები ბესარიონ და იასე როსტიაშვილები (როგორც გახმაურდა, მკვლელობა ისლამური რიტუალის შესრულებით მომხდარა – ყელის ნიშანდობლივი ჭრილობა). ამის მიზეზი, როგორც ამბობენ, ის ყოფილა, რომ მათ ქართული ოჯახები ჰქონდათ. იქნებ, გამომრჩა, თქვენ გეკითხებით, ამასთან დაკავშირებით არ უმდა გაესაჯარისებინა სათანადო განცხადება და სამძიმარი მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობას?! ოღონდაც! „პროზის რაინდი“ და „პოეზიის დედოფალი“, ეტყობა, ამ დროს დახლთან იდგნენ და „ვიღაც“ როსტიაშვილებისთვის ხომ არ მოცდებოდნენ!

ეს კიდევ რაა, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი საეჭვოდ გაიტრუნა მიმდინარე წლის 6 მაისსაც, როდესაც გიორგობის დღესასწაულზე საქართველოდან მომლოცველებს მარად და მარად ქართულ ქურმუხში შესვლის ნება არ დართო „მოძმე“ აზერბაიჯანის საელჩომ. როგორც გაირკვა, გიორგობის მოლოცვა ქურმუხის ქართველობასაც აუკრძალა აზერბაიჯანის ხელისუფლებამ. არაფერს ვამბობ მეზობელი აზერბაიჯანის მესაზღვრეთა თვითნებობებზე დავით გარეჯთან და სხვა ამდაგვარ „გაუგებრობებზე“, რომლებიც ყოველთვის ქართველთა საზიანოდ „გვარდება“.

ამ შემთხვევაში უცნაური ისაა, რომ, მიუხედავად იმისა, 7 მაისს ქ. თბილისში შედგა აზერბაიჯანის, თურქეთისა და საქართველოს სახელმწიფოთა მესვეურების მეგობრული შეხვედრა, ქართული ხელისუფლებიდან ამგვარი „უმნიშვნელო“ რამეებისთვის არავის შეუწუხებია თავი. ასეთ ვითარებაში მშობლიური მწერლობის მოიმედე რჩება ხოლმე ხალხი, მაგრამ ამ ამბებს ჩვენი მწერლობის მესაჭეები ჩვეული ყურდახშობით შეხვდნენ.

მეგონა, ის მაინც აღაშფოთებდა ქალბატონ მაყვალას ან ბატონ რევაზს, რომ ტაო-კლარჯეთში ქართული ეკლესია-მონასტრების განადგურებისგან გადარჩენის სანაცვლოდ თურქული მხარე ითხოვს, საქართველოში ახალი მეჩეთების აშენებას. ჩანს, ამ შემთხვევაშიც მიეხმატკბილა მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობა პედოკრატიული მთავრობის ხმაჩაკმენდას და საქვეყნოდ არ გაუოთხივკუთხებია, რომ ქართული ეკლესია-მონასტრები ტაო-კლარჯეთში, ანუ ისტორიულად ქართულ მიწაზეა აშენებული და ისინი ქართულ ე. ი. მშობლიურ სულიერებას გამოხატავდნენ ამ მხარის მკვიდრი ქართველებისთვის, ხოლო მეჩეთი, რომელიც ქართულ მიწაზე შენდებოდა (ან აწი უნდა ააშენონ), ანიშანსვეტებდა დაპყრობილ საქართველოში დამპყრობის ძალმომრეობასა და დიდმპყრობლობას. ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება და ნურავინ დაგვწამებს ისლამისადმი მტრობის ქადაგებას, პირიქით, ჩვენს ქვეყანაში მაჰმადიანურ სათვისტომოებს ჰქონდათ, აქვთ და ექნებათ თავიანთი მეჩეთი იქ, სადაც ის უნდა იყოს და მას ყოველთვის მიაგებენ პატივს.

დიახ, ბატონებო, არც ამ შემთხვევაში მოესურვილა ქალბატონ მაყვალას და, შესაბამისად, გამგეობას, ერის წყლულს მიერთსხეულებოდა,

არადა, **„...მხოლოდ იმ ცეცხლით იცნობა კაცი... და თუ ჩაქრება ის ჩვენს თვალებში, მაშინ ვიქნებით მართლა მონები. შეურაცხყოფა და დამცირებაც მაშინ იქნება გამართლებული... ამიტომ ჯდება ის ასე ძვირი, დღემდე ამიტომ არ ადევს ფასი... მის სინათლეზე კარგავს უფლებებს ღალატიც, ღვარძლიც, მტრობაც და შურიც... კარგია მაინც თვითონ, რომ ნახე, თუ რა ტრიალებს ამ ჯოჯოხეთში...“ (ო. ჭილაძე).** აი, რას დადადებს ჭეშმარიტი მწერლობა ასეთ დროს!..

ის, რომ დღეს საზოგადოებაში მიზნობრივად იშლება ზღვარი ზნეობრივსა და უზნეობას შორის, რომ ქართველ ერს გარედან დაკვეთით მოსაგუდად მიერეკებიან ე. წ. საკანონმდებლო ხუფში, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მესვეურთა დუმილით ანუ ჩუმი თანხმობითაც ხდება.

ასე, მაგალითად, რამდენიმე კვირაა (იქნებ, თვეც) აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეს ქალბატონს მედეა ვასაძეს ხმაშეწყობილად უკიჟინებენ და ლოდსატყორცნებით გარშემოეწყვნენ ჩვენში თვითდამკვიდრებული და ქართველთმოძულე ძალებისგან დაფინანსებული ვითომ არასამთავრობოები, რომლებმაც დღეს სკკპ ცკ-ის კომპარტიული კონტროლის კომიტეტის ფუნქცია გაიპიროვნეს, რათა ჯვარს აცვან აღნიშნული ქალბატონი იმიტომ, რომ მან არ მოუწონა რომელიღაც ჟურნალისტად შემოსაღებულ ყმაწვილს მისი სურვილი, იქცეს სქესობრივ უმცირესობად (სხვათაშორის, კომპარტიის კონტროლის კომიტეტი, გასაგებია, საარჩევნო ფარსით ყალიბდებოდა. ესენი ამისთვისაც არ იწუხებენ თავს).

უნდა დამეთანხმოთ, დღეს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი რომ თავის სიმაღლეზე იყოს (დიდი ილიას მიძღვრებას იგაკვეთილებდეს ან დიდოსტატ კონსტანტინესა თუ მიხეილ ჯავახიშვილს ემოწაფებოდეს), რატომ უნდა აძლევდნენ ამდენის უფლებას და რად უნდა უბედავდნენ თითისქნევას ქართულ საზოგადოებას, საერთოდ, ქართველ ერს შვონდერ-შარიკოვული სისხლაღრევის პირმშოთა რაზმები და საქტები?!

ცხადია, ერთი კერპისა და ბელადის ძალადობისგან თავდახსნა და მის ნაცვლად ჯოგური აღვირახსნილობისადმი დამორჩილება თავისუფლება არ გახლავთ, თავისუფლება არის შინაგანი ღირებულებების წესრიგი.

კვლავ და კვლავ ხმის ჩახლეჩამდე უნდა ვიყვირო, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის უპირველესი მოვალეობაა, ქვეყანასა და მოსახლეობას (ერს) დაუზუსტოს ერთიანი ეროვნულ-სახალხო მიზნისკენ სავალი სვლაგეზი, რომელიც სავალდებულო გახდება ადამიანად, ქრისტესმხედრად და გიორგიანელად დარჩენის მსურველთათვის.

იგი (მწერალთა შემოქმედებითი კავშირი), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად, უნდა ფლობდეს საძალისხმევო ბერკეტებს, რათა ქართული სახელმწიფოს სამომავლო საფრთხის (რისკების) გაუთვლელად, ჩასაფრებულ ავმოსურნეთა თანხებით ზურგმომაგრებული ე. წ. არასამთავრობოებისა (რიგ შემთხვევაში, ლეგალური აგენტურისა) და თვითმარქვია ექსპერტების მითითებით არ მოგვახვიონ თავს ქართველი ერის მარადიულყოფისთვის სახიფათო გადაწყვეტილებები.

ის, რომ მწერლობამ ერის დაკვეთა უნდა გაიპიროვნოს **(„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა; ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა...“ ი. ჭავჭავაძე)** და არ დაუშვას დღეს კრემლს ჩანაცვლებული აგრესიული გლობალიზმის თითისქნევათა შესაბამისი ზემოქმედება სრულიად საქართველოს ცნობიერებასა და სულისკვეთებაზე, რომ ქართულ ზეპურობას არ გაუბატონდეს მისსავე წიაღში ეთნოდივერსიული ინდუსტრიის წარმოების წესით საგანგებო ძირგამომთხრელობისთვის ინკუბირებული „საზოგადოებრივი აზრი“, ასე უნუგეშოდ არ უნდა ავიწყდებოდეთ „პოეზიის დედოფლებსა“ თუ „პროზის რაინდებს“?!

... და კიდევ ერთი, – უბედურებაა, როდესაც მათხოვრობა მდგომარეობაა, მაგრამ ასგზის სათავზარია, როცა ხელგაშვერა მოთხოვნილება და კიდევ უარესი, ხელობა გახლავთ. არადა, მწერლობამ უნდა დაინახოს, რომ სახალხო სულისკვეთება სწორედ ამისკენ იგეშება ენით უთქმელი გულმოდგინებითა და ხელგამოღებით...

საიდან ავითვალო, რომელი ვითავშიცემო?! მთელი ამ წლების განმავლობაში არ მომისმენია ე. წ. 24-ე ყრილობის გამჩალიჩებლებისგან (ბოდიში, მაგრამ იმას, რაც 2014 წლის 21 ივნისს მოხდა, ასე ჰქვია), რაიმე გულისტკივილისმაგვარი ან გასაჯარისებული აღშფოთება, განცხადება მაინც იმაზე, რომ აგერ, ჩვენს თვალწინ, დღისით, მზისით, ხელიდან გვეცლება ჩვენი სამწერლო ენის სიწმინდე, იგი ლაგამამოუდებლად ნაგვიანდება, ჟურნალ-გაზეთებიდან თუ რადიო-ტელევიზიიდან უხამსობა, მდაბიურობა, სიმახინჯე და არამშობლიურობა გვესაუბრება.

ამ ვითარებაში მე მართლა მაინტერესებს, როგორ, რა მსოფლმხედველობის საფუძველზე უნდა ამართოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა და შესთავაზოს ქართველ ერს ერთიანი ეროვნულ-სახალხო ღირებულებების ნიშანსვეტი? პასუხი აქ ერთია: ე. წ. 24-ე ყრილობის მესვეურებს ასეთი რამ არც დაუსახავი მიზნად, ისინი მხოლოდ პირადი კვარცხლბეკისთვის გაისარჯნენ...

საანგარიშო პერიოდი, რომელიც მწერალთა ე. წ. 24-ე ყრილობას უნდა განეხილა, მოიცავდა ხუთ წელს. ამ დროის მანძილზე როგორ უნდა დაესაჯათ იმ ზომამდე ქვეყანა, რომ მინისტრებად დაენიშნათ უვიცობაში მოხვიხვინე და ზნეობასთან მწყრალად მყოფი ვერა ქობალია ან ხათუნა კალმახელიძე (მე თუ მკითხავთ, ამ მხრივ არც დღეს გვაქვს სატაშფანდუროდ საქმე). სხვათა შორის, ქალბატონი ხათუნა სხვიტორში გზად გავლისას გადაეყარა აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმს. იქვე მოიკითხა დიდი მგოსნის საფლავი, რათა „პატივი მიეგო“. მას აუხსნეს, რომ ა. წერეთლის წმინდა განსასვენებელი მთაწმინდაზეა.

ეს ისე, ცოტა რომ გავიცინოთ, მაგრამ რა დროს სიცილია, საუბედუროდ ჩვენდა, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი „პოეზიის დედოფალმა“ და „პროზის რაინდმა“ ვერ აქციეს ქართველ მოღვაწეთა თანამოსანგრეობად. იმისთვის, რომ მოღვაწე გახდე, პიროვნება უნდა იყო, ხოლო პიროვნებად ყოფნას პირადობის მოწმობა არ განაპირობებს მხოლოდ, მას საკუთარ სულში უნდა ჰქონდეს ამოწერაქვებული წმიდა ილია მართლის ცნობიერი სვლაგეზი – **„მამული, ენა, სარწმუნოება“.**

წელან ვთქვი და იქნებ ვიღაცას მოეჩვენა, რომ ნამეტან უღრანში ვსახავ მოვლენებს, როდესაც მგონია, რომ საზოგადოებას მოსაგუდად ე. წ. საკანონმდებლო ხუფში მოერეკებიან. განა ამგვარი „რა მოხდა, მერეს“ წესით არ კოწიწდებოდა რაჭის, ზემო იმერეთისა და შიდა ქართლის მამულებში ე. წ. სამხრეთ ოსეთი ან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) „გასხვაქვეყნება“ ასეთი საკანონმდებლო უგუნურებითა და წინგაუხედაობით არ მოხდა?! რატომ ვუხშობთ ყურებს ჟამთაბერის გაფრთხილებას? ან, როდესაც რაღაც მიზეზით საზოგადოება არ ემოწაფება ისტორიას, რატომ დუმს მაშინ მწერლობა?!

ნუ გძინავთ მშვიდად, თქვენს ძილსა და უსაფრთხოებას არ სდარაჯობს ე. წ. ქართული კანონმდებლობა და ნუ ვისულელებთ თავს, სად ხედავთ თქვენ ჩვენს ქვეყანაში ქართველი ერის, გნებავთ, საქართველოს მოსახლეობის უფლებათა დამცველს?!

ამიტომ, სწორედ ასეთი მომგუდავი იარაღი გახდება თავის დროზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მწერალთა ე. წ. 24-ე ყრილობის წინმსწრებად მიღებული დადგენილება, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ მომხდურს, „ჩვენივე“ კანონის შესაბამისად, ანუ „ლეგიტიმურად შეისყიდოს“ ქართველთა მამული (საკონსტიტუციო სასამართლოს მესვეურმა გიორგი პაპუაშვილმა მოაწერა ამ „კანონს“ ხელი, ხოლო რომელიღაც არასამთავრობოთა სახელით ამისთვის იშუამდგომლა ქართველი ერისთვის ვინმე ეკა გიგაურმა).

მიუხედავად იმისა, რომ უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II- გაილაშქრა ამ ძალზე სახიფათო წინგაუხედაობის წინააღმდეგ, მწერალთა შემოქმედებითი კავშირის დონეზე მისმა თავკაცობამ საჭიროდ არ მიიჩნია, საგანგაშო განცხადებებით გვერდში დადგომოდა ჩვენი მამულის უსაფრთხოებას.

სამწუხაროდ, ეს პირველად არ მოსვლია მას: ასევე მოიქცა იგი ე. წ. 24-ე ყრილობის წინარედ და ჩირგვებში თავშეჩურთვის წესით გაერიდა აღშფოთებულ ერსა და ბერს, როდესაც „საიდანაც ჯერ არს“ ხელდასხმულმა საქართველოს პარლამენტმა, ისევ და ისევ წინააღმდეგ უწმინდესისა და უნეტარესის თხოვნა-გაფრთხილებისა, ქართველი ერის ჯინაზე მაინც მიიღო ღვთისმგმობელი, ღირსების შემგინებელი და ბუნებრივს შებრძოლებული ე. წ. „ანტიდისკრიმინაციული კანონი“.

ახლა მე გეკითხებით თქვენ, თუ ქართული მწერლობა არა **„... ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია, ხოლო სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს, არა სხეულის, არამედ სულის საჭურისობას ნიშნავს მონობა და ვინც სხვას ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც...“ (ო. ჭილაძე).** დიახ, თუ ამ ყველაფერს გაექცევი და არ გაირჯები იმ კრებითობის გასაერთმუშტებლად, რომელსაც მწერალთა შემოქმედებითი კავშირი ჰქვია, მაშინ, რაც არ უნდა გიდასტურონ ბატონებმა გურამ გოგიაშვილმა და ბადრი ქუთათელაძემ (23-ე და 24-ე ყრილობათა თავმჯდომარეებმა), ყრილობა წესდების დაცვით ჩატარდაო, დროსთან, დიახ, დიახ, უმცდარ ჟამთაბერთან მაინც ვერ ჩააწყობთ საქმეს, ერი არ გადიარებთ და დარჩებით ასე პამპულა. კი, ბატონო, ნება თქვენია., თუ მარტო იმას დასჯერდებით – ერთმანეთს იქით-აქეთ რაინდი და დედოფალი უძახოთ...

ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით, გულწრფელად და არა ნიშნისმოგებით ვეუბნები ამას ქალბატონ მაყვალას.

საქართველოს მწერალთა ე. წ. 24-ე ყრილობაზე, სხვა მრავალთან ერთად, გამოიკვეთა ერთი, მეტად საჩოთირო საკითხი – რიგმა მწერლებმა ქალბატონ მაყვალასა და ბატონ რეზოს ბრალი ორგანიზებულ კორუფციაში დასდეს.

რაც შეეხება თანხათა არამიზნობრივ ხარჯვას, გასაგები მიზეზების გამო მე ჩახედული არა ვარ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის საფინანსო საქმიანობაში. ამ მხრივ, როგორც გახსოვთ, არც სარევიზიო კომისიას წარმოუდგენია ანგარიში (არადა, უნდა ყოფილიყო-მეთქი), მაგრამ ის, რაც ამის შესახებ ძალიან წესიერი ადამიანებისგან მათზე თითმიშვერით მესმის, თქმა არ უნდა, ხელს არ უწყობს ქალბატონ მ. გონაშვილს საპოეზიისდედოფლო ტახტზე ნებივრობაში. ეს ყველაფერი ვერც „პროზის რაინდად“ თავდადგენილ რევაზ მიშველაძეს აამხედრებს უკვდავებისკენ თავაწყვეტილ რაშზე.

ვიცი, ჩემს უარყოფით დამოკიდებულენას ე. წ. 24-ე ყრილობისადმი ქალბატონი მაყვალა „პირადი განაწყენების გამო“ ჩასაფრებად გაასაჯარისებს, ამიტომ ამ საკითხს, რაკი სიტყვამ მოიტანა, თავადვე განვმარტავ.

საქმე ის გახლავთ, რომ 2008 წელს მე მომენიჭა ნიკო ნიკოლაძის სახელობის ლიტერატურული პრემია.

სიგელი ამის შესახებ მ. გონაშვილმა 2009 წლის 18 მარტს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში გადმომცა, სადაც მიმდინარეობდა აფხაზეთის ა/რ-ის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის შეხვედრა საზოგადოებრიობასთან. მან აღნიშნა: **„...პრემია უნდა გადავცე ბატონ სერგი საჯაიას წიგნისთვის „დემოკრატიული“ გადაგვარებით „ცივილური“ გადაშენებისაკენ“.**

როცა ამ წიგნს ვკითხულობდი, ბატონო სერგი, უნებლიედ გამახსენდა – ტიციან ტაბიძეს აქვს ასეთი სიტყვები: „ერის სული მწერლობაში ლაპარაკობს, სხვას არავის აქვს ერის სახელით ლაპარაკის უფლება, ეს მწერლის საღვთო საქმეა და თუ ვინმეს საქართველოს მოკვლა სურს, ჯერ მწერალს უნდა ესროლოსო“. აი, თქვენი წიგნი სწორედაც რომ არის საღვთო წიგნი და სიმართლის წიგნი...“

მიუხედავად ასეთი მაღალი შეფასებისა, მე ნამდვილად ვიცი ჩემი ადგილის რიგი და საკაცღმერთო კვარცხლბეკისთვის არასდროს გამოვჭენებულვარ, მაგრამ ამ პრემირებულ წიგნს (რომელიც აფხაზეთის მწერალთა კავშირმა და მეცნიერებათა აკადემიამ წარადგინეს) მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე... ნაწილი, რომლებშიც, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში მაღალ თანამდებობაზე ვმუშაობდი, ვამხილე პრეზიდენტ მ. სააკაშვილის, მისი ოჯახისა და გარემოცვის, რაც მთავარია, თავისი პოლიტიკური გუნდის ქართველთსპობითი საქმიანობა. ამავე დროს დავუპირისპირდი აფხაზეთის ა/რ-ის რესპუბლიკის ხელისუფლებაში ელიტური კორუფციის თაოსნებს. ამ უკანასკნელებმა ჩემი წიგნები ჩემს დასაშანტაჟებლად გამოიყენეს (გახსოვთ, მათგან ერთ-ერთს ქალბატონმა მაყვალამ საღვთო წიგნი და სიმართლის წიგნი უწოდა) სხვათა შორის, ჩემს დასაბეზღებელ საჩივარს,

შეტანილს მ. სააკაშვილის დროინდელი ხელისუფლების ერთ სახელგატეხილ სტრუქტურაში, რომელსაც ძალიან კეთილად მჟღერი სახელი – კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი (კუდ-ი) ერქვა, ხელი მოაწერა ორმა მწერალმაც გ. კალანდიამ და ა. გასვიანმა (მათ შესახებ მე საკმაოდ ბევრი ნასაუბრები მაქვს სხვაგან და სხვა დროს, ამიტომ დააკლდეს ჩემს კაცობას, ამაზე აქ სიტყვას აღარ განვაგრძობ).

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, ამ სამსახურიდან, სადაც საზოგადოებისთვის არაერთი წასადგომი საქმე, ვფიქრობ, რომ გავაკეთე, ყველაზე სულმდაბლური ილეთებით გამაძევეს.

ასეთ დროს, ვის, თუ არა მწერალთა შემოქმედებით კავშირს უნდა გავემხნევებინე, მაგრამ მ. სააკაშვილის წინააღმდეგ ასე ღიად მებრძოლისადმი თანადგომა მაშინ (2011 წელს) არ გახლდათ სარფიანი საქმე.

მოხდა ისე, რომ ამას დაერთო ჩემი ავადმყოფობა (სიმსივნური პრობლემები), რაც ძვირადღირებულ მკურნალობას საჭიროებდა. ვინაიდან პრემიალური თანხა აღებული არ მქონდა, სათანადო განცხადებითა და დიდი მობოდიშებით ვითხოვე, ეს ჩემი ფული სამკურნალოდ მოეცათ (2012 წ.). დღემდე ამ განცხადებაზე პასუხი არც გაუციათ კი არა მარტო, თვით განცხადება არ გაუტარებიათ აღრიცხვის წიგნში (მოგეხსენებათ, მარტო ეს – აღურიცხაობა, კვალის წაშლას თუ არა, საეჭვო გულგრილობას ნიშნავს და ესეც სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, დასჯადი ქმედებაა).

საბედნიეროდ, დღემდე ცოცხალი ვარ და ნუ იფიქრებთ, რომ ამ ფულს მივტიროდე, მაგრამ რატომ? ბრიყვიც არა ვარ და საჯაროდ ვაცხადებ, მე აწი, რომც მეხვეწონ, ამ ფულის ამღები არ ვარ. უფალმა მკურნალობის საშუალება მაპოვნინა, ამიტომ, იგი უახლოეს ხანებში მთლიანად უნდა ჩაირიცხოს ჩვენი სასიქადულო ერისკაცის – პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდ „იავნანაში“, რათა ვინმესთვის წასაშველებლად მოიხმარონ.

თავის მხრივ, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის კანცელარიას ვთხოვ, ეს საუბარი ამ გაზეთის ფურცლებიდან ოფიციალურ განცხადებად მიიღოს, სათანადოდ აღრიცხოს და არსებული წესით მაცნობოს, თუ როგორ განკარგა მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა ჩემთვის 2008 წლიდან მონიჭებული პრემია ან რა რეაგირება მოჰყვება ჩემს ამ წინადადებას.

რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას ქალბატონი მაყვალასადმი, ე. წ. 24-ე ყრილობის დაწყებამდე ვნახე იგი. თბილად და კეთილმოსურნედ ჩამოვართვი ხელი და წარმატებაც ვუსურვე, მაგრამ ერთია, თუ რას ვუსურვებთ ჩვენ და რა გზას დაადგება თვითონ. ვიმეორებ, ამ წუთშიც ქრისტესმიერ სულიერ დად მინდა ჩავთვალო და სწორედ ამის გამო მივმართავ: ქალბატონო მაყვალა, აფხაზეთში მცხოვრებ პონტოელ ბერძნებში მომისმენია ერთი ანდაზა „ასესხე ათი მანეთი და გაიგებ, რა კაციცაარ“. ახლა შეეცადეთ, ჩემი მზერა აღიდგინოთ, მას თვალი გაუსწოროთ და ზერელედ კი არა, ძალიან მონდომებით, ღრმად ჩაუფიქრდით იმას, რაც ხმამაღლა არ ვთქვი... ეს ერთი და მეორეც: დამიჯერეთ, ის აგრესია, რითაც იმ ე. წ. 24-ე ყრილობაზე დარბაზი დაგიპირისპირდათ

და გლანძღათ, თქვენივე არც მთლად მოსაწონი საქმიანობის (უფრო ზუსტი სახელი აქვს მას) შედეგი გახლავთ. თქვენ ჯერ კიდევ შეგიძლიათ ქართულ სულიერებას არგოთ. დაანებეთ თავი კაც (ქალ) ღმერთობის კვარცხლბეკისთვის ბრძოლას, რამეთუ წმინდა მთაზე ასვენებული პოეტი, სწორედ საანგარიშო პერიოდში რომ მიებარა ამ სავანეს, ამგვარად ადგენს: **„პატივისცემის ღირსია ყველა, ვისაც სამშობლო შერჩა და უყვარს...“**

სამშობლო დედასავით მიმტევებელია.

ნუ დაუჯერებთ ასეთ ანდაზას: „რაც არ უნდა სუფთა იყოს მეწისქვილე, მას ფქვილი მაინც მოეცხებაო“. არაა ასე: სისუფთავე ის ღირებულებაა, რომელსაც ვერანაირი ფქვილი ვერ ამოგანგლავს.

წუთშესვენება: ამ დღეებში ერთი მხცოვანი მწერალი შემომეხმიანა, – 2004 წელს მიშნაცური ტრიუმვირატის წევრ ქალბატონს დაუბარებია იმ დროს უნარიანად ხელგამოღებული მ. გონაშვილი და ამგვარად გარიგებულანო, – ოღონდ თ. წივწივაძე გააგდეთ და შენ რომ ჩაუდგები სათავეში მწერალთა კავშირს, ჩიტის რძე არ მოგაკლდებათო (მოგეხსენებათ, მანამდე ბატონი თამაზი თანმიმდევრულად ამხელდა მ. სააკაშვილის ასტვენილ საქციელს).

როგორც ჩანს. ქალბატონ მაყვალას დიახაც გააჩნია ქვეშქვეშური (იატაკქვეშურში არ აგერიოთ) მოღვაწეობის გუმანი. შესაბამისად, ეს დაკვეთა გაურჩევია კიდეც მოკაცდმერთე მწერალთა წრეში (რამდენადაც ირკვევა, მასში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან, ანუ აფხაზეთიდან ისეთი „ადამიანთა სულის ინჟინერიც“ მონაწილეობდა, აქამდე თ. წივწივაძეს მხრებზე ამბორით რომ ეყოველდღიურებოდა). ამრიგად, ასე იყო თუ ისე, დაუდგენიათ, <u>რომ ერბოკვერცხს მართლა ვერ გააკეთებ, თუ კვერცხი არ გატეხე...</u> დიახ, ბატონებო, დანარჩენი იცით, ამგვარად აიტახტაო მ. გონაშვილმა...

გავიდა დრო, ის რძის ნაკადული, რომელიც სოლოლაკში, მაჩაბლის ქ. № 13-ში უნდა შემოონკანებულიყო, კი არ დაშრა მარტო, ამ სასახლიდან თვითონ სარძეო ჭიქამომარჯვებული მწერლებიც გამოყარეს, რითაც ქართული მწერლობის აღაღადებულ სიწმინდეთა დასამარების მცდელობა და ხელყოფა ამათი საკაცდმერთო კვარცხლბეკების გაქილიკების გასწვრივ მოხდა...

სხვათა შორის, ზუსტად იმ ხანებში ეროვნულ ღირებულებებზე მოხალისედ მიიერიშებულმა მიშნაცებმა იგივე მოუნდომეს საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა საზოგადოებას, მაგრამ აქ „ჩიტის რძეს“ დახარბებული, ეტყობა, არ აღმოჩნდა იმდენი, გ. ლეონიძის ქუჩაზე მსახიობთა სასახლის კლიტეებს მომხვდურს რომ ჩააბარებდა.

ის, რომ ქალბატონ მაყვალას „საპოეზიისდედოფლო“ ატახტებას არ მოუხდა ამგვარი „ჩუმად, არვინ გაგვიგოს“ მსგავსი საქციელი, ეს თავად მან ითავისტკივილოს, – სხვა რამეა, რომ მაწუხებს: ჯერ ერთი, როგორ უნდა გაკადროს და თუ მაინც გაკადრა, როგორ უნდა გაგიბედოს ვინმემ, თუნდაც ის ხელისუფალი იყოს, – იმ კაცს ხვანჯი დაუგე და შენ მის სავარძელში ნაფაზ-ნაფაზ იგანცხრომეო!.. და მეორეც, <u>ნუთუ ასე ძნელი დასანახი იყო მაშინ, რომ ამით იმ ლოდსატყორცნის ქვად გადგენდნენ, რომელიც ქართული მწერლობის მიწასთან გასასწორებლად მოითადარიგეს?!</u>

... თუმცა, არც მთლად ასე გულუბრყვილოდ უნდა იყოს საქმე. არა მგონია, ქალბატონ მაყვალას ქალურ გამჭრიახობას არ გაესიგრძეგანებინა იმ საცდურის შინაარსი, რომელზეც ასკუპებას ასეთი გარიგების სანაცვლოდ „საპოეზიისდედოფლო“ ტახტთან შელიანდაგებით მოსთხოვდნენ მას.

ეხ, ქალბატონო მაყვალა, <u>ჭკუა ისაა, საცდურთან არ მიგიტყუონ (მით უარესი, მოხალისედ რომ მიხვალ), თორემ, თუ კბილანაში ჩაუნაბიჯდი მას, მისი საკბილო ხარ მერე!..</u>

...და ბოლოს: თავისმართლება იმით, რომ სახელმწიფო არ ეხმარება ქართულ მწერლობას, არის უვიცობა და უპასუხისმგებლობა.

იმისათვის, რომ სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ერის სულიერებას, კულტურისა და, საერთოდ, საქართველოს მარადიულყოფის ფუძემდებლურ ძალისმევებს, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული სახელმწიფო უნდა გვქონდეს, ნამესტნიკური ხელისუფლების ან პედოკრატიის ნაცვლად მას უნდა მართავდეს ეროვნულ-სახალხო მთავრობა, რომელსაც საამისოდ უნდა გააჩნდეს სრულიად საქართველოს ნების შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა.

ეს ასე არაა დღეს და ჩვენ ხელისუფლების სახით საქმე გვაქვს წინგაუხედავ ბიჭუნებთან და გოგუნებთან, რომელთაც, გასაგები მიზეზების გამო სძულთ მომავალი. ასეთ დროს მათთვის „პოეზიის დედოფლისა“ და „პროზის რაინდის“ ოდიოზურ არტელამდე დასული ვითომ მწერლური ფეხაწყობა სავსებით მისაღებია: <u>საკუთარი ოდიოპური მდგომარეობით დაბოღმილები</u> ამ სიმრავლეს თითსაც დაუქნევენ და თავშიც წაუთაქებენ, კიდეც გააპამპულებენ და თუ დასჭირდათ, სტვენა-სტვენითაც გამოუკიდებენ ბრბოდქცეულ „მასებს<u>“. ე. წ. მწერლობა და ფსევდოკულტურა ამ ხალხს ქვეყნის გამოსათაყვანებელ ყეენობად სჭირდებათ.</u>

აქედან გამომდინარე, ისინი, დღესვე რომ წამოაყენო, არც დიდოსტატ კონსტანტინეს, მიხეილ ჯავახიშვილს, გალაკტიონს, ლეო ქიაჩელს და ა. შ. არ დააფინანსებენ. მაგრამ აქ, „პოეზიის დედოფლის“ არტელთან შედარებით, განხვავება დიდია, ზემოთ ხსენებულ ბუმბერაზთა გვერდით ისინი თავად ჩანან ჯუჯად.

აი, როგორი მიზნობრიობით შორდება დიდი ილიას გაკვალულ გზას კაც(ქალ)ღმერთობის მაძიებელთა სიმწყობრედ გადაქცეული კავშირი. სწორედ ესაა აგრესიული გლობალიზმის მიზანი და ნებისმიერი, რომელიც თუნდაც უნებლიედ უმეგზურებს ასეთ დივერსიულ გეგმებს, არ უნდა ატარებდეს ქართველი მწერლის ღვთივკურთხეულ სახელს.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებით კავშირს ისეთი გაულანძღავი თავკაცობა სჭირდება, რომელსაც არავინ და ვერავინ აკადრებს იმას, რაც ე. წ. 24-ე ყრილობის ღრიანცელმა დაამისამართა მისი დღევანდელი „ხელმძღვანელობისკენ“. მხოლოდ მაშინ შეიქმნება იძულებული ხელისუფლება, უფრო სწორად მათი პატრონი ანუ აგრესიული გლობალიზმი, <u>მოუსმინოს და ყური მიუგდოს ქართველი მწერლის ხმას, რადგან მასში იგი საქართველოს მოსახლეობის ნებას ამოიკითხავს</u>. აი, იმ წუთიდან

სახალსო განაწესად ჩაიბარებენ სახელმწიფოს ფაქტობრივი მესაჭვნი მწერალთა შემოქმედებითი კავშირის საფიხვნოში აწონილ-დაწონილ ძეგლისდებებს.

ქართულ მწერლობას, თუ მას გადარჩენა სურს, დასაკარგი დრო არ აქვს, იგი თავყრილობისთვის, ანუ ახალი რუის-ურბნისისა და დიდგორობისთვის უნდა ემზადოს.

მოკლედ, ჯერჯერობით ამით დავამთავროთ, მაგრამ მანამდე კვლავ ოთარ ჭილაძეს მინდა ყური მივუგდოთ: **„მე გაგაღვიძე, რომ დაგენახა და განგეცადა დილის ვარსკვლავი...“**

დაიბეჭდა „საერთო გაზეთში“,
2014 წ. 16-23 ივნისი.

≈*≈

2. ჭაობური „დემოკრატიის“ დიქტატურა ანუ შეტევა ქართულ ცნობიერებაზე

(წერილი მეორე)

„... და იყო ყოველი რიცხვი, რომელთა წბეს ენითა მათითა. სამას ოდენ კაც, და სხუაი იგი ყოველი ერი მოდრკა მუხლთა თვისთა ზედა სუმად წყლისა“.

მსაჯულთა – 7,6.

„მე, შეიძლება, დღეს დამეწერა ის, რაც მაწვალებს გაჩენის დღიდან, მაგრამ ჩემს თვალწინ მოტყდა კენწერო, რომელსაც გუშინ ქარი ვერ ხრიდა“.

ოთარ ჭილაძე

„... ბნელეთის მოციქულთა მრავალრიცხოვანო ლეგიონებო, ისტორიაში მუდამ მცირენი იყვნენ უმაღლესი სიკეთისა და ჭეშმარიტებისათვის თავდადებულნი, მაგრამ მათი სულიერი ძალა და შემართება მარად სძლევდა მრავალრიცხოვნების წყვდიადს!“

ზვიად გამსახურდია

X X X

წინმსწრებითი (აპრიორული) განმარტება: თავიდანვე უნდა განვაცხადო, რომ მ. სააკაშვილი და მისი ხროვული გარემოცვა, ანუ მთლიანად ე. წ. მიშნაცური მოძრაობა გახლავთ არა მხოლოდ ცუდი ან მომხვეჭელი ხელისუფლება (აწ უკვე), არამედ და პირველ რიგში ასეთი გაერთიანება დიდმპყრობლობათა საოკუპაციო ძალების საიმედო დასაყრდენად რომ იქცა „ადგილებზე“. რაც მთავარია, იგი საქართველოს მოსახლეობის, განსაკუთრებით კი ქართველი ერის სახალხო სულისკვეთებას

მსოფლმხედველობრივად დაუპირისპირდა და ამ წუთამდე მასთან ომის მდგომარეობაში იმყოფება.

გასაგებია, ის ყოველ გზაჯვარედინზე აცხადებს, რომ ადამიანის უფლებას იცავს, მაგრამ ე. წ. ადამიანის უფლების დაცვა ჭაობური „დემოკრატიის“ პირობებში არ ნიშნავს პიროვნების ცნობიერებაში დამნაგვიანებელი ზემოქმედების აღკვეთას, არც ერის გონითი განფენის სივრცესთან მოიერიშე გაუკუღმართებებს უსანგრდება უკანდაუხვევლად. როგორც წესი, ისინი ქართულ თვალსაწიერში ეშმაკს მოუძღვებიან. აი, მათი ჭკუით, სად არ უნდა შეუფერხდეთ ძალისხმევა!..

ეს პედოკრატიული სიმრავლე, უნდა ვაღიაროთ, რომ ორგანიზაციულად შეკრულ საოკუპაციო კონტინგენტად იქცა, რომელსაც, როგორც მოგახსენეთ, ფრონტის ხაზი ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ საველე-სასანგრო წესითა აქვს გაყოველდღიურებული.

ასეთ შემთხვევაში, მე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ერთი რიგითი წევრი, როდესაც ამ საერისკაცო (წესით, ასე უნდა იყოს) დაწესებულების ხელმძღვანელთა არაჯეროვან საქმიანობაზე ვსაუბრობ, მხედველობაში მაქვს მის მიერ დაშვებული ზნეობრივი კომპრომისი, რომელიც, ასეთ დროს როგორც ხდება ხოლმე, სავსებით ბუნებრივად გადაიზარდა ამორალიზმში და აქედან გამომდინარე საბედისწერო შედეგებში.

არადა, ქართულმა მწერლობამ ყველგან და ყველაფერში უნდა დაიცვას მისთვის ღვთივდადგენილი მოვალეობა, – თუ საჭიროებამ მოითხოვა, თავიც კი გაწიროს ქართველი ერის მარადიულსაყოფად. მისმა წინგახედულებამ და სიფხიზლემ უნდა უზრუნველყოს ის, რომ ჩვენი ქვეყანა არ დადგინდეს მოსკოვის, ვაშინგტონის, ბრიუსელის, ანკარისა თუ სხვა შორი ან მოსაზღვრე სახელმწიფოთა „კეთილმეზობლობის“ საეთნოდივერსიო პოლიგონად.

სამწუხაროდ, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა, რომელსაც ათ წელზე მეტია ხელმძღვანელობენ მ. გონაშვილი, რ. მიშველაძე და ა. შ. არათუ არ და ვერ დაუპირისპირა ცნობიერი საპირწონე თავსმოხვეულ ეთნოდივერსიათა ინდუსტრიას, მეტიც, ქართული მწერლობის ძალისხმევა ვერ მომართა ერის სახალხო გაერთმუშტებად, არამედ, პირიქით, წესით, ქვეყნის ბედზე და ერის სადარაჯოზე წამგაუცდენლად მოფხიზლე შემოქმედებითი ძალისხმევა, აგრესიული გლობალიზმის მიზნის შესაბამისად, გადააქცია სალონური გაკეკლუცების ადგილად, რისთვისაც კუთვნილი გასამრჯელოც იბოძა.

ამის მიხედვით, იმისთვის, რათა, თუნდაც ზოგადად და სქემატურად წარმოვაჩინო ის ავმოსურნეობა, რასაც ასე „ხავერდოვნად“ გვახვევენ თავს, მკითხველს სახლიკაცური გულითადობით შევუძღვები იმ ჭერქვეშეთში, სადაც ყოველთვის ქვემორე ამონარიდის შესაბამისად სვამენ საკითხს და ამის მიხედვით გავარკვიოთ თუ რა უბედურება დათარეშობს საქართველოში: *„...ან ვაღიაროთ, რომ უზენაესი რეალურად არსებობს, არსებობს მორალის გაგება, სრულყოფილი ეთიკა, რომლის განხორციელებასაც უნდა მიელტვოდეს ადამიანი, რომელსაც სურს აღსრულება თავისი ამსოფლიური მაღალი დანიშნულებისა... ან ვაღიაროთ*

საპირისპირო: მორალი და ეთიკა მხოლოდ ცარიელი, უაზრო ცნებებია, ისეთ ადამიანთა მიერ გამოგონილი, რომელთაც სურთ ამ გზით დამონება და დათრგუნვა დანარჩენი კაცობრიობისა და რომელნიც თავიანთი ქვენა მიზნების განხორციელებისათვის იყენებენ ამ ცნებებს. ერთადერთი მისაღები და ცხოვრებისეულად გამართლებული ფორმაა ადამიანთა ყოფისა ცხოველურ ყოფასთან დაახლოება: ბუნებისმიერი და მატერიალური მოთხოვნილებების, პირუტყვული ინსტინქტების და ვნებების დაკმაყოფილება.

აქედან გამომდინარე, დგას დილემა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. ერთის მხრივ, მოქალაქეობრივი თავგანწირვა, ნიადაგ სინდისის კარნახით მოქმედება, სულიერი იდეალის პირველ პლანზე დაყენება, ხოლო მეორეს მხრივ, ფილისტერული, თვითკმაყოფილი ფსევდოპატრიოტიზმი, სინდისის კარნახის სისტემატური ჩახშობა საკუთარ სულში, თვალის დახუჭვა ყოველგვარ უმსგავსობებზე, რომელსაც სჩადის ესა თუ ის სახელმწიფოებრივი წყობა თუ ცალკეული ადამიანი. ეს გახლავთ ის მწვავე დილემა, რომელიც დგას დღეს ყოველი ჩვენგანის წინაშე...“

(ზვიად გამსახურდია, „დილემა კაცობრიობის წინაშე“, 1977 წ.).

* * *

<u>წუთშესვენება პირველი:</u> 2014 წლის 25 სექტემბერს, წმინდა გიორგი ჭყონდიდელის ხსენების დღეს (26-ში კი წმინდა ქეთევან წამებულის – ქართველთა შეუგინებლობის სახეზოგადობად რომ დაიდგინა ერმა, იმის ხსენების თარიღია), ჭყონდიდში ქართველობას, სწორედ რომ წამებულთა ღირსების პატივმიმგები და ერისკაცის შესაფერისი სიტყვით მიმართა რუის-ურბნისის მიტროპოლიტმა, მეუფე იობმა. მან მკაფიოდ გაასაჯარისა, რომ აშშ, როგორც საოკუპაციო ძალა, გვკარნახობს თუ რა აკეთოს ე. წ. ხელისუფლებამ, ამიტომ ეს უკანასკნელი არ ასრულებს ქართველი ერის ნებას, ანგარიშს არ უწევს სახალხო განაწყენს და ცდილობს, ბეჯითად გაისარჯოს იმისთვის, რასაც ვაშინგტონი მოიწონებს.

რუის-ურბნისის მიტროპოლიტი, მეუფე იობი ღვთისმსახურია და იგი უფრო დაწვრილებით ვერ ისაუბრებდა, მაგრამ მან ძილქუშისკენ მიდრეკილ საზოგადოებას მაინც შეუკიჟინა იმგვარად, როგორც ეს ეკადრება რუის-ურბნისის შინაარსს, დანარჩენს ჩვენ უნდა მივხვდეთ და გავისიგრძეგანოთ: <u>ქვეყანა ოკუპირებულია!...</u>

ცხადია, კაცობრიობა ლასკარულ წესრიგში მხოლოდ იმას ინაკადებს, ვისაც სამშობლო გააჩნია. ასეთი ადამიანი დიდი პიროვნებაა, რომელიც, რა თქმა უნდა, ისე მარტივი არ გახლავთ, როგორიცაა 2 X 2 = 4-ს. რა ვუყოთ მერე. ეს ის შემთხვევაა, როცა მიწიერი სვლაგეზი თავზარდამცემი კლაკნილით, საბოლოოდ მაინც, უფლისწვდომილებისკენ თანმიმდევრდება.

ასეთი პიროვნების სულში მეტი პაპანაქებაა, ვიდრე რიგითთა სულიერ (ემოციურ) მხურვალებაში.

დიახ, სულის წამწუთიერი მხურვალება და სიყვარული „საკირის ცეცხლი“ (ვაჟა), გეთანხმებით, ორივე გულწრფელი გრძნობაა, მაგრამ ისინი მაინც სხვადასხვა შინაარსი გახლავან: სიყვარული პატივსა და ღირსებაში ადიადებს ადამიანს.

სწორედ ამიტომ, აგრესიული გლობალიზმი მის მიერ ნებადართული ინდუსტრიალ-ეთნოდივერსიული პროგრამითა და საქარხნო წესით ანხორციელებს ადამიანში პატივისა და ღირსების ჩაკვლას.

<u>ის საფეხსალაგო ე. წ. მწერლობა, რომელსაც საზოგადოება ხან „მნძრეველთა“, ხან კიდევ „უბორნიის მწერლობას“ ეძახის, როგორც კაცთმხმარებლური, საკუთარ დედას მიმდგომელი (ე. წ. ჩემს დედას შე...ცთა) და სამშობლოს სიწმინდეზე წარმწყვეტი, თავისი სულხრწნადობით ეროვნული ღირსებისა და პატივის მიმართ საზურგე მახვილმომარჯვებული ჩასანგრდა „სადაც ჯერ არს“!...</u>

* * *

როდესაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მკვიდრი და ძირძველი ქართველობა ამ მხარეში, ანუ, როგორც აქ უწოდებენ – თავიანთ შურობუმში მიმდინარე დივერსიულ ეთნოფაბრიკაციებზე ხმას აიმაღლებდა და ამის შესახებ განცხადებით მიმართავდა ე. წ. საქართველოს კპ ცკ-ს, იმავდროულად იგივე განცხადების ასლებს უმისამართებდა და აწვდიდა საქართველოს საზოგადოებრიობას (საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, მის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, დედა უნივერსიტეტსა თუ სხვა უმაღლეს სასწავლებლებს), იმავდროულად, პირველ რიგში, საქართველოს მწერალთა კავშირს, როგორც ერის თვალფხიზელ მეციხოვნეს, უსაჯარისდებოდა სახალხო სატკივარი.

ეს იმიტომ, რომ ქართველ კაცს სწორედ ქართულ მწერლობაში ეგულებოდა ეროვნული უსაფრთხოების ცნობიერი ჯავშანი, რომელიც, მიუხედავად არაერთი საბჭოთა სიავკარგისა, საბოლოო ჯამში, **„ო, ენავ ჩემო“-სკენ ასვლაგეზებდა სრულიად საქართველოს ვინაობას.** დიახ, ქართული მწერლობის უკიდეგანო ეროვნულობისა და სახალხოობის გამო, მწერალი ხალხის თვალში სამაგალითოს ნიშნავდა (ყოველ შემთხვევაში, ეს ასე გახლდათ გაიგივებული ილიას, ვაჟას, კონსტანტინესა და ა.შ. ვინაობაში).

საქართველოს მწერალთა კავშირი იმ ილეთებითა და ხერხებით ექვითკირებოდა სამშობლოს მარადიულყოფას, რისი ამოწალდვაც კრემლიდანური წკვარამიდან და ქარბორიიდან მაშინ შეიძლებოდა (ამ მხრივ არსებული მასალები დღეს ხელმისაწვდომია. თვალსაჩინოებისთვის იხილეთ გაგრელი ქართველების (324 ხელმომწერი) ვრცელი წერილი საქართველოს კპ ცკ-ს (1980 წ. აპრილი; დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს სამრეკლოში“, 1993 წ., 21 აპრილი).

როგორც ხედავთ, ქვეყანას დღეს ეროვნული ხელისუფლება არა ჰყავს. ასეთ დროს ქართული საარჩევნო წესისადმი ზურგმიქცეული ბიუროკრატია ავმოსურნედ დადარაჯებული ძალების კარნახით ცდილობს

ქვეყნის მართვას, რითაც,ნებით თუ უნებლიედ, საოკუპაციო რეჟიმის მოვალეობას იპიროვნებს.

მე ვეკითხები საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მესვეურთა ერთ („მოდედოფლო“ და „მორაინდო“) ნაწილს, **სად უნდა გრიგალობდეს ქართველი მწერალი დღეს და თუ ის გრიგალობს, როგორ უნდა ბედავდეს ხელისუფლება საქართველოს სახელმწიფო ენის უპატიო მიკუჭნავებას?!. რას ნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 1-2 სექტემბერს თბილისში ჩატარებულ „მსოფლიო ლიდერების ფორუმზე“ გამოსულმა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმაც, პრემიერ-მინისტრმაც და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემაც ინგლისურად მიმართეს ფორუმის მონაწილეებს?!. რად იუკადრისეს ქართული ენის საერთაშორისო ურთიერთობაში დამკვიდრება ქვეყნის კონსტიტუციის შესაბამისად?!.**

ამ მხრივ სამარცხვინოდ გამოჭენების ნიმუშები გახლდათ საქართველოს პარლამენტის ადამიანთა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ეკა ბესელიას ამასწინანდელი (2014 წ. 2. 10.) „ინგლისურენოვანი“ გამოსვლა ევროსაბჭოს ტრიბუნიდან.

ასეთი უცხოთუმეობა და უდირსებო ხმაბაძვა ვანო მაჩაბლის, ნიკო ყიასაშვილისა და ა. შ. დონის ინგლისურმცოდნეობის ქართულ სასახელო სკოლას უვიცობად კი არა მარტო, ყოფაქცევის გაგარეუბნებად (პროვინციალიზმად) შემოეჯავშნა.

სხვა რამესაც ვიკითხავ: ასეთ წამ-წუთებში, სად არიან და ვის უფლებას იცავენ ე. წ. არასამთავრობები?!.

არადა, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის ხმაჩაკმენდის გამო საზოგადოებრივ აზრს სწორედ ესენი ქმნიან, ქმნიან მანკიერად, მაგრამ მიზანმიმართულად. სხვათაშორის, თვალში საცემია, რომ თვითმარქვია ე. წ. ადამიანთა უფლებადამცველთა რიგებში არიან ყველაზე არაეროვნული, ქართველთმოძულე ხელგამოღებულები და არაზარმაცები...

დასანანია, რომ დედა ეკლესიის სიფხიზლის გასწვრივ „სამეფო თომარ-ჯიღაში“ აღკაზმული ვაი მწერლობა (იგივე „პროზის თვითმარქვია რაინდისა“ და „პოეზიის დედოფლის“ მესვეურობით), ე. წ. უბორნიის მწერლობაზე წინგასწრებულადაც კი, ძილქუშისკენ მიუძღვება ქართულ წყობილსიტყვაობას!..

სწორედ ესაა ის სასათბურო გარემო, სადაც თავაუტკივებლად კოწიწდება „სახელმწიფო“, რომლის ახალგაზრდობის „გემოვნება“ უკუღმართობაში ილესება, თანაც მისთვის სამშობლო ძალზე ბუნდოვანი ცნებაა.

მახსოვს, 1995 წელს, თბილისში, ჩვენს სატახტოში, ყველგან გამოკრული იყო გაეროს „გამხნევებები“, რომ სამშობლოდან ლტოლვილობა უბედურება არაა, აინშტაინიც ლტოლვილი იყოო... შეფარვით გვირჩევდნენ, თავს ნუ იხოცავთ თქვენი სამშობლოსთვის, ახალი ნავსაყუდარი ეძებეთო!

აგრესიულ გლობალიზმს ამგვარი სულისკვეთების თაობა სჭირდება და ისიც მიზნობრივად გამოინკუბატორდა.

როგორც ვხედავთ,მათ მხოლოდ ხრწნადობის მორევში აულაგმაობის უფლება სჭირდებათ. დიახ, ეს არ შეულახოთ და ნაპირზე თუ გინდათ, დედა, და, ცოლი და შვილი ერთად გაუუპატიურეთ... სამშობლო ნაჭერ-ნაჭერ აუქენით და ღმერთი დაუგმეთ, ეს მათთვის „იავნანურია“...

აი, რას ვერ შეუქმნა სულიერი საპირწონე კინკლავში, აღებ-მიცემობაში, კაცდმერთული კვარცხლბეკებისა და კიდევ რაღაც-რაღაცებისთვის მოხალისედ ხელგამოღებულმა ვითომ მწერლობამ!..

* * *

საგანგაშო მოცემულობათა ფარდისმიღმიერი მიზანი მკაფიოა: ე. წ. ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოყვანით აგრესიულმა გლობალიზმმა (მსოფლიოს მაფიურ-კრიმინალურმა შეთქმულებამ) ეთნოდივერსიული ფაბრიკაციები კვლავაც აქცია ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ ინდუსტრიად (აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რუსიზმის ველიკოდერჟავნიკული ტორებისგან განხვავებით, <u>ტექნოკრატიული დასავლეთის ძირგამომთხრელობა საგანგებოდ შეუიარაღებელი მზერისთვის უხილავი გახდა).</u>

ასეთი პოლიტიკური სახურავის ქვეშ სტახანოვური წესით ინკუბირებული ვითომ უმცირესობები, რომლებიც ამ ჯერზე ძირითადად ქართული ეთნონედლეულისგან შეიქმნენ, უტიფრობაში მონებივრე საოკუპაციო კონტინგენტის ათავხედებად დაგვიდგინდნენ.

ცხადია, მ. სააკაშვილი – დიდმპყრობლური ზესახელმწიფოებისგან მართული მაფიურ-კრიმინალური ძალების მითითებათა ბეჯითი შემსრულებელი, დღეს სახალხო დაკვეთის შესაბამისად, სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული და ძებნილი გახლავთ. ამიტომ, მის ასტვენილობაზე ახლა ჩემზე ხმამაღლა სოხუმიდან დევნილი ის ორი მწერალიც **გ. კალანდია და ა. გასვიანი.** გაჰყვირის, რომლებმაც 2011 წელს, გაიპიროვნეს რა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში იმხანად გახმაურებული ელიტური კორუფციის ლეღვისფოთლობა და, ამდენად, მოხალისედ მოითავისეს საქვეყნოდ გამოჭენებულ ხელმრუდობათა მიჩქმალვის ვალდებულება, სხვებთან ერთად <u>შესაბამის სამსახურებში დამბეზღეს – ს. საჯაია თავისი წიგნების ფურცლებზე ქართველთმოძულეობაში, ეს კიდევ რაა, ქვეყნის განადგურებაში სდებს ბრალს მ. სააკაშვილს, ცილს სწამებს ამ დავით აღმაშენებლის ტოლ მოღვაწეს და ლაგამი ამოსდეთ კი არა მარტო, დედა-წულიანად გაამისამართეთ ანათემისკენო</u> (სხვათა შორის, ეს ასეც მოხდა!).

სანამ საუბარს განვაგრძობდე, უნდა განვაცხადო, რომ ყველა „აღშფოთება“, თუნდაც ის ე. წ. დემოკრატიული დასავლეთის მაღალი პოლიტიკური აბრის ქვეშიდან საჯარისდებოდეს და რომელიც უკავშირდება ქართველი ერის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში ხელგამოღებული მ. სააკაშვილისადმი სახელმწიფო ბრალის წაყენებას, სინამდვილეში გახლავთ დასავლეთიდან იმ თანამდებობის პირთა დაფაცურება, რომლებიც საქართველოსთვის ვაიპრეზიდენტსა და

ვირეშმაკად შემოტმასნილს თანამზრახველობდნენ ჩადენილ ბოროტმოქმედებებში. უფრო მეტიც, ეს მათი წყალობითაც გადაიფარდა დასავლეთის საზოგადოებრიობისათვის მ. სააკაშვილის მიერ საქართველოში ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილი ბოროტმოქმედებები.

როგორც ირკვევა, იმხანად აშშ-ს რიგი მაღალი თანამდებობის პირისა თუ სენატორის ხელშეწყობით 2008 წლის 7 აგვისტოს და მომდევნო დღეებში მოხდა რუსეთისთვის ქართული მიწების გადაბარება, რასაც წინ უძღოდა კოდორის ხეობასა თუ ცხინვალ-ახალგორის მხარეებში წინმსწრებად სათანადო სავერაგო შემზადებები.

დიახ, მ. სააკაშვილი ყოველივე ამას აკეთებდა ქართველი ერის ნებათა გაქელვითა და ჭაობური „დემოკრატიის“ დასავლეთელი მამების მხარდაჭერით, წაქეზებით, თანამოსანგრეობითა თუ წილების გადანაწილებით. აი, ამიტომაა, რომ ამ წრეებში თავგამოდებით იცავენ მას, რადგან მისი მხილების გორგალი მათ ადგილსამყოფელამდეც მიგორდება.

ისევე, როგორც რუსიზმს, დღეს მას ჩანაცვლებულ ოკეანისგაღმელ დიდმპყრობლებსაც სურთ, ერქვათ არა ოკუპანტი, არამედ, „ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორი“ (ასეთია საქართველოსთვის თავს მოხვეული ე. წ. თანამედროვე მსოფლიო წესრიგით დაზუსტებული ქცევის წესები). სწორედ აშშ-ს ელჩმა 2014 წლის 30 ივლისს გაახმოვანა საკუთარი ზესახელმწიფოს მრისხანე თითისქნევა ქართული სახელმწიფოს სახელით მთავარი პროკურატურის მიერ მ. სააკაშვილისადმი ბრალდების წაყენების გამო. რა თქმა უნდა, ისინი იმიტომ ბედავენ ამდენს, რომ უკვე გამოიინკუბატორეს და მოითადარიგეს ჩვენსავე ქვეყანაში თაობა, რომელიც საკუთარი სამშობლოს მოსაგუდად ყველანაირ სიმდაბლეს ჩაიდენს (ამასწინათ გავიგე, რომ, თურმე, რ. ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“, როგორც „მიუღებელი სულისკვეთების გამდვივებელი“, სასკოლო პროგრამიდან ამოუღიათ და ის ამჟამად არ ისწავლება, ანუ დაწყებითი კლასის ბავშვს არ ეიავნანება ასეთი სტრიქონები:*„..სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა, ორივ ტკბილია, ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა, როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.).*

ამისდა მიხედვით, დიდი მიხვედრა არ უნდა იმას, რომ გლობალისტურ აგრესიას საქართველოს ხელისუფლებად, თუნდაც ის მხოლოდ ნამესტნიკი იყოს, არ სჭირდება ეროვნულ-სახალხო მსოფლმხედველობის, სულისკვეთებისა და ძალისხმევის ან წინამძღოლური უნარის მქონე, ღირსებაში მოაზროვნე ადამიანი., იგი საამისოდ არჩევს მხოლოდ ე. წ. მენეჯერული თვისებების მოპატაკეს, ანუ ძირითადად ქედდაღუნულად მოაზროვნე, ნებისმიერი თითისქნევის აღმასრულებელ კაცუნას. მერე რა, რომ კაცუნაა?!. ამას არა უშავს, ოღონდ, რაც შეიძლება ხელიდან წასული, უტიფარი და ორპირი იყოს!..

ასეთების მოძიება მათ მიზნობრივად გამოინკუბატორებულ აგრესიულ უმცირესობაში, უფრო სწორად, მიშნაცურ მოძრაობაში ან კიდევ მას ამგზავრებულ არანაკლებ სულგაყიდულებში ეხელეწიფებათ.

სწორედ ამიტომაა, რომ იმ დასავლეთიდან, რომელიც შექსპირის, ბალზაკის, გოეთესა და ა. შ. გონითი განფენის სივრცეა, ამ სიდიადეებს კი არ მოუძღვებიან, ამგვარი სულიერებით კი არ გვაუხვებენ, მათი

ნაქადაგები ადამიანთმოყვარეობით, ზნეობით, წესრიგით, კეთილმოსურნეობით, გამტანობით კი არ გვაიარაღებენ (მეტი საქმე არა აქვთ), ხელგამოღებულ გლობალისტთა თარეში ჩვენსკენ ამისამართებს აღვირახსნილობას, სისხლაღრევას, სულმდაბლობას, ქუჩისფსკერულობას, მეორადობით ტკბობას, ყველანაირ გარეწრობას და გვაიძულებენ, „მოხალისედ“ გავიყოველდღიუროთ იგი.

კულტურა მხოლოდ ერის წიაღში, მის თავანკარა ვინაობაში იქმნება, იხვეწება და წყალუხვდება. მისი ხელოვნურად ახარაჩოება, ძალით თავსმოხვევა, მით უფრო, ქუჩისფსკერული ცნობიერებისა თუ „გემოვნების“ შემოჩეჩება მარტო გაუკუღმართებულ და სახიჩარ რაობაში სახიერდება: *„სიმპტომატურია, რომ ამ ტენდენციებმა უმთავრესად სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურებს დაასვეს დაღი, თუმცა ლიტერატურა, მეცნიერება და თვით რელიგიაც არ დარჩენილა მათი გამხრწნელი ზეგავლენის კიდეგან. ლიტერატურაში ვულგარული ნატურალიზმი, უხეში სოციოლოგიზმი, ფსიქოანალიზურ ჭუჭყში ქექვა, ფროიდიზმი, რასიზმი, სიონიზმისა და ყოველგვარი პათოლოგიის აპოლოგია, ფსევდომოდერნიზმის, „ანტილიტერატურის“ აღმოცენება, აი, საგანგაშო მეტასტაზები ამ სენისა. ფილოსოფიასა და მეცნიერებაში ვულგარული მატერიალიზმი და მარქსიზმი, მატერიალური დარვინიზმი, ე. წ. რასისტული ეთნოგრაფია, ტექნოლოგიური პროგრესის იდეალიზაცია, კიბერნეტიზმის ცალმხრივი, არასპირიტუალური განვითარება, გენური ინჟინერია, ნუკლეარული ფიზიკის უკონტროლო განვითარება და სხვანი – აი, სავალალო შედეგი ამ სენისა.*

ყოველივე ეს პიროვნებაში ქვეცნობიერ პროტესტსა და ამბოხს ბადებს. მიუხედავად ამ პიროვნების განვითარების დონისა, ასაკისა, ინტელექტუალურ-მორალური მონაცემებისა, როგორც ზემოთ ვამბობდით, კაცობრიობის მასამ ან ვერ აღიქვა, ან – ცნობიერად აქცია ზურგი ზემოხსენებულ მწავავე დილემას, მაგრამ განა იგი ამით გათავისუფლდა ამ დილემისგან? სწორედ ამის შედეგად იქცა მისთვის ეს დილემა დამღუპველ ძალად, მისი პიროვნების გადამგვარებელ ფაქტორად, სწორედ ამან გააბატონა მის ცხოვრებაში სრული ქაოსი და ანარქია და აი, ღირსშესანიშნავმა შედეგმაც არ დააგვიანა. განა შემთხვევითია, რომ სწორედ მე-20 საუკუნეში აღმოცენდა ჰიპებისა და ბიტნიკების მოძრაობა, არნახულად გავრცელდა ნარკომანია ათასგვარი სახით (დასავლეთის ქვეყნებსა და აზიაში), ალკოჰოლიზმი (საბჭოთა კავშირში), გამრავლდა თვითმკვლელობა, არნახულად გაიზარდა დამნაშავეობა, ტერორიზმი (ესპანეთი, აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, ორივე ამერიკა), დივერსიებისა და ხანძრებისკენ მიდრეკილება (საბჭოთა კავშირი), არნახული პათოლოგიური გარყვნილება (დასავლეთი ევროპა) და სხვა“.

(ზვიად გამსახურდია, „დილემა კაცობრიობის წინაშე“, 1977 წ.).

ამგვარი ძალადობა და სულიერი ხრწნადობა თაობას არ უპიროვნებს ერის მომავალზე ზრუნვის მოვალეობას. ცხადია, რომ აქ მიზნობრივადაა წახალისებული ისეთი ძალისხმევა, რის გამოც ქვეყანაში არ უნდა არსებობდეს ერთიან, ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მიზანმიმართულებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი, სამოქალაქო და სახალხო განცდა. ეს „მავნე გადმონაშთად“ მიიჩნევა, ითვლება „დემოკრატიისა და განსხვავებული აზრის დათრგუნვად“ (სინამდვილეში ამ „განსხვავებულ“ აზრს თუ არ ესაფუძვლება საუკუნეების მანძილზე ერის ვინაობისგან ამოყლორტებული შინაარსში, იგი „სიკეთისა“ და „კეთილმოსურნეობის“

ნიღაბქვეშ ადამიანთა, გნებავთ, ქვეყანათა დამანგრეველი წამზომჩართული ნაღმია).

არ ვიცი, რამდენად დამეთანხმებით, მაგრამ იმ ე. წ. დემოკრატიის რაობას, რომელსაც ჩვენსკენ მოალაგამებენ, არაფერი აქვს საერთო სრულიად საქართველოს ნებასთან, ანუ მას არ ესაძირკვლება წმინდა წერილის სწავლება. იგი დაშენებულია ათეიზმზე და დარვინიზმის ყველაზე გაუკუღმართებული გამოვლენა გახლავთ. უფრო მეტიც, ესაა მალთუსის თეორია ყოფაში.

ასეთ ვითარებაში თავდასაძვრენ ღიობთა მაძიებლებს, ანუ აგრესიული გლობალიზმის უცხოელ თუ შინაურ ხელისბიჭებს მათთვის შემაშფოთებელი სიცხადის წინაშე, როცა მიშნაცური მოძრაობა სისხლის სამართლის დამნაშავედ დგინდება, სჭირდებათ სამაშველო და თავდასახსნელი ილეთების მოძიება, რისთვისაც ისინი თავზეხელაღებულების წესით ქსელავენ და ააურზაურებენ (აპიარებენ) „კეთილმოსურნეობაში“ შეფუთულ და „თავისუფლებად“, გნებავთ, „პროგრესად“ შემოსაღებულ წამლეკაობას. დიახ, **ამ დროს ხავსსჩაჭიდებულ ხრწნადი სიმრავლისთვის ხსნა ქვეყნისადმი მორიგ მიმდგომლობაში, ანუ ქართველი ერისათვის კვლავაც ზურგში მახვილის ჩაცემაში გახლავთ** (ამ მხრივ ნიშანდობლივ პროვოკაციებად გავასახეზოგადოოთ მათ მიერ 2014 წლის ივნის-ივლისში განხორციელებული სულგაყიდულობანი):

* * *

ქვეგამხედვარეთა ქვებუნაგობა – I: როგორც მოგეხსენებათ, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს ე. წ. გასაბჭოებას (ოკუპაციას) შედეგად ის მოჰყვა, რომ ისტორიულად ქართული მიწები კიდევ ერთხელ მომხდურს მიებოძა, რომლებზედაც დამპყრობი დივერსიული ეთნოფაბრიკაციების, ეთნოწმენდის, ასიმილაციისა თუ სხვა საგანგებო ძალადობათა შედეგად მისთვის მისაღები ეთნოხედის შექმნას და დედოსაქართველოდან ამ ქართულ მხარეთა ტერიტორიულ, ის კი არადა, მისგან სულიერ მოწყვეტასაც ცდილობდა. ასეთი გახლდათ გარემოება, როდესაც იმხანად არაკეთილმოსურნედ ჩასაფრებული, მაგრამ „მოძმედ“ გასაჯარისებული მეზობლების საზღვრებში მოექცა ქართველი კაცის სისხლითა და ოფლით ნაღღენთი ჩვენი მამულის კიდევ ერთი დიდი ნაწილი – ჰერეთი (ე. წ. საინგილო).

აი, ასეთნაირად ზურგში მახვილჩაცემულებმა და მიწებშემოკრეჭილებმა შევაბიჯეთ საბჭოთა კავშირში, რომელიც 70 წლის შემდეგ კი დაიშალა, მაგრამ თავსდამტყდარი ბედუკუღმართობისა და მისი საბედისწერო შედეგების გამოსწორება, ე. ი. ეროვნული სამართლიანობის აღდგენა ამ „მოძმეთაგან“ არავის უცდია. პირიქით!.. **არადა, წესია, თუ ყური სიცრუის სიმართლედ გახმოვანებას მიეჩვია, არ მოგეხამუშა მისი გამეორება, არ შეგძრავს და არ გაგაქრისტემხედრებს, შემდეგ თანდათან დაიჯერებ, რომ ეს შემოჩეჩება სიმართლეა! სწორედ ასე მოუვიდა ჩვენს ხელისუფლებას.**

... გაწყდა კი ისევ იქ, სადაც მოსალოდნელი იყო: 2014 წ. 31.07.

საქმე ის გახლავთ, რომ ფეხბურთში ევროტურნირებზე საქართველოდან საჩხერის „ჩიხურა“ მესამე საკვალიფიკაციო მატჩებში დაუპირისპირდა ბაქოს „ნეფთჩის“.

აი, აქ, როგორც ჩანს, მიშნაცურმა ქვეშქვეშობამ ითამაშა ქართველთა მამულიშვილურ, თავისთავად კეთილშობილურ გრძნობაზე (რომელიც სულაც ფეხებზე ჰკიდიათ ამ უჯიშოებს) და შორსგამიზნულად მიეტმასნენ გულშემატკივართა ერთ ნაწილს, რომელთაც სტადიონზე გადმოფინეს დაფა საქართველოს რუკის გამოსახულებით ის, თავის დროზე, დიდი ივ. ჯავახიშვილის მიერაა შედგენილი ისტორიულ საბუთებზე დაყრდნობით. როგორც მოგეხსენებათ (ყოველ შემთხვევაში, უნდა მოგეხსენებოდეთ), ამ რუკის მიხედვით, ისტორიულად ქართული ჰერეთი (და არა მხოლოდ კახისა და ზაქათალის რაიონები) საქართველოს შემადგენლობაშია მოქცეული, ისე, როგორც სისწორე მოითხოვს ამას (ვიმეორებ, ეს სისწორე ნაცმოძრაობიდან ხელგამოღებულებს სულაც არ ანაღვლებთ, იმ დღეს მხოლოდ აურზაური სჭირდებოდათ თავიანთი ბოროტმოქმედებების გადასაფარად. სხვათა შორის, მათ ასეთი აყალ-მაყალი, მ. სააკაშვილის მსგავსად ასტვენილი კობა ხაბაზის მესვეურობით სცადეს 2014 წლის 25 აგვისტოს სპორტის სასახლეშიც, როდესაც კალათბურთში საქართველოსა და უნგრეთის შეხვედრის მსვლელობისას გამოფინეს უხამსი ლოზუნგი რუსეთზე. რუსიზმი რაცაა, გასაგებია, მაგრამ ეს არ იქცა კრემლის წინააღმდეგ ქრისტემხედრის ბრძოლად, იგი ყიჭინა კაცის გაწევ-დამაკავე იყო, არაფრის მომტანი და ფინიას აყეფების მაგვარი).

დიახ, ასეთი ისტორიული სისწორის გასაჯარისების მცდელობის უკან, რისთვისაც თავი არ დაუზოგავთ დღეს იშვიათობად მოაქა-იქე ჭაბუკებს, სამწუხაროდ-მეთქი, მიშნაცურ ყოვლისმკადრებლობას ჩვეულებრივ, თავისთვის სამოგებო მოუნდა, ანუ მორიგი პოლიტიკური პროვოკაცია სცადა (არავითარ შენმთხვევაში, – ეროვნულ სადარაჯოზე დგომისა და სამართლიანობის აღდგენის სურვილს არ შეუწუხებია იგი).

შედეგად ის მივიღეთ, რომ „მოძმე“ ბაქოს შესაბამისმა სამსახურებმა, ამ სიტყვის სრული მნიშნველობით და ყველანაირ დიპლომატიურ დაშვებულობაზე გადათარეშებით, პირდაპირ „ჰკა მაგას“ წესით დაარბიეს იქ დამსწრე ქართველი გულშემატკივრები და ჟურნალისტები.

ამ შემთხვევაში საგანგაშო ისაა, რომ ჩვენის მხრიდან იმათ, ვისაც ეს ევალებოდათ, მომხდართან დაკავშირებით ყველაზე წამგებლური, წინგაუხედავი, ჟამთაბერთან და ეროვნულ-სახალხო ნებასთან ჩამჭრელი, რაც მთავარია, სისწორესთან მწყრალად მყოფი, უფრო მეტიც, კაპიტულანტური პოზიცია დაიკავეს და საკითხის დანაშაულებრივი არცოდნით გამოეპასუხნენ შემოგდებულ ფათერაკს. რადგან უკეთესი გამოსავალი ვერ მოიფიქრეს, ხელჯოხებით ანავარდებული „მოძმე“ ბაქოს საამებლად, თვით ქართველი ერის მოურჩენელ ჭრილობას მიაყენეს შეურაცხყოფა. ეს კიდევ რაა, „ჩვენი“ არასამთავრობების (მტრის აგენტურისა) და საერთაშორისო სპორტში მოკალათებული გლობალისტთა ლობისტების მიერ ეს ყველაფერი ქართველთა „დიდმპყრობლობად“ და „ფაშიზმად“ დადგინდა, თან, ამის შესაბამისად, 7

აგვისტოს თბილისურ მატჩზე ქართული მხარე დაავალდებულეს, სტადიონზე გამოეკიდათ ბოდიშისა და მონანიების ამსახველი ლოზუნგები.

წუთჩაფიქრება: ვაი, ჩვენს თავს, მართლაც... ამასობაში **გასხვისებული ჰერეთი, ვერ აქრისტესმხედრებული რაობების შემყურე, ისევ ამაოდ ელის დედობრივ ზრუნვას და გოგლასეულ გამოსარჩლებას:**

„კესანე, შენი კვნესა მე, სევდა შეგატყვე კილოში, – პატარა, მორცხვო ყვავილო,. გაზრდილო საინგილოში, რომ ერთად არ ვართ, კესანე, იმისთვის შემომკვნესარებ...

პატარა, მომცვრო ყვავილო, ცრემლებით ამოყვავილო, მოდი და ერთად ვიმღეროთ ის ჩვენი ტკბილი „ალილო“.

მკერდს მომეყრდენი, კესანე, შენთვის სიყვარულს ვკვესავ მე... მაფრქვიე შენი სურნელი, ვარ მარად შენი მსურველი, შენი ამბორის მწყურნები...

ნუ გეშინიან სიობლის, მე არ დაგტოვებ, კესანე... კიდევაც გნახავ მრავალჯერ, მეორედაც დე მესამედ... კესანეკ, შენი კვნესა მე, შენთვის სიყვარულს ვკვესავ მე“...

მკითხველო, დამეთანხმებით, რომ ეს ლექსი, რომელიც დიდი ერისკაცისა და სასიქადულო პოეტის, გიორგი ლეონიძის დაჭრილი გულიდანაა გამოწურული, სრულიად საქართველოში ვინაობაშერჩენილთა გოდებად გაისმის დღემდე, ოღონდ, ამის გაგონებაში ნამესტნიკებს გლობალისტური, ანუ <u>უვინაო მსოფლიო მოქალაქეობის ყურდახშობა უშლით ხელს.</u>

ამ წყობილსიტყვაობაზე იავნანისდარი მუსიკა დაწერა დიდმა მამულიშვილმა, იმ დროს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა და მრავალი სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, უდახვეწილესი გემოვნების მქონე ქართველმა კომპოზიტორმა, არაერთი ბრწყინვალე ქართული ოპერისა („ხოგაის მინდია“, „მთვარის მოტაცება“...) და ორატორიების ავტორმა, წლების მანძილზე საქართველოს კულტურის მინისტრმა ოთარ თაქთაქიშვილმა და მას საქართველოს საუკეთესო მომღერლები ასრულებდნენ (მათ შორის, სახალხო არტისტი ბათუ კრავეიშვილი) საზოგადოების ნაკლებ მოქრისტემხედრე ნაწილისთვის თავსმოხვეული ძილქუშიდან გამოსაღწევად. სხვათა შორის, ეს ორატორია რუსულადაც სრულდებოდა საბჭოთა კავშირში, ანუ ხმამაღლა ითქვა, რომ <u>კახიც, ზაქათალაც... ქართული მიწაა!..</u> ასე იქცეოდნენ ერისკაცები.

აი, რა არ იცოდნენ ან იცოდნენ და მაინც გადადქერეს ქართველთა ჭრილობა იმათ, ვინც ბაქოში მომხდარზე „ქართული მხარის“ პასუხი, უფრო ზუსტად კი, **ლაჩარი და სულით საჭურისი, წინგაუხედავი და უნიათო, ვერმომარჯვე, ქვეშგამოსვლა მოამზადა!..**

სამწუხაროდ, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი ამჯერადაც სდუმდა!..

თუმცა, ქართველი მწერალი, სამშობლოს უდალატო მექონგურე და მისთვის კატორღა გამოვლილი, იმ წუთებში ზეციური საქართველოდან, როცა ქედმხრილი სული უღირსებოდ დალაქუცობდა, ჩვენ, მიწაზე მომწერავე კალმოსნებს ასე გვახსენებდა ნამდვილი მწერლის სათქმელს: ***„მოდის ნახირი თავდახრილი და თვალდათხრილ;ი, მოდის ნახირი განწირული ხროვა რქოსნების, მუნჯი, მონურად მონუსხული, შავი ნახირი... არც ლამაზ ნატვრის ნატამალი, აღარც ოცნების“... (შალვა მჭედლიშვილი).***

* * *

საერთოდ, საკუთარი <u>მარადიულყოფის მსურველ ერს სამარადიულმყოფო მიზნისთვის უნდა გააჩნდეს როგორც ამ წუთში მიღწევადი ღონისძიებათა ნუსხა, ასევე სამერმისოდ, თუნდაც საუკუნეების შემდეგ ასასრულებელი ოცნებები...</u>

ამას საკუთარი ვინაობის საფუძვლიანი ცოდნა და გაუბურუსებელი მეხსიერება სჭირდება, კიდევ მოუსყიდველი კაცობაა საჭირო!..

რა თქმა უნდა, მიშნაცური პროვოკაციის მიზანი იყო, თავგახურებულთა „ქს-ჰარიქას“ ხასიათი მიეღო ქართველი ჭაბუკების ეროვნულ სატკივარს, იარას, რომელიც საზოგადოებისთვის თვითგასაფხიზლებლად უნდა გაკიდეგანებულიყო. უფრო მეტიც, <u>თაობის მოვალეობაა, ზნეობით დაშვებული ყველანაირი საშუალება გამოიყენოს, რათა ქართული მიწების უბოდიშოდ გასხვისების შესახებ ამ საკითხებში უპირატესად გაუთვითცნობიერებულ მსოფლიოს სისწორე გააგებინოს ჩვენს ბედკრულ მდგომარეობაზე.</u> ნურავინ დაგვრახავს იმასაც, თუ ეს აუტანელი ტკივილი აგვაღრიალებს, რადგან დედოსაქართველოდან მიტაცებული მამული დღეს უმოწყალოდ იქუსლება ჩვენი „მეგობარი და მოძმე“ მეზობლების (რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და არმენეთის) მიერ. ეს ძალადობა სწორედ დემოკრატიის სახელით დაგრიგალობს ქართული გონითი განფენის სივრცეში კარგად შეფუთული და „კეთილმოსურნედ“ აფრიალებული ძეგლისდების ქვეშ.

დიახ-მეთქი, ქვეყანამ, თუ მას უნდა თავი დააღწიოს გადაშენებას, უნდა შესძლოს, რომ ჟღარუნისა და ჰარიქას გარეშე, მაგრამ ამ საკითხში უკან დაუხევლად, მიზანმიმართულად და ჭკვიანურად აუხილოს თვალი ნებისმიერს, რომელსაც განგებ აქვს იგი დახუჭული, რომ **სანამ ამ ქართულ მიწებზე უცხო ჩექმა დაბრაგუნობს, იგი <u>„მეგობარი და მეზობელი“ კი არა, დამპყრობია!..</u>**

აქ მთავარი, აი, რაა: ვიმეორებ, სატკივარზე და, საერთოდ, პრობლემაზე უნდა ილაპარაკო იმის მიუხედავად, მოგვარდება თუ არა იგი ხვალ. **დროთა განმავლობაში საწვეთურთან წვიმის წვეთების ჯერმონაცვლეობა ქვასაც ხვრიტავსო, ამბობს ხალხი და ეს სიბრძნე, როგორც დროსა და სივრცეში ნაცადი, – <u>საგაკვეთილოა!</u>**

ბუნებრივია, ნებისმიერი მამულიშვილური გულანთება უნდა დაეფუძნოს საკუთარი ქვეყნის ისტორიის ღრმად ცოდნას, რათა კარგად გაისიგრძეგანოს საზოგადოებამ სამერმისო გზების ავკარგიანობა. ამჯერად პირიქით მოხდა, ვიმეორებ, იმან, ვისაც ჩვენი მხრიდან მოეთხოვებოდა, გამოეძებნა სათანადო ხერხები, რათა დაძაბულობა დაეცხრო და ისტორიული სისწორეც არ დაემახინჯებინა, ყველაზე საძრახისი „გამოსავალი“ არჩია, – <u>ეს წმინდა მიწა, ჩვენი წინაპრების საძვალე, აღიარა „არაქართულ ქვეყნად“.</u> რას იზამ, ყველაფრიდან ჩანს, რომ ასეთ კრებითობაში არ განიცდიან იმ ტრაგიზმს, რაც სამშობლოს, ანუ ჩვენ გვჭირს.

* * *

ქვეგამხედვარეთა ქვებუნაგობა – II: ქრისტესმხედრულ სულისკვეთებას სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებულ მიშნაცურ ავანტიურათა წამლეკაობა აგერ, ანაკლიაში კაჭად გამოგვეჩხირა. საუბარია ე. წ. კაზანტიპის გამრყვნელ აულაგმაობაზე, რომლის ნამდვილი, ანუ ღვთისმგმობი, ქართველთმოძულე და უხამსი მიზნების შესახებ მკაფიოდაა თქმული საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური დედა ეკლესიის წმინდა სინოდის მიერ 2014 წლის 25 ივლისს გავრცელებულ განცხადებაში.

ე. წ. კაზანტიპის ხრწნადობასთან დაკავშირებით არის ცნობები, რომ ამ ცოდვისკითხვის შემოძღოლაში მონაწილეობსო დღეს ბრალდებული და ძებნილი ექსპრეზიდენტის მ. სააკაშვილის ბიძა, საბჭოთა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მაღალჩინოსანი თ. ალასანია (გაზ. „ახალი თაობა“, 2014 წ., 9-10 აგვ.), რომელიც თავისი ოდიოზური ბიოგრაფიით საკმაოდ გახმაურებულ თაღლითობებშია მხილებული.

ე. წ. კაზანტიპთან დაკავშირებით პირდაპირ უნდა ითქვას, რომ აქ მთლად ასე მარტივად და „სამუსიკოდ“ არ უნდა იყოს საქმე: ეს ხალხი ყირიმში შემჩნეული იყოო ყველანაირ საძაგლობაში, ნარკოტიკების მოხმარებასა თუ მრუშობაში, სახალხო სიწმინდეების ხელყოფაში, ცინიკური დამოკიდებულება ზნეობისადმი ხომ მათი ყოფაქცევაა და ა.შ.

რაც შეეხება ე. წ. რესპუბლიკა კაზანტიპის ასევე ე. წ. პრეზიდენტს, ვინმე ნიკიტა მარშინიუკს, მან „ქართული“ ტელევიზიებიდან არაერთხელ მოუნდომა თითი დაექნია ქართული ეკლესიისთვის. მისი ღვთისმგმობი, უკიდურესად აგდებული მიმართვა ჩვენი საზოგადოებისადმი, უტიფარი მსჯელობა და ძალიან უხამსი, ის კი არადა, გამომწვევი ურთიერთობა ამ მხარის ღირებულებებისადმი, რომელთაც შინერსისა და ვაშინერსის წესრიგი განსაზღვრავს, გვაფიქრებინებს, რომ ეს მოვლენა სწორედაც რომ ეშმაკის გასაგნებაა ხილულ ყოფაში (გეთანხმებით, საზოგადოება, რომელმაც ერის შეუგინებლობასთან ეს მიმდგომლობა დაუშვა, თავს ღირსების მიღმა იდგენს და უკვეა გაუპატიურებული).

გარდა ამისა, აქ მეორე საკითხიცაა: ამას წინათ ქართველმა სამართალდამცავებმა სამი ტონა ავდანური ჰეროინი ამოიღეს ბოროტმოქმედებებისგან. დიდი ტვინის ჭყლეტა არ უნდა სჭირდებოდეს იმის მტკიცებას, რომ სწორედ მიშნაცური მოძრაობის წყალობითა და თანამონაწილეობით **საქართველოზე გადის ნარკობიზნესის ის დანაშაულებრივი გზა, რომლის გულისთვისაც ავადსახსენებელ ნაციონალურ მოძრაობას ასეთ უხვრეტ ჯავშნად შემოექუნგურა დასავლეთის არაერთი პოლიტიკოსი, მაღალი თანამდებობის პირი თუ ზესახელმწიფოთა პარლამენტებში მოღვაწე სენატორები.**

როგორც მოგეხსენებათ და გახსოვთ, გამოთქმა ***„მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“,*** რომელიც განსაკუთრებით ამავე სახელწოდების კინოფილმის გამოსვლის შემდეგ დამკვიდრდა საზოგადოებრივ მიმოქცევაში, დიახ, ეს გამოთქმა გახლავთ სახეზოგადი თვალსაჩინოება მეტროპოლიათა გულქვაობისა (ამ შემთხვევაში იგი ვრცელდება აგრესიულ

გლობალიზმზეც და ზუსტად გამოხატავს მის დაუნდობელ, გადამგდებ და ორპირულ ბუნებას). სწორედ აქედან გამომდინარე, უნდა მივხვდეთ, რომ ასეთი „გულაჩუყება“ და თავგამოდებული „ქუდზეკაცობა“, რითაც ზემოთხსენებული დასავლეთის ოდიოზ პოლიტიკოსთა ერთი ჯგუფი ხვდება მ. სააკაშვილისა და მისი თანამოსაქმეების სახალხო დაკვეთის შესაბამისად სამართალში მიცემას, სულაც არაა მოყვასისადმი ზრუნვით ნაკარნახევი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ასეთი <u>ცნება – „მოყვასი“ – ამ ადამიანთა ცნობიერ სივრცეში არ არსებობს.</u>

ჯერ ერთი, მათი „აღშფოთებები“ გახლავთ საქართველოს სახელმწიფოს საშინაო საქმეებში უბოდიშოდ ჩარევა, მეორეც, იგი ამ ე. წ. პოლიტიკოსთა საკუთარი ტყავის გადასარჩენად დაფაცურებაა-მეთქი, ვთქვი უკვე და მხოლოდ ამის შემდეგ გახლავთ ადგილზე საოკუპაციო კონტინგენტის (ნაცმოძრაობის) უსაფრთხოების დაცვის თავმობმის მცდელობა.

რაც შეეხებათ ჭაობური „დემოკრატიის“ ამ მეგზურებს, იგივე მიშნაცებს, მათ ასეთი გამოსარჩლების პატივი იმიტომ ხვდათ, რომ ის მატერიალური თუ სულიერი პარტახი, რაც ქვეყანას აგრესიულმა გლობალიზმმა მოახვია თავს, მათი ხელებდაკაპიწებით გაკეთდა. თავის დროზე მათ გაუპიროვნდათ საქართველოში ცოდვის იძულებითი დანერგვა, მისი წახალისებისა და აკვარცხლბეკების მოვალეობა.

ასეთია ჭაობური „დემოკრატიის“, ანუ თავაშვებულობათა დიქტატურის დამყარების მიზანი საქართველოში, რასაც, რა თქმა უნდა, მოჰყვება თავისი გამრყვნელი და გადამშენებელი შედეგები.

ის, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინებისა და ზეცაში დავანების გასწვრივ, მძიმე მარხვის დღეებში ქართულ ლექსიკოვანი, მაგრამ არაქართულად მოაზროვნე ტელევიზიები გულმხურვალედ გადმოსცემენ იმას, თუ როგორი ამგდებლობით უქნევს თითს და „ასწავლის“ ე. წ. კაზანტიპის „პრეზიდენტად“ თვითდადგენილი უვინაო ორფეხა ორიათასწლოვან დედა ეკლესიას „პროგრესისადმი დამოკიდებულებას“, **ეს უკვეა სოდომ-გომორში მოხალისედ ჩაძირვა და ისიც უნდა გავიცხადოთ, რომ ასეთ რამეს თავმოყვარე საზოგადოებას არც უნდა აკადრებდნენ და არც უნდა უბედავდნენ.**

საზოგადოებამ უნდა გაისიგრძეგანოს, რომ ყოველი ერი, რომელიც სახალხო ღირებულებებს ხელყოფს, ის ცოდვას განადიდებს და კარგავს უფლებას, ჰქონდეს ვინაობა და სამშობლო.

ნიშანდობლივია, რომ ე. წ. კაზანტიპის აღვირახსნილობა საგანგებოდ დაამთხვიეს არა მხოლოდ მარიამობის (დიდება ყოვლადწმიდას!) მძიმე მარხვას, არამედ, იგი დაიწყო ოთხშაბათს (2014 წლის 20 აგვისტოს), იუდას მიერ ქრისტეს გაცემის დღეს (სიწმინდეებში ჩარწყევის სატანური სურვილი და ლოცვისას უფალთან განმარტოებულთა მყუდროების ხელყოფაა ეს, მაგრამ ასეთი მკრეხელობა ადამიანის უფლებების შელახვად არ მიიჩნევა ისეთ „გაუგებარ“ უწყებაში, როგორიცაა ე. წ. სახალხო დამცველის აპარატი. ოღონდაც, ეს ხომ ქართველის, თანაც მართლმადიდებლის უფლებაა, უპირველესი სამიზნე „სადაც ჯერ არს“!).

კითხვას იმაზე, თუ რამ მიიყვანა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის, ამდენად ქრისტესმხედარი გიორგიანელების რიგებიდან ასე რაზმ-რაზმებად ხალხი კაზანტიპურ ქუჩისფსკერულობაზე, ძალიან მკაფიო პასუხი გააჩნია: ის მორალი, რომელიც ქართული საზოგადოების ზეპურ ნაწილს (ელიტას) დაანათლა მოდგმისმიერმა მეხსიერებამ და რითაც იგი შეაიარაღა საკუთარ წინაპართა უხინჯო ვინაობამ, – „ყავლგასულობად“, „ჩამორჩენილობად“ და „გარეუბნობად“ (პროვინციალიზმად) დაადგინა აგრესიული გლობალიზმის მიშნაცურმა დასაყრდენმა ჩვენს ქვეყანაში. საბედისწეროა, რომ ამ ზეპურობის ერთი ნაწილი დღეს **დარწმუნებულია „ეროვნული შინაარსის უხვალდღეობაში“ და რაკიღა სახლი ეხანძრება, „ხელებს მაინც ითბობს“.** მეორე ნაწილი კი შთაგონებითა და მოხალისის ძალისხმევით ჩაიძირა გადაგვარებაში, რადგან ეშმას შემოძღოლა ბუნებაა მისი. აი, აქედან უნდა ავითვალოთ ცოდვაში ჩაძირვა და მისი განდიდების დაწყება(ის, რაც 2014 წლის 30 აგვისტოს ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა, **ანუ ქართველი ერის სადენაციონალიზაციო ქარხანამ გააკეთა, ეს ნიშნავს ომის მდგომარეობაში ყოფნას დედა ეკლესიის წინააღმდეგ:** როგორც გახსოვთ, ამ უხამსობათა „ფესტივალიდან“ სრულიად საქართველოს „აბედნიერებდნენ“ სხვადასხვა ფერებში შეღებილი შიშველი ადამიანების უკანალისა თუ სხეულის სხვა საჩოთირო ნაწილების ჩვენებით. ასევე„გაგვახარეს“ ამ გარყვნილთა „ქორწილების“ გაშუქებითაც და ა. შ.

ეს ყველაფერი ისე გაკეთდა (შეპირისპირების ხერხია ეს), თითქოს კაზანტიპი არის პროგრესი, ხოლო ქართველად ყოფნა, მით უფრო, დედა ეკლესიის ყურისგდება, „განუკურნებელი გოიმობა“ გახლავთ??.

კაზანტიპის ღვთისმგმობი შინაარსი არ დაუმალავს ისეთ სულიერ სიმახინჯეს, როგორიცაა გიორგი სიგუა – ამ ყველაფრის ერთ-ერთ ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს. მან „რუსთავი-2“-ის მიერ უშურველად დათმობილ დროში (თხუთმეტ წუთზე მეტი) მართლმადიდებელ მღვდელმსახურებსა და მათ მრევლს „შიზოფრენიკები“ უწოდა, ქართველები „ჩამორჩენილობაში ამხილა“, ხოლო ეშმაკთან წილნაყარი ნიკიტა მარშინიუკი ლამის კაცობრიობისთვის ციდან ცეცხლის ჩირაღდნის ჩამომტანად გვიღიარა. <u>რაც მთავარია, მას არ დაუმალავს, რომ „საქართველოში კაზანტიპის ვირუსის შემოტანა შედგა, რაც სულ მალე ყველას მოედება, ამიტომ, ამ ჯერზე მატერიალური ზარალი ჩვენს „განსანათლებლად“ დამაშვრალ ნიკიტას დიდად არც აღელვებსო, რადგან მისთვის მთავარი ამ იდეის გამარჯვება ყოფილა).</u>

აქ კი არ შეიძლება, არ დაეთანხმო იმათ, რომლებიც ფიქრობენ, რომ საზოგადოება, რომელიც ე. წ. კაზანტიპს მუსიკად, – საერთოდ, რამენაირ ხელოვნებად აღიქვამს, ან მასში გამაკეთილშობილებელ თუ გამაადამიანებელ <u>ღირებულებას დაუწყებს მოძიებას, სულიერად უკვე მკვდარი და მისი გემოვნება უნუგეშოდაა დანაგვიანებული.</u>

საერთოდ, თავისი შუბლძარღვგაწყვეტილობით, უტიფრობითა და მოთარეშეობით (აგრესიული შემოტევებით) ე. წ. კაზანტიპი მსოფლმხედველობრივად და ყოფაქცევით იგივეა, რაც ქართული საზოგადოების ერთ ნაწილში „უბორნიის მწერლობად“ წოდებული რ. ამაღლობელის, პ. შამუგიას, ლ. ბუღაძის, ზ. ბურჭულაძის, ე. დეისაძისა

თუ სხვათა მეკალმეობა. სამწუხაროდ, „რუსთავი-2“-ის მიერ კაზანტიპის „ფესტივალიდან“ 2014 წლის 30 აგვისტოს პირდაპირ გადმოცემულ უხამსობათა აპპლავებას ვერ გაგითვალსაჩინოებთ აქ, მაგრამ ჩასმის წესის შესაბამისად, ა, ბატონო, წაიკითხეთ და წარმოიდგინეთ, რაცაა კაზანტიპი: ***„... და ხედავთ ულამაზეს გოგონას, თეძოებით რომ მოაგორებს ათას დაჟინებულ მზერას და სურვილს, მადლობა უფალს. ზემოკლე კაბა, უფრო სწორად, ქვემოკლე კაბა, მრგვალი ტრაკი, მმმმმმ... მრგვალივე ძუძუ და მეტს უკვე ვეღარ ითმენდე და შერბოდე ტუალეტში აღგზნებული და შარვალშეხსნილი, რადგან ცნობილი ამბავია, არის ჟამი გროვებისა და არის ჟამი ნთხევისა, დიდება უფალს...“ (პ. შამუგია).***

* * *

ქვეგამხედვარეთა ქვებუნაგობა – III: საზოგადოებას უნდა მოეხსენებოდეს, რომ ე. წ. საქართველოს სახალხო დამცველის, სხვადასხვა არასამთავრობოების („საია“, „კმარა“, „თავისუფლების ინსტიტუტი“ და ა. შ.), ასევე რიგი „ლეგიტიმური“ აგენტურის მიერ მხარდაჭერილმა არმენთა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის საქართველოს ეპარქიამ (ისინი ასე იწოდებიან) ჩასაფრებულის ავმოსურნეობითა და ბეზღური ბუნებით კვლავაც მრუდე სარკეში წარმოაჩინა და ამგვარად გაახმაურა 2014 წლის 19 ივლისს მომხდარი შეხლა-შემოხლა: მათი საეჭვო განცხადების მიხედვით, ამ დღეს თბილისში არმენთა „სურბ ეჯმიანინ“ ეკლესიაზე (ავლაბარში) მოხდა „ქართველთა დაგეგმილი თავდასხმა, მოტივირებული ეთნიკური და რელიგიური სიძულვილის ნიშნით“.

მიუხედავად იმისა, რომ ამასთან დაკავშირებით ჩვენმა საპატრიარქომ შესაბამისი განმარტება გაავრცელა, ასევე, გაასაჯარისეს არმენმა თვითმხილველმა მოქალაქეებმა მიუმხრობელი ჩვენებები მომხდარის შესახებ, „ქართულმა“ საინფორმაციო სამსახურებმა (მედიასაშუალებებმა), გაბედნიერებულებმა იმით, რომ „საქართველოში ქსენოფობია მძვინვარებს“, ეს ფათერაკი ჩვეული უტიფრობითა და სიჯიუტით ზემოთ დამოწმებული ფორმულირებით გაუოთხივკუთხეს მსოფლიოს.

არადა, თვითმხილველ არნოლდ სტეპანიანის (არასამთავრობო ორგანიზაცია „მრავალეროვანი საქართველო“) აზრით (გაზეთი „ალია“, 2014 წ., ივლისი), რომელიც მაინცდამაინც არაა ცნობილი აბო თბილელობით, ეს შეხლა-შემოხლა არმენთა ეკლესიასთან მომხდარა ყოფითი გაუგებრობის ნიადაგზე, ერთმანეთში იჩხუბეს მეზობლებმა, სადაც იქეთაც და აქეთაც კი ყოფილან ქართველებიც, მაგრამ ჩხუბის მიზეზი იყო არმენი მოქალაქეების ურთიერთდაპირისპირება, რასაც საერთო არაფერი ჰქონდა ქსენოფობიასთან.

არნოლდ სტეპანიანის განცხადებით, ვინმე ლევონ ისახანიანი, რომელიც 19 ივლისს ეკლესიასთან შეესწრო არმენი მეზობლების ჩხუბს, მიშნაცური მოძრაობის ამოცანათა შესაბამისად, იმწუთსავე შეეცადა, ეს თავპირისმტვრევა „ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა დისკრიმინაციად“ გაესაღებინა (<u>ფულს მხოლოდ ამაში იძლევიან</u>!).

სხვათაშორის, ხელგამოღებული ლ. ისახანიანი, რომელიც ქართველებს ნებისმიერი შესაძლებლობისთანავე აბეზღებს, როგორც ამბობენ, გაულახავთ კიდეც მოჩხუბრებს. გაზეთ „ალიასთვის“ მიცემულ ინტერვიუში არნოლდ სტეპანიანმა ხმამაღლა თქვა:

„...ისახანიანი ასეთ განცხადებებს პირველად არ აკეთებს, გავიხსენოთ მისი ამასწინანდელი განცხადება, რომ სიონში ქართველმა მღვდელმა ეკლესიიდან გამოუშვა სომეხი ეროვნების ადამიანი, რომელმაც ჯვარი არამართლმადიდებლურად გადაიწერაო და უთხრა, წადი და სომხურ ეკლესიაში ილოცეო“...

„...რომ აცხადებენ, სომხურ ეკლესიაზე თავდასხმა იყოო, ვერ გეტყვით, რადგანაც ეს ადამიანები სომხური ეკლესიის არც ეზოში და, მით უმეტეს, არც ეკლესიაში არავინ შესულა, თუკი თავდასხმა იქნებოდა, მაშინ ეკლესიაში უნდა მომხდარიყო ამბავი, არა? სცემეს, ფაქტობრივად, ერთი ადამიანი და ეს იყო ლევონ ისახანიანი“...

„...პირდაპირ ვამბობ, რომ ამ ადამიანის განცხადებები შეიცავს რელიგიური და ეთნიკური შუღლის განცხადებებს, რადგანაც საქართველოში ყოველთვის დაცული იყო ყველა კონფესიისა და ეროვნების უფლება“...

„...საფუძვლიანი ეჭვი გვაქვს, ეს ყველაფერი უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ ხომ არ იმართებაო, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესები სხვა ჭრილში იქნას განხილული და სხვა შეფასება მიეცეს, რომ ვითომდა საქართველოში სომხების უფლებები ირღვევა, რომ შემდეგ ეს ფაქტი უფლებადამცველთა ანგარიშში მოხვდეს“...

„...გახსოვთ, ალბათ, ისლამოფობია დააბრალეს ქართველებს, როცა მინარეთი მოიხსნა აჭარის ტერიტორიაზე, არადა, კანონდარღვევით იყო ეს მინარეთი დაყენებული და მაშინ გამოირკვა თურქული სპეცსამსახურების როლი ამ ამბავში, რათა გაღვივებულიყო კონფლიქტი, და იქაურ მუსლიმანებსა და მართლმადიდებლებს შორის დაპირისპირება მომხდარიყო, ახლა ვხედავთ მცდელობას ქართველებსა და სომხებს შორის“.

მოკლედ, აი, ასეთი გახლავთ გაზეთ „ალია“-ში მომზადებული დასკვნა, რომელიც თვითმხილველ ა. სტეპანიანის ჩვენებაზე დაყრდნობით გამოქვეყნდა.

ცხადია, ეს ყველაფერი იმთავითვე იყო ცნობილი, მაგრამ მიშნაცური მოძრაობის ხელგამოღებას ის განაპირობებდა, რომ მას სურდა ამ გაუგებრობის მიზნობრივი გაშუქებით, ერთმანეთზე მიექსიანებინა არმენი და ქართველი მოქალაქეები, რაც გადაიზრდებოდა მეზობელ ქვეყანასთან, სულ ცოტა, ურთიერთობათა გაცივებაში.

აქვე შეგახსენებთ, – იმ დღეებში საქართველოს მედიასაშუალებებიდან, როგორც ლ. ისახანიანი, ასევე მისი ქართველი თანაპროვოკატორები, თავხედურად მოითხოვდნენ, რომ ქართველებს და ჩვენს საპატრიარქოს ბოდიში მოეხადა, თანაც დაეგმო არმენთა ეკლესიაზე თავდასხმა.

როგორც ირკვევა, ეს ყველაფერი ვიღაც მამაცხონებულს ფირზე გადაუღია და ამის მიხედვით არ დასტურდება ლ. ისხანიანისა და მისთა ძმათა ხმაბოდვები „ქართველთა ქსენოფობიის“ შესახებ.

მე სხვა რამეზე შევაჩერებ „უფლებადამცველ“ ლ. ისახანიანის „ინტერნაციონალისტურ და კოსმოპოლიტურ მიუკერძოებლობას.“

1993 წლის 20 სექტემბერს, ღამის 11 საათსა და 17 წუთზე სოხუმთან, იაშთხვაში არმენმა ბოევიკებმა (ე. წ. ქ. ი. ბაგრამიანის ბატალიონიდან)

გადაწვეს ჩემი სახლი, რომლის თითოეული აგური ჩემი ხელშენავლები იყო.

ცეცხლის წაკიდებამდე სახლიდან გამოიტანეს ჩემი პალტო, დაკიდეს ეზოში და კალაშნიკოვიდან მჭიდს მჭიდზე აცლიდნენ მას (სიმბოლურად მხვრეტდნენ). ამას ხელმძღვანელობდა ჩემი მეზობლის ჰამბარ ცუგურიანის ვაჟი – იურიკი.

მათვე დახვრიტეს არაერთი ქართველი ტყვე (ეს ყველაფერი ჩემს წიგნებშია ასახული და არ გავიმეორებ). ქართველთა სახლებიდან ქონება გაჰქონდათ, ანუ ძარცვავდნენ და მოროდიორობდნენ ნერსეს ჯიდარიანი, მისი სიძე, ზემოხსენებული ციგურიანები და ა. შ.

არმენითა ერთი ნაწილის ორპირობა, ბაცაცობა და მახვილის ზურგში ჩამცემლობა რაცაა, ეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ქართველობას არ გვესწავლება, მაგრამ ამის გამო ჯავრს ოვანეს თუმანიანის დიდებულ შემოქმედებაზე არ ვიყრი, ჩემთვის ძნელ წუთებში წავიღიღინებ ხოლმე:

„ანუშ, შენი თვალები ღამესავით შავია,
მე რატომ მემალები, სარო დამნაშავეა?!“

არ დავმალავ, ერთი კია, დიახ, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) არმენი მოსახლეობა, ეტყობა, ძალიან ცუდად ემოწაფებოდა თავისი ერის დიდ მოძღვარს, მას სხვა მასწავლებელი ჰყავდა მაშინ, – კრემლიდანური დირექტივები და დაშნაკთა „დიდარმენული“ ხმაბოდვები!..

აი, საიდან დაიწყოს თბილისელმა ლევონ ისახანიანმა არმენთა უფლებების დაცვა, დიდი ოვანეს თუმანიანის მოღვაწეობასთან მიმოწაფებით უნდა გააკეთოს ეს, რაც თავისთავად მიუმცდარებლად შეახედებს იმ არამზადობისთვის, რასაც მისი მოძმეები სჩადიოდნენ ჩვენს ოდაბადეში...

* * *

ასე და ამრიგად, ამგვარი გახლავთ ამ ერთი თვის მანძილზე მიშნაცური მოძრაობისათვის, უფრო სწორად კი მისი დამკვეთისთვის აქ დამოწმებული ის სამი სტრატეგიული პროვოკაცია (სხვა არაერთს შორის), რომელმაც მაშველად და მხსნელად უნდა უყავარჯნოს მათი ხელებით ნაძალისხმევ ძირგამომთხრელობას, რამაც მათ ქუჩაზე დღესასწაული ისევ უნდა დააბრუნოს (როგორც ხმა გავრცელდა, მე მგონი, „ინათა“ მიშნაცური სვლაგეზის გასწვრივ: მიუხედავად იმისა, რომ ავადსახსენებელი ნაციონალური მოძრაობის მესვეურები სისხლის სამართლის პასუხისგებაში არიან მიცემული, ეტყობა, არც ისე ცუდადა აქვთ საქმე, თორემ, ე. წ. მიშნაცებში 2013 წელს პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის ღვიძლი ძმის გათხოვებას (არა, შეცდომა არაა) ასეთი ქორწილით არ გადაიხდიდნენ (იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2014 წ., აგვისტო).

აქ საგანგაშო ისაა, რომ მთელი ამ წლების მანძილზე მორიგი ეთნოდივერსიული ილეთებით ქართული საზოგადოებრიობა მიზნობრივად

გაარიდეს ძალისხმევას, ჰქონოდა გრძელვადიანი ხედვა, მით უფრო, პროგრამა საკუთარი განვითარებისა და მარადიულყოფის შესახებ.

ამგვარი დივერსიული ეთნოფაბრიკაციებიდან გამომდინარე ყოველდღიურობა ხელოვნურად იქმნება იმ ქვეყნებში, რომლის მოსახლეობას ჯერ გარყვნილენაში განცხრომა, შემდეგ გადაჯიშება, ბოლოს კი გადაშენება დაუდგინეს.

მხოლოდ მ. სააკაშვილისა და მისი ნაცმოძრაობის დიქტატურის პირობებში შეიძლებოდა და ასეც მოხდა, რომ გამოინკუბატორდა და მოთადარიგდა თაობა, რომელიც ცხოვრობს უწარსულოდ, მაშასადამე, უმომავლოდ – მყისიერ თვალგახელაში. **მათ, რაკიღა ხვალინდელი დღე არა აქვთ, მათი წინაპრების (შთამომავლობა, ანუ მოდგმისმიერი ვინაობა მათთან ერთად უწყდებათ) გრძელვადიანი, აწმყოს გამცდარი სამომავლო ხედვა არ სჭირდებათ და ამწუთიერებაში ყოვლისმკადრებლობით ანებივრებენ პირად თავაწყვეტებს. ამიტომაა, რომ ქვეყანასთან და მის ღირებულებებთან მიმდგომლობით (ოიდიპური ცოდვით, ანუ ინცესტით) დამძიმებულები თვითმავალ ხრწნილებად იქცნენ.**

ისიც უნდა გავიმკაფიოოთ, რომ აგრესიული გლობალიზმის ადგილობრივი მეგზურები (იგივე მიშნაცები) ჯერ კიდევ მუხლმაგრად ფლობენ ძირგამომთხრელი, უფალს დაპირისპირებული და ქართველი ერისათვის (საქართველოს მოსახლეობისთვის) საბედისწერო საქმიანობის ბერკეტებს. აქედან გამომდინარე, ჩვენს ქვეყანაში წესად იქცა, სახალხო დაკვეთათა გვერდის ავლით ხალხისთვის მიუღებელი გადაწყვეტილებების დაკანონება. ასე, მაგალითად: იმ დროს, როდესაც საქართველო მსოფლიოში ანგარიშგასაწევი კვლევების მიხედვით მიჩნეულია ისეთ ქვეყნად, სადაც მკვიდრი, ე. ი. ქართველი ერი გადაშენების პირასაა, ხელოვნურად განადგურდა ყველანაირი მეურნეობა, – არავინ მუშაობს იმაზე, რათა შეიქმნას სახელმწიფო პროგრამა შობადობის წასახალისებლად.

სამაგიეროდ, კიდევ და კიდევ შეგახსენებთ, მიუხედავად დედა ეკლესიის გაფრთხილებისა, რადაც ქუდზეკაცური ხელგამოღებით, განგაშის წესითა და ყოფნა-არყოფნის დაფაცურებით, სასწრაფოდ იქნა ქვეყნის პარლამენტში მიღებული ე. წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი. ამასთან დაკავშირებით თავი დავანებოთ (თუმცა რატომ?!) უზნეობასა და გარყვნილებას, ერთსქესიანთა ქორწინება, როგორც არაბუნებრივი დაწყვილება, ხომ აბრკოლებს და სათავზაროდ ამცირებს შობადობას?!. (ამასთან დაკავშირებით უკვე გითხარით, რომ მიშნაცური მოძრაობიდან ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატის სახლიკაცი (ღვიძლი ძმა) გათხოვდა. ისე, წინამდებარე საპრეზიდენტო კანდიდატის სურვილის მიხედვით რომ წასულიყო საქმე და ამ ჯირღინა კაცს გაემარჯვნა, ხომ ხვდებით, როგორი მსოფლმხედველობა დაივანებდა ქვეყნის სათავკაცო სავარძელზე. თუმცა, უკეთესმა გაიმარჯვაო, ვერც ამას იტყვი!..).

ძალიან ხეპრე ან წინგაუხედავი უნდა იყო, ამ შემთხვევაში სინამდვილის დედან არსს რომ ვერ ჩასწვდე: მართალია, ჯერ საბოლოოდ არ ჩამოუქცევია ჭერი ჩვენს თავზე ამ კანონს, მაგრამ თუ მისი ასე უბოდიშო მარტო კი არა, ძალადობრივი თავს მოხვევა გაგრძელდა, ეს

დღეც (ჭერჩამოქცევის თარიღი) ცხრა მთას იქით არ დაყოვნდება... მეორეც, დამკვეთმა მაინც მიაღწია მთავარს, – ე. წ. „ლგბტ“ და მისგან გამომდინარე ავადსახსენებელი კანონი გახლავთ მსოფლმხედველობა და იდეოლოგია, რომელიც ქართველთა გონითი განფენის სივრცეში სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდება ქრისტესმხედრად, ანუ ქართველად ყოფნის შინაარსს, როგორც ცნობიერებაში (აზროვნების წესში), ასევე ყოფით ყოველდღიურობაში (მეურნეობა, კომლი, სასახლიკაცო, ლასკარი და ა.შ.). **ცხადია, ძალიან ცდება ის, ვისაც ეს მხოლოდ ნებართვა ჰგონია იმაზე, თუ სად გაუშიშვლებს (ვთქვათ, სიტყვაზე) საკუთარ საჯდომს ან ვის წაუკუზებს მას ვინმე ღობეგლეჯიაშვილი, ბუღიაშვილი, შამუგიაძე ან დეისაშვილი...** (ზემოთ გითხარით, – ხმამაღლა, ნიშნისმოგებით აცხადებდა კაზანტიპის ერთ-ერთი მესვეური, რომ მათთვის მთავარი ფული კი არა, საქართველოში ამ იდეების გასავრცელებლად ვირუსის შემოტანა იყო).

ამგვარად, ვითომ კეთილმოსურნეობასა და „უფლებადაცვებში“ გახვეული კანონებით (სინამდვილეში საოკუპაციო ქცევის წესებში), იქ, სადაც ჩვენს მაგივრად ჩვენს „ხვალინდელ დღეზე ზრუნავენ“, ჩვენს ქვეყანასა და მის კანონიერ მოსახლეობას ითადარიგებენ, **რათა მათივე ხელებით სამშობლოს მაგივრად შემოისაზღვრონ „სამართლებრივად კანონიერი“, მაგრამ უფალს დაპირისპირებული და სახალხო ნებას განდგომილი, ამდენად, უზნეო კი არა მარტო, – გადამშენებლური პოლიტიკის სარეზერვაციო პოლიგონი** (იმისთვის, რომ გაერკვე, თუ რა ხდება შენს გასწვრივ და გძირავენ თუ არა ხრწნადობაში, – ბუნებით უნდა იყო თავანკარა).

როდესაც მიზნობრივი ყურადახშობა არ აბრკოლებს ადამიანს (უფრო ზუსტად, პიროვნებას), მას კეთილშობილებაში (მშვენიერებაში) ლაღი მკლავური შეუძლია. გაიხსენეთ, ცნობილმა ფრანგმა სახალხო მსახიობმა ალენ დელონმა მის ენაზე თარგმნილი ვაჟა-ფშაველა გაიერთსხეულა. არც ის დაგვავიწყდეს, რომ დიდმა რუსმა მწერალმა მიხეილ შოლოხოვმა, როდესაც მას ნობელის პრემიას გადასცემდნენ (1965 წ.), განაცხადა: **„თავს უხერხულად ვგრძნობ, რომ ამ პრემიას მე ვღებულობ და არა ვაჟა-ფშაველაო“** (დამეთანხმებით, რაც არ უნდა დიდოსტატურად ითარგმნოს იგი, დედანი მაინც არაა და მაინც, დიდოსტატს, თვალსამზერის გარდა, სხვა გუმანიცა აქვს): ***„თორმეტი მოკლა ციხის კარს, ერთურთზე დააწვინაო, ვეფხვსა დააცდა კლანჭები: ბაკურმა დაიძინაო“.***

ახლა მიდით და შეადარეთ: მე-20 სასუკუნის 40-იან წლებში ე. წ. საქართველოს კპ ცკ-ის პირველმა მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა, ცხადია, სულით ბერწმა ჩინოვნიკმა, რომელსაც შეეძლო დედნიდან გაემშობლიურებინა ვაჟა, ამ ბუმბერაზს, მსოფლიოს უკიდეგანობაში განავარდებულს, კარჩაკეტილობასა და პრიმიტივიზმში დასდო ბრალი და მის შემოქმედებას ყოველმხრივ დევნა დაუწყო.

საქმე ის გახლავთ, რომ, ეტყობა და ყველაფრიდან ასე სჩანს, თვით მიხეილ შოლოხოვისა და ალენ დელონის სულიერ სამყაროებში გაიფესვა მზაობამ ასეთი ღვთისწვდომილების მისაღებად (ეს იმათ გასაგონად,

ვისთვისაც „უხვალდღეო“ საქართველო აგრესიული გლობალიზმის სათოხარიკოდ მოიაზრება უკვე).

დავუბრუნდეთ სათქმელს: რაკიღა აგრესიული გლობალიზმის (და არა მსოფლიოს სულიერებათა პოლიფონიური ინტეგრაციის) სამიზნე მართლმადიდებლობა და ქართველი ერის ქრისტემხედრული (უფრო ფართოდ კი გიორგიანული) ბუნებაა, ყველანაირი, მათ შორის აკრძალული ილეთებით, იგი ცდილობს, ქართულ საზოგადოებაში ჩაანაცვლოს ისეთი ქცევის წესები, რომელიც თავიდანვე დაუპირისპირდება ქართველად ყოფნას, რისი „აუცილებლობაც“, ანუ „პროგრესულობაც“ „საბუთდება“ სათანადო იდეოლოგიითა და საკანონმდებლო ბაზით (სამართლებრივი, „ლეგიტიმური“ ოკუპაცია).

შესადარებლად და სამაგალითოდ შეგახსენებთ, ამ ბოლო (განსაკუთრებით მიმდინარე) წლებში თბილისის სიწმინდეებისთვის მიუღებელი 17 მაისის გეიაღლუმის ჩატარების მცდელობას. აქედან გამომდინარე, ორგანიზებული თუ მიზნობრივი, მართული პროვოკაციებით არა მხოლოდ ერის სიმყუდროვის ხელყოფა მოხდა, არამედ, ყოვლად უსაფუძვლოდ იგი (ქართველი ერი) აქეთ დადანაშაულდა არარსებულ „ქსენოფობიაში“.

... ოღონდაც! ჩასაფრებულმა და ავმოსურნე საინფორმაციო სამსახურებმა ე. წ. ტოლერანტულობის მხრივ „ქართველთა უმწიფრობა“ წარმოუჩინეს მსოფლიოს თავიანთი უთანამედროვესი ტექნიკითა თუ მედიასაშუალებებით. სწორედ ამ სამსახურების ქვეგამხედვარე „წაჩალიჩებით“ (უკაცრავად) მოხდა ის, რომ ასეთი ქუჩისფსკერულობის წინააღმდეგ ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე ქუდზე კაცად გამოსული ქართველი ერის მშვიდობიანი პროტესტის გახმაურება არ გასცდენია ამ მიდამოებს (რუსთაველის გამზირის სიწმინდე მაინც დანაგვიანდა და შეგინებულ იქნა. ეს ისე მოხდა, რომ ამას ფართო საზოგადოება ან ვერ ხვდება, ან ასე აძლევს ხელს. აბა, დააკვირდით, აქედან გაგვიძევეს დავით აღმაშენებლის ძეგლი. უფლება ართმეული მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქვეშ ბაზრული საყაყანოა, რუსთაველის გამზირიდან კინწისკვრით გადარეკეს წიგნის მაღაზიები, სასტუმროებს „ივერიასა“ და „თბილისს“ გადაარქვეს სახელები (თქვე დალოცვილებო, <u>ზაქათალელებისგან მაინც ისწავლეთ რაიმე, მათ იმიტომ ავიწროებენ და განგებ ასგვარ დაბრკოლებას უქმნიან, რომ არა და არა, ჯიუტად ირქმევენ თამარს, ქეთევანს, გიორგის, ვახტანგს... თორემ, ჰუსეინს თუ დაუძახებენ საკუთარ შვილს, სამშვიდობოში დაუბინავდებათ ფათერაკს შეშვერილი თავი</u>). მეტსაც გეტყვით, დედოგამზირიდან „მათრახისცემითაა“ გაგდებული ქართველთა მარადიულყოფის დუღაბი – **ქართული ანბანი**. სამაგიეროდ, ქუჩათა ყოველ გადაკვეთაზე თარეშული გულმოდგინებით ხელგამოღებული სხვადასხვა სექტა „ლეგიტიმურად“, სათანადო მოძრავ ჯიხურებში დაბინავებული ბიბლიოთეკებით, სხვა ძირგამომთხრელი საშუალებებითა და ა. შ. მოგვიწოდებს რჯულდაგდებისკენ, ანუ ქართველად ყოფნაზე უარის თქმისკენ (ახლა, ერთი გულში ჩაიხედეთ, შემდეგ მიმოიხედეთ და გულწრფელად მითხარით, რამდენი გეგულებათ დედა თბილისში იმგვარად მოუსყიდველი, რომელიც

წმინდა ქეთევანის გულგამოვლილი (გაიხსენეთ მუხრანის ლექსი) *სისხლით აგულისძგერებს თავის ღირსებას, გაამუხლმაგრებს საკუთარ ცნობიერებას და ერსა თუ ბერს დაარწმუნებს, რომ ძარღვებში არ უჩუხჩუხებს „შორენა ბეგაშვილების“, „ნინია კაკაბაძეების“, „თეა თუთბერიძეების“, „ეკა გიგაურების“, „ნანა წკრიალაშვილებისა“ და ა.შ. სისხლი?! (სხვათა შორის, ეკა გიგაური, რომლიც შუამდგომლობითაც საკონსტიტუციო სასამართლომ ქართული მიწების უცხოელებზე გაყიდვის უფლება დააკანონა, ბადრი ბიწაძის დროს სასაზღვრო პოლიციის მაღალჩინოსანი ყოფილა. აი, ვინ „იცავდა“ სამშობლოს საზღვრებს“?!).*

არ ვიცი, რა გვიშლის ხელს, მივხვდეთ, ბოლოსდაბოლოს, იმას, რომ ე. წ. „ლგბტ“-სა თუ სხვადასხვა ოდიოზურ არასამთავრობოთა (სექტათა) საქმიანობა გახლავთ მტრული ძალისხმევა ჩვენი ერისათვის ძირგამომთხრელი იდეოლოგიის თავსმოსახვევად და საბოლოოდ დასამკვიდრებლად, რამაც ჩვენი მოდგმა უპირობოდ უნდა გადააშენოს. ამგვარი ილეთებით უნდა ვიქცეთ უვინაო, თარეშულ კოსმოპოლიტიზმში ჩაყვინთულ სიმრავლედ, რომელიც აგრესიული გლობალიზმისთვის სასურველი მიმართულებით ადვილად იქნება სამართავი (თავისი დაუფარავი მიზნითა და მასზე გაპიროვნებული მოვალეობებით დღეს ე. წ. ლგბტ-ური კრებითობები დიახაც რომ იგივეა, რაც თავის დროზე გახლდათ ქართულ მიწებზე შექმნილი ხიზან უმცირესობათა „მოძმე“ ავტონომიური რესპუბლიკები. დროთა განმავლობაში „საწყალი“ ხიზანი იქცა დიდმპყრობელ ოკუპანტად. ამგვარად, ქართულ ცნობიერებაზე მიხრახნილ ახალგვარ ავტონომიებს (სხვათა შინაარსობას), როგორც ქართულ მიწებზე ადრე შექმნილ ავტონომიურ რესპუბლიკებს, ასევე <u>გააჩნიათ საკუთარი კონსტიტუცია და დებულებაც საქართველოს განადგურებაზე: სწორედ ასეთი გახლავთ ე. წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი!..</u>

როგორ გგონიათ, განა შემთხვევითია, რომ მაშინ, როდესაც გასაბჭოებულ (ოკუპირებულ) საქართველოში ავტონომიური რესპუბლიკები („სხვათა „მოძმე“ ქვეყნები“) იქმნებოდა, სწორედ ქართველი ბოლშევიკები გამოირჩეოდნენ ზღვარსგამცდარი ქართველთმოძულეობით, რომელიც მაშინაც „დიად მიზნებში“ (ინტერნაციონალიზმში) იფუთებოდა. გავიდა კინადამ საუკუნე. მათმა „პარაჟენცულმა“ ბუნებამ და საქმიანობამ რაც მოგვიტანა, სახეზეა, – შეხედეთ, ნახეთ, დაფიქრდით, თავს თუ რა დაგვატეხა ასეთმა დოყლაპიობამ. იმედად ისღა დაგვრჩა, რომ ***„ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო“ (მ. ლებანიძე),*** დღეს იგი, ჩვენი უგერგილობა თუ გაგრძელდა, ***საზღვრემშემოწალდული და მიწებგასხვისებული წალასლასდება საკუთარი სასაფლაოსკენ!..***

დიახ, ბატონებო, ვითომ არასამთავრობოთა აულაგმაობას თავშეფარებულ აგრესიულ სექტათა (უფრო ზუსტად, მტრის მიერ დაქირავებულ გაერთიანებათა) ბუნებაც იგივეა, რაც გახლავთ ჩვენს მამულში შემოდივერსიებული სხვათა ავტონომიური რესპუბლიკები – ქართულს ჩასაფრებული, ავმოსურნე... მათი „პარაჟენცული“ სულისკვეთება აღემატება კიდეც ბოლშევიკურს. ცხადია, აქედან გამომდინარე, მათთვის ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) „არაქართული ქვეყანაა“ და

აქაური ქართველის სადაურობის მიმნიშნებელი სიტყვა „აფხაზი“ არაქართველს ნიშნავს.

ეს ე. წ. არასამთავრობოები, იმგვარადვე, როგორც ქართულ მიწებზე ძალადობით შექმნილი ავტონომიური რესპუბლიკების სეპარატისტული ეთნოკრატია, საქართველოსთვის საბედისწერო საკითხებზე თავის დროზე რუსიზმის მიერ საგანგებოდ ფაბრიცირებული საეთნოდივერსიო ტერმინებითა და სტერეოტიპებით მსჯელობენ.

ისევე, როგორც საბჭოთა კავშირის დროს, ქვეყანაში „უმცირესობათა“ (აგრესიულ სიმრავლეთა)უფლებების დაცვის ქვეშ მიმდინარეობს საქართველოს დადანაშაულება დიდმპყრობლურ სისასტიკეში. ამით ჩვენი ე. წ. არასამთავრობოები ბაძავენ აშშ-ს ყოფით ყოველდღიურობას და მათ მიერ საგანგებოდ ხდება ამერიკული რაობის გადმოასლება, მისი ხელოვნურად მორგება ქართული ყოფისთვის).

შეგახსენებთ, რომ ქართულ მიწებზე არაქართული ავტონომიების შემქმნელ პოლიტიკურ ძალებს აქედან გამომდინარე საპარტახო შედეგებზე არ უგიათ პასუხი. დღეს, როდესაც თვითმარქვია „უფლებადამცველთა“ დაგეშილი სექტები ქართველი ერისა და ქვეყნის მოსახლეობის საზარალოდ, მასთან შეუთანხმებლად და მის ზურგსუკან, ხშირ შემთხვევაში ე. წ. უმცირესობას ამოფარებული საოკუპაციო კონტინგენტის „უფლებათა დაცვას“ ითხოვენ, <u>ვინ იღებს პასუხისმგებლობას შედეგებზე?! სად, რომელ მეცნიერებათა აკადემიებშია შესწავლილი ეს საკითხები, ან სადაურმა საკვლევმა ინსტიტუტებმა მოგვაწოდეს ამ მხრივ დამაიმედებელი რჩევები?! ვინ არის იმის გარანტი, რომ ასე საეჭვო „უფლებადაცვათა“ შედეგი ისეთივე არ იქნება, როგორც საბჭოთა „ინტერნაციონალიზმის“ შემთხვევაში?!. განა ასე უპასუხისმგებლოდ და ქვეყნის მომავლის გაუსიგრძეგანებლად შეიძლება, დაადგინო სამშობლოს სამერმისო სვლაგეზი</u> (ესეც საკითხავია, ვისგან უნდა დაიცვან ან არის კი ამ დროს დაცული ქართველთა უფლებები)<u>?!</u>

უფრო მეტის თქმაც შეიძლება ამ მხრივ. მიშნაცური მოძრაობის ჯერაც გამოურთავი ძრავა ჭაობური დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის, ე. წ. უმცირესობათა გამოსარჩლების საბაბით სინამდვილეში ქართველი ერის (საქართველოს მოსახლეობის) ცნობიერ, გნებავთ, მსოფლმხედველობრივ გათითოკაცებას (დეზინტეგრაციას) ანხორციელებს.

თუ საქართველოს ცალკეული მხარეები დივერსიული ეთნოფაბრიკაციების გზით შექმნილი ავტონომიური რესპუბლიკების მეშვეობით ტერიტორიულად სხვაშინაარსდებოდა („სხვაქვეყნდებოდა“) და ეს ხილული უბედურება გახლდათ, დღეისათვის ე. წ. არასამთავრობებს თავშეფარებული და ზნეობრივი წესების გარეშე მოიერიშე სისხლაღრეულთა და სულწაბილწულთა რაზმები (მიშარასტები), რომლებიც სწორედ ასეთი მოვალეობისთვის (ანუ „უფლებადასაცავად“) გამოინკუბატორდნენ, ხარბად აღებული გრანტების (30 ვერცხლის) შესაბამისად, <u>ქართველთა გონითი განფენის სივრცეში ქართული შინაარსის ჩაწალდვას გულმოდგინედ და ბეჯითად ცდილობენ, რაც ისეთივე დივერსიული ეთნოფაბრიკაციაა, დიახ, საკუთარ ვინაობას მოწყვეტა და გასხვაშინაარსებაა, როგორც ეს ხდებოდა ქართულ მიწაზე</u>

<u>ახარაჩოებულ საბჭოთა ავტონომიებში.</u> ცხადია, ესეც უნდა აღინიშნოს (რაც ძალიან მნიშვნელოვანია), რომ ამჯერად ამ დივერსიათა დანახვა ისე იოლი არაა, როგორც რუსისტული აბრის ქვეშ გხვდებოდა თვალში ველიკოდერჟავული ჩექმა – ამას საგანგებო განსწავლულობა, გამოცდილება, შორსგახედულობა, ალღო და თვალისჩინი სჭირდება. შედეგი ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა, ამჯერადაც ერს თავისი ღვიძლი მოდგმიდან თანდათანობით უსხვაშინაარსდება და უმტერდება საგრძნობი რაოდენობა მოხალისე უგუნურთა ***(„ერთმა უგნურმა თაგუნამ“... ა. წერეთელი).*** ეს უბედურება ქვეყანაში ერთიანი ეროვნულ-სახალხო ძალისხმევისა თუ სულისკვეთების განადგურებას იწვევს, რაც არ ქმნის სრულიად ქართველთა გაერთსხეულებული სახელმწიფოს შექმნის პირობებს. ახლაც იგივე შედეგებს უნდა ველოდოთ, რაც საბჭოთა სინამდვილემ მოგვიტანა, რადგან ესეც ისეთივე ავტონომიური რესპუბლიკაა, ოღონდ არა <u>ქვეყნის სივრცეში, არამედ სადენაციონალიზაციო ქიმიური იარაღით საგანგებოდ დამუშავებულ ადამიანთა ბერწ სულებსა და შემოხართულ გონებაში.</u>

მისი მოვალეობაც იგივეა, – ერთიან საქართველოს მახვილი უნდა ჩასცეს ზურგში. ამასაც, ისევე, როგორც ავტონომიურ რესპუბლიკებს, საფუძვლად უდევს გაუგინარი ღალატი, წინგაუხედაობა, დანაშაულებრივი გულუბრყვილობა, აგრესიული კოსმოპოლიტიზმი და საკუთარი ვინაობისადმი მიმდგომლური დამოკიდებულება.

საზოგადოებამ მკაფიოდ უნდა გაიცნობიეროს, რომ, **როდესაც ქრისტესმხედრულ (გიორგიანულ) სულს წაართმევ ერს, იქ ანტიქრისტეს ტახტი იდგმევა.** ამის შესაბამისად, გარკვეული ძალები ცდილობენ, სახალსო ყოფაში დანერგონ არა ზნეობის ზეობა, არამედ მოთარეშე თვითკმაყოფილება „ჩვენმა გაიმარჯვა“ (რუსული ანდაზაა, „ღონე გაქვს, ჭკუა არ გჭირდება“-ო...). ასეთ ვითარებაში ესენი ევრო-ატლანტიკური რასისტები ქართველი ერის ყოველდღიურობაში ურთიერთობათა ისეთ ილეთებს (ე. წ. თამაშის წესებს) ნერგავენ, რომლებიც, როგორც ხედავთ, „ადამიანის უფლებათა დაცვის“ ღრიალით <u>ადამიანთმოძულეობას ამკვიდრებენ</u>. ასეთ დროს უსამართლობასთან დაუზავებლობა ბუნებრივ მოთხოვნილებად უნდა იქცეს. მას არ უნდა შეეგუო, თორემ, უფლებასთან ერთად ღირსებასაც დაკარგავ, უღირსებოს კი ვინაობა არ გააჩნია. ეს მით უფრო საგანგაშოა, რომ ქუჩისფსკერულობათა ყველა შემაკავებელი (ამლაგმავი) საშუალება – ზნეობა, რწმენა, კანონი მიშნაცური თაობის ძალადურ თვითდამკვიდრებას ან საერთოდ გადაყვა ან კიდევ, საგრძნობლად შეილახა.

ასეთია აგრესიული გლობალიზმის მიერ საქართველოსთვის ღვთისწყრომად თავსმოხვეული „დემოკრატი“ ოკუპანტების სადღეისო სიცხადე, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ მიხარია. მოურჩენელ ჭრილობად მექცა ის, რომ ჩემს თვალწინ მთელი თაობა გადაგვარდა (გასხვაშინაარსდა). ამით იგი თავის ქვეყანას მოსწყდა. ამავე დროს, ვიმეორებ, ერის სახალხო ნებას მოხალისედ, ერთგვარი შთაგონებითაც კი მეთარეშა იგი. ამასთან ერთად, თავი დაიდგინა ავმოსურნედ ჩასაფრებულ ძალათა თითისქნევების ბეჯით აღმასრულებლად: ერის სულისკვე-

თებისადმი მიმფურთხებლური დამოკიდებულება, ქვეყნის აბუჩად აგდება, სიწმინდეებისადმი მიმდგომლობა, საზოგადოების საშინაო თათბირთა დამბეზღებლური გამოჭენება, მშობლიურთა გალანძღვა, ძირგამოთხრა და უხვალდღეობა იქცა იმ „საბედნიეროდ“, რომელიც ამათ ადღესასწაულებს.

ამისდა მიხედვით, ამ სიმრავლისთვის სტრატეგიული მოვალეობა ვერ იქნება ქვეყნის მარადიულყოფა, სამაგიეროდ, ცდილობენ, დაუკანონონ ის, რაც ქართველი ერის ნება კი არა, ე. წ. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის მითითებაა, ამიტომ: *1. ვითომ სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის თავსმოხვევას ისინი ასე თანმიმდევრულად ცდილობენ, ეფუძნება წინასწარ მოთადარიგებილ „საკანონმდებლო ხუფს“, ერის მოსაგუდ საშუალებას, იგი, როგორც უკვე გითხარით, ერთი შეხედვით კია „სამართლებრივად კანონიერი“, მაგრამ განგებ შემოჩენებულია საქართველოსთვის და არ უზრუნველყოფს ქვეყნის მარადიულყოფას; 2. თაობას არა აქვს შესწავლილი და დაზუსტებული, თუ რამდენად გამოხატავს ასე შემოძალებული პოლიტიკური კურსი და მისგან გამომდინარე კანონთა მოთხოვნები ჩვენი სამშობლოს ეროვნულ-სახალხო მიზნებს; 3. ასე დაჟინებით შემოლურსმნებული პოლიტიკური სვლაგეზის შედეგებზე პასუხისმგებლობა არც სამართლებრივად და არს პოლიტიკურად არავის აუღია…*

ვითარება, რომელიც ნაციონალურმა მოძრაობამ აგრესიული გლობალიზმის დაკვეთით შემოუჭერქვეშეთა ჩვენს სამშობლოს, უპირველეს ყოვლისა, ქართული გონითი განფენის სივრცეთა გამომწყდევას ნიშნავს საეთნოდივერსიო ცხრაკლიტულში, რომელსაც უსათუოდ გააჩნია აქედან გამომდინარე ავდროული შედეგები.

საბედნიეროდ, ეროვნულმა მეხსიერებამ შემოგვინახა ნებისმიერი ცხრაკლიტულიდან, ანუ ქაჯეთის ციხეებიდან (შოთა რუსთაველი) თავდადწევის უნარ-ჩვევები და დააზუსტა შესაბამის ქრისტესმხედართა ვინაობაც და რაოდენობაც. თუმცა, ისიც პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ასეთი მოვალეობა წმიდა წერილის მიხედვით, მხოლოდ უფლის რჩეულთა მოხალისური ხვედრია (ამაზე ქვემოთ). დიახ, იგი არ გახლავთ მასობრივი ღონისძიება (საყოველთაოდ მხოლოდ მისი შედეგების მიმოწაფება უნდა იქცეს), <u>რადგან ხიფათში თავგანწირვის მოტივაციას განაპირობებს საფრთხის (დილემის) მკაფიო გასიგრძეგანება, რაც გამონაკლისთა უნარი გახლავთ.</u> ასეთ დროს ***„ამ დილემის დამნახველი ინტელიგენციის მხოლოდ მცირე ნაწილი ირჩევს გზას მარტვილობისა, თვითდათმობისა, უთანასწორო ბრძოლისა ციხეებისა და ფსიქიატრიული საავადმყოფოების ჭანგებით აღჭურვილ ურჩხულთან…“***

(ზვიად გამსახურდია, „დილემა კაცობრიობის წინაშე“, 1977 წ.).

დიახ, ეს ჩვენი ინტელიგენციის, ამ შემთხვევაში ქართული მწერლობის, საერთოდ, ხელოვნებისა და მეცნიერების მოვალეობაა, რადგან ასეთ წამ-წუთებში ისევ და ისევ წმიდა ილია მართალს უნდა მივემოწაფოთ-მეთქი: ***„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად…“***

ყოველ შემთხვევაში, ქართული მწერლობის სასანგრო მდგომარეობა სწორედ ქაჯეთის ცხრაკლიტულთა დამხობას უნდა იპიროვნებდეს. ამას მოითხოვს თვითონ დილემის საპირწონე: – ერის სულიერების დაცვა დანაგვიანებისგან და მისი მარადიულყოფის უზრუნველყოფა!..

ისეთ ძლიერ სახელმწიფოში, როგორიც გახლდათ შოთა რუსთაველის თანამედროვე საქართველო, რომელიც იმპერია კი არ იყო, არამედ ლასკარული წესრიგით აზროვნებდა ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, ქართველ ქრისტესმხედართა ძალისხმევას ასევე ამუხლმაგრებდა იმ დროის მწერლური თათბირი ცნობიერ ცხრაკლიტულთა, ანუ ქაჯეთის ციხეთა რაობისა და მათი გამცამტვერებელი ხერხების შესახებ.

ცხადია, ასეთ ვითარებაში, როდესაც ქართული გონითი განფენის სივრცე, ეროვნული მეხსიერება და სახალხო ღირსება ქაჯთა ხართაში (რეზერვაციაში), გნებავთ, ქაჯეთის ციხეშია გამომწყდეული, საზოგადოებას (თუ იგი საბოლოოდ არ შეურიგდა სულით საჭურისობას), უნდა გაუჩნდეს მოთხოვნილება, კიდევ ერთხელ საგანგაშო ზარად დაირისხოს დიდი შოთას „ვეფხისტყაოსნის“ სწავლება ქაჯეთის ციხის აღების შესახებ და უზავოდ გარშემოეწყოს აგერ, ჩვენს ცხვირწინ ჩვენდა დასათრგუნად აქვითკირებულ <u>სა-ამ-ეპოქ-ო ქაჯეთის ციხე-სიმაგრეს</u>.

ბუნებრივია, ამჯერადაც ერისკაცების საფიხვნომ უნდა გაიწალდოს ეროვნული სვლაგეზი. ამ ძალისხმევას, წმიდა წერილის შესაბამისად, უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ ასე გვიზუსტებს:

„სამივე სამად გაიყვეს, თვითომან თითო კარები,
თანა ჰყვა კაცი სამასი, ყველაი გმირთა დარები…“

ქაჯეთის ციხის პირისპირ სამასთა ჩამსანგრებელი ძალისხმევა (შეადარეთ სამასი არაგველი) შემთხვევითი სულაც არაა. დიახ, **<u>სამას-სამასობა</u> ისეთი უფლისწვდომილება გახლავთ, რომელიც ერს, თუ ის მიემოწაფა მას, გამარჯვებას გამოაჭედვინებს ყოველმიზეზგარეშე.** ამასთან დაკავშირებით, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, წმიდა წიგნი დაბეჯითებით გვედედაენება: ***„უთხრა უფალმა გედეონს: ძალზე ბევრი ხალხი გვყავს. არ ჩავგდებ ამათ ხელში მიდიანს, რომ არ გამიდიდგულდეს ისრაელი, არ თქვას, ჩემმა მიხსნაო;***

ამიტომ გამოუცხადე ხალხს და უთხარი: ვინც შეშინებულია და კანკალებს, უკან გაბრუნდეს, წავიდეს გალაადის მთიდან. ოცდაორი ათასი კაცი უკან გაბრუნდა, ხოლო ათი ათასი დარჩა:

უთხრა უფალმა გედეონს: მაინც ბევრია ხალხი. წყალზე ჩაიყვანე და იქ გამოგირჩევ მათ. ვისზეც გეტყვი, გამოგყვეს-მეთქი, ის გამოგყვეს, ვისზეც გეტყვი, ნუ გამოგყვება-მეთქი, ნუ გამოგყვება;

ჩაიყვანა მან ხალხი წყალზე – უთხრა უფალმა გედეონს: ვინც ენით შესვლეას წყალს, როგორც ძაღლები სვლეპენ, ცალკე დააყენე, აგრეთვე ისინიც, ვინც ჩაიმუხლებს და ისე დალევს.

ენით მსვლეპელთა რიცხვი სამასი იყო, დანარჩენმა ხალხმა ჩაიმუხლა და ისე დალია წყალი;

უთხრა უფალმა გედეონს: სამასი მსვლეპელით გიხსნით და ხელში ჩაგაგდებინებთ მიდიანს, დანარჩენი ხალხი შინ წავიდეს“…

(მსაჯულნი; 7,2-7).

როგორც ხედავთ, წმინდა წერილის მიხედვით (უფლის კარნახით) ერის მსოფლმხედველობრივ მიზანმიმართულებას, ცნობიერ სვლაგეზს და რჯულისკანონს აზუსტებს არა ნებისმიერი შარახვეტია (ე. წ. არასამთავრობოები, ან ვითომ თავისუფლების ინსტიტუტი, თვითმარქვია ექსპერტები და ა. შ.), არამედ, უფლისა და მამულის წინაშე პირნათელი, ჩვეულებრივი ადამიანის ყოფით ყოველდღიურობაზე გაცილებით

აღმატებული, ნაცადი გიორგიანელი (ძალიან კარგად მესმის, რომ ე. წ. მეცნიერული კომუნიზმისა თუ ჭაობური დემოკრატიის კონსპექტებით მოთუთიყუშე ათეისტური თვალგახელისთვის ეს ყველაფერი „ძალიან ბუნდოვანი აბსტრაქციაა," მაგრამ არც მაინტერესებს მათი აზრი, მე ვესაუბრები ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ბუნებრივ და ღვიძლ შვილებს, **რომლებიც მზად არიან სამშობლოს სახელით, თუ ეს საჭიროა, ძაღლივით სვლიპონ წყალი!..**

ვერც იმათთვის შევიწუხებ თავს, რომელთა მორწმუნეობა მხოლოდ სანთლის სასხვათაშორისო ანთებით შემოიფარგლება და თუ რამეს სთხოვენ უფალს, მხოლოდ პირად კეთილდღეობას. ასეთი სიმრავლეების გულგრილობამ გააბედვინა უღმერთოთა ხროვას (იმ დროის არასამთავრობოებს) წმიდა ილია მართლისთვის დაეხალათ ბერდანკა და სამშობლოს დასაპყრობად ემეგზურათ მტრისთვის. საბედნიეროდ, ადამიანისა და ქვეყნის, უფრო მეტიც, **კაცობრიობის ხსნას მხოლოდ უფლის სწავლებათა შესაბამისი ძალისხმევა განაპირობებს.**

წუთშესვენება მეორე: როგორც ვხედავ, ჩვენს გარშემო ვერაგობათა ჯერმონაცვლეობით შემოჭენებულ მოულოდნელობებს თვლა არა აქვს. გაზეთი „ასავალ-დასავალი" ხატზე დაფიცებით იუწყება (2014 წ. 25-31 აგვისტო), რომ ერთმა ქართველმა ფილოსოფოსმა ქართველი ერის შესახებ ქართულ ენაზე უფალსწვდომილი მხედრულით სიტყვა-სიტყვით ასე დაწერა თავისი რედაქტორობით გამომავალ ე. წ. ჟურნალ „ჯიპაში". წერილს ჰქვია **„ – ნიჩურტა! – მე ქართველი ვარ!"** იგი ამ ხმაბოდვით ცდილობს ქართველობისა და ქართველი დედის გათახსირებას:

„...დიაგნოზი ერთმნიშვნელოვანია – გონებრივი სისუსტე, მსუბუქი დებილობის ფორმით, ანუ, ფაქტიურად, მდგომარეობა, როდესაც ადამიანის ფსიქიკური განვითარება ჩერდება გარკვეულ ადრეულ ეტაპზე და არ აღწევს ზრდასრულ ფორმამდე. ზრდასრული ადამიანის ტანი და სუსტი, ადრეული ასაკისათვის შესაფერისი აზროვნება – აი, საქართველოს მოსახლეობის, ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა"...

„... როგორც მოგახსენეთ, დიაგნოზი – გონებრივი ჩამორჩენილობა. რაში გამოიხატება? რაში და, ჩვენი არსებობის წესში დებილობა მხოლოდ გონებრივ ჩამორჩენილობას გულისხმობს, შესაბამისად, ავადმყოფი ფუნქციონირებს, პრინციპში, ნორმალურად, ხშირად ნორმალურად სოციალურ ასპექტშიც კი, მაგრამ აშკარაა მისი გონებრივი და ფიზიკური განვითარების შეუსაბამობა. ანუ, გარკვეული თვალსაზრისით, ამ ავადმყოფობის ძირითადი ნიშანი სწორედ შეუსაბამობაშია...

შეუსაბამობა თვითშეფასებასთან. ქართველები, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, პოლუსურ „ზე" რეგისტრში აფასებენ თავის თავს. ან ძალიან კარგები, ან ყველაზე ცუდები. აი, ასეთ ისტერიულ გადახტომა-გადმოხტომაში ატარებს ჩვენი საზოგადოება დროს. მაგრამ ხომ ბუნებრივი და ნათელია, რომ პირველნი ნამდვილად არა ვართ და, ალბათ, არც მეორე ნიშანია ჩვენთვის სრულიად მისაღები, მაგრამ ჩვენ ვერ ვახდენთ იმას, რაც ბუნებრივია ზრდასრული ინტელექტისათვის და გონებრივი განვითარების ერთ-ერთ ნორმალურ ეტაპს წარმოადგენს: ჩვენ ვერ ვახდენთ რეალობისა და ამ რეალობაში საკუთარი თავის შეფასებას. ჩვენ გავჩერდით დაახლოებით იმ საფეხურზე, როდესაც ბავშვი იძახის – „მამაჩემი ცის ტოლაა" – და, სამწუხაროდ, ვერ გავცდით ამ ეტაპს – „ერთი ქართველი ათს სჯობნიდა...", „დავით მეფემ ეს სამტონიანი ქვა ერთი ხელით ამოიტანა გელათში, მეორეთი კი თმას ივარცხნიდა..."

და რაც მთავარია, ვამბობთ და ვიმეორებთ რა ამას, ჩვენ არ გვჯერა ჩვენივე ნათქვამის"...

„... მაგრამ, არა მხოლოდ რუსეთი, ლოთი მამის პირობებში, მნიშვნელოვნად ამრუდებდა ჩვენს აზროვნებას ჩვენი დედაც – ქართლის დედა – ერთ ხელში თასი და მეორეში ხმალი...

ქართლის დედა აკეთებდა იმას, რაც პრინციპში, ლოთი მამის პირობებში, ქალისათვის ბუნებრივია – დაიწყო თავისი ბავშვის დაცვა და ზედმეტი მოფრთხილება, ქართლის დედამ გააკეთა ისე, რომ ბავშვი არამც და არამც არ შედგა კაცად, ისიც მამასავით ყველაფერს უსრულებდა, გაათავხედა და გაამაიმუნა, და თანაც, საწყლად მარტო დარჩენილს, ლოთი ქმრის ხელში სულ ეშინოდა შვილის დაკარგვა და შეეცადა, მისი ბავშვობა მაქსიმალურად გაეწელა, ისე, რომ არ მისცა ბუნებრივი განვითარების შესაძლებლობა. ერთის თქმა კი შეიძლება მის გასამართლებლად – მართლა არ უნდოდა... არ უნდოდა, მაგრამ შედეგად მიიღო კაცი, ბავშვის ფსიქიკით..."

ერიჰაა! ამ თვისებების მიპიროვნება ქართველი ერისათვის მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება: თუ მისი დედანი შინაარსიდან გააძევებ ქართველთა <u>გიორგანულ და ქრისტიანულ</u> ვინაობას (ამის შესაბამის მოვალეობასა და უფლებას), ანუ თუ გაუუკუღმართებ თავის ბუნებრივ სახეს. ამიტომ, წინამდებარე „დებულება" ქართველთა სახალხო სულისკვეთება კი არ გახლავთ, იგი შემოჩეჩებული ძეგლისწერაა საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელმაც აგრესიული გლობალიზმის დივერსიულ ეთნოფაბრიკაციათა შესაბამისად გამოიკინკუბატორა სული!.. ხოლო ეს კაცი, დიახ, ამ სტრიქონების ავტორი, როგორც ვხედავთ, ღირსეული წევრი გახლავთ იმ მიშნაცური „ლიტერატურის", რომლის შემოქმედებით ფეხწყობას განაპირობებენ ლ. ბუდაძის, ზ. ბურჭულაძის, ე. დეისაძის, პ. შამუგიას, ზ. ჭიაბერაშვილის და ა.შ. „საუბორნიო ნაწარმოებები", როგორც ზოგიერთი უწოდებს მას. მაგრამ ამჯერად სხვა უბედურებასთან გვაქვს საქმე. ნახეთ, რას მოითხოვს ზემოხსენებული გაზეთი ამ ხმაბოდვის ავტორისგან:

„ბოლოს და ბოლოს, გაგვაგებინოს პრეზიდენტმა მარგველაშვილმა, ვინ არის მისთვის ქალბატონი მაკა ჩიჩუა – მეუღლე თუ მეგობარი ქალი? ასევე, მიხედოს პრეზიდენტმა თავის ქალიშვილს, რომელიც ხან მთვრალია, ხან რას აკეთებს, ხან – რას და თავს გვჭრის ქართველებს!"

ვაი, უბედურო საქართველოვ, ვაი, შე უმოწყალოდ ტანჯულო ზვიად!..

* * *

განმარტება ფიქრებთან: ჩვენი ქვეყნის იმ მოსახლეობისთვის, რომელსაც ქართული შინაარსის მარადიულყოფა უფლისმიერ სამართლიანობად მიაჩნია, გასაგები უნდა იყოს, ხოლო თუ არაა გასაგები, მკაფიოდ უნდა განემარტოს, თუ რატომ არის, რომ დღეისათვის საქართველოში მოსაქმიანე საინფორმაციო საშუალებათა მიერ საჯარო მიმოქცევაში შეჩალიჩებული (უკაცრავად!) „ავტორიტეტული დასკვნები" ეფუძნება ე. წ. არასამთავრობოების (ხშირ შემთხვევაში საოკუპაციო კონტინგენტისა თუ აგენტურის) საეჭვო განცხადებებს და არა ამა თუ იმ საკითხებზე მომუშავე რომელიმე სამეცნიერო დაწესებულების დაზუსტებულ კვლევათა შეჯერებას. რაც მთავარია, ამ ვითომ

არასამთავრობოთა თვითმარქვია ექსპერტების (როგორც წესი, ბიჭუნების ან გოგუნების) ნაავყიარი იფუთება და საჯარისდება კინაღამ ზეციდან ჩამოგზავნილ „რეკომენდაციად“ (სინამდვილეში დირექტივად). სამწუხაროდ, ეს დირექტივები არ გამომდინარეობენ ქართველი ერის სასიცოცხლო მიზნებიდან, – იგი აგრესიული გლობალიზმის იდეოლოგიური, პროპაგანდისტული თუ სააგიტაციო ხელგამოდება გახლავთ. ვინაიდან, ამ ძალებს, როგორც უკვე გითხარით, სჭირდებათ ჩასაფრებულ ავისმოსურნეთა შეკვეთების განხორციელება და არა დედანი სინამდვილეების გათვალსაჩინოება. საინფორმაციო მიმოქცევიდან წინასწარგანზრახულად აძევებენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საუნივერსიტეტო კვლევათა თუ დარგის სპეციალისტთა რჩევებს. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ამ ე. წ. სამსახურებს ფეხებზე ჰკიდიათ ქართველი ერის აზრი ისეთ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა არა ვინმე კოჟორიძის – ამ ხელოვნურად აკვარცხლბეკებული ბიჭუნას თითისქნევით უნდა ხდებოდეს, არამედ, ჩვენი მოსახლეობის სახალხო ნების გამოკითხვითაა (რეფერენდუმითაა) დაზუსტებული (ან დასაზუსტებელი სამომავლოდ).

მთელი უბედურება ისაა, რომ ასეთი მდგომარეობა შეურაცხმყოფელი არ გახლავთ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მესვეურთა ერთი ნაწილისთვის..

ასეთ შემთხვევაში გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ იგი (მწერალთა შემოქმედებითი კავშირი) ბუნებრივ, ანუ დროის მოთხოვნილებად თვლიდეს იმას, რომ ქართულ მწერლობაში ფეხი მოიკიდა და დამკვიდრდა თაობა, რომლისთვისაც ასეთი წყობილსიტყვაობა „ჩამორჩენილობა“ და „ძველმოდურობაა“: ***„პოეტს ცისფერი ოცნება დაღლის, რადგან სიცოცხლე მეტად რთულია. და მესიზმრება ის ჩვენი სახლი, რომელიც ახლა გაყიდულია“... ან კიდევ „ალბათ გულიდან სისხლი მდიოდა და გული ჩანდა უფრო სტრიქონთან. ვწუხდი, ეს წამი რომ გადიოდა, ვწუხდი, ეს ფიქრი რომ დროს მიჰქონდა“... (ტერენტი გრანელი).***

კარგით, ბატონო, იყოს „ძველმოდური“, მაგრამ სადღაც მითვლემილი ვიღაცის კაცობის გასაღვიძებლად კიდევ ერთ სტროფს წაგიკითხავთ და შემდეგ თავად განსაჯეთ თუ რით უნდა ისაქმებდეს თავს მწერლობა: ***„მზემ ვერ დაინთო ჭიაკოკონა... ჩამოუწყალდათ წყავებს ტოტები; წელკავშუკაში მოდის გოგონა ვალით დამარხულ მამის ბოტებით“... (ლაშა გახარია).***

ახლა ეს წაიკითხეთ: ***„არაერთხელ მიფიქრია მშობლების ჩაძაღლებაზე. მე ვწოვდი ძუძუს, რომელიც შესასძლოა, სექსუალური აქტის დროს მამაჩემს ედო პირში. აბაზანაში ბანაობისას ვიბანდი იმავე საპნით, რომლითაც შესაძლოა, დედაჩემმა...“ (ერეკლე დეისაძე).***

მართალია, ქვემოთ კიდევ ერთხელ რომ წავიკითხავთ იმ ამონარიდის ახალგაზრდა ავტორი (ლაშა გახარია) დიდი ხნის გარდაცვლილია, მაგრამ ამ სტრიქონებით ის სამშობლოს სადარაჯოზე დღემდე წამგაუცდენლად ფხიზლობს: ***„ნუღარ გამიბრაზდებით, (თუმცა რა ვთქვი ასეთი?!), იქნებ, ცოტა მეტია ჩვენი სანდრო ყაზბეგი?!. სხვანი რუს რო ჰგვანობენ... იგი თერგის თარგია, რუსნი აღარ სწყალობენ, უამურად თარგმნიან. თქვენ, რაც გინდა, ბრძანეთ და ჩარჩქერების ქაფია! დარიალის კარებთან ყურშასავით აბია!..“***

ე. წ. ადამიანის უფლების დაცვის არაჯეროვანმა ხერხებმა, როცა უგულვებელყოფილია ადამიანის ყველაზე დიდი, საწყისი და ფუძემდებლური უფლება, – გააჩნდეს ვინაობა, ანუ ჰქონდეს სამშობლო, „მიშნაცური“ დიქტატურის წლებში სახელმწიფო იდეოლოგიის ხასიათი მიიღო. სამწუხაროდ, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირისთვის ეს არ აღქმულა ეროვნული საფრთხის წინადღედ. არადა, ჯერ კიდევ 1977 წელს ზვიად გამსახურდია აფრთხილებდა საზოგადოებას: ***„შეიქმნა უკიდურესობები პიროვნულ და სამოქალაქო თავისუფლების გაგების სფეროში“ („დილემა კაცობრიობის წინაშე“).***

სწორედ ასეთმა უკიდურესობამ ნაციონალური მოძრაობის მიერ შემოძღოლილი თაობის სააზროვნო სივრციდან თუ შემოქმედებითი სამყაროდან **გააძევა ეროვნულ უფლებათა დაცვის სულისკვეთება.** უფრო მეტიც, სახელმწიფოსა და ადამიანის უფლებები შორსგამიზნულადაა გამიჯნული. ხელი საგანგებოდ ეწყობა პიროვნების დაპირისპირებას საკუთარ ერთან (ვინაობასთან) და სახელმწიფოსთან. ნაციონალური მოძრაობის წახალისებით ქვეყანაში შეიქმნა ისეთი შემოქმედებითი (მწერლური) საზოგადოება, რომელსაც არ აწუხებს უზნეობის შემოშვება ქვეყანაში, პირიქით, დიდწილად იგი მისი მოხალისე და თანმიმდევრული მეგზურიც კი გახდა. ადამიანებს მიზნობრივად ავიწყებენ, რომ საზოგადოების ზნეობაზეა დამოკიდებული ქვეყნის ბედი.

ამრიგად, ნაციონალური მოძრაობა და მისი იდეოლოგიური გამნარყები ცდილობენ ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური აბრის ქვეშ არა ერის სასიცოცხლო საქმეების თავმობმას, არამედ „ახალი“, სწორედ ქართულს დაპირისპირებულ და სამშობლოს მიმდგომელ გარეწართა ჭარხნული წესით წარმოებას.

ასეთი დივერსიული ფაბრიკაციების მისაღწევად ამ ფეხაწყობამ ახლო წარსულიდან გამოიხმო რუსიზმის (გნებავთ, ლენინიზმის) დიდმპყრობლური ხერხები (რომელსაც, მათი თქმით, ვითომ ებრძვიან). აქედან გამომდინარე, მიშნაცური მოძრაობა ჯერ ადგენს მსხვერპლს, ანუ ეროვნულ შინაარსს (კლასობრივი დიფერენციაციის მაგვარი), შემდეგ ყოველმხრივ ამცირებს, აქილიკებს, აშარჟებს და ამ სახით აცხადებს მტრად (იდეოლოგიური შემზადება). ბოლოს კი მორალურად (ფიზიკურადაც) უსწორდება მას. აი,ასეთი გახლდათ (გახლავთ) ე. წ. ნაციონალური მოძრაობის სახელმწიფო პოლიტიკა. უფრო მეტიც, მათი აზრით, ერს არ სჭირდება ეროვნული სახელმწიფო, რადგან იგი პიროვნული თავისუფლების გარანტი არაა!..

ასეთი ავმოსურნე სიცხადის გასწვრივ საგანგაშოა, რომ საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მესვეურთა თვალწინ, ის კი არადა, მათი პირდაპირი თუ ირიბი ხელშეწყობის პირობებში განხორციელებულ ქვეგამხედვარობებს, როგორც მოსალოდნელი იყო, არა თუ არ მისადაგებია სათანადო შეფასებები, მწერალთა ყრილობის დონეზეც არავის გასხენებია ერის პარტახი, ისევე, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა „უკონფლიქტობის თეორიის“ შესაბამისად ახლო წარსულში. დიახ, საქართველოს მწერალთა შემოქმედებით კავშირს არ დაუგმია ნაციონალური მოძრაობის მიერ სახელმწიფო ინდუსტრიის დონემდე აყვანილი ქართველი

ერის დენაციონალიზაციის დაკანონება თუ მისი ქვეყნის პოლიტიკური პროგრამის რანგში აყვანის მცდელობა, არამედ, არ ვიცი, წინასწარ-განზრახულად მოხდა თუ არა ეს, მაგრამ ისე გამოვიდა, რომ თავიანთი საეჭვო დუმილითა და გამრიგებლობით „გზაც იქით ჰქონიაო“ და „საკუთარი წიხლიც ჩააზილეს“ მიშარასტების მიერ ქართულ მწერლობაში უკვე სამიზნედ დადგენილ წმიდა ილია მართლისეულ მსოფლმხედ-ველობას, რითაც ხელი მოუმართეს ხალხში „უბორნიის მწერლობად“ წოდებული მომწერავე სექტის თვითდამკვიდრებას, რომელთა „შემოქმე-დებითი“ ოსტატობის დონე და სულიერი მდგომარეობა მათი სახეზოგა-დობის გამომხატველი ერთი ე. წ. ლექსით უკვე გაგაცანით ზემოთ.

ნებისმიერ მოვლენაზე შედეგის პერსპექტივის მიხედვით უნდა იმსჯელო. ამის მიხედვით ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნა იმას ნიშნავდა, რომ <u>საქართველოს ეროვნული მარადიულყოფის გარანტი – ქართველთა სახალხო სახელმწიფო უნდა განადგურებულიყო</u>, რათა მას აგრესიული გლობალიზმის საოკუპაციო ბიუროკრატია ჩანაცვლებოდა ყველგან და ყველაფერში. ყოველივე ამას უნდა მოჰყოლოდა საქართველოს ე. წ. ცენტრ-ნაცმენური შინაარსით გადახარისხება და დაყოფა. ქართველი ერის გადაასლება და მორგება აშშ-ს სინამდვილისადმი, ქართულ სინამდვილეში „დიდმპყრობელი“ და მისგან „ჩაგრული“ ზონების მიზნობრივი შეკოწიწება და ა. შ. და ა. შ.

წუთშესვენება მესამე: მკითხველს ვუხდი ბოდიშს, რომ ამჯერად ძალიან ზოგადად ვსაუბრობ, იმიტომ კი არა, რომ ეს საკითხი ზედაპირულად ვიცი, ჩემდა და თქვენდა საუბედუროდ, ამ მხრივ დაგეგმილი ვერაგობები, შუაკაურები, ყოვლისმკადრებლობები გაცილებით თავზარდამცემი და შორსგამიზნულია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ამის წარმოდგენა. ვიცი, ბატონებო, ძალიან კარგად ვიცი, რაცაა ეს და მთელი ჩემი ცხოვრება ვებრძოდი ამის რეციდივებს. ამიტომ, ამ **საკითხის ქვედადინებები სხვა დონის ეროვნულ საფიხვნოშია სამსჯელო** ამ მხრივ კომპეტენტურ ადამიანებთან და არა საგაზეთო წერილში. ერთს კი ვიტყვი და მიმხვედრი თვითონ მიხვდება, თავის გარშემო ნურავინ გააჭაჭანებს აზრს, რომ საქართველოს რომელიღაცა კუთხის შვილს **„არა აქვს ქვეყნის პრეზიდენტობის უფლება“.** ესაა ვოსტორგოვული ხმაბოდვების ქმედუნარიანი გამოძახილი ბრბოს მდგომარეობაში ჩაყენებულ საზოგადოებებში. ქვეყანაში ასეთი განწყობის გასადვივებლად რასაც რუსიზმი აკეთებდა, მეტ-ნაკლებად იცის საზოგადოებამ, მაგრამ ყოველივე ეს „ბავშვის ონავრობაა“ იმასთან შედარებით, „დემოკრატიის აკვანი“ გვაჩენს ცენტროკრატიულ კონტინგენტად მიჩნეულ ჯუჯა „დიდმპყრობლებს ადგილებზე“, რომელთათვის საქართველო მეწყერსაც წაუღია, ოღონდ „დიდმიდან სამგორამდე“ იყოს სიმშვიდე. არა, ბატონებო, ასეთ თვალსაწიერში ვერ იბედნიერებს ჩვენი სამშობლო. **არადა, ნეტავ გაცოდინათ, რა თანხებია დასაწყობებული ამგვარ ჭერჩამოქცევათა უზრუნველსაყოფად!..**

... და ერთიც, „დემოკრატიის აკვნად“ მიჩნეულ აშშ-ში, რომელიც ადამიანთმოყვარეობის გაკვეთილების ჩატარებას გვინდომებს ამ მხრივ უფლის სწავლებებს თვითმარქვიად ჩანაცვლებული, ვინმეს აწუხებს ან

ახსოვს, რომ ამერიკის კონტინენტი თავიდან ბოლომდე მიზნობრივად გადაშენებული (ან გადაშენების პირამდე მიყვანილი) ხალხების სისხლშია აზელილი, რომ მათ სასოწარკვეთილ გმინვას ვერა და ვერ ახშობს აქ შემომლავლილი ევრო-ატლანტიკური ინდუსტრიის გამაყრუებელ არახ-რახებას და, რაც მთავარია, ვინმე ეკითხება საკუთარ თავს, - როგორ მოხდა, რომ უძველესი ცივილიზაციის ამერიკელ ხალხებს თავიანთ კონტინეტზე არცერთი საკუთარი სახელმწიფო არ გააჩნიათ? მაინც რა უნდა მომხდარიყო ასე აღმგველი?!.

* * *

სამწუხაროდ, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავკაცები ქვეყნისთვის შემოხარაჩოებული ასეთი საფრთხის გვერდით, მშვენივრად, როგორც დღეს ამბობენ, კოჰაბიტაციის რეჟიმში თანაარსებობდნენ ყოველივე ამასთან და საკუთარი ფისკალური საქმეებით დაწარამარაობნენ მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წმინდა (წესით, ასე უნდა იყოს) აბრის ქვეშ.

არადა, ქართული მწერლობის კოლექტიური ჩათრევა რ. მიშველაძის, მ. გონაშვილისა და ა. შ. დღეს მორიგ სექტად ქცეულ ორგანიზაციაში, აგრესიული გლობალიზმის საოკუპაციო კონტინგენტის – მიშნაცური ძალებისა თუ მსგავსი ამონაყლორტების თვითდასამკვიდრებელი ტაქტიკა გახლავთ, რამეთუ, <u>ამნაირი „მწერლობის“ საწარმო ქართველი ერის მარადიულყოფის სადარაჯოზე მედღეურად არ შეიწუხებს თავს.</u>

რა თქმა უნდა, ასეთი მწერალთა შემოქმედებითი კავშირი ჩვენ დღეს ბოროტმოქმედებებისთვის ძებნილი მ. სააკაშვილისა და ასევე დამნაშავე ნაციონალური მოძრაობის არაეროვნული ანუ აგრესიული გლობალიზმის საოკუპაციო რეჟიმის შესაბამისი პოლიტიკის, მსოფლმხედველობის, აზროვნების წესისა და საორგანიზაციო დასკვნების მეშვეობით გვემემკვიდრა. საუბედუროა, რომ საქართველოს მწერალთა შემოპქმედებითი კავშირი მ. გონაშვილისა და რ. მიშველაძის ძალისხმევით სწორედ მ. სააკაშვილის ბოროტმოქმედებებათა ან თანამონაწილე ან კიდევ მისი ნებადართულობის ფარგლებში „მოძალისხმევე“ რაობად იქცა. დიახ, წერალთა შემოქმედებითი კავშირი, როგორც ინსტიტუცია, ნებსით თუ უნებლიედ, მთელი თავისი ავ-კარგით, მ. სააკაშვილის საქმეთა მოუხლეჩ შემადგენლად დადგინდა თავი და მისი გამგეობის თაოსნობით ასეთივედ დარჩება.

დასასრულ, მინდა ძალიან კეთილმოსურნედ შევეკითხო მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრებს, ვართ იმისთვის მზად, რომ ეს კავშირი <u>ეროვნულ ძალისხმევად აგუჯებიროთ ეთნოფაბრიკაციულ დივერსიებს?!</u> საერთოდ, თუ გვიჩნდება ხოლმე ამის სურვილი ან თუ ვხედავთ ასეთი საჭიროებას?! არადა, ერისკაცული ამბოხისთვის მწერალთა კავშირიდან ერთ დროს გარიცხული მწერალი თავის წერილში, რომელიც მასთან ერთად დააპატიმრა სუკ-მა, ხმამაღლა გვაფრთხილებდა: ***„ნურავინ იფიქრებს, რომ, მაგალითად, საბჭოთა კავშირში მხოლოდ მმართველ წრეებს დაებადათ იდეა თავისუფლებისმოყვარე ადამიანების სულით ავადმყოფებად გამოცხადებისა.***

ეს ფსიქოლოგია თავად მასაში შემუშავდა თავდაპირველად, იმდენად წარმოუდგენელი იყო სახელმწიფო ტერორისა და ტოტალიტარიზმის ხუნდების წინააღმდეგ რაიმე ამბოხი „ჭკუათმყოფელი“ ადამიანისათვის“...

(ზვიად გამსახურდია, „დილემა კაცობრიობის წინაშე“, 1977 წ.).

ჟამთაბერი სასტიკად სჯის ხოლმე წინგაუხედაობას: იმაზე დიდი ღვთისწყრომა რა უნდა დაგვტეხოდა თავს, <u>რომ იმ მაგიდაზე, სადაც დაიწერა „საქართველოს სულიერი მისია“, ერს გადაგვარებისკენ მოწოდებად აუფრიალეს „ნიჩურტა“ – მე ქართველი ვარ!..“</u>

დიახ, იცის ასეთი წახუმრება ბორჯმა, მაგრამ ეს არაა ქართული შინაარსის დედანი. იგი „კოლხურ კოშკში“ დაწერილ ასეთ სტრიქონებშია საძებნი: ***„ჩვენ გვაქვს მონაცემები უმჭიდროესი კავშირებისა ქართველ რაინდებსა და ტამპლიერებს შორის. ტამპლიერობა იყო მოძრაობა, რომელმაც გააერთიანა დასავლური და აღმოსავლური სიბრძნე, დასავლური და აღმოსავლური ინიციაცია. ამიტომ არის, რომ ამ შავ-თეთრი ვაჟის, პარციფალის ნახევარი ძმის ძეა მეფე-ხუცესი იოანე. მეფე-ხუცესი იოანე ჯვაროსნულ ქრონიკებში იდენტიფიცირებულია დავით აღმაშენებელთან, მაგრამ ეს არის არა მხოლოდ პიროვნულად დავით აღმაშენებლის სიმბოლო, არამედ საერთოდ მთელი იმ სიბრძნის სიმბოლოა, რომელიც დაიბადა დასავლეთში და შემდერ შეერწყა აღმოსავლურ სიბრძნეს...“***

...და ბოლოს, სანამ წერტილს დავსვამდე, მკითხველთან ერთად მინდა კიდევ ერთხელ მოვითვალსაწიერო პოეტის სამმაგი მზერით დანახული ეროვნული ვინაობის ნიშანსვეტები:

„როგორ ბრძანდებით, თეთრო ბატონო,
ჩემო მეუფევ, როგორ ბრძანდებით;
ისევ ქართული სჯულით გვარტომობ,
თუ ულელ-მედელთ უძიძავდები...“

ნახეთ, აი, ესეც:

„დრო არ მაქვს არჩევ-არადანისა,
რომ შევარჩიო სხვა შედარება:
ნისლზე მჩატეა ქუდი სვანისა,
მაგრამ მძიმეა მისი ტარება!..“ (ლაშა გახარია)

ამგვარი ქუდის ტარებას კი მხოლოდ ეროვნული თვალსაწიერი განაპირობებს. აი, ამისთვის სჭირდება დღეს საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირი, რომელმაც ბიბლიური წყლის სამასი მსვლეპელის მოვალეობა უნდა გაიპიროვნოს დედა საქართველოს მარადიულსაყოფად.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინება – თავისკვეთა
წინამორბედისა და ნათლისმცემელისა იოანესი
28.08. – 11.09.2014 წ.

≈*≈

3. რიხი, რომელიც უვინაობაში ჩაიკნინა...

„იყვნეთ ჩემდა ერ საზეპურო“...
გამოსვლათა – 19,5;
„ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი...“
წმიდა ილია მართალი;
„ხოლო სამშობლო თავს ურჩევნიათ ადამიანებს და არა მონებს“...
ოთარ ჭილაძე

გაბილიკება თავსათქმელისკენ: ადამიანი თავისუფალი მხოლოდ საკუთარ ვინაობაში, ანუ თავის ჯიშისმიერ (გენეტიკურ) შინაარსსა და ცნობიერ სივრცეში, მაშასადამე, სამშობლოში გახლავთ.

ოკუპირებულ საბჭოთა საქართველოში ქართული ფეხბურთი (საერთოდ, სპორტი) წარმოადგენდა იმ უტევანს, სადაც ქართველი კაცი ეროვნული ბეჭდაუდებლობის გამოსაჭედად იხარჯებოდა. ამგვარადაც ღუღაბდებოდა გიორგიანული მარადიულყოფის რწმენა.

ცნობილი ამბავია, მაგრამ მაინც შეგახსენებთ, როდესაც სერგო კოტრიკაძე თბილისის „დინამოს“ მეკარედ მოიწვიეს, ფეხბურთის კარუზოდ აღიარებულმა ბორის პაიჭაძემ ასე დააკვალიანა იგი: ***„შენ მარტო თბილისის „დინამოს“ კარებს კი არ იცავ, არამედ, პირველ რიგში, დარიალის კარებსო“!..***

... და თუ როგორი თავდადებით უნდა დაიცვა დარიალის კარები, ე. ი. სამშობლო, ეს ათერგდარიალებულია ამ სტრიქონებში*:*

„ნუღარ გამიბრაზდებით (თუმცა რა ვთქვი ასეთი?!),
იქნებ, ცოტა მეტია ჩვენი სანდრო ყაზბეგი?!.
სხვანი რუს რომ ჰგვანობენ, იგი თერგის თარგია.
რუსნი აღარ სწყალობენ, უამურად თარგმნიან.
თქვენ რაც გინდათ, ბრძანეთ და ჩანჩქერების ქაფია!
დარიალის კარებთან ყურშასავით აპია!..
(ასე უპასუხა სულნათელმა <u>ლაშა გახარიამ</u> იმ სტუდენტებს, რომლებმაც <u>ამოიყროყინეს – „ყაზბეგი პრიმიტივიაო“...</u>

სწორედ ასეთი „საალგეთისმგლო“ განწყობითა და შემართებით გაემგზავრნენ ქართველი ფეხბურთელები 1964 წლის 18 ნოემბრისთვის შორეულ ტაშკენტში, <u>რათა საფეხბურთო მაისურში გამოხვეული რუსიზმის ცხრათავიან ურჩხულს სამკვდრო-სასიცოცხლოდ, ქრისტესმხედრულად (არა, არ ვაზვიადებ, პირიქით) შერკინებოდნენ.</u> შეერკინენ კიდევაც და... პირწმინდად ბეჭებზე გააწვინეს!..

ამ დღიდან 50 წელი გავიდა, მაგრამ ცხადად მახსოვს, იმ დღეს სოხუმში, მიუხედავად იმისა, რომ წვიმდა ზღვისპირეთში, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ათიათასობით გულშემატკივარი. მათ შორის ახ-ლო-მახლო სოფლებიდან ვ. ი. ლენინის (ფუი, ეშმაკს) ცენტრალურ პარ-კსა და მიმდებარედ შეიკრიბა, რათა აქ აღმართული ხმამაღლამოლაპა-რაკიდან მოესმინა რადიორეპორტაჟი *(რომელიც თავისთავად დიდი*

ხელოვნება და საერისკაცო ძეგლისდება გახლდათ. მას დიდოსტატურად უძღვებოდნენ ეროსი მანჯგალაძე და კოტე მახარაძე).

<u>დიახ, ასე იდღესასწაულეს ქართული ღირსების „გაალგეთისლეკვება“ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში).</u>

თუ რა სახის სახალხო ქუდზეკაცობა იყო ეს, ამაზე მეტყველებს ერთი სოხუმელი ელინის მოგონება (იგი ამჟამად საბერძნეთში ცხოვრობს): „Так вот, заканчивается второй тайми один из наших друзей (не стану называть его имя) спрашивает у меня: «Скажи, а в каких майках играют тбилисцы?»(Николай (Кока) Константиниди, «Страна Сухумия», г. Афины, 2007 г.).

დიახ, ბატონებო, ამ კაცხ ფეხბურთის ინჩი-ბინჩი არ ესმოდა, მაგრამ ერის სახმობს ყურდახშობით არ მიგებებია, ხელოვნურ დაბრკოლებებს არ შეეპუა, საკმაო ხარჯს არ დაერიდა, „ცხრამთაგადაიარა“ და სახალხო ძალისხმევას ქუდზე კაცად დაუდგა.

მოხდა ისე, რომ 2014 წლის 14 ნოემბერს ფეხბურთში პოლონეთის ეროვნულ ნაკრებთან – ძალიან ძლიერ გუნდთან შეხვედრის წინ, იმ დღეებში, როდესაც სამამულო ფეხბურთის საამაყო „დიდგორს“ 50 წელი უსრულდებოდა, ქართულ საზოგადოებას და განსაკუთრებით ჩვენს ფეხბურთელებს, არავინ შესაფერისად და საგაკვეთილოდ, საძალისხმევო ნიშანსვეტად არ შეხმიანებია რუსიზმთან უთანასწორო ომში სატაშკენტო ორთაბრძოლისას „**ძლევაი საკვირველის**“ შესახებ.

ცხადია, რაკიღა აგრესიული გლობალიზმის მიზანს წარმოადგენს ჩვენს ქვეყანაში კვალიფიციური ადამიანების (შემოქმედების, მეცნიერების, ხელოვანების, სპორტსმენების, მუშების, მეურნეების, გლეხებისა და ა. შ.) განადგურება თუ არა, დეკვალიფიკაცია მაინც, გასაგები უნდა იყოს, რომ ამით ჩვენი სამშობლო უარავინობასა და უვინაობაში უნდა ჩაიძიროს.

<u>ასეთია მიზანი, რომლის აღსასრულებლად აგრესიული გლობალიზმის ადგილობრივმა ხელისბიჭებმა და მეგზურებმა ეროვნული ცნობიერებისა და სახალხო სულისკვეთების წინააღმდეგ საკონტროლოდ გამსროლის მოვალეობა გაიპიროვნეს.</u> *ამგვარ ვითარებაში ჩვენს ღირებულებებსა თუ სიწმინდეებზე ნებისმიერი შარახვეტია გადმოდის უბოდიშოდ, დაუკაკუნებლად, ფეხებგაუწმენდლად და დაუბანლად, თითისქნევით, ჭკუისსწავლებით, ჩასასაქმებლად, ჩასარწყევად...*

სამწუხაროდ, ეს არაა <u>თაობის თითქმის საყოველთაო გამოთაყვანების პირველი შემთხვევა.</u> აგრესიული გლობალიზმის დივერსიულმა საეთნოფაბრიკაციო ინდუსტრიამ ჩვენს ქვეყანაში გამოიინკუბატორა და აიღორძინა სიმრავლე, რომელიც ზუსტად ისევე, როგორც წმინდა ილია მართლის შუბლს ტყვიის მიმმიზნებელთა ხროვა, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრობის საპირისპიროდ, საქართველოს წინააღმდეგ მოხალისედ, შთაგონებითა და დაუზავებლად ებრძვის ნებისმიერ ეროვნულ წამგაელვებას. მათი გარჯულუცხოება და ამის შესაბამისი სისასტიკე სულ უფრო და უფრო აღმგველი ხდება, იგი უნუგეშოდ კარგავს განსჯისა და, აქედან გამომდინარე შედეგების გასიგრძეგანებისა თუ აწონ-დაწონვის უნარს.

ეს სიმრავლე, რომელსაც სასათბურე პირობები გააჩნია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ ჩასასანგრებლად, ზედმიწევნით ფლობს-მეთქი იმ ხროვულ ხერხებს, რომლითაც, თავის დროზე, დიდი ილიას წინააღმდეგ „ინტერნაციონალიზმისა“ და „ხალხთა კეთილდღეობის“ სახელით გვინაცარტუტა მამული გარჯულუცხოებულმა ურწმუნო თაობამ. შემზარავია მათი თარეშის მოგონება, მაგრამ მაინც უნდა შეგახსენოთ ამ ტუტუცთა გარეწრობის ერთი მტკიცებულება: <u>საქართველოს სულიერი მამის – წმინდა ილია მართლის უწყინარ ცხოველს – პოეტის ხელზე მიჩვეულ მის ჯორს, მას შემდეგ, რაც ის დაბორკეს და აწამეს, უკანალში ეროთი შეურჭვეს წვერწამახული პალო და ასე შეუნგრიეს გულ-ბოყვი. ამის შემდეგ მათ ბერდანკა აიღეს ხელში და საქართველოს ესროლეს შიგ გულში.</u>

არ იქნება გადამეტებული, თუ ვიტყვით, რომ დღეს საქართველოში „დემოკრატიისა“ და „ადამიანთა უფლებების დაცვის“ ლოზუნგებით აშლიგინებულ ფეხაწყობათა უპირატესი ნაწილი, რომელიც საზღვარგარეთიდან ქართველი ერისთვის საეჭვო მიზნითა და წყაროდან ფინანსდება, პოტენციურად <u>იგივე ბერდანკის ხელში ამღები გახლავთ, რომლითაც მეოცე საუკუნის დასაწყისში ვითომ ხალხთა უფლებების სადარაჯოზე იდგნენ უსამშობლო თავაწყვეტილები. თუ როგორ დაიცვეს მათ ეს „უფლებები“, ამის თვალსაჩინოებაა მეოცე საუკუნიდან გადმოდენილი სისხლის მდინარეთა წყალდიდობები.</u>

კინაღამ ი. ა. კრილოვის „კვარტეტივით“: ...დრო, საზოგადოებაში, რომელიც სავსებით სამართლიანად მოითხოვს თავისი სპორტსმენებისგან გამარჯვებებს, დაისვას კითხვა: არის თუ არა მოსალოდნელი მოასპარეზეთა „ძლევაი საკვირველი“ და, აქედან გამომდინარე, სახალხო დღესასწაული უვინაოთა ბრბოში?!.

2014 წლის 10 ნოემბერს, პოლონეთთან მატჩის წინ საზოგადოებრივი მაუწყებლის I არხის გადაცემაში „არენა“ პროგრამის წამყვანმა დავით მინაშვილმა მოიწვია იმხანად საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია და, როგორც იტყვიან, მოახერხა მისი „აგდება“.

წონასწორობა დაკარგულმა თ. ქეცბაიამ არეულ-დარეული ბრალდებები გადმოაპირქვავა, რომელთა შორის ჭკუადამჯდარი და ჩაუსაფრებელი კაცისთვის საგაკვეთილოც ერია. მთავარი მაინც ის იყო, <u>რომ მან მკაფიოდ განაცხადა, მრავალი მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, ქართულ ფეხბურთს დღეს მაღალი ადგილისთვის ბრძოლა არ შეუძლია.</u>

ჩასაფრებულმა დ. მინაშვილმა კარგად გამოიყენა ის, რომ თ. ქეცბაიას **„სიტყვა-პასუხი მკვახე აქვს და კაზმულ ლაპარაკს მოკლებულია“**. თ. ქეცბაიას აზრით, ქართული საფეხბურთო პარტახის ერთ-ერთი მიზეზი ჟურნალისტების არაჯეროვანი საქმიანობაც ყოფილა (მას უნდოდა ეთქვა, რომ ქვეყანაში არ არსებობს ეროვნული სულისკვეთების საინფორმაციო სამსახურები და ე.წ. მედია მისეულია მხოლოდ სკანდალს (<u>უღირსებობის კოდექსი</u>).

თავის მხრივ დ. მინაშვილმა მიიჩნია, რომ ჟურნალისტის თითისქნევას, თუნდაც ეს ბატონ დავითის ციდამტკავლური დონე იყოს, ნებისმიერი „სმენაზე“ უნდა ისმენდეს, რადგან იგი კაცღმერთი გახლავთ და სიტყვა არ უნდა შეუბრუნო.

არადა, დ. მინაშვილიც და, საერთოდ, ე. წ. ჟურნალისტთა ერთი ნაწილის ჩიქორთული საფეხბურთო მიმოხილვები ზერელობაში ჩაეფლო. ისინი გვერდს უვლიან იმას, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია საქართველოს მარადიულყოფის პროგრამა და შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა (პირდაპირ ვიტყვი, ეს ე.წ. მიმოხილვები ქართულ ენაზე მიმიზნებულ ძალადობას წარმოადგენენ).

რა თქმა უნდა, თ. ქეცბაიას ჰქონდა შეცდომები, მაგრამ ქართული ფეხბურთის პარტახის მხოლოდ სამწვრთნელო პრობლემამდე დაყვანა ძალიან ჰგავს ი.ა. კრილოვის ცნობილი იგავის – „კვარტეტის“ შინაარსს.

გახსოვთ მეკვარტეტეთა ჯახირი: წაჯდომ-უკუჯდომით ვერა და ვერ ააჟღერეს ჰანგი. **მათ საამისოდ მთავარი –სმენა არ გააჩნდათ.**

ასეა ამჯერადაც, – დიახ, სახელმწიფოს არ მოეპოვება არა მარტო ფეხბურთის ან, საერთოდ, სპორტის, არამედ, ვიმეორებ, აღარ არსებობს ქართველი ერის, მისი სულიერების მარადიულყოფის სახელმწიფო პოლიტიკა, ქვეყანა განგებ არაა შეიარაღებული შესაბამისი მსოფლმხედველობით, რომელიც უნდა აღმოცენდეს ერის დიადი წარსულიდან (ამ შემთხვევაში იმ ოქროს ბიჭებისა თუ მომდევნო საამაყო თაობების ღირსეული ძალისხმევებიდან).

ამის სანაცვლოდ ჩვენ დაჟინებით და ჯიუტად ვცდილობთ, ჩვენთვის საგანგებოდ გადმოასლებულ და თავს მოხვეულ შინაარსს ჩავაშენოთ ეროვნება და წარმომავლობა, მეტიც, ქვეყნისათვის სახლიკაცური გარჯა კინაღამ „მავნებლობად“ საჯარისდება და მამულისადმი მიმდგომლურ იერიშებში უპატიურდება მიჩქმალული სახელმწიფოს დიდება! არ ხდება ასე გამარჯვებათა მოპოვება და როდესაც მაინც გესურვილება, მკვდრადშობილი მონდომებაა ეს!..

დავუბრუნდეთ ფეხბურთს, როგორც გახსოვთ, შედგა ეს მატჩიც პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრებთან. მისი პირველი ტაიმი ქართველ ფეხბურთელთა გმირული, აზრიანი და სანახაობრივად ლამაზი გახლდათ, თუმცა მეორე ტაიმში პოლონელებმა თავიანთი ოსტატობისა და საბრძოლო ჟინის, რაც მთავარია, ღირსების გრძნობის წყალობით მოიგეს დიდი აბგარიშით. თ. ქეცბაია გადადგა.

დასამალი არაა, რომ ის რიხი, რითაც ქართველი ფეხბურთელები მოწინააღმდეგეს შიშის ზარს სცემდნენ, არა მხოლოდ რუსეთის, არამედ მსოფლიოს სახელგანთქმულ სტადიონებზე და ეს ხდებოდა მაშინ, როდესაც ისინი **„დარიალის კართან მეციხოვნეებად იდგნენ,“** – მრავალწლიანი კოსმოპოლიტური თვითდაგეშვის გამო **(„დავეუფლოთ ამერიკულ სულს“) –დღეს უვინაობაში ჩაიკნინა.**

სხვათა შორის, ამ საკითხებზე 17 ნოემბერს დ. მინაშვილმა იმავე „არენაში“ სასაუბროდ მიიწვია ახალგაზრდა მწვრთნელი გიორგი დევდარიანი, რომელსაც ეყო კეთილსინდისიერება, ქართველ ფეხბურთელთა მარცხზე სწორად ემსჯელა.

მან ირიბად, მაგრამ მაინც მიანიშნა, რომ სანაკრებო მარცხის მიზეზები მარტო ქეცბაიაში არაა, იგი სახელმწიფოს შესაბამის პოლიტიკაშიცაა დასაძებნი: მართალია, ქართველი ჭაბუკები შეჯიბრებებში თავიანთ ევროპელ თანატოლებს ტოლს არ უდებენ, მაგრამ შემდგომ ვერ ოსტატდებიან. ვერ ყალიბდებიან პიროვნებებად და სხვადასხვა საცდურებში იძირებიანო.

გასაგებია, ის, რასაც გაკვრით შეეხო გ. დევდარიანი, ნიშნავს საგანმანათლებლო პროგრამის მოშლას: როდესაც ქვეყანაში მიზნობრივად აპარტახებენ მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და მსოფლიოში სახელგანთქმულ მის დარგობრივ საკვლევ ინსტიტუტებს: კინწისკვრის წესით საამღზრდელო ასპარეზიდან აძევებენ უდიდესი გამოცდილების მქონე სპორტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტს, დათხოვნილად აცხადებენ პედაგოგიური უნივერსიტეტს, კნინდება თეატრები, კინო, ქვეყანაში იწიხლება ეროვნული სულისკვეთება... ამის შედეგად მოდის ყოველმხრივი ეროვნული პარტახი, იუდეველური უღირსებობა და ხელგაწვდენა „გვეხმარებიან“ ან სხვის კმაყოფაზე (პარაზიტობა) ყოფნის სურვილი.

ასეთი პარტახის ჯერ გამოსწორებას და შემდეგ წელში გამართვას არა მარტო ათწლეულები სჭირდება, არამედ, ზოგჯერ– საუკუნეებიც კი.

არ შეიძლება, ქვეყანა მარადი შეგრდის განწყობით აცხოვრო. ის კი არადა, საკუთარ ვინაობასთან ზურგშექცევით დგომა და ხმაბაძვითი უცხოთუმეობა ჩვენი საზოგადოებისადმი საზღვარგარეთელი „მზრუნველებისგან“ წამოყენებულ მოთხოვნად იქცა. ასე ხელგაშვერითა და უვინაოდ არ მიდიან დიდებისაკენ, გამარჯვებათა გამოჭედვას სჭირდება ქართველი კაცის გიორგიანულ, ანუ ქრისტემხედრულ შინაარსში აღორძინება და არა ბრბოდქცეულთა გუნდი.

ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, ვიქტორ პანიუკოვი, ავთანდილ ღოღობერიძე, ნიაზ ძიაპშიფა, ვლადიმერ მარღანია, გიორგი გრამატიკოპულისი, მიხეილ მესხი, ვლადიმერ ბარქაია, ზაურ კალოევი, გურამ ცხოვრებოვი, ილია დათუნაშვილი, გიორგი სიჭინავა და ა.შ. ქართველი ფეხბურთელები იყვნენ და ქართულად აზროვნებდნენ. დიახ, მათ ქრისტემხედრული მოტივაცია გააჩნდათ: **გახსოვდეს, შენ დარიალის კარებში დგახარ!..**

საუბედუროდ ჩვენდა, დღეს ქართველთა ქვეყანა, რომელიც ჩასადაებულია აგრესიული გლობალიზმის კბილანაში და მისი პროგრამით იმართება, არ გახლავთ თავისი მარადიულყოფის შემოქმედი, ამიტომ ამ სულისკვეთებაში ვერ ცხოვრობს.

საქართველო, სადაც, პირველ რიგში, გარეგანი ხელგამოღებით მოიშალა ხელოვნება, მეცნიერება, ლიტერატურა, განათლება, კულტურა, სპორტი, სახალხო მეურნეობა და ა.შ. როგორც მოგახსენეთ, იმყოფება ხელგაშვერილის („გვეხმარებიან“) მდგომარეობაში, მას მოუდუნეს პირველგამკვლევის, პირველადმომჩენის, პირველმფლობელის, შემქმნელის, მწარმოებლის, ბეჭებდაუდებლის მოთხოვნილება და შემოაჩენეს მეორადი მოხმარების, ანუ სხვისი გამონაცვლის თვითკმარობით კმაყოფილდება (სხვის კმაყოფაზე მყოფი – იუდეველეცი).

როდესაც ნებაყოფლობით თმობ მწარმოებლის, შემოქმედის, გამომჭედის, პირველი დამის შეუგინებლობას და სიწმინდეს, ღირსებაში გაბედნიერებით ტკბობას და ცალკეული მოქალაქე კი არა მარტო, მთე-ლი ქვეყანა თავის სახელმწიფო პოლიტიკას აგებს სხვისშემყურეობასა (ისევ და ისევ „გვეხმარებიან“) და მეორადობით იოლად გამოძრომაზე, იქ საზოგადოება ვერ შეძლებს თავისი სულიერების ღირსებაში გავი-ნაებას და სხვა დარგებთან ერთად მისი სპორტიც ვერ აიაღმართებს ახ-ალ სიმაღლეზე, რადგან მისთვის უცხოა მოჭირნახულის ბედნიერება, რისთვისაც მართლაც ღირს ჯაფაც, ძალისხმევაც და თავგანწირვაც (24. 11. 2014 წ.: იმავე „არენაში“ გამოსვლისას საქართველოს ფეხბურთის ფე-დერაციის გენერალურმა მდივანმა რევაზ არველაძემ მიანიშნა, რომ მის-თვის ცნობილი არაა, თუ რა პროგრამა გააჩნია სახელმწიფოს ქართუ-ლი ფეხბურთის განსავითარებლად. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ამ მხრივ სახელმწიფო პროგრამა არ არსებულა).

რა მაგის პასუხია და, მასხენდება, ამ რამდენიმე წლის წინ, რუსიზმის აგრესიის ჟღარუნის გასწვრივ, ერთ ცნობილ ქართველ ფეხბურთელს, რომელიც ამჟამად მაღალ თანამდებობაზეა, ჟურნალისტ-მა ჰკითხა თუ რა აბედნიერებს მას.

სამწუხაროდ, მას არ უთქვამს, რომ ამ– ქვეყნისათვის სათავდადებო ჟამს „დარიალის კარებში დგომა“ ეოცნებება, – რომელიღაც უცხოური ფირმის მანქანაზე მეკეტებაო ტვინი, მიახარა სისხლში მობანავე საქართველოს.

სწორედ ამიტომაა, რომ ეს დიდი, ძალიან საპასუხისმგებლო სახე-ლმწიფო თანამდებობის კაცი, ანუ პრემიერ-მინისტრის მოადგილე და ენერგეტიკის მინისტრი, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში პოლიტი-კურ ბლოკ „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის პირველი ნომერი კახი კალაძე არც და ვერც ისაკლისებს, რ. ერისთავის „სამშობლო ხევსურისა“-ს რომ არ ასწავლიან დღეს სკოლაში – ასე საჭიროს ერის მარადიულსაყოფად.

ასეთი სულისკვეთებით არ იქმნება დიდი მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა, სპორტული გამარჯვება, რადგან ჩვენ მოვწყდით მ. ჯავახიშვილის, გ. ნიკოლაძის, კ. გამსახურდიას, ნ. მუსხელიშვილის, გ. კარტოზიას, ბ. პაიჭაძის დიდ მეცნიერებას, ხელოვნებას, ლიტერატურას, სპორტს, შესაბამისად, მოვშალეთ გიორგიანელთა ბინადარი ცხოვრების წესი და მეურნეობა. სამაგიეროდ, სადღეისოდ მიზნობრივად გამოი-ნკუბატორებული საზოგადოების „გემოვნებას“ სავსებით ესადაგება ხალხში „უბორნიის მწერლებად“ წოდებულ ხურუშიანთა მწერლობაში „მნძრეველთა“ თუ სისხლაღრეულთა ხმაბოდვები. ვდღესასწაულობთ ან სხვათა გამარჯვებით ან კიდევ საკუთარი „სულიერი“ ონანიზმით.

თ. ქეცბაიას აღშფოთების მიზეზი, დ. მინაშვილთან კამათისას, ყველაფერი ეს დიახაც რომ იყო, ოღონდ, ეს ვერ ითქვა სათანადოდ, მკაფიოდ, გამართულად.უფრო მეტიც, მისი განგაში ზოგიერთმა „ფირმის ინტერესების დამცველმა“ „მედიისადმი ბრალდების წაყენებად“ შეაფასა, რაც კაცღმერთ ჟურნალისტთა წრეში „ჯერ არსმენილ თავხედობად“ გასაჯარისდა...

არადა, საზოგადოების ერთი ნაწილის სულიერი დასაჭურისება სწორედ ამ მედიის თვალწინ და მეშვეობით ხდება და, როდესაც იგი ამაზე დუმს, ან გარიგებულია გარეგანთან – ან ვერ ხედავს ქვეყანაში ჭერჩამოქცევას. ორივე შემთხვევა საბედისწეროა.

რა დასამალია და, ე.წ. ჟურნალისტთა ერთი ნაწილი, რომელიც „დემოკრატიული“ გადაგვარებით „ცივილური“ გადაშენებისკენ მიუძღვება ჩვენს ერს, როგორც ხედავთ, თითისქნევითა და მონოლოგის წესით ესაუბრება ჩვენს ერს.

ასეთი რამ ქართული საზოგადოებისთვის არ უკადრებიათ მართლა დიდ ქართველ ჟურნალისტებს, რადგან მათთვის ქართველი ერი უფრო დიადი შინაარსი გახლდათ, ვიდრე ამის წარმოდგენა შეუძლია წინამდებარე ე.წ. მედიის ჩვენთვის თავს მომხვევებს (არადა, იბრალებს ეს ხალხი ამ ხელობას).

აქვე უნდა განვაცხადო, რომ დ. მინაშვილის, ს. ცნობილაძის, დ. ობოლაძისა და სხვათა სპორტული „კომენტატორობა“ იმდენადაა უგემოვნობაში, უცხოთუმეობასა და დედაენის გაუპატიურებაში ჩაფლული, რომ ტანჯვაა მისი მოსმენა. მათ პირდაპირ ვეტყვი, – *ქართული სპორტის საკომენტატორო სკოლა წარმოადგენდა ქართული სულიერების ისეთსავე დიდ, საპასუხისმგებლო და მაღალღირებულ სარბიელს, როგორიც იყო ეროვნული მწერლობა, თეატრი, კინო, საერთოდ, ხელოვნება. რაც მთავარია, იგი გახლდათ ქართული ცნობიერებისა და სიტყვიერების, სასალხო წყობილსიტყვაობის თვალფხიზელი მოჭირნახულე, მაწყალუხვებელი და გამმარგლავი.*

ასე ესმოდათ ეს მოვალეობა ამ საქმის მეყამირეებს: ე. მანჯგალა-ძესა და კ. მახარაძეს. აქედან გამომდინარე, ისინი და მათი მოწაფეები სპორტის ახალ ტერმინოლოგიას ქართული აზროვნების წესის, სამეტ-ყველო ბუნებისა და მშობლიური სიტყვაწარმოების დაუნაგვიანებლად ქმნიდნენ. მაღალი პროფესიონალიზმის წყალობითა და დაუღალავი ძალისხმევით **ისინი ქართული სპორტის გამარჯვებაში თანამომაწილეობდნენ.**

ე. მანჯგალაძისა და კ. მახარაძის რეპორტაჟები საზოგადოებაში სადღესასწაულო განწყობას ქმნიდნენ, ამავე დროს, ისინი ატარებდნენ აღმზრდელობით ხასიათს და წარმოადგენდნენ სწორმეტყველებისა და წყობილსიტყვაობის საუკეთესო ნიმუშს, რითაც ტოლს არ უდებდნენ კარგ წიგნს, სპექტაკლს, კინოფილმს, კონცერტს, რომლის მსმენელი ერისკაცი „დარიალის კარებში“ დაუმარცხებელ მეკარედ დგებოდა. მათ, განსხვავებით ამ ვაიკომენტატორებისგან (რომელთა მოსმენა, როგორც გითხარით, პირადად ჩემთვის, იძულებითი ხასიათისაა), არ ეზარებოდათ კი არა, საბჭოთა ასიმილატორული მანქანის წინააღმდეგ ბრძოლის არ ეშინოდათ, თავიანთი შემოქმედებითი დონით ისინი ქართული ენის სიწმინდეს თავგანწირვითა და მოჭირნახულის რუდუნებით იცავდნენ. მართალია, საბჭოთა კონსტიტუცია კი აცხადებდა ენის დაცვას სახელმწიფო საქმედ, მაგრამ, იმავდროულად ქვეშქვეშობდა და ძალ-ღონეს არ იშურებდა ქართველთა პირწმინდად გასარუსებლად. ასეთ დროს ეს ხალხი თავიანთი წინგახედული აზროვნების წესითა და საღვთოდ აღაღადებული ქართულით მუხლჩაუხრელად იბრძოდნენ

თავადაც და საზოგადოებასაც აფხიზლებდნენ, პირადად მიუძღოდნენ ქედდაუდრეკლობისკენ სრულიად საქართველოს. ამიტომ უყვარდა მათი აზროვნების წესი და წყობილსიტყვაობა ხალხს.

მათგან განხვავებით, დ. მინაშვილს და მისთანა ვითომჟურნალისტებს ღვთის შემდეგ კი არ ესურვილებათ პირველობა, როგორც ეს ერთ რუსულ ანდაზაშია („Капитан на корабле, первый, после Бога"), პირდაპირ, თვითონ სურთ ღმერთკაცობა.

სურვილი ერთია, მაგრამ აქვთ საკმარისი ცხებულობა, ნიჭი, უნარი, ოსტატობა და ა.შ. ამ ადამიანებს?! არა მგონია!

სხვათა შორის, დღეს ის განხვავებაა სულნათელ ანდრო ჟორდანიასა და თემურ ქეცვბაიას შორის (ღმერთმა გზა დაულოცოს!), რა განსხვავებაც გახლავთ ეროსი მანჯგალაძის სიდიადესა და დავით მინაშვილის ჩიქორთულ გაჯახირებას შორის (თუ ბატონი დავითი მოიცლის და მოინდომებს მის გადაცემათა ვიდეოჩანაწერის განხილვას, მზად ვარ, დავეხმარო მას მეტყველებისას დაშვებული გრამატიკული თუ ინტონაციური ლაფსუსების ანალიზში. რჩევა მივცე და გავარკვიო ქართული აზროვნებისა წესსა და სწორმეტყველებაში, ასევე, არ დავიზარებ ვავარჯიშო საუბრის დროს სუნთქვის დარეგულირებასა თუ კეთილხმოვნების მიღწევაში).

ასე და ამრიგად, სამწუხაროდ, დღეს ძლიერნი ამა ქვეყნისანი აღარ მიუყვებიან იმ სვლაგეზს, რომელიც ერის მარადიულყოფისკენ გაუძღვება სრულიად საქართველოს. შესაბამისად, ქართული საზოგადოების გემოვნება და მოთხოვნილება აგრესიული გლობალიზმის დაკვეთის მიხედვით, ამგვარად – ერის ცნობიერებისა თუ გემოვნების გამდაბიურებით თავსმოხვეულ თვითსპობას უნდა გაუერთსხეულდეს, აი, რისი გამოცოცხვით უნდა დავიწყოთ ქართული ყოველდღიურობის, მათ შორის, ფეხბურთის აღორძინება.

ის, რომ ფეხბურთში მხოფლიო ჩემპიონატების დროს ხელოვნურად კოწიწდება ჩემპიონატში მონაწილე ქვეყნების ე.წ. ფანკლუბები, ეს გახლავთ ამ საქმისთვის ერთ უხერხულ ადგილზე მახათით საქმიანობა კი არა მარტო, – მამაკაცობა. დაუძლურებულებს შიშველი ქალების სურათებით რომ უპირებენ „გასალკლდეევებას", იმას ჰგავს სწორედ.

იმით, რომ დ. მინაშვილი, ს. ცნობილაძე და ა.შ. სპორტში გ. ნიკოლაძის, ე. მანჯგალაძისა და ა. შ. მოძიებულ-დამკვიდრებულ ქართული შესატყვისების – გულშემატკივრის, მსაჯის, მეკარის, მწვრთნელის გვერდითი თუ პირითი ხაზების და ამისთანების ნაცვლად ყოვლად უადგილოდ და საჭიროების გარეშე დაჟინებით ამკვიდრებენ – ფანებს, რეფერს, გოლკიპერს, ტრენერს... ჩვენ ევროპის წამყვანი საფეხბურთო ქვეყანა არ გავხდებით. ეს ასე მოხდება, როდესაც მოჩიქორთულე და მოუცხოთუმე დ. მინაშვილის, ს. ცნობილაძის, დ. ობოლაძისა და მისთანათა ადგილებზე ქართულ ტელესივრცეში გაკიდეგანდება ე. მანჯგალაძისა და კ. მახარაძის მექართულეობის მემკვიდრე... ეს ასე მოხდება, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და მისი დარგობრივი საკვლევი ინსტიტუტები აღდგებიან... ეს ასე მოხდება, როდესაც ქართული მწერლობა, ხელოვნება, განათლება, კულტურა, მეურნეობა, სპორტი და ა.შ. ქართულ ყოველდღიურობაში იაზროვნებს... ეს ასე მოხდება, როდესაც ქართულ სკოლაში „სამშობლო ხევსურისა" დაბრუნდება, ეს ასე მოხდება, როდესაც ქართულ ჟურნალისტიკაში მისაბაძი გახდება დიდი ილიას, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხისა და მათ თანამებრძოლთა პუბლიცისტიკა... ეს ასე მოხდება, როდესაც ქართველი ჟურნალისტი ასე არ დაიწყებს თავის მონოლოგს – „ნუ, ეს საქართველოა, ჩვენ აზიატები ვართ..." და გავისიგრძეგანებთ, რომ <u>თვით ევროპა ჩვენ დავაწყვეთ ბინადარი ცხოვრების წესს და ამისთვის გიორგიანელებს გვეძახიან...</u>

ახლა კი დღეს, <u>ლგბტ-ური საქართველოს ცის ქვეშ, ქართულ მწერლობას, სპორტს, ხელოვნებას, მეურნეობას გამარჯვება არ უწერია. იგი ასე ვერ შექმნის საკაცობრიო ღირებულებებს და მილევადი შინაარსის საკუჭნაოდ დადგინდება!</u>

ზემოთ ხსენებული ვაიჟურნალისტების წყალობით დედოქართული უმოწყალოდაა დანაგვიანებული, იგი <u>ასეგვარად გამდაბიურებული არასოდეს ყოფილა!</u>

სანამ ამნაირად გამდაბიურებული დედაენა არ გვტკივა და ეს ქუჩისფსკერული შეუგინებლობის გაუპატიურებად არ მიგვაჩნია, დაღუპვისკენ მივთოხარიკობთ.

დიახ, ბატონებო, სანამ „ქართველო, ხელი ხმალს იკარ!.." ლგბტ-ურ ყურს ეჩოთირებაო და მიცხრაკლიტულებულია, ვერ გავიმარჯვებთ...

აი, ყოველივე ამან განაპირობა თ. ქეცბაიას რიხიანი განაცხადის – 10 წაუგებელი შერკინების, მათ შორის, ხორვატიის ფეხბურთელთა უძლიერეს ნაკრებთან ულამაზესი გამარჯვების, უბოდიშოდ შემოფეთებულ უვინაობაში სამარცხვინოდ ჩაკნინება!..

დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში",
2014 წ. 5 დეკემბერი.

≈*≈

4. ახავაი დო ვავა უვიცობავ, ქედდადრეკილთა აზროვნებავ, უხვალდღეობისკენ თავაწყვეტილო ფეხაწყობავ და ჯოგურო თვითკმაყოფილებავ!..

„შთავედ და უწამე ერსა და განწმდენ იგინი დღეს და ხვალე განირცხნენ სამოსელნი მათნი"...
გამოსვლაი - 19, 10;
„მთვარე აღარ სჩანდა ცაზე. ერთადერთი ღრუბლის ფთილა შერჩენოდა მალაქიტის ცას, კოლხური ოქროს საწმისის ფერისა".
დიდოსტატი კონსტანინე;
„მე ჩემი ცეცხლი ისევ მაოცებს
და ვიცი, მტრები აქაც არიან"
ტერენტი გრანელი

1. <u>**გზამკვლევი მოცემულობის გამზირისათვის**</u>: მტკივა ეს სიცხადე, - როდესაც ქართველი კაცი, წესით ქრისტესმხედარი და გიორგიანელი რომ უნდა იყოს, მეორადი ტანსაცმლების საწყობიდან გულარხეინი თავმოწონებით „გამოკვანწული“, პირველსავე გზაჯვარედინზე როცა დადგება მსოფლიოს პოლიტიკურ რუქასთან და ხეპრე თვალებით მიშტერებული მასზე, ვერ გაისიგრძეგანებს ***ქართველთა გონითი განფენის სივრცეს,*** არ დაღანდავს ***ნიკოფსიიდან დარუბანდამდე მოაზროვნე საქართველოს სახლიკაცურ ლასკარს,*** რაც მთავარია, დოყლაპიური წინგაუხედაობით ***„გიჟვრაცუად“*** დადგენილს, პონტო-კავკასიის ცნობიერ სამყაროში საკუთარ კველას ააწაპნიან გადამთიელი ჯიბგირები! ის კი არადა, ამის შემდეგ პირად სარეცელთან პირველი ღამის უფლებაც აართვან, იქნებ!..

კოკისპირულში გამოორღობებასავით მეზარება ახლა ამაზე საუბარი, მით უფრო, რომ საზუკოლოდ ამეკვიატა, ***„რა ჩემი ჭკუის საქმეა, ნეტა...“*** მაგრამ სულნათელი მუხრანის ეს სტრიქონები ამგვარად მთავრდება: ***„ღალატიაო, მაგგვარი ფიქრი!.. ჰოდა, მეც ქართველი ვარ და ეს მაწვალებს!..“ (ლადო ასათიანი)***.

მთავარი უბედურება ისაა, საზოგადოების უპირატესმა ნაწილმა <u>**არ იცის თუ ვინაა თვითონ, რა შინაარსად გაუპიროვნდა მამულს, რას მოითხოვს მისგან ღვთისმშობლის წილხვედრილობა, რაში ჩაითრიეს, რა დამართეს, რა სჭირს და ა. შ.**</u>

დივერსიული ეთნოფაბრიკაცია, რომელიც საბჭოთა ინდუსტრიის ძირითად დარგად იქცა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), ყოველმიზეზგარეშე შესასრულებელ სახელმწიფო დავალებად (გეგმად) ადგენდა ახალი მიზნობრივი ნაციის - „абхазец“-ის, როგორც ქართულ მიწაზე ქართველი ერის დაუკითხავად შექმნილი საბჭოთა სინამდვილის პირმშოს, უფრო ზუსტად რომ ვთქვა, არაქართული (ასევე არააფსუური) რესპუბლიკის - აფხაზეთის ასსრ-ის „დემოგრაფიული დადასტურების“ სერიულ წარმოებას (გამოინკუბატორებას). იმგვარადვე მოეკიდა საბჭოთა სახელმწიფო, როგორც ატომური ბომბის შექმნას. ცხადია, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) გაფორმება აფხაზეთის ასსრ-ად, დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული სახელმწიფო წარმონაქმნის უბოდიშო შეკოწიწებას ნიშნავდა (უფრო სწორად, ქართულ სივრცეში ნელ მოქმედებათა ნაღმის ჩახრახნვა იყო ეს). ამ მარადაფხაზური, ე. ი. მუდამ მეგრული, მაშასადამე, დასაბამიდანვე ქართული (კოლხური) მხარის ***„არაქართულ ქვეყნად“*** გამოცხადება, ასეთი ანექსიის გასწვრივ, აქაურ მეგრელთა (ქართველთა) სამხარეო სახელს ***„აფხაზს“*** ,- უცვლიდა რა დედან მნიშვნელობას, აშკარა ექსპროპრიაციის საშუალებით თავის დროზე ამ მხარეში შემოსახლიკაცებულ მოსახლეობას ნაალაფარ ვინაობად უდასტურებდა.

დიახ, ბატონებო, საბჭოთა ეთნოდივერსიული ინდუსტრია ე. წ. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელდახელო ***„დემოგრაფიულ დადასტურებას“,*** იგივე ***„რესპუბლიკის სახელის მატარებელ ხალხს“,*** ანუ ***„გასხვაქვეყნებულ აფხაზეთში“*** ხელოვნურად დაკონვეირებულ საბჭოთა ნაციას უპიროვნებდა ყოველმხრივ ქართულ

(მეგრულ) შინაარსს ”აფხაზს” (მეგრულად აფხა ბეჭს ნიშნავს, მაშასადამე, აფხაზეთი განაპირა ზანეთის მნიშვნელობას ატარებს აქაურ ძირძველთა სახალხო მეხსიერებაში).

<u>***ამრიგად, უხსოვარი დროის ქართული შინაარსი ასეთი ველოკოდერჟავნიკული ძალადობით აწ უკვე „სხვა ქვეყნის“ არაქართულ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ აბრას ვინაობად მიუკანონდა. ის, რომ ბიჭვინთის, ლიხნის, ანაკოფიის, კომანის, ბესლეთის, დრანდის, მოქვის, ილორის, ბედიისა და ა. შ. ქართული შინაარსი თავის მშობლიურობაში ასომთავრულობდა და ქართულად მოგვღაღადებდა უხსოვარი დროიდან, ეს „მერე რა“ მოვლენად იქცა. ასევე თავანკარა მეგრულით (ისევ და ისევ ქართულით) რომ გვახსენებდა ჩვენს ვინაობას აქაურ ხეობათა მდინარეთა თუ დაბა-სოფელთა სახელწოდებები, მიზნობრივი ყურადახშობისთვის არაფრისმთქმელი იყო და არის, სამწუხაროდ, დღემდე. არც ის გამოდგა ჭეშმარიტების კლიტე-გასაღებად, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ყოფითი თუ საზოგადო ყოველდღიურობა ძალით თავსმოხვეულ მდუმარებაშიც უხმოდ აკივლებული, მაგრამ მაინც კოლხურ მოთქმად დარჩა!..***</u>

ამ მხრივ მეტის თქმაც შეიძლება: დროსა და სივრცეში არ არსებობს რაიმე სახის მტკიცებულება იმაზე, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) სრულიად საქართველოს ბუნებრივი შინაარსისგან განსხვავდებოდეს. უფრო მეტიც, გარდა ოკუპანტი რუსეთის ნაყალბევი ”საისტორიო” წყაროებისა, მსოფლიოს ისტორიულ მეცნიერებას არ გააჩნია რაიმე სახის მინიშნება იმაზე, რომ აფხაზეთი არ იყოს ჩრდილო-დასავლეთ საქართველო.

ასეთი გახლავთ შეჯერებული სამეცნიერო აზრი, მიუხედავად იმისა, რომ კრემლის დიდმპყრობლური ძალისხმევით ეს მხარე (ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) იქცა ერთი ეთნოსადივერსიო ინკუბატორის საეთნოფაბრიკაციო საამქროდ, სადაც ქართული აფხაზობა რუსისტულ ***„абхазец“***-ობად გაშინაარსდა.

აღსანიშნავია, რომ ამ სახელდახელო, უფრო ზუსტად, ***„არაქართული“*** ავტონომიური რესპუბლიკისთვის მოსარგები ***„დემოგრაფიული დადასტურების“*** გამოსაინკუბატორებელ ნედლეულად გამოიყენებოდნენ თვით ქართველები (მეგრელები, ლაზები, სვანები, რაჭველები, ლეჩხუმლები, იმერლები, გურულები...), ჩერქეზული ტომები, ასევე, თურქები, არმენები, რუსები, ებრაელები და ა. შ.

ისიც მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ეთნოწმენდები და ასიმილაცია არ დაწყებულა რუსიზმის ხანაში, იგი ყველანაირი დამპყრობის ქვეშქვეშური ილეთი გახლდათ. ეს კია, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ქართველთა (აფხაზთა) დენაციონალიზაციამ სახელმწიფო პოლიტიკის სახე მიიღო ოსმალური და რუსისტული დიდმპყრობლობების ყოველდღიურობაში.

აქედან გამომდინარე, რუსიზმის გამობრძმედილ ვერაგობათა შედეგად, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე საქართველოს მოაზრება ე. წ. მცირე

იმპერიად სსრკ-ის დაშლის წინმსწრებ წლებში პირველად ა. სახაროვს კი არ მოსვლია აზრად, არამედ, ჩვენი ქვეყანა, ახლა უკვე წითელი რუსეთის მიერ ოკუპირებული თავად, იმწამსვე გაფორმდა და გასაჯარისდა ასეთად, როგორც კი ქართულ მიწაზე სხვადასხვა, მათ შორის არაგულითადი მიზნით შემოხიზნული არაქართველებისთვის საეთნოდივერსიო სივრცე დააზუსტეს და აქციეს რა ისინი საოკუპაციო კონტინგენტად, სახელდახელოდ ახარაჩოვდა *„თბილისს ქვემდებარე მომმე“* ავტონომიური რესპუბლიკები.

თავდაპირველად ეს „მომმე ავტონომიები“, როგორც გითხარით, ამიერკავკასიის პროლეტარიატის ცენტრად (და არა ქართველთა დედაქალაქად) დადგენილ თბილისს „მიუქვეშევრდომეს“. ამრიგად, შორსგამიზნულად გაფირნიშებული „მცირე იმპერიის“ საგანგებო პოლიტიკური აბრა წარმოადგენდა დებულებას საქართველოს „დიდმპყრობლურ“ რაობაზე, მართალია, „მცირე“, მაგრამ მაინც „იმპერიის“ მოსაზღვრულობაში (უფრო სწორად, ”საიმპერიო” თომარ-ჯიღათა (ნიშანთა) გარედან შემოქარგვით. ცხადია, ამგვარად შემნიღბავი ფარდის უკან ხელგამოღებულად მიმდინარეობდა ქართული ვინაობის გადაგვარება.

ამ წიგნში უკვე ვიუწყებოდით, რომ აფხაზეთის ქართული (მეგრული) შინაარსის შესახებ თვით ძველი რუსული წყაროები იუწყებიან (რა თქმა უნდა, არა კრემლიდანური მიზნობრივობით შექმნილნი), ***<u>მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ”Посольство Федота Елчина и Павла Захарьева в Мингрелию (1639-1640)“.</u>*** ამ უკანასკნელთა პატაკების მიხედვით რუსეთის მიერ დღეს ანექსირებული აფხაზეთი (ჩრდილო-დასავლეთ საქართველო) სამეგრელოს სამთავროს ღვიძლი ნაწილი გახლდათ არა მხოლოდ პოლიტიკურ-ადამინისტრაციული სტატუსით, არამედ, მოსახლეობითაც: ***<u>იმხანად აქაც, ისევე, როგორც ენგურის მარცხენა მხარეზე, მეგრელები ცხოვრობდნენ პირწმინდად და წირვა-ლოცვა ქართულად (ე. ი. ჩქინობურად, ანუ ჩვენებურად) აღევლინებოდა.</u>***

როგორც მოგეხსენებათ, საბჭოთა ოკუპაციის წლებში ჩვენი სამშობლოს არაერთი განაპირა მხარე მეზობელ *„მომმე“* რესპუბლიკებს გადაუნაწილდათ: სოჭის მხარე და კავკასიონის ქედს ჩრდილოეთიდან მიმდებარე ხეობები, იალბუზი, დვალეთი და ა. შ. რსფსრ-ს; ლორე-ხუჯაბი და ა. შ. - არმენეთს; ზაქათალის ოლქი, გარეჯი, ელდარი (ჰერეთი მთლიანად), - აზერბაიჯანს. საერთოდ, საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოს წაართვა ოცი ათას კვ. კმ-ზე მეტი ქართული მამული, ასევე შეუწყო ხელი თურქეთს, მის ხელში აღმოჩენილიყო ტაო-კლარჯეთის, ლაზეთის და სხვა მიმდებარე ქართული მიწები და არა მხოლოდ ეს...

იმისათვის, რათა ამ მხრივ ქართული აღშფოთება დაეცხროთ, ხელოვნურად შეიქმნა ისეთი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ხედი, თითქოს საქართველოს ”გაუქვეშევრდომეს” ამიერკავკასიის გეოპოლიტიკური სივრცე. ამისთვის ე. წ. ამიერკავკასიის ფედერაციის *„ცენტრად“ („დედაქალაქად“)* თბილისი დადგინდა, რაც, როგორც გითხარით, ერთი შეხედვით იმას *„ნიშნავდა“*, რომ ამიერკავკასიაში საქართველოს მოსაზღვრე *„მომმე“*

რესპუბლიკები (არმენეთი და აზერბაიჯანი) თბილისს (საქართველოს) *„ექვემდებარებოდნენ“*. ასეთი ილუზია კი ჩვენი ქართული საზოგადოებრიობის *„გიჟვრაცუობაზე“* გახლდათ გათვლილი. ამ დოყლაპიურმა თვითკმაყოფილებამ ძალიან კარგად შენიღბა რუსიზმის მიერ თავსმოხვეული საოკუპაციო რეჟიმიცა და ამავე დროს *„ქართული დიდმპყრობლობის“* მიერ მიზნობრივად წაქეზებული წინგაუხედაობაც დააკმაყოფილა. ერთ მშვენიერ დღეს, ეს მკვდრადშობილი ფედერაცია ამიერკავკასიის *„მომმე“* რესპუბლიკებისა, დაიშალა. თბილისის *„მორჩილებიდან თავდახსნილმა”* აზერბაიჯანმა და არმენეთმა *”მიმშობლიურებული”* ქართული მიწები თან წაიმზვითვეს. თავის მხრივ, ოკუპირებულმა ჩვენმა ქვეყანამ საქართველოს სსრ-ის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული აბრა მოირგო, რომელსაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, შემდგომში ა. სახაროვმა მსოფლიოსათვის გზაკვალასარევი პაროლი *„საქართველოს მცირე იმპერია“* მიანაღმა.

2. <u>**ეთნოფაბრიკაციული აფხაზეთის ასსრ, როგორც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ქართველთა სადენალიზაციო საწარმო:**</u> ვინაიდან ძალა აღმართს ხნავს, ოკუპირებულ ქვეყანაში, სამწუხაროდ, არის რაღაც, რომელთანაც შემოჩეჩებული შუქ-ჩრდილებით უნდა ითანაარსებო გარკვეული ხნით მიანც, მაგრამ ქართული მხარეების *„არაქართულ ქვეყნებად“* გადაღობვა არავითარ შემთხვევაში არ იქცა (არც შეიძლებოდა ქცეულიყო) იმ ვითარებად, რომელთანაც დაზავებას გონიერ სულისმოთქმად ან წინგახედულებად შეაფასებდა მიუმცდარი ჟამი.

ამავე დროს, აქედან გამომდინარე, ქართულმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ასეთი საბედისწერო ყოველდღიურობების გამშინაარსებლად ჩვენი ქვეყნის წიაღში აგრესიულმა გლობალიზმმა უკვე მოითადარიგა საკუთარი დასაყრდენი (პირველ რიგში ე. წ. სახალხო დამცველის (ომბუდსმენის ოფისი), საია და ა. შ. რომლებიც გამოიკვეთნენ და ჩამოყალიბდნენ აგრესორი ლიბერასტების, სქიზმატების, სექტების, ვითომ უმცირესობების (მესაჯდომეების, ეთნიკური და რელიგიური ოკუპანტებისა და მისთანათა) ლობისტ სამსახურებად. თავიანთი საოკუპაციო საქმიანობით ისინი საქართველოს მოსახლეობის ნებას კი არ ესარჩლებიან, არამედ ახმოვანებენ და ანხორციელებენ ჩასაფრებული ძალების (უპირველეს ყოვლისა, აშშ-სა და ევრო-ატლანტიკური რასიზმის) დაკვეთებს. ეს გახლავთ მეტად საჭირბოროტო საკითხი, რადგან, არც თუ იშვიათად, სხვათა კარნახით მოსაქმიანე საინფორმაციო საშუალებებიც არ მალავენ, რომ ქვეყნის ნამესტნიკ ხელისუფლებასა თუ ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციებში დიდი ძებნა არ სჭირდებათ ქართველი ერის სულისკვეთებათა საწინააღმდეგოდ მოღვაწე ადამიანებს. მათი ამოცანაა, ***<u>შექმნან ხელმისაწვდომი პირობები, რათა ჩვენს სამშობლოში ყველაფერს დღეს მოსკოვს ჩანაცვლებული ვაშინგტონი აკონტროლებდეს.</u>***

ჩვენდა საუბედუროდ, ტექნოკრატიული დასავლეთის ასეთი აღმგველი ძეგლისდება საყოველთაოდ *„გაჭეშმარიტდა“* ჩასაფრებული ძალების საეჭვო ძალისხმევით. სამწუხაროდ, იგი უეჭველ აუცილებლობად მოვიხვიეთ თავს. ის კი არადა, ხსნა ასეთ მდგომარეობაში დავიგულეთ კიდეც, მაგრამ ამაზე სხვა დროს, მოვუბრუნდეთ მთავარ საკითხს: *რუსიზმის მიერ (განსაკუთრებით საბჭოთა სინამდვილის დროს) ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მიზანმიმართულად ხელშეწყობილ ქართულ მხარეთა „გასხვაქვეყნებას“, მათ დენაციონალიზაციას, ეთნიკურ წმენდასა და ა. შ. მოჰყვა (და დღემდე გრძელდება) დივერსიულ ეთნოფაბრიკაციათა შესატყვისი, მათი „გამბუნებრივებელი“ ტერმინებისა და სტერეოტიპების გაქსელება, რაც, არც თუ იშვიათად, ქართული საზოგადოების „გონივრული სულისმოთქმითაც“ (მე ვიტყოდი დანაშაულებრივი გამოთაყვანებითაც) ხდებოდა და ხდება.*

იმის გასწვრივ, რომ ყალბდებოდა ამ მხარის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) სინამდვილე, ბუნებრივ, ანუ ქართულ (მეგრულ) შინაარსს უსარაველიანებდნენ, უმახინჯებდნენ, ურუსულებდნენ ან სულაც უკარგავდნენ ტოპონიმიკას, ხალხურ სასიმღერო და ზეპირსიტყვიერ ფოლკლორს და ა. შ. როგორც საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სახალხო არსტისტისგან, ლეო ჭედიასგან პირად საუბრებში მომისმენია არაერთგზის (იგივე მითხრა ასევე საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ოთარ კობერიძემ, რომელიც მეოცე საუკუნის 50-იან წლებში სოხუმის დრამატული თეატრის ქართული დასის მსახიობი გახლდათ), ე. წ. აფხაზური თეატრის შესაქმნელად სპექტაკლების რეპეტიციებს პირადად ესწრებოდა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი აკაკი მგელაძე *(შემდგომში საქართველოს კომპარტიის თავკაცი, ანუ საქართველოს სსრ ხელმძღვანელი, ამავე დროს იგი გახლდათ პროვოკაციულ "მეგრელთა საქმის" ერთ-ერთი სულისჩამდგმელი).* ამ ვითომ *„აფხაზური“* სპექტაკლების მასობრივ სცენებში გამხვავიანებლებად მონაწილეობდნენ სახელგანთქმული მსახიობები ქართული დასიდან. აქ დანაშაული ის კი არ იყო, რომ ე. წ. აფხაზური სპექტაკლების მასობრივ სცენებში აკავებდნენ ცნობილ ქართველ მსახიობებს, არამედ ის გახლდათ სიავე, ასე სახაზინო და არა სახალხო ნებით რომ ინკუბატორდებოდა *„ახალი ნაციის“* - ამ ეთნოდევერსიული ფაქტის *„კულტურა“* ე. ი. უმოწყალოდ ყალბდებოდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) „ქართული“ პარტოკრატიის წამგაუცდენელი რუდუნებით.

1937 წელს ქ. თბილისში ქართულად გამოიცა (ისევ და ისევ) ე. წ. აფხაზეცური ლიტერატურის ანთოლოგია, რომლის წინასიტყვაობაში ამ წიგნის რედაქტორ-შემდგენელი, იმხანად ახალგაზრდა ლიტერატურისმცოდნე ხუხუტი ბღაჟბა მადლობას უხდიდა საქართველოს (შემოთავაზებული კონტექსტის მიხედვით *„მეზობელ ქვეყანას“*). რადგან მან აფხაზეთს (ასევე *„მეზობელ ქვეყანას“* და არა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) ხელი მოუმართა საკუთარი ლიტერატურის განვითარებაში.

აი, ასეთი ვერაგული *„ხალხთა ძმობის“* ქვეშ დაკანონდა კრემლიდანური ეთნოდივერსიითა და ეთნოფაბრიკაციით გააბლაბუდებული ის სტერეოტიპი აფხაზეთზე, რომელიც შემდგომ სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის - აფხას ზანების ე. ი. მეგრელების (ქართველების) დედან შინაარსს, ანუ საკუთარ საძირეს, რომელსაც ის მიზნობრივად გადმოამყნეს.

საბჭოთა საინფორმაციო, პროპაგანდისტულმა და იდეოლოგიურმა სამსახურებმა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) განხორციელებული დივერსიული ეთნოფაბრიკაციების გზით შეკოწიწებული პოლიტიკურ-ადმინისტრაციული თუ დემოგრაფიული სინამდვილე "თავანკარა ჭეშმარიტებად" დაამკვიდრეს. ასეთი ძალისხმევისათვის, უფრო ზუსტად, ჩვენთა ცნობიერებათა საპარტახოდ თავისი წვლილი ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამაც გაიღო და არც თუ ძუნწად.

ამ მხრივ სამაგალითოდ უნდა შეგახსენოთ ცნობილი პოეტის შოთა ნიშნიანიძის საყოველთაოდ გახმაურებული. ლექსი *„აფხაზური კანტანტა“*, რომელიც მორდუობის საკითხს, პრინციპით *„ერთ არწივის ორი ფრთა ხართ“... (გ. ლეონიძე)*, *„ორი მეზობელი ქვეყნის“* ინტერნაციონალური ურთიერთობის რანგში განიხილავდა. სინამდვილეში მორდუობა და ძიძი-შვილობა აფხაზეთში აფხაზებსა (ე. ი. ქართველებსა) და სხვადასხვა მიზეზით შემოკომლებულ აფსუათა შორის სახლიკაცობის ხასიათს ატარებდა. ამ შემთხ-ვევაში, ვიმეორებ, ეს ხდებოდა არა ორ მეზობელ ქვეყანას შორის, არამედ აფხაზის, იგივე მეგრელის, ანუ ქართველის მამულში. სამწუხაროდ, ამ მშვენიერ ლექსში სინამდვილის კრემლიდანურმა გაშინაარსებამ ვერ მიაღწია სამმო ურთიერთობას, რადგანაც იგი არ ეფუძნებოდა დედანს, აფხაზეთისა თუ აფხაზის მარადქართულ მოაზრებას.

მართალია, სულნათელი შოთა ნიშნიანიზე 20-ე საუკუნის მეორე ნახევარში ერთ-ერთი გამორჩეული პოეტი გახლდათ, რომლის მაღალმხატვრული ნაწარმოებები მუდამ ქართული მარადიულყოფის სადარაჯოზე ძილფხიზლობდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში მან აფხაზის დედანი შინაარსი საბჭოთა ეთნოდივერსიის შედეგად დამკვიდრებულ სიცხადეს მოარგო.

მას განსაკუთრებულად თბილი ლექსები აქვს მიძღვნილი სამეგრელოსთვის. დიახ, ლექსი *„აფხაზური კანტანტა“* უდაოდ მაღალმხატვრული ნაწარმოებია, რომელიც, სამწუხაროდ (კვლავ და კვლავ ხმისჩახლეჩამდე ვყვირი), *აფხაზეთს, ანუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს განიხილავს საბჭოთა პოლიტიკურ-ადმინისტრაციული აბრის შესაბამისად და არ მიიჩნევს მას მეგრული, ე. ი. ქართული ვინაობის იგივეობად.*

აქედან გამომდინარე, მისი გულწრფელი აღაღადება *„ო, აფხაზეთო, ბევრი კარგი მოყმის გამზრდელო. ამორძალი ხარ, მკერდმოჭრილი უსაქართველოდ...“* ნებით თუ უნებლიედ, ჩრდილო-დასავლეთ საქარ-თველოს (აფხაზეთისა) და ენგურსაქეთა საქართველოს *„მოძმე“*, მაგრამ სხვა-დასხვა ქვეყნებად მოაზრებას საკრემლო მითითებათა მიხედვით მოემსახურა.

აი, რა სტერეოტიპებისგან უნდა დავიხსნათ თავი, რაც არ უნდა მაღალმხატვრულად შემოგვასაღონ იგი.

შედარებისთვის, ვ. მაიაკოვსკის ლექსი, მიძღვნილი საბჭოთა პასპორტისადმი, ძალიან მაღალმხატვრული, თავისი დროისათვის იდეურად გამართული გახლდათ, ***მაგრამ ის არ გამოხატავდა ჭეშმარიტებას,*** - არ ასახავდა საბჭოთა კავშირში შემავალი დაპყრობილი ხალხების ნებას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სეპარატისტი ეთნოკრატები, დადგინდნენ რა ***„აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სახელის მატარებელ ხალხად“***, მაშასადამე, ქართულ მიწაზე ამ რუსისტული სახელმწიფო წარმონაქმნის ***„დემოგრაფიულ დადასტურებად“***, ყოველმხრივ აყალბებდნენ ან ანადგურებდნენ ბუნებრივ, ე. ი. ქართული შინაარსის ნაკვალევებს.

ასე მაგალითად, ქ. სოხუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ბაგრატ III-ის დროს აშენებული ქვითკირის თაღოვანი ხიდის (აქაური ქართველობა მას თამარ მეფის ხიდს ეძახდა) და მისსავე სახელთან დაკავშირებულ ციხე-სიმაგრის ნანგრევებს, - ცნობიერ მიდამოს, საიდანაც ბედიანურ-ჭყონდიდურ-აღმშენებლური საქართველოს ძლევამოსილება დაიწყო, აი, ის შინაარსი იჩქმალებოდა და რუსულენოვან ტურისტებს ***„ვენეციური კულტურის ძეგლებად“***უსაჯარისებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ხიდზე ქართული ასომთავრული ღაღადებდა საკუთარ ვინაობას.

სამწუხაროდ, ცნობილი ქართველი მწერალი ნოდარ დუმბაძეც თავის ნაწარმოებებში ასე, არაქართული, ფაბრიკაციული შინაარსით იხსენიებს ამ ადგილებს (იხილეთ მისი მოთხრობა "ჰელადოს"). უფრო მეტიც, სოხუმის ფუნიკულიორს, რომელსაც უხსოვარი დროიდან მეგრული ***„მამათაშგოლა“ („მამათას გორა“)*** ერქვა და რუსებმა ჩერნიავკა დაარქვეს, ჩვენი საყვარელი მწერალიც, აგრესორ-სეპარატისტებისა და რუსიფიკატორების მსგავსად, ამგვარად უწოდებს მის კალთაზე მდებარე დასახლებას.

რაღა შორს წავიდეთ, ასეთნაირადვე სხვისდებოდა-მეთქი ამ მხარის ზეპირსიტყვიერებაც, სასიმღერო ფოლკლორი, ცეკვები, კერძები და მათი სანელებლები, ოდა-კარმიდამოსა და მეურნეობის ხასიათი, სამოსიც კი...

ვინაიდან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში აფხაზეთის ასსრ-ად ახარაჩოებული პოლიტიკური აბრა ***„თბილისქვემდებარე“,*** მაგრამ ***„არაქართულ“*** ქვეყნად დადგინდა, ამ მიზნობრივი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სახელმწიფო წარმონაქმნის თანამდებობრივი კვოტები გადანაწილდა ***"რესპუბლიკის სახელის მატარებელ „абхазец“***-ებს, ***„მოძმე“*** ქართველებსა და ***„სხვა ხალხებს“*** შორის. ***<u>ის მკვიდრი მეგრელები (ქართველები), რომლებიც თავიანთი ქართული სამხარეო წარმომავლობით აფხაზებად მოიაზრებდნენ თავს და პასპორტში ეროვნების მიმანიშნებელი გრაფის გასწვრივ, თავიანთი ჯიშისმიერი მეხსიერებისა და მისდა შესაბამისი ცნობიერებიდან გამომდინარე, - „ქართველი“ ჩაიწერეს, ყველაზე უუფლებო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და ხელოვნურად თავსმოხვეულ პარტახში ჩაცხრაკლიტულდნენ.*** საუბარია იმ მოსახლეობაზე, რომელიც მეოცე საუკუნის

დასაწყისში, მიუხედავად იმისა, რომ ოთხას წელზე მეტ ხანს ენით უთქმელ დენაციონალიზაციას განიცდიდა ჯერ ოსმალეთიდან, შემდეგ რუსიზმისგან, მრისხანედ აღუდგა წინ ვოსტორგოვშჩინას და წირვა-ლოცვისა თუ განათლების რუსულად დაწესება კი არა, ქართულად (როგორც ისინი ამბობდნენ, "ჩქინობურად") აღორძინება მოითხოვა. სწორია, ეს ის ხალხი გახლდათ, რომელთა ეროვნულ თვითშეგნებაში დაიგულა სრულიად საქართველოს ხსნა 1903 წლის 24 მაისს სოხუმში სტუმრად მყოფმა წმინდა ილია მართალმა. ჰოდა, თავისი აფხაზური (მეგრული), ანუ თავანკარა ქართული თვითშეგნებისთვის ისჯებოდნენ ეს ადამიანები: შემდგომ კი, ბოლშევიკების თითისქნევათა შესაბამისად, ეთნოფაბრიკაციულ საბჭოთა აფხაზეთში ძირძველი აფხაზი (იგივ მეგრელი) მისთვის მშობლიურ "ჩქინობურა", ანუ ქართულ ცნობიერებაში არ უნდა გაჭაჭანებულიყო. მას მკაცრად მოეთხოვებოდა, ***„абхазец“***-ად გადაშინაარსება, არადა, პარტახი ელოდა. აფხაზეთში ქართველი განიმარტებოდა ენგურსგაღმელად, შესაბამისად, ხელი არ ეწყობოდა მკვიდრ აფხაზთა (იგივე მეგრელთა), ანუ ქართველთა დამსახურებისამებრ დაწინაურებას, ეს უფლება გაუპიროვნდა ენგურსგაღმიდან ***<u>(„მეგობარი ქვეყნიდან“)</u>*** ჩამოსულ, ***„მოძმე“*** და ***„პარაშუტისტ“*** ქართველთა ხაზგასმულ აღმავლობას, ოღონდ იერარქიულად ***„абхазец“***-ზე ერთი საფეხურით დაბლა დგომას უნდა დასჯერებოდა ***(ამის შესახებ აქ ვრცლად საუბარს არ ვაპირებ და ჩემი აზრი იხილეთ - ს. საჯაია, „აფხაზეთის საომარი ავანტიურის მიზეზები და შედეგები", თბილისი, 1999 წ.***).

ამასთან დაკავშირებით სწორედაც რომ საჭიროა, შევიხსენოთ დიდი ქართველი მწერლის ლეო ქიაჩელის ***„ჰაკი აძბა“*** (ამაზეც არაერთგზის მქონდა საუბარი ჩემს წიგნებში): ხსენებული ნაწარმოების მიხედვით აფსუა კაცი, - ჰაკი აფხაზ, ანუ ქართველ უჯუშ ემხას (უჯგუშ მეგრულად საუკეთესოს ნიშნავს) ძუძუმტე გახლავთ, მაშასადამე, აფხაზეთში შემოსახლიკაცებული აფსუა ჰაკი აფხაზმა უჯუშმა შემოიგულითადა, უფრო სწორად, მათმა წინაპრებმა გაიძუძუმტეეს და გაისახლიკაცეს ერთმანეთი (ახლა გაიხსენეთ შ. ნიშნიანიძის ზემოთხსენებული ლექსი ***<u>„აფხაზური კონტანტა“</u>*** და თავად მიხვდებით, რაცაა მასში სადაო, მცდარი, დედან შინაარსს დაშორებული და მორგებული კრემლიდან თავსმოხვეული ***„ცენტრ-ნაცმენური“*** პოლიტიკის ფირნიშისთვის).

სხვათაშორის, დიდოსტატ კონსტანტინეს თარაშ ემხვარის ***<u>(„მთვარის მოტაცება“)</u>*** პროტოტიპი არზაყან ემხვარი, - დიდი ქართველი ერისკაცი გახლდათ, რომელიც ამჟამად სულნათლად განისვენებს საფრანგეთში, - დიდ ქართველთა წმინდა სავანეში - ლევილთან.

ჰაკი უერთგულესი, უღალატო და თავდადებული იყო უჯუშ ემხას საქმეებისთვის და უყოყმანოდაც შესწირა მას თავი. ასე მთავრდება ეს მოთხრობა, რომელიც სოხუმში ათავზარებული ნამდვილი ამბის მიხედვით დაიწერა. ეს კი მაშინ მომხდარა, როდესაც აფხაზეთის ასსრ ჯერ კიდევ არ

იყო ახარაჩოებული, ანუ აფხაზეთი გაუსხვაქვეყნებელ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს წარმოადგენდა. ჰაკი აძბაც სახეზოგადობა გახდა ძუძუმტე და სახლიკაცი აფსუა ხალხის.

ახლა, იმ პოლიტიკის მიხედვით, რაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) განხორციელდა, გავინაბიჯოთ საბჭოთა ყოველდღიურობისაკენ. - მე ვლაპარაკობ იმ სვლაგეზზე, რაც *„абхазец“*-ად გადაგეშილმა ძუძუმტე აფსუებმა გაიარეს და დავაკვირდეთ მოსალოდნელ შედეგს: ის კრემლიდანური სახელმწიფო წარმონაქმნი, რომელმაც ეს ქართული მხარე აფხაზეთის ასსრ-ად გადააშინაარსა, ჰაკის მოსთხოვს *„რესპუბლიკის სახელის მატარებელი ხალხის"* შვილად - *„абхазец“*-ად ჩაეწეროს და ამგვარად გადაიფორმოს პირადი ვინაობა თავის მოწმობაში.

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) განხორციელებულ დივერსიულ ეთნოფაბრიკაციებზე გალიანდაგება მომავალში სწორედ ამ პირადობის მოწმობას გადაუქცევს ჰაკის იმის ნებართვად, რათა მან უჯუშ ემხას ოდინდელ სასახლეში, სადაც *იგი სახლიკაცად მიიღეს და ძუძუსმტედ დაადგინეს, კანონგარეშედ გამოაცხადოს სახლის პატრონი. უფრო მეტიც, გააძევოს ის აქედან და თუ მან წინააღმდეგობა გაუწია, ჩაძაღლების წესით ესროლოს (ეთნიკური წმენდა, გენოციდი). აი, ამგვარი გახლავთ კრემლიდანური „გულითადობის“ შედეგი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში - აფხას ზანეთში.*

3. **რუსიზმს ჩანაცვლებული აგრესიული გლობალიზმი და ეთნოფაბრიკაციული ინდუსტრიის აღმავლობა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში):** უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ რუსიზმის მიერ თბილისი ამიერკავკასიის პროლეტარიატის ცენტრად (ე. წ. ინტერნაციონალურ სადგურად) მოიაზრებოდა და მოსკოვი ყოველმხრივ ხელს უშლიდა ქართველთა დედაოხორედ მის გაშინაარსებას. ის კი არადა, აქედან (ამიერკავკასიის პროლეტარიატის ცენტრობიდან) გამომდინარე, *„დიდმპყრობლურ“* ამბიციებსაც კი უღვივებდა კრემლი *„ქართულ“* პარტოკრატიას, რასაც საბჭოთა იმპერიისთვის სასურველი შედეგები მოჰქონდა...

ცხადია, აშშ-ც ამავე მიზნით იყენებს ამჟამად კრემლის ამ გამოცდილებას (წაცადობას) და მას ე. წ. რეგიონალურ ცენტრად (ისევ და ისევ ინტერნაციონალურ აეროდრომად) ითადარიგებს. რა თქმა უნდა, ასეთი თბილისი ვერ გახდება ქართული სულიერების სავანე: საგანგებოდ გამოინკუბატორებული ადგილობრივი სულჩლუნგები (ტექნოკრატიული დასავლეთისთვის ერთჯერადად მოსახმარი რაობები) ქმედუნარიანად მეთვალყურეობენ ამიერკავკასიაში აგრესიული გლობალიზმის მიზანმიმართულ გავრცელებას.

დროთა განმავლობაში ეს ამბიცია, - რეგიონალური მეთვალყურის მოვალეობისა, მათ იმდენად გამოათაყვანებს, რომ გამოეპარებათ ყველაზე საბედისწერო, - საკუთარი და თვით რეგიონის მილევადობა, რაც მთავარია, წვრთნა-შეუსმენელ თაობას მოუნდომებენ, ერთხელ და სამუდამოდ ნამუსახდილად და

გიჟის პერანგში შემოაჩეჩონ უფლისეული განჩინება საქართველოს სულიერი მისიისა!

აქედან გამომდინარე, აგრესიული გლობალიზმი (აშშ, უფრო სწორედ, ევრო-ატლანტიკური რასიზმის რეჟიმი) ოკუპირებულ საქართველოს რანგით უფრო დაბალი ნომენკლატურული რგოლით მართავს, ვიდრე ეს იყო კრემლიდანური ანექსიის დროს. ასე მაგალითად, საბჭოთა კავშირის პირობებში ე. წ. საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი (ან მისი მონაცვლე იმ ხანად), რომელიც სკკპ ცკ-ის წევრი გახლდათ, იგი აუცილებლად უნდა დასწრებოდა სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს სხდომებსა თუ სამუშაო თათბირებს დ,ა მართალია, ფორმალურად, მაგრამ მაინც უნდა გამოეთქვა თავისი აზრი ქვეყნისთვის საჭირბოროტო საკითხებზე. ზოგჯერ მას სკკპ ცკ-ის პოლიტ-ბიუროს წევრობის კანდიდატადაც კი ირჩევდნენ.

რაც შეეხება საბჭოთა საქართველოში უშუალოდ მოსკოვიდან მოვლინებულ საქართველოს კპ ცკ-ის მეორე მდივანს, ეროვნებით რუსს, იმდენი ჭკუა ჰქონდათ, რომ მას *„ქართველი“* კომუნისტების *„არჩეულად“* აცხადებდნენ.

დღეს ჩვენი ქვეყანა უბოდიშოდ, *„სმენაზე დგომის წესით“* იმართება აშშ-ს ელჩის მიერ. თავის მხრივ აშშ-ს პრეზიდენტის მრჩევლებთან, ანუ ტექნიკურ მუშაკებთან საქართველოს მმართველ ნამესტნიკთა აუდიენცია ატარებს სახელდახელო, ზეზეურა მითითების ხასიათს, - ქვეყანაში გასატარებელ სტრატეგიულ საკითხებს არავინ განიხილავს *„ქართულ“* ხელისუფლებასთან, მას („*ქართულ“* ხელისუფლებას) აშშ-ს საელჩოდან უსიგრძეგანებენ საამერიკო თვალსაწიერში დასანახ და შესასრულებელ მითითებებს.

სწორედ ამიტომ, საზოგადოებრივ მიმოქცევაში ყველა საინფორმაციო საშუალებით (ინტერნეტი, ტელევიზია, რადიო, გაზეთი და სხვ.) მრავალცალდება (ტირაჟირდება) ჩასაფრება, სიძულვილი, ზიზღი, გარყვნილება, მდაბიურობა, გაუნათლებლობა, უღირსებობა, უვინაობა, ჩამშვებლობა, მიმდგომლობა, სისხლაღრევა და ა. შ. ქვეყნის ცხოვრებიდან გაძევებულია სიდარბაისლე და ფიქრი.

საქართველოს ქრისტესმხედრული და გიორგიანული წარსული სამიზნე გახდა ლგბტ-ური იერიშისა და ქილიკის, რითაც არა მხოლოდ პონტო-კავკასიის ცნობიერი სამყარო, თვით ევროპის (უფრო სწორად, კაცობრიობის) სულიერების მარადიულყოფა დგება საფრთხის ქვეშ, რადგან დასაბამი ადამიანად თავდადგენისა, თუ დაეჯერება გეორგ ვილჰელმ ფრიდრიხ ჰეგელს, უნდა მოვიძიოთ სწორედ იმის მიხედვით, რომ *„სული სრულყოფილებას“* კავკასიაში (ანუ ქრისტესმხედრულ და გიორგიანულ შინაარსში) აღწევს.

აქ, ამ საკითხზე ცოტა უფრო მეტი განმარტება, დამემოწმებით, რომ საჭიროა:

გამოჩენილი გერმანელი ბუნებისმეტყველი იოჰან-ფრიდრიხ ბლუმენბახი (მე-19 საუკუნე) დაბეჯითებით ამტკიცებდა: „კავკასიის სამხრეთი დაქანება აღმოაცენებს ადამიანთა ყველაზე ლამაზ რასას. ამ რასაში, პირველ ყოვლისა, ვგულისხმობ ქართველებს. მთელი ფიზიოლოგიური ნიშნები დადის ამაზე. ამგვარად, დიდი დარწმუნებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ კავკასია - კაცობრიობის დაბადების ადგილია.“

აღსანიშნავია, რომ გერმანული სამეცნიერო აზრი ასეთი დებულების გარშემო შემთხვევიდან შემთხვევამდე კი არა, თანმიმდევრულად ვითარდებოდა, - ასევე გერმანელი გეოგრაფი და ეთნოგრაფი ფრიდრიხ რატცელი (მე-20 საუკუნე) თავის ხალხთმცოდნეობაში იმასვე ამტკიცებს, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ: „ქართველები ყველაზე მეტად შეესაბამებიან კავკასიურ ხალხებზე იდეალურ წარმოდგენას... სწორედ ქართველები, თავიანთი ქალიშვილების მეშვეობით, გამუდმებით ახდენდნენ გამაკეთილშობელ ზეგავლენას მეზობელი ხალხების ტიპზე. ქართველ ქალებს ჰყავთ მრავალი და გავლენის მქონე წარმომადგენლები აღმოსავლეთის მთელ ჰარამხანებში, მათი სისხლი ჩქეფს თურქ, ეგვიპტელ, სპარსელ და თათარ კეთილშობილთა ძარღვებში და ამჟამად მათზე ხშირად ქორწინდებიან რუსები.“

ასე, რომ დიდი გერმანელი მოაზროვნის, ფილოსოფოსის, საზოგადო მოღვაწის ფრიდრიხ ჰეგელის მიერ ქართველთა დახასიათება თავის „გონის ფილოსოფიაში“ საკუთარი მეცნიერული კვლევის გასწვრივ, სწორედ გერმანულ საზოგადოებრივ თუ სამეცნიერო აზრს ესაძირკვლებოდა: „მხოლოდ კავკასიურ რასაში აღწევს გონი აბსოლიტურ იგივეობას თავისთავთან. მხოლოდ აქ შედის გონი სრულყოფილ დაპირისპირებაში ბუნებითობასთან, თავისთავს იმეცნებს თავის აბსოლუტურ დამოკიდებულებაში, თავს აღწევს მერყეობას ორ უკიდურესს შორის, აღწევს თავის თავის განსაზღვრას, თავისი თვითობის განვითარებას დ ამით მსოფლიო ისტორიას წარმოშობს... პროგრესი მხოლოდ კავკასიური რასის წყალობით ხორციელდება.“

***

<u>გვიანდელი ჩამატება: არც თუ საჭორაო ცნობა ჭორიკანა გაზეთიდან:</u> „...მკვლევარები იალბუზის მისადგომებში ზვავში მოყოლილი ვერმახტის ჯარისკაცების საიდუმლოს ამოხსნას ცდილობენ. აღმოაჩინეს თოვლის ტყვეობაში მოქცეული გერმანელთა რაზმი. 70 წლის მანძილზე თოვლი ყინულად იქცა - ასეთ პირობებში გვამები იმდენად კარგად შეინახა, რომ არამხოლოდ სამოსი და სამკერდე ნიშნები, სახის ნაკვთებიც იკვეთება. ჯარისკაცები თოვლში ასობით მეტრის დაშორებით, მეტწილად ჯგუფებად არიან მოყოლილები. ფორმის ტანსაცმლის მიხედვით, ეს ალპური სამთო მეტყევეები არიან, რომლებიც 1942 წლის ზამთარში დაიღუპნენ...

საქმეში გერმანელი მოხალისეები ჩაერთვნენ, რომლებსაც ქვეყნის არქივებთან აქვთ წვდომა. თუმცა ჯერჯერობით საბუთების მოპოვება ვერ ხერხდება, რომლებიც ამ საიდუმლო რაზმის ისტორიას ნათელს მოჰფენდა. საჭიროა ვერმახტისთვის გაგზავნილი პატაკების მონახვა, რომლებიც, მეტწილად აშს-ს არქივებშია დაცული...

„უგზო-უკვლოდ დაკარგული გერმანელების ასეთი დიდი ჯგუფის შესახებ ინფორმაცია აუცილებლად უნდა არსებობდეს. სავარაუდოდ, ეს ცნობები გასაიდუმლოებულია, მით უმეტეს, რომ დაღუპული ჯარისკაცები, სავარაუდოდ, ფაშისტური რეჟიმის მისტიკური საზოგადოება „ანენერბეს“ წევრები იყვნენ. დაღუპულ ჯარისკაცთა გვამების მდებარეობა იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინი აფხაზეთიდან ბრუნდებოდნენ და უღელტეხილი გადმოიარეს. ჩნდება კითხვა - რას აკეთებდნენ აფხაზეთში? ცნობილი ფაქტია, რომ „ანენერბეს“ წევრები კავკასიაში საკრალური ცოდნის მოპოვებას ცდილობდნენ. შესაძლოა, მათი მარშრუტი რიწის ტბასთან იყო დაკავშირებული - <u>გერმანელებმა ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე დაადგინეს, რომ რიწის ტბასთან ახლომდებარე წყაროს წყლის შემადგენლობა იდეალურია ადამიანური სისხლის პლაზმის შესაქმნელად. ხელოვნური პლაზმა გერმანელებს „ჭეშმარიტი არიელი ბავშვების“ აღზრდისთვის სჭირდებოდათ</u> (ხაზგასმა - ს. საჯ.). გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს კავკასიას ძალიან ბევრი გერმანელი ტურისტი სტუმრობდა. საბჭოთა კავშირში ისინი „კომკავშირული“ საგზურებით ჩამოდიოდნენ. მათი უმრავლესობა სამთო ტურიზმის მოყვარული იყო. შემდგომმა მოვლენებმა კი ცხადყო, რომ ისინი პროფესიონალი მზვერავები იყვნენ - მრავალი მათგანი ომის დროს აქ სამთო რაზმების შემადგენლობაში დაბრუნდა. გერმანელმა „ტურისტებმა“ იმდენად ზუსტი რუკები შეადგინეს, რომ ზოგიერთ მათგანს დღემდე გამოიყენებენ.

1942 წლის ოქტომბერში ბაქსანის ხეობის სოფელ ზაუკოვოში გერმანული დივიზიის „მგლის ხახას“ სამი მანქანა შევიდა და როგორც ადგილობრივი მოსახლეობა მოწმობს, მანქანაში, სავარაუდოდ, საბურღი აღჭურვილობა იყო. გერმანელები მანქანებით დილაადრიან ზემო ხეობაში ადიოდნენ და მხოლოდ საღამოს ბრუნდებოდნენ. უცნაური ფაქტია: იმ დროს, როდესაც რაიონში სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა, გერმანელები ამ ხეობაში რაღაცას ბურღავდნენ და ეძებდნენ.

იალბუზის ჩრდილოეთ ფერდობებთან არის ადგილი, რომელსაც „გერმანულ აეროდრომს“ უწოდებენ. აქ ერთ-ერთი გერმანული ქვედანაყოფის კარვების ბანაკი იყო გაშლილი. ადგილობრივები ყვებიან, რომ აქ სურსათის დიდი საწყობიც იყო. მწყემსები იხსენებენ, რომ ამ ადგილას რამდენიმეჯერ გერმანული თვითმფრინავი დაშვებულა.

ალპინისტები, რომლებიც გერმანელების შემდეგ ლაშქრობდნენ, ყვებოდნენ, რომ ვერმახტის ჯარისკაცებმა აქ მაღალი ენერგეტიკის მქონე საიდუმლო ადგილს მიაგნეს და ოკულტური ლაბორატორია მოაწყვეს.

ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება იალბუზის მისადგომებში ადგილობრივ მწყემსებსაც არ უშვებდა, დროთა განმავლობაში კი აკრძალვები ნელ-ნელა მოიხსნა. ერთ-ერთი ექსპედიციის მონაწილეებმა ზემო ბაქსანის ხეობებით უღელტეხილი გადაიარეს და კალიცკის სახელობის პიკთან, ე. წ. დაკარგულ სამყაროში აღმოჩნდნენ. პიკის ერთ-ერთი წვერი აშკარად ხელოვნური წარმოშობის იყო - პირველივე შეხედვით გეგონებოდა, თითქოს ქვის ადამიანი გადაშლილ წიგნს კითხულობს. ალპინისტებმა საკურთხეველი და სამსხვერპლოც აღმოაჩინეს, ასევე,

აშკარად ხელოვნურად შექმნილი, მუზარადიანი მეომრების ფორმის რამდენიმე სვეტი.

სავარაუდოდ, „ანენერბეს“ წევრები საკრალური მთის შესასვლელს ეძებდნენ. ზოგიერთი ეზოთერიკოსის აზრით, ერთ-ერთი მათგანი ზუსტად იალბუზზეა, რომელსაც „არიელების მთასაც“ უწოდებენ.

აღმოჩენილი მღვიმე შესასვლელი თუ არა, საკრალური დანიშნულების ადგილი ნამდვილად არის. სავარაუდოდ, ეს ცოდნის დარბაზია, რომელშიც კაცობრიობის ყველაზე ფასეული ინფორმაცია ინახება, კერძოდ, ცნობები სამყაროს მოწყობის, ასტრონომიისა და ძველებური მაღალი ტექნოლოგიების შესახებ“ (გაზეთი „ალია“, 2015 წ. 18 ნოემბერი).

***

აქედან გამომდინარე, ჩასაფრებული და ავმოსურნე ძალებისთვის აი, ესაა მიზეზი, რომ ასეთი „არგაგონილი თავხედობისთვის“ ქართველი ერი ამოიშალოს ცივილიზებული მსოფლიოს თვალსაწიერიდან. ამის შესაბამისად, ქართველი ერის ისტორია დღევანდელ მსოფლიოს მიეწოდება ლგბტ-ური ცენზურის ინსპექტირებით. ესაა მრავალათასწლოვანი ომი ქართველთა გიორგიანული და ქრისტესმხედრული, შინერსისა და ვაშინერსის რჯულისკანონის გასაუკუღმართებლად (ნუ გვეიმედება ნურც ერთი შარახვეტია. საქართველოში ჟამთაბერს არ აღუნუსხავს და ასეთ რამეს მატიანე არ იცნობს, რომ ხიზანს (გნებავთ მის ადგილობრივ მეგზურს), რომელიც მიმდგომლურად უსანგრდებოდა ჩვენს სიწმინდეებს, თავი გაეწიროს საქართველოსთვის ან მახვილი არ ჩაეცეს ჩვენთვის ზურგში, რადგან მათ მოვალეობად ქართველთა რწმენისა და ვინაობის საწყისშივე დანგრევა იქცა. საუბარია ქართველი ერის გონითი განფენის იმ ღვთივსათნო სივრცეზე, რომელიც ჩვენს წელთარღიცხვამდე. ათასწლეულების წინ იწალდებოდა კაცობრიობის დასაბამით-განვე ქალდეურ წიაღში. შესაბამისად, ამგვარი ჯიშისმიერება ანუ ქართველი ერის ეროვნულ-სახალხო მეობის, მისი საკაცობრიო სულიერი მისიისა და ღვთით მონიჭებული საგანმანათლებლო დანიშნულება (შინერსისა და ვაშინერსის წესრიგი) გახლავთ ის ცნობური ნიშანსვეტი, რომლის სიღრმეებში, როგორც არაერთგზის აღვნიშნე, ეძებდნენ სრულყოფილებას თავის დროზე ევროპის სულიერი მეჩირაღდნეები (ისევ და ისევ იხილეთ ფ. ჰეგელის, ე. კანტის, გ. ლესინგის ი. ბლუმენბახის, ფ. რატცელის საგაკვეთილო ძეგლისდებანი). სწორედ ასეთი, ერთის მხრივ, დიდმპყრობლური (აგრესიულ-გლობალისტური) და მეორეს მხრივ, ადამიანის სულის მასრულყოფილებელ ცნობერებათა შეჯახებები (განსაკუთრებით დღეს, როდესაც ჭეშმარიტება ტექნოკრატიული დასავლეთისთვის ფინანსურ, თუ დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციულ „ყოვლისშემძლეობას“ ეფუძნება), იწვევენ ისეთ ჩასანგრებულ, გაბოროტებულ და ქუჩისფსკერულ ყოველდღიურობას, რომელიც მიზანმიმართულად ინერგება დღეს "დამოუკიდებელი საქართველოს" პოლიტიკური აბრის ქვეშ (ამ შემთხვევაში მე ვეწინააღმდეგები და თანაც სამკვდრო - სასიცოცხლოდ არა რომელიმე რელიგიურ ან ეთნიკურ ჯგუფს, გნებავთ ყველაზე საეჭვო ე. წ. უმცირესობას, არამედ ამ საეთნოდივერსიო ფაბრიკაციებზე მიხრახნილ და მიძრავებულ მიზნობრივ აგრესიას ქართველი ერის მარადიულყოფის წინააღმდეგ).

ბუნებრივია, ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი), როგორც ქართული გონითი განფენის სივრცეში სახალხო მარადიულყოფის ნათელი

ნიშანსვეტი, ამიტომაც გახდა საუკუნეებზე გაწელილი ერთი სადენალიზაციო კონვეირი.

ასეთი მიზნების მისაღწევად აგრესიული გლობალიზმის გათვლა ემყარება დღეისათვის საგანგებოდ ინკუბირებული ***„ქართული საზოგადოების“*** უცხოთუმე და ხმაბაძვით განწყობას, რომელიც არ ეფუძნება ერის სამარადიულმყოფო პირობათა წინგახედულ გასიგრძეგანებას. უფრო მეტიც, აგრესიული გლობალიზმის მიერ მიზნობრივად მოთადარიგებულ ეთნოფაბრიკაციულ თაობას უთანხმოება (კონფლიქტი) აქვს წესით საკუთარ სამშობლოსთან, ჯიშთან. ასე მაგალითად: მისთვის მნიშვნელოვანი, ამ წინასაახალწლო დღეებში სადღესასწაულო და გასაოთხივკუთხებელი ის კი არაა, რომ ამ ბოლო დროს ნეკრესში ძველი წელთაღრიცხვით 256 წლის ქართული წარწერა აღმოაჩინეს, - არავითარ შემთხვევაში! აქედან ევროპისთვის მისახარებელ საკითხად იქცა გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხიდან ვინმე ბექა (საბი) ბერიანი, ***„ევროსტანდარტების“*** დონის პედარასტად, ანუ იმ ***„საუმცირესო“*** ადგილით ბრიუსელური გამოშვერისთვის მედგარ შემპირაპირებლად რომ განიშანსვეტდა. ამის შემდეგ ტელეკომპანია ***„რუსთავი-2“***-ს ე. წ. თავისი საინფორმაციო გადაცემა *"კურიერით"* (13.11.2014 წ. 9 სთ.) იმ ***„ცისჩამოქცევის“*** შეცხადება როგორ არ გაეოთხივკუთხებინა, რომ ეს ქალის კაბაში გამოწყობილი და თავხედურად აწარამარებული ორფეხა ვიღაცამ თავის ბუნაგში მოკლა (თბილისი, კ. გამსახურდიას ქ. №80). ამის გამო ხსენებულმა ტელევიზიამ ისეთი ქუდზეკაცობისკენ მოუწოდა საქართველოს, თითქოს ფსოუსკარიდან ოკუპანტის გასარეკად აესხას ხმალ-შუბი.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი მკვლელობა დიდი ცოდვაა, თუნდაც მოკლული თავის სქესზე (მამაკაცობაზე) და ეროვნულ (ქართულ) ვინაობაზე უარს ამბობდეს. მაგრამ რატომ გვინდა, რატომ რთავს ქართული საზოაგდოება ნებას, რომ ასეთი უხამსობებისადმი შემწყნარებლობით დაიწყოს მისი სააზროვნო ათვლა, რატომ ცდილობენ, რომ ცხოვრების ასეთი წესი იყოს მისაბაძი საქართველოსთვის?!

ამ შემთხვევაში ქართველი ერის ნებას აცდენილი და ზნეობაზე მითარეშებული უხამსობა გიორგიანობის აღგვას სწორედ ასეთი ქუდზეკაცობით ცდილობს, რადგანაც ეს მისთვის და ტექნოკრატიული დასავლეთისთვის ***„პოლიტიკური მკვლელობა“*** *და ანაგრიშსწორებაა* ***„დემოკრატიამდე“*** *ვერ ამაღლებულ ქართულ საზოგადოებაში"...*

<u>სწორედ ასეთი მიზნების ძალისხმევით, აგრესიულ გლობალიზმს საქართველო და ქართველი ერი არ სჭირდება თავის დედან ვინაობასა და შინაარსში. ბუნებრივია, აქ ესურვილებათ ხეპრე, გამოთაყვანებული და მართვადი ბრბო, ანუ გეიმასა. სამწუხაროდ, ჩვენს მიწაზე ჯერჯერობით კაცობრიობის კეთილი ნება ვერ მიელიანდაგა უფლის ნებადართულობასა თუ ქართველთა სახალხო სულისკვეთებას: თავისსავე მამულში დღეს ქართველი ხიზანია და დამცირებული, მისი ღირსეულობა ქილიკდება, ხოლო მოჭირნახულის ყოველდღიურობა უპატიურდება.</u>

*გასაგებია ამ უბოდიშოდ შემოთარეშებულ სიცხადეს, საუბედუროდ, ჯერჯერობით ვერ ავლაგმავთ, მაგრამ **ჩვენ ვალდებული ვართ, ქართველ ერს დაუფარავად განვუმარტოთ და ავაცილოთ მილევადი მდგომარეობა და კიდევ უარესი, ძილქუშში ნებივრობა შევაწყვეტინოთ...***

*ასე და ამრიგად, ქვეყანა გადაიქცა ერთ სადენაციონალიზაციო საამქროდ, სადაც საზოგადოებას ვერაგული ხელგამოღებით არწმუნებდნენ, რომ **თავს დამტყდარი პარტახი მოდის ქართული აზროვნების წესიდან („ნუ, საქართველოა“) და დედაეკლესიის სწავლებებიდან.***

ქვეყანაში თვითმარქვიად ამოსოკოებული ***„უფლებადამცველები“*** არსებულ შეუსაბამობებს იმიტომ კი არ ასაჯაროებენ, რომ მიზეზებს ჩაეძიონ და ჭირისუფლის რუდუნებით აღმოფხვრან (მათი უმეტესობა ხომ ხელოვნურადაა გარედან შემონაგავებული?!), არა, პირიქით: ამით მსოფლიოს წინაშე თითმიშვერით გვასაჯარისებენ, რომ ***„ქართველად ყოფნა ჩამორჩენილობაა“*** და გვაქეზებენ ჩვენივე ვინაობის უარსაყოფად. ჩვენი სამშობლოს - საქართველოს მაგივრად დამკვიდრდა ცხვირაბზუებულთა გამოთქმა - ***„ეს ქვეყანა!“***

ასე დაგეშილი თაობის ერთი, უიმედოდ წვრთნაშეუსმენელი ნაწილი, რომელსაც ტექნოკრატიული დასავლეთი ქართველი ერის ზეპურობად (ელიტად) მოიაზრებს, ნეოთეათუთბერიძული აგრესიის პავლიკმორროზოვულ და შვონდერ-შარიკოვულ ბრიგადებად (სექტებად) იქცნენ (ნ. გვარამია, კ. კოჟორიძე, ე. გიგაური, ნ. ლომჯარია და ა. შ.). ცხადია, მათი კეთილდღეობა და საშოვარი აულაგმავ ქართველთმოძულეობაზეა დამოკიდებული (აქ ერთიცაა, - ღრმა და საფუძვლიან ახსნა-განმარტებას მოითხოვს ე. წ. შემწყნარებ-ლობის (ტოლერანტობის) ის ნაირსახეობა, დაუკითხავად რომ გვახვევენ თავს ჩვენსავე ქვეყანაში: ეს ძალიან ჰგავს ჩასაფრებულ ძალებთან მიზნობრივი თვალდაბრმავებითა და ხელფეხშებორკვით გაასპარეზებას.

<u>საქმე ისაა, რომ მიმტევებელი და შემწყნარებელი (ტოლერანტული) უნდა იყო ისეთი მოვლენისადმი, რომელიც, თავისი შინაარსით, არ გეხიფათება და ჟღარუნით არ მოიწევს ჩვენსკენ. თანაც, თავის მხრივ, ისიც პატივს სცემს შენს ვინაობას, თორემ, შემწყნარებლობა იმათ მიმართ, ვინც არასოდეს არ იქნება ტოლერანტული თავად, - ბოროტმოქმედებაა ეროვნული ღირებულებების წინაშე და ის ძალა, რომელიც „უფლებადაცვის“ საბაბით მათი შემწყნარებლობისკენ მოგვიწოდებს, თვითონაა შენიღბული მტერი!..</u>***

ცხადია, ზედმეტი და დაუმსახურებელი შემწყნარებლობა კაცთმოყვარეობას სცილდება და უგნურთა წინგაუხედაობაში გადადის.

აქვე და ამასთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა გაირკვეს, რომ სიტყვის თავისუფლება, როდესაც იგი ზნეობრივ საზღვრებს მიეთარაშება, უკვე სიტყვის თავისუფ;ლება კი არაა, არამედ ძალადობა გახლავთ სხვათა უფლების წინააღმდეგ, რაც კონფლიქტის მაპროვოცირებელ პროვოკაციად ისაგნება. ასეთ დროს, აქედან გამომდინარე შედეგებზე პასუხი

ყოველმიზეზგარეშე უნდა აგოს მან, ვინც ამგვარი ***„სიტყვის თავისუფლების“*** უკან დგას, ანუ პროვოკატორმა.

აქ ერთი რამ ძალიან ხმამაღლა და მკაფიოდ უნდა განემარტოს აშშ-ს ელჩს, ფაქტობრივი მდგომარეობით საქართველოში ნამესტნიკური ადმინისტრაციის უფროსს: - ვის-ვის და აშშ-ს არა აქვს ზნეობრივი უფლება ქართველ ერს ასწავლოს ადამიანთმოყვარეობა, ხალხთმოყვარეობა, შემწყნარებლობა და მისთანები.

ამაში ნებისმიერი დაგვეთანხმდება, რომელიც შეპირისპირების წესით ზედაპირულად მაინც გადაავლებს თვალს როგორც საქართველოს მრავალათასწლოვან მატიანეს, ასევე ორიოდესაუკუნოვან აშშ-ს ისტორიას.

ჩვენ ჩვენი ოფლით, ცრემლითა და სისხლით მორწყულ მიწაზე ვაშენებთ საკუთარ სახელმწიფოს, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები მის მიერ დაპყრობილ, აღგვილ და გადაშენებული მკვიდრი ხალხის ძვლებზე აცათამბჯენებს საკუთარ დიდმპყრობელობას!..

ამასთან დაკავშირებით, ერთიც უნდა გავიცხადო და თქვენთან ერთად ხმამაღლა ვიფიქრო: რაკიღა ჩემს თითქმის ყველა წერილში შემაშფოთებელ საფრთხეებზე ასე წამგაუცდენლად ვსაუბრობ, რომლითაც ***„დემოკრატიული“*** გადაგვარებით ***„ცივილური“*** გადაშენებისკენ მიჰყავთ ქართველი ერი, იქნებ ვინმეს მოვაბეზრე კიდეც თავი, ***<u>მაგრამ რა ვქნა, როდესაც მკაფიოდ ვხედავ, რომ ხომალდი, რომელშიც 1991 წლის დეკემბრიდან ასე მოხალისედ, უჭკუოდ და წინგაუხედავად ჩასაწყობდა ქართული საზოგადოება, ტექნოკრატიული დასავლეთის ოკეანეებში ჩაიძირება!.</u>*** ღმერთმა ქნას, ამ შემთხვევაში უსაშველოდ ვცდებოდე, ყველაზე უფრო მე გამახარებდა ეს.

არადა, საზოგადოება ვერა და ვერ ისიგრძეგანებს ამ საბედისწერო ხიფათსა და სათანადოდ (ადექვატურად) არ უპირწონდება კარს მომდგარ გადამშენებლობას. ჩასაფრებულის ნიშნისმოგებით კი არა, სახლიკაცის თადარიგითა და კეთილ-მოსურნეობით მოგზღავით ამას და უნდა დაიჯეროთ, რომ ჩვენს გარშემო, „ადამიანის უფლებათა დაცვის“ ლოზუნგის ქვეშ, მიმდინარეობს პიროვნების (რომელსაც ვითომცდა იცავენ), საზოგადოებისა და მთლიანად ერის განადამიანება (რაზჩოლოვეჩენიე).

აბა, დაფიქრდით: არის თუ არა ეს ერის სიწმინდეებში ჩარწყევის თავაწყვეტილი სურვილი, როდესაც ტელეეკრანიდან ამგვარი ***„ხუმრობა“*** გესმის, - ***„მოსწავლემ თქვა, ილია ჭავჭავაძე ქართველი ერის დიდი მამათმავალი იყო“***-ო ან ***„ჩემი დედა მ....“*** და ასეთ ხრწნადობათა გამო დამსწრენი ტაშს უკრავენ და ხარხარებენ... (ტელეკომპანია ***„რუსთავი-2“,*** სარეკლამო რგოლი, 2014 წ... 28, 29, 30 ნოემბერი).

<u>ის, რომ ასე ახარხარბული სიმრავლის გასწვრივ რომელიღაცა თავს შეიწუხებს მიტაცებული ქართული მამულის შემოსხეულებაზე, სასურველის გახმოვანებაც არაა, რადგან ამნაირად გამოთაყვანებულ საფიხვნოში ასეთი სურვილები არ იბადება. იგი აქ „მოვლილის ახირებაღაა“.</u>

რუსეთის მიერ ანექსირებული ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის), ცხინვალის მხარისა და ა. შ. დეოკუპაციას, უპირველეს ყოვლისა, წინმსწრებად სჭირდება: *1. ამასთან დაკავშირებით რუსიზმის მიერ შექმნილი დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული სტერეოტიპებისა და ტერმინოლოგიის დემონტაჟი ჩვენი ცნობიერებიდან და პოლიტიკური მიმოქცევიდან მათი გაძევება; 2. აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის (ასევე სხვა ოკუპირებული მიწების) შესახებ შეთითხნილი კრემლიდანური (არამხოლოდ) ისტორიის გამოცხადება დანაშაულებრივ სიყალბედ და მსოფლიოს სამეცნიერო, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური წრეებისთვის საქართველოს დედანი ისტორიის საყოველთაო გასაჯარისება. მისი საერთაშორისო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (ამ რამდენიმე წლის წინ საბერძნეთის ხელისუფლებამ, სათანადო პროტესტის ნოტით, წინააღმდეგობა გაუწია მაკედონიად თვითწოდებული სახელმწიფოს ამ სახელით გაწევრიანებაში ევროპის საერთაშორისო ინსტიტუციებსა თუ მასთან გათანაბრებულ ორგანიზაციებში. თავის მხრივ, ევროპის სახელმწიფოთა სათანადო სამსახურები იძულებული გახდნენ, ზედმიწევნით გაეწიათ ანგარიში ბერძენთა დასაბუთებული მოთხოვნისათვის). და 3. პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიური, კულტურულ-საგანმანათლებლო, ადათობრივ-სარწმუნოებრივი, სახლიკაცურ-ძუძუმტეობითი, სამეურნეო, სამართლებრივ-ძალისმიერი და სხვა შესაბამისი ასპექტების სახელმწიფო პოლიტიკად ჩამოყალიბება და მასზე დაფუძნებული ცნობიერების გამშობლიურება.*

პირდაპირ, თავშიცემითა და განგაშის წესით უნდა ითქვას, რომ ასეთი პოლიტიკა ჯერჯერობით *„ქართულ“* სახელმწიფოს არც გააჩნია და აღარც მიდრეკილებას ავლენს აქეთკენ, ამავე დროს, მისი ე. წ. საგანმანათლებლო პროგრამა ქართული გონითი განფენის სივრცეს კვლავაც გზაკვალამრევი ხმაბოდვებით განიხილავს. უფრო მეტიც, ისინი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) *„გასხვაქვეყნებას“*, ტექნოკრატიული დასავლეთის დაკრულზე აძრავებულები, კრემლის სტერეოტიპებითა და ტერმინოლოგიით რუსიზმზე უფრო გულმოდგინედ განაგრძობენ დღესაც.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, მკაფიო პასუხი უნდა არსებობდეს კითხვაზე: *1. არის თუ არა დღეს ქართული საზოგადოებისთვის აფხაზეთი ჩრდილო-დასავლეთ საქართველო? 2. ვისი კულტურული მემკვიდრეობაა ქართულად აღაღადებული ბედია, ილორი, მოქვი, კომანი, დრანდა, ლიხნი, ბიჭვინთა, ბესლეთის ხიდი?!. 3. ვინაა ის ხალხი, რომელმაც ათასწლეულების წიაღში აფხაზეთის ხეობებს, მდინარეებს, დაბა-სოფლებს ქართული (მეგრული) სახელები შეარქვა? 4. რა ეროვნების უნდა ყოფილიყო ის ხალხი, რომელთაც მე-19 საუკუნის აფხაზეთში სახელად ერქვათ თოლისქვამი, თოლიოქრო, უჯუში, დრიმიტი და ა. შ.? 5. რატომ არაა ხელმისაწვდომი და სამეცნიერო თუ პოლიტიკურ მიმოქცევაში ფართოდ გასაჯარისებული აფხაზეთში წათლობის ჩანაწერთა თუ საკომლო აღწერათა მონაცემების მიხედვით დადასტურებული ადამიანთა თავანკარა ქართულით გაშინაარსებული გვარ-სახელები?*

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კვლავაც კრემლიდანური სტერეოპიტებითა და ტემრინოლოგიით დანაშაულებრივი განხილვის ერთ-ერთი ბოროტმოქმედული ნიმუში გახლავთ დღევანდელი საჯარო სკოლა, რომლის პროგრამაში, კერძოდ, მშობლიური (ქართული)

ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიისა თუ სხვა შესაბამის გაკვეთილებზე საქართველოს მარადიულყოფისა თუ მისი ღია ჭრილობის - აფხაზეთის საკითხი კინაღამ ქილიკის დონემდეა დაყვანილი. ამ მხრივ, შესაშურ გულ-მოდგინებას, უვიცობაში ნავარდის სურვილსა და დანაშაულებრივ წინგაუხედაობას ავლენს მშობლიური ლიტერატურის IX კლასის სახელმძღვანელო (ვახტანგ როდონაია, ავთანდილ არაბული, ნინი ნაკუდაშვილი, მარინე ხუციშვილი, გამომცემლობა "სწავლანი"):

„... მერე აფხაზებმა რომ დაგიჭირონ და გაგყიმონ?

- *რათ უნდა გამყიმონ?*
- *როგორ რათ, ქართველი ხარ!*
- *ხო, მერე?*
- *მერე მაგათ ქართველები არ ევასებათ...“ (ნუგზარ შატაიძე)*

ნუგზარ შატაიძე ღმერთმა აცხონოს, მან აფხაზეთი და საქართველო სწორედ კრემლიდანურ შინაარსში წარმოსახა, რადგან, ეტყობა ან არ იცოდა ამ ქართული მხარის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) დედანი შინაარსი ან კიდევ თავს მოიხვია კრემლიდანური სტერეოტიპი. არაა ეს კარგი საქმე, მაგრამ დივერსიას ვერ დაარქმევ, სანამ წინამდებარე ნაწარმოები მისი (ავტორის) კრებულის ბინადარია მხოლოდ. ასე სჯეროდა ამ კაცს და დაანებე თავი, მაგრამ, როდესაც სკოლაში, მოზარდს ამგვარად უშინაარსებ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, ეს, სულ ცოტა, უგნურება, ქუჩისფსკერული გემოვნება, რაც მთავარია, ბოროტმოქმედებაა დედანი ისტორიის გაყალბებასთან ერთად. იგი კრემლის სტერეოტიპთა სიცოცხლისუნარიანობის ხელშეწყობაა. რა შეღავათია ჩემთვის, ბესლეთის ხეობელი აფხაზისთვის (მეგრელისთვის, მაშასადამე, ქართველისთვის) მტრის საქმეს მუქთად აკეთებს ეს ხალხი თუ გასამრჯელოს იღებს ამაში?).

<u>მე აქვე ვეკითხები მათ, - ჩვენს სახელმწიფოში არის რაიმეგვარი ინსტიტუცია, რომელიც დაიცავს ჩემს აფხაზურ ე. ი. ქართულ ვინაობას? როდემდე უნდა ვისჯებოდეთ ჩვენ, ჭეშმარიტად აფხაზები, რომლებიც ჩვენს დედან ცნობიერებაში დავრჩით და პასპორტში ეროვნებად ჩვენი ქართველობა დავიდასტურეთ?</u>

როდესაც სახელმწიფოში აფხაზი ასეთი კრემლიდანურობით განიმარტება კვლავაც, იქ რანაირად გინდა, გაამართლო ამ მხარისათვის თავგანწირვა ან რომელი მოცლილი, ამგვარ დივერსიულ სულისკვეთებაში ფეხადგმული, გაიმეტებს თავს?

მახსოვს, ამ ათი წლის წინ ჩემს შვილიშვილს - თარაშს და მის თანაკლასელებს მეორე კლასში მასწავლებელი უხსნიდა თუ რა სასტიკად მოექცნენ *„აფხაზები“* ქართველებს.

- აფხაზი მე ვარო, განმარტა ბავშვმა ისე, როგორც ეს დევნილობაში, მაგრამ მაინც თავის აფხაზურ ჭერქვეშ ესმოდა... ისინი, ვინც ასე გვექცეოდნენ, სეპარატისტები არიანო, იქ მომხდარი გარეწრობა აფსუებსაც არ გაუპიროვნა მან.
- არაო, აიჩემა მასწავლებელმა, შენ აფხაზი არ ხარ, ქართველი ხარო!..

- ქართველიც ვარ და აფხაზიცო, ეს ერთიდაიგივეაო, არ დათმო თარაშმა.

- რა თავხედი ყოფილხარო, ბიჭო! განრისხდა იგი...

აი, ასეთი ცოდნითა და მსოლფმხედველობით, უფრო სწორად, ჩვენი ვინაობისადმი დამჩექმებლური და უგნური დამოკიდებულებით ვაყოველდღიურებთ ამ საგულე ჭრილობას.

დიდი ქართველი ერისკაცი, წმინდა ილია მართლის თანამებრძოლი აფხაზეთიდან, რაინდი, აფხაზეთის მთავრის შთამომავალი, ცნობილი უნგრელი მხატვრის - მიხაი ზიჩის სავეფხისტყაოსნო ილუსტრაციებში ტარიელის პროტოტიპი, თავადვე დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შარვაშიძე ხმისჩახლეჩამდე ჩაჰღრიალებდა ეპოქის ყურდახშობას:

„განგებავ, ამას ნუ მიწყენ,
ვერ გადავგვარდე გვარადა,
ხანდისხან დავიღუღუნო
მამა-პაპური ვარადა!“

<u>სამწუხაროდ, ეს ჰანგი არც დღეს ესმის აგრესიული გლობალიზმის განუკითხაობაში ვინაობა შემოხარჯულ თაობას.</u>

არც ეს ცოდვისკითხვა ეუბნება რაიმეს ამ სულსაჭურისთა სიმრავლეს, რომ 1993 წლისათვის აგრესორ-სეპარატისტებისა და რუსიზმის საომარი ავანტიურების შედეგად ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) ძალადობით გამოიდევნა ამ მხარის დედან ვინაობაში გამშინაარსებელი შარვაშიძეები, ანჩაბაძეები, მარღანიები, მარშანიები, ემხვარები, ინალ-იფები, ძიაფშ-იფები, მარშავები, ზუხბები, ჩხო-ტუები, კაკუბავები და ა. შ. იგი სათარეშოდ დარჩათ ოზგანოღლიყოფილებს, ისკანდერიანყოფილებს, ასევე ჯინჯოლიებიდან, კობახიძეებიდან და მისთანებიდან ფაბრიცირებულ „абхазец“-ობას, ანუ რუსისტულ ჩექმებს.

<u>აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) დედან შინაარსში განხილვა, უფრო ზუსტად კი საქართველოს გასიგრძეგანება თავის ბუნებრივ სივრცეში ან არ შეუძლიათ, ან ძალიან უჭირთ, ან კიდევ ბუნდოვნად წარმოუდგენიათ ჩვენს ქვეყანაში არა მხოლოდ კულტურისა და განათლების მესვეურებს, არამედ, ეს არ ეხელეწიფებათ სახელმწიფოში ხელისუფლების საპასუხისმგებლო თანამდებობის პირებსაც, ასევე (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მოაზრება დედან ვინაობაში), მრავალწლიანი დენაციონალიზაციის გამო, საზოგადოებასაც ეძნელება და თანდათან მიიმიერდება სახალხო მეხსიერებაშიც.</u>

თუმცა აქ სხვა, უფრო ზუსტი მიზეზის მოთვალიერებაა უპრიანი, - ხელისუფლება, რომელმაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციისათვის *<u>სახელმწიფო პოლიტიკა უნდა შეიმუშაოს, არ ემსახურება ქართველი ერის ნებას.</u>*

აბა, შეადარეთ: აჭრის მოსახლეობამ 2014 წელს შექმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც განცხადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, რათა 25 აგვისტო - აჭარის დახსნა, ოსმალეთის იმპერიისგან და დედასაქართველოსთან მისი შემოერთების დღე, ეროვნულ დღესასწაულად დაეკანონებინა. იგი გულცივად და აჯებირებით შეხვდა ამ სახალხო წინადა-დებას.

თავის მხრივ აჭარის ხელისუფლებამაც ყოველმხრივ დაამუხრუჭა აჭარელთა ძალისხმევა, - ბათუმში, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მიმდებარე სკვერში აღემართათ მემორიალი ამასთან დაკავშირებით, სხვათაშორის, საამისო თანხა აჭარის მოსახლეობამ თვითონ შეაგროვა.

მიზეზი? - თურქებს ეწყინებათო (?!).

ცნობისთვის: თურქთა სახელმწიფო თავად დღესასწაულობს ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე თურქეთის რესპუბლიკის შექმნას (1923 წ. 29 ოქტომბერი), თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თურქულ საზოგადოებაში საკმაოდ არიან ძალები, რომლებიც ოსმალეთის იმპერიის აღდგენაზე ოცნებობენ.

არადა, საუკუნეების მანძილზე მტრის მიერ მიტაცებული ჩვენი მამულიდან აჭარა, მესხეთ-ჯავახეთის ნაწილთან ერთად, ჯერჯერობით ის ბედნიერი და ერთადერთი გამონაკლისია, როდესაც საქართველომ შემოისხეულა ძალით წართმეული საკუთარი მხარე.

აქედან გამომდინარე, 25 აგვისტოს დღესასწაულად დაკანონება არა მხოლოდ აჭარის, არამედ სრულიად საქართველოს მოსახლეობისათვის გახლავთ იმის იმედი და ნიშანსვეტი, რომ ოკუპირებული მამულის გათავისუფლება შეიძლება!..

რა თქმა უნდა, ამისათვის ერი თავად უნდა იყოს ქრისტესმხედარი და გიორგიანელი, მაშინ მას არ ეყოლება სულიერად ცვედანი ხელისუფლება.

იმ ვითარებაში, როდესაც ამ მხრივ სახელმწიფო პროგრამა არ არსებობს, ერის ცნობიერ წიაღში უნდა იფეთქოს სააფხაზეთო მარადიულყოფის ქართულმა მეხსიერებამ. ნებისმიერი საჯარო მსჯელობა ამ საკითხებზე უნდა დაეშენოს იმის გათვალისწინებას თუ რა დივერსიული მემკვიდრეობა დაგვიტოვა ამ მხრივ საბჭოთა ეთნოფაბრიკაციულმა ინდუსტრიამ, რომელიც სხვა ხერხებთან ერთად ე. წ. *„абхазец“*-ური მეცნიერებისა და მწერლობის ძალისხმევითაც ამკვიდრებდა აზრს ქართულ „*დიდმპყრობლობაზე“* და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) „*არაქართული ქვეყნის ქართველთა მიერ ოკუპირების“* შესახებ.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ერთ-ერთი ასეთი *„მეცნიერული ნაშრომი“* ბაჯგურ საღარიამ (საღარეიშვილყოფილმა) საბჭოთა კავშირის დაშლის კვირაძალს გამოაქვეყნა ქ. სოხუმში, რომელშიც ამტკიცებდა, თითქოს, ი. სტალინისა და ლ. ბერიას მიერ სახელმწიფო პოლიტიკის სახე მიეცა 20-ე საუკუნის 30-40-იან წლებში *„აფხაზთა გაქართველებას“* და საქართველოდან აფხაზეთის ასსრ-ში ქართველთა „ხელოვნურ“ ჩასახლებას...

სწორედ ეს ცილისმწამებლური და ეთნოდივერსიული პროპაგანდისთვის მოსახმარებელი *„მტკიცებულება“* გამახსენა ამას წინათ ვაჟა ჟღენტის წერილმა *„უახლესი წარსულის მოვლენების გარკვევისათვის“ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 5 დეკემბერი, 2014 წ.): „...1944 წელს სტალინმა აფხაზეთში საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი ჩაასახლა. ეს იყო, როგორც*

იტყვიან, ნელი მოქმედების ბომბი. აფხაზები ამ მოვლენას გენოციდად აღიქვამდნენ. თუ მე-20 საუკუნის დასაწყისში აფხაზები აფხაზეთის მოსახლეობის 58,5%-ს შეადგენდნენ, 1994 წლის შემდეგ ეს პროცენტი დაეცა 17-მდე. ასე რომ არ მომხდარიყო, აფხაზეთი დღესაც საქართველოს შემადგენლობაში იქნებოდა...“

ვინაიდან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკითხებში ჩაუხედავ ვ. ჟღენტს ზემოთდასახელებულ წერილში ქვეყნის საჭირისუფლო დებულებებიც აქვს, ამ წერილს შევაფასებ მხოლოდ დასანან გაუგებრობად (თუმცა მტრის წისქვილზე წყლის მომშხეილებელიცაა ის, რაც მთავარია, სიმართლის მრუდე სარკეში წარმომჩენი გახლავთ იგი). ამას პირდაპირ ვამბობ და ბატონი ვაჟა კიდევ ერთხელ, გულდასმით უნდა გაეცნოს დედან მოვლენებს ამ მხრივ, რაც თავადვე გაასწორებინებს თავის მცდარ აზრს).

დავიწყოთ იმით, რომ მარტო მეოცე საუკუნის 70-იან წლებიდან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ძალისხმევითა და საქართველოს სსრ *„ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით“* 129 ძირძველ ქართველთა, ანუ აქაურ მეგრელთა (აფხაზთა და არა აფსუათა ან *„абхазец“*-თა) სოფელი გაუქმდა. შედარებისთვის: ცხინვალის მხარეში ეს ციფრი 205-ს უდრის, როგორც ხედავთ, ამდენი ქართული სოფელი გაუქმდა. საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მეცადინეობით (აქაც ამასთან დაკავშირებით დროს არ წაგართმევთ, რადგან ეს საკითხები ვრცლადა მაქვს განხილული ჩემს წიგნში *”დივერსიული ეთნოფაბრიკაციების ახალი ტალღა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში)”*, ქ. თბილისი, 2011 წ.).

განსაკუთრებით მეოცე საუკუნის 20-30-იან წლებში აფხაზეთის საბჭოთა ხელისუფლება თარეშის წესით არბევდა იმ ქართველებს, რომლებიც *„абхазец“*-ად არ ეწერებოდნენ. მათ, არც თუ იშვიათად, თვითონ ნესტორ ლაკობა დასდევდა მაუზერით ხელში და მეგრულად უყვიროდა: *„აფხაზათ დიჭარით, ვარა ენგურც მელე მეურთ...“ („აფხაზად ჩაეწერეთ, ანდა ენგურს გაღმა წადითო“...* ეს იყო აულაგმავი ტერორი აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში) ქართველთა წინააღდმეგ. ამავე დროს საბედიანოს (გალის რაიონის), რომლის მოსახლეობა პირწმინდად ქართული (მეგრული) გახლდათ, აფხაზეთის ასსრ-ისთვის მიკუთვნება იმთავითვე ამ მხარის ოკუპაციას ნიშნავდა. რაც მთავარია, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მიწაზე აფხაზეთის ასსრ-ის ქართველთა (აფხაზთა) ნების საწინააღმდეგოდ შეკოწიწება, მის დედო სხეულიდან ჩამოგლეჯას და პირდაპირ კრემლისთვის მიქვითკირებას უდრიდა.

აფხაზეთის (იმხანად სოხუმის ოლქის) მოსახლეობა 1897 წლის აღწერის მიხედვით ასე გამოიყურებოდა: სულ 106179; აქედან ქართველი 60000-მდე, თუმცა სამურზაყანოელთა *„абхазец“*-თადმი ხელოვნური მიკუთვნების გამო ეს მაჩვენებელი საგანგებოდ შეამცირეს 25000-მდე და აფსუათა რაოდენობა

28000 მიზნობრივად გაბერეს თითქმის 59000-მდე. მათ შორის მოაქციეს 5000-ზე მეტი ჩერქეზულ-ადაღეური ხიზანი. უფრო გვიანდელ აღწერებში *„абхазец“*-ად აღწერდნენ ამ მხარის თურქებსაც, ბერძნებს, რუსებს, ესტონელებს და ა. შ.

ამავე დროს გასული საუკუნის 20-30 წლების მოვლენებმა უკრაინასა და რუსეთში მასობრივი ხასიათი მისცა აქედან ხიზანთა აფხაზეთში დამკვიდრებას, უფრო ადრე, მე-19 საუკუნეში, ასევე აქ ასახლებდნენ ესტონელებს, გერმანელებს, არმენებს, ბერძნებს, რუს-კაზაკებს, უკრაინელებს, ბულგარელებსა და მათგან შექმნილ რუსულენოვანი მოსახლეობის ნაწილს *„абхазец“*-ად აღწერდნენ.

უფრო გვიან, მეოცე საუკუნის 50-იან წლებიდან კვლავ გაგრძელდა რუსულენოვანი მეახალშენეობა, რომლის გასწვრივ ხელი შეეწყო არმენული სოფლების გაჩენას აფხაზეთის ზღვისპირეთის საუკეთესო ადგილებში.

ბატონ ვ. ჟღენტს შევახსენებ, რომ 1956 წელს ნ. ხრუშჩოვის მიერ რეაბილიტირებული იქნენ 1944 წელს ყირიმიდან შუა აზიასა და ყაზახეთში გასახლებული თათრებიც, რომელთაც შავიზღვისპირეთში დასახლების უფლება მიეცათ ყველგან, გარდა თვით ყირიმისა. აქედან გამომდინარე, ამ ხალხის დიდი ნაწილი აფხაზეთში დამკვიდრდა, რისთვისაც აფხაზეთის ასსრ საფინანსო სამსახურებმა ხაზინიდან შესაბამისი თანხებით უზრუნველყვეს მათთვის სათანადო საცხოვრებელი პირობების მოწყობა. ამის საფუძველზე ქ. სოხუმის დასავლეთით, *„Маяк“-ად („შუქურად“)* წოდებულ რაიონში, გაშენდა ყირიმელ თათართა უბანი.

ასევე, იმავე ხანებში ა. მიქოიანისა და ი. ბაგრამიანის ძალისხმევით, რომელიც ამჯერადაც თვით ნ. ხრუშჩოვისგან იყო ნებადართული. ჩატარდა საზღვარგარეთიდან ყოველთა არმენთა რეპატრიაცია სსრკ-ში. ეს ხალხი ზღვიდან მოადგა ბათუმს, რომელთაგან არმენთა ხელისუფლებამ თავიანთ რესპუბლიკაში ათასამდე ადამიანი (ძირითადად სამეცნიერო და შემოქმედებითი წრეების წარმომადგენელი) წაიყვანა, ხოლო დანარჩენი რეპატრიანტი განთესეს თვით ბათუმში, მეტი ნაწილი აფხაზეთში დააბინავეს და სოჭი-არმავირის რაიონებშიც გამოეყოთ საცხოვრისი *„სამშობლოში“* დაბრუნებულ არმენებს.

დიახ, 50-60-იანი წლებიდან მუშახელის მოზიდვის საბაბით, რუსეთიდან და არმენეთიდან ათასობით ადამიანი ხელოვნურად ჩაასახლეს გალის რაიონის პირწმინდად ქართულ (მეგრულ) რაიონში, რათა მათთვის, კრემლიდანური დაკვეთის შესაბამისად, ინტერნაციონალური (მრავალეროვნული) იერსახე მიეცათ.

რაც შეეხება ქართველთა ჩამოსახლებას ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) რაჭიდან, იმერეთიდან, ლეჩხუმიდან, სამეგრელოდან და სვანეთიდან, ესაა ჯამში 10-25 სოფელი, რაც რუსულ-არმენული ახალშენების საპირწონე ვერ გახდა, მით უმეტეს, რომ

ჩამოსახლებულთა უმეტესობა ახალ ადგილებში არ დამკვირდა, აქ შეფარდება ასეთია, 2 ქართველ მოახალშენეზე დაახლოებით 20 რუსი ან არმენი -- ***ასე არ ერქვა, მაგრამ ფუნქციით საოკუპაციო კონტინგენტი მოდიოდა.***

ამის გარდა, აფხაზეთში დარჩა ძირითადად რუსეთ-გერმანიის ომის დროს დროებით ოკუპირებული უკრაინიდან, ბელორუსიიდან და რუსეთიდან შემოხიზნული მოსახლეობა. აქვე უნდა ითქვას, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ის მოსახლეობა, რომელიც ცნობიერებით არ გა***„абхазец"*** და და არ აღიწერა არაქართველად, მათ სოფლებში ძირითადად არ იყო სამანქანო გზა და ელექტროშუქი, ამ დასახლებებში კეთილმოუწყობლობა მიზნობრივ ხასიათს ატარებდა, რათა დუხჭირი პირობების გამო, ეს მოსახლეობა ***„თავისი ნებით"*** აყრილიყო. ასეც მოხდა. ახლა თავად განსაზღვრეთ, რომელი ჭარბობდა, ჩამოსახლებულ ქართველთა თხუთმეტიოდე სოფელი თუ ხელოვნურად აღგვილი, მამა-პაპათა საუკუნოვანი საფლავებით მომეხსიერე, ქართველობა შენარჩუნებული, ქართული იერსახის მატარებელი ოხორეები.

ამას ზედ ემატებოდა ისიც, რომ აფხაზეთის ზღვის სანაპიროს სამკილომეტრიან ზოლში ხელი ეწყობოდა მკვიდრი მოსახლეობის აყრას და აქ რუსულენოვანი ***„საბჭოთა მშრომელებისათვის"*** დასასვენებელი სახლების, სასტუმროების, სანატორიებისა და ა. შ. მშენებლობას. რა თქმა უნდა, შენდებოდა საცხოვრებელი სახლებიც, მაგრამ არა ინდივიდუალური, მრავალ-სართულიანი კორპუსები, სადაც ხელოვნურად შერეული, ე. წ. ინტერნაციონალურ კონტინგენტს ასახლებდნენ. ამ გზით მათი საურთიერთო ენა რუსული ხდებოდა. ასე მაგალითად, ქ. სოხუმის განაპირას, მეფე ბაგრატ მესამის ციხე-სიმაგრის მიმდებარედ, ზღვასთან ახლოს, ჯერ კიდევ წინა საუკუნეებიდან ცხოვრობდნენ სოხუმის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკანდრო ბასილაიას წინაპრები (სხვათაშორის, არაერთი სახელმძღვანელოს ავტორს, მაღალი დონის გრამატიკოსს, სულით ხორცამდე ქართველობის გამო, საბჭოთა ჩინოვნიკებმა ყოველმხრივ ჯებირი აღუმართეს, რათა უფრო მაღალი სინჯის სამეცნიერო ხარისხი არ მიეღო). 70-იან წლებში, სხვებთან ერთად, მათი საკარ-მიდამოც აღებაში მოხვდა, რადგან აქ 12 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი ააშენეს სამხედრო მოსამსახურეებისათვის, რომელთა უმეტესობა რუსი გახლდათ. მართალია, მოხუც ნიკანდროს მეუღლესთან ერთად, ასევე მათ შვილს, წარჩინებულ პედაგოგს, ბატონ რევაზსა და მის ცოლ-შვილს ბინები ცალ-ცალკე მისცეს, მაგრამ სხვადასხვა სადარბაზოებში, რათა შეფერხებოდათ ურთიერთობა და ხელი შეშლოდათ მშობლიურ დალაპარაკებაში (ვინ არ ჩაერია, მაგრამ "სადაც ჯერ არს" ვერავის მოულბეს გული იმისათვის, მამა-შვილს გევრდი გვერდ მიეღოთ თავთავიანთი ბინები).

...და ბოლოს, აფხაზეთში ძირძველი ქართველობის შევიწროების ერთ-ერთი მიგნება და ვირეშმაკული ილეთი გახლდათ სოფლად კოლმეურნეობათა წევრებისთვის ***„ნამეტი მიწების"*** ჩამოჭრა. ასეთი საკარ-მიდამო მიწები მხოლოდ უძველეს მოსახლეობას გააჩნდა, ესენი იყვნენ მეგრელები (აფხაზები) და აფსუები. თუმცა, სათანადო დადგენილება ამ მხრივ ყველას ეხებოდა, ისე მოხდა, რომ აფსუებს - ***„абхазец"***-ად აღწერილებს ეს არ შეხებიათ, იგი მხოლოდ მეგრელებზე გავრცელდა. ჩამონაჭრებზე ხელისუფლებამ თამბაქოს გაშენების საბაბით ***"მომმე"*** რესპუბლიკებიდან სასწრაფოდ ჩამოყვანილი ***„მუშახელი"*** ჩაასახლა და ამრიგად ***„მეთამბაქოეებად"*** საგანგებოდ შემოოკუპანტებული არმენების ხელში აღმოჩნდა მეგრელებისთვის წართმეული მამული. საბოლოოდ კომპარტიის სახელით შემოთარეშებულმა მოძალადეებმა საკარ-მიდამოდ დაისაკუთრეს ის ნაკვეთები, დასახლდნენ და აღნიშნული სოფლები რუსულენოვან დასახლებებად გარდაიქმნენ.

ასეთია ამ საქმის ნამდვილი ვითარება ზოგადად. რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით უფრო დაწვრილებითაც შეიძლება საუბარი, მაგრამ იმის გასარკვევად, რომ ბატონი ვ. ჟღენტი აფხაზეთის დემოგრაფიული სურათის შესახებ მცდარ დებულებას ახმოვანებს, ვფიქრობ, რომ ესეც საკმარისია. ვისაც ამ მხრივ ჩემი აზრი უფრო ვრცლად და მკაფიოდ აინტერესებს, იგი ჩემს ზემოთდასახელებულ წიგნშია გასაჯარისებული.

როგორც მოგახსენეთ, აფხაზეთი ***„არაქართულ"*** ქვეყნად გარკვეულ წრეებში ჩვენთან, ქართულ საზოგადოებაშიცაა მიჩნეული და ამას იზიარებს ხელისუფლებაც. დიახ, ეს აზრი განმტკიცდა არა მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობათა დონეზე, არამედ თვით ქართველთა სააზროვნო სივრცეში. როგორც მოგახსენეთ, მასზე (აფხაზეთზე) დღემდე იმ ტერმინოლოგიითა და სტერეოტიპებით საუბრობენ, რომელიც საბჭოთა დივერსიულ-ეთნო-ფაბრიკაციულმა ინდუსტრიამ მოგვაჩეჩა ხელში. დიახ, ეს რუსიზმის სადენალიზაციო სისტემამ შეიმუშავა, თუმცა რუსიზმს ჩანაცვლებული ამერიკანიზმი ამ გამოცდილებას არათუ აძევებს თავისი საქმიანობიდან, პირიქით, ქმედითად იყენებს თვითონ.

აქედან გამომდინარე, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკითხების გაშუქებისას დღეს ჩვენთან მოსაქმიანე ნამესტნიკური ხელისუფლების რიტორიკას საფუძვლად უდევს სწორედ აფხაზეთის შესახებ რუსიზმის მიერ ფალსიფიცირებული სინამდვილე და მიზნობრივი ეთნოდივერსია.

ასე მაგალითად: 2014 წელის 26 ნოემბერს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ანექსიასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ***„რუსეთსა და აფხაზეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება"***.

ასეთი ფორმულირება *„რუსეთ-აფხაზეთი...“* ამ საკითხების ნიუანსებში გაურკვეველ მსოფლიოს არ ეუბნება, რომ *1. ე. წ. აფხაზეთის რესპუბლიკა გახლავთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველო, იგი არ არის ქართულ სახელმწიფოში ხელოვნურად შემომავალი არაქართული ქვეყანა; 2. ეს ხელშეკრულება გაფორმდა 1992-93 და მომდევნო წლებში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში რუსიზმისა და აგრესიული სეპარატიზმის მიერ განხორციელებული გენოციდის, ეთნიკური წმენდისა და ხალხის დამსჯელი სხვადასხვა ღონისძიების შედეგად, უფრო მეტიც, ასეთი მორიგი დივერსია განხორციელდა მშობლიური საცხოვრისიდან სიკვდილის მუქარით გამოძევებული 360 ათასი აქაური ქართველის, აფსუას, ბერძნის, რუსის და სხვა ეროვნების დაუკითხავად და მათ ზურგს უკან.*

ამ შემთხვევაში ჩასაფრებული კი არა (ეს სულმოკლეთა და ქვეყნის ორგულთა თვისებაა), თანატანჯვით, თანატკივილით, ჭირისუფლისა და გულშემატკივრის კეთილმოსურნეობით მინდა ვეთანასანგრო ქვეყნის პრემიერ-მინისტრს და ავუხსნა, რომ: აფხაზეთის საკითხზე კვლავ და კვლავ რუსიზმის ტერმინოლოგიით გამოუვიდა საუბარი მას მანამდეც, ბრიუსელში, ნატოს გენერალურ მდივანთან ინეს კოლდინბერგთან შეხვედრისას (17.11.2014 წ.).

კიდევ უფრო მცდარი, წინგაუხედავი და დანაშაულებრივი იყო მთავრობის მეთაურის განცხადება (16.11.2014 წ.), ტელეგადაცემა *„კურიერში“*, *<u>როდესაც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) რუსიზმის მიერ საგანგებოდ კონსტრუირებული და მოთადარიგებული ეთნოკრატიისა თუ აგრესორ-სეპარატისტების ძირგამომთხრელობას ქართველი ერისა და აფსუა ხალხის (მათთან ერთად აფხაზეთის დანარჩენი მოსახლეობის) სახალხო ნებათა წინააღმდეგ უწოდა „აფხაზეთის 25 წლიანი ბრძოლა თვითგამორკვევისათვის“. ამ მხარეში მოსახლეობის, პირველ რიგში კი ქართველთა, ასევე მომმე და სახლიკაც აფსუათა პოლიტიკური მისწრაფება მკაფიოდ გამოიხატა 1991 წლის 31 მარტს, როდესაც სახალხო რეფერენდუმზე „საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ“ კენჭისყრაში მონაწილეთა 97,73 პროცენტმა, ანუ ყველა ამომრჩევლის (მათ შორის აგრესორ-სეპარატისტების) 60,4 პროცენტმა ხმა მისცა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენას. აქედან გამომდინარე, როდესაც საუბარია აფხაზეთის თვითგამორკვევისათვის ბრძოლაზე, მხოლოდ და მხოლოდ ამ პოლიტიკურად, სამართლებრივად და ზნეობრივად გამართულ ლეგიტიმურ მოვლენას უნდა ერქვას იგი.*</u>

ამ საკითხებში ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, წინგაუხედაობა (არ მინდა ზუსტი შესატყვისი - *„უგნურება“* გავაფირნიშო) თუ ჩვენს ხელისუფლებას საუკეთესო ნაბიჯად მიაჩნია, ახლა წარმოიდგინეთ, რა შეიძლება, იყოს უარესი: თურმე, აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობის გენოციდი, ეთნიკური წმენდა, მოსახლეობის ძარცვა, სახელმწიფოს ერთიანობის კრემლის გეგმათა შესაბამისად ხელყოფა, მეურნეობის მოშლა, საკარ-მიდამოთა განადგურება (მასობრივი გადაწვა), წინაპართა სასაფლაოების შეგინება და აღგვა, გაუპატიურებები, წამებები, ცოცხალი, უმწეო ადამიანებისთვის, ზოგიერთ შემთხვევაში დაჭრილებისთვის საბუ-რავების ჩამოცმა და ცეცხლის წაკიდება და ა. შ., რომლებსაც აგრესორ-

სეპარატისტები, მათი ეთნოკრატია, რუსი და მათ მიერ დაქირავებული უსამშობლო ბოევიკები სჩადიოდნენ 1992-93 და მომდევნო წლებში, ისე გამოვიდა, რომ ქართული ხელისუფლების აზრით, *„აფხაზთა თვითგამორკვევისთვის 25 წლიანი ბრძოლა ყოფილა“(!?).*

<u>მე არ ვიცი, ვინ აძლევს სააფხაზეთო საკითხებში ქვეყნის ხელისუფლებას შესაბამის რჩევებს, მაგრამ ეს „გაკვეთილები“ სრულ უმეცრებას რომ ეფუძნება, საკამათო არაა: აფხაზეთის შესახებ საქართველოს ხელისუფლების მიერ როგორც მანამდე, ასევე დღესაც შემოძღოლილი პოლიტიკური ცნებები არათუ არ წარმოადგენენ რუსიზმის საოკუპაციო რეჟიმის საპირწონეს, პირიქით, ისინი პირმწინდად იმეორებენ დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციულ ტერმინებსა თუ სტერეოტიპებს.</u>

18.10.2014 წ. ტელეკომპანია *„რუსთავი-2“* – *„კურიერი“:* აფხაზეთი არა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდ, არამედ ნაგულისხმევი ქვეტექსტის მიხედვით მეზობელ ქვეყნად განიხილა ირაკლი სესიაშვილმა - საქართველოს პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ. 29.11.2014 წ. ასეთივე, ანუ რუსიზმის დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული ტერმინოლოგიით მიმოი-ხილა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მიმდინარე მოვლენები საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ევროინტეგრაციის საკითხებში დავით ბაქრაძემაც...

დიახ, ასეა, როდესაც შენ თვითონ კვლავაც გულმოდგინედ ამკვიდრებ საერთაშორისო პოლიტიკურ მიმოქცევაში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) შესახებ კრემლიდანურ ეთნოდივერსიათა შედეგებს, გაჭირდება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დეოკუპაციისკენ ნაბიჯის ქმედუნარიანად გადადგმა. დიახ, საზოგადოება, რომელიც *„არაქართველად“* ასახეზოგადებს *„აფხაზს“* არა მხოლოდ მხატვრულ შემოქმედებაში, არამედ საჯარო განმარტებებში, უფრო მეტიც, როდესაც ქვეყანაში სახელმწიფოს მთავრობის მეთაური მსოფლიოს გასაგონად წინგაუხედავი ხმის ჩახლეჩით გააოთხივკუთხებს *„აფხაზთა ოცდახუთწლიანი ბრძოლა თვითგამორკვევისთვისო“, <u>მაშინ ნებართვას აძლევ დამპყრობს, მოიხოცოს სისხლში დასვრილი ხელები და უტიფრად აყაროს იმავე მსოფლიოს თვალებში ნაცარი</u>,* რისი მაგალითიც გახლდათ რსფსრ-ს პრეზიდენტის ვ. პუტინის განცხადება 2014 წლის 18 დეკემბერს ათასზე მეტი ჟურნალისტის წინაშე ე. წ. პრესკონფე-რენციის ფორმატში, როცა იქოსატყუილა: *„1919 წელს საქართველომ მოახდინა აფხაზეთის ოკუპაცია და ძალით აღკვეთაო აფხაზთა ნება, დარჩენილიყვნენ მომმე რუსეთის შემადგენლობაში!..“*

ამრიგად, საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინგაუხედავი საუბარი *„აფხაზთა თვითგამორკვევაზე“* გახდა ის კვარცხლბეკი, რომელზეც რუსიზმმა კიდევ ერთხელ ააძეგლა დროსა და სივრცეში არ არსებული *„ქართველი დიდმპყ-რობლის“* ქანდაკება.

რას იზამ, ვერა და ვერ დავიგაკვეთილეთ, რომ მხოლოდ თავსმოხვეული სიცრუე ახიფათებს ქართველი ერის გასავლელ გზას, თორემ

თავანკარა სიმართლე, რა ბაგიდანაც არ უნდა გახმოვანდეს ის, ეროვნული ააღმართების ზურგის ქარი გახლავთ იგი!..

ახლა რაც შეეხება 1919 წელს *„ქართველთა თავდასხმას აფხაზეთზე“:* რა თქმა უნდა, მენშევიკების პოლიტიკა ქართული სახელმწიფოებრიობის უზრუნველსაყოფად ყოველთვის როდი იყო წინგახედული, მაგრამ აფხაზეთის მოვლენებს ამ დროისათვის ნუ წარმოვიდგენთ ისე, თითქოს ეს გახლდათ ქართველთა და *„абхазец“*-თა საომარი დაპირისპირება. არ იყო ასე, ამიტომ, სინამდვილიდან გამომდინარე, ეს უნდა შეფასდეს მენშევიკებისა და ბოლშევიკების საომარ ავანტიურად ერთმანეთს შორის. დიახ, მენშევიკური მთავრობის დროშის ქვეშ იბრძოდნენ ქართველებიც, აფსუებიც (მხატვრული სახე - ჰაკი აძბა), ბერძნებიც, არმენებიც, რუსები, ადგილობრივი ესტონელები, გერმანელები და ა. შ. სხვათაშორის, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ ინტერესებს თავგანწირვით იცავდნენ და თანმიმდევრულად ანხორციელებდნენ სახალხო ნებას ბერძენი ი. ფაშალიდი, რუსი დ. ზახაროვი, არმენი ხ. ავდალბეკიანი და სხვები.

ამგვარად, მონოეთნიკურ შინაარსს არ ატარებდა ბოლშევიკური მხარეც, რომლის შემადგენლობაში არა „„*абхазец“*-ობა, არამედ ქართველი ბოლშევიკები ჭარბობდნენ საგრძნობლად.

ბუნებრივია, აფხაზეთელ ბოლშევიკებს, ისევე, როგორც თბილისელ ან ბათუმელ, ახალციხელ თუ ღორეშელ ბოლშევიკებს (სერგო ორჯონიკიძეებს) რუსეთის შემადგენლობაში სურდათ ყოფნა.

ასეთია ამ საბედისწერო მოვლენის შეულამაზებელი შინაარსი. ვიმეორებ, იმ დროის აფხაზურ სულისკვეთებას ასახეზოგადებდა არზაყან ემხვარი, ჭეშმარიტად მოაფხაზე მამულიშვილი, ანუ დიდი ქართველი. იგი საბჭოთა აფხაზეთში კი არ დაიმარხა, როგორც გითხარით, ლევილში (საფრანგეთში) განისვენებს, ქართული სახელმწიფოებრიობის მარადიულყოფის წამგაუცდენლობად.

სხვათაშორის, როდესაც აფხაზეთში აგრესორ-სეპარატისტთა რუსისტული რეჟიმის მესვეურებსა და ამავე სინჯის თვითმარქვიებს დროებით ოკუპირებულ ცხინვალ-ახალგორის მხარეში *„დე ფაქტო ხელისუფლებად“* მოვიხსენიებთ, არც ესაა არსებული ვითარების შესატყვისი. რატომ გვავიწყდება, რომ *„დე ფაქტო“* ხელისუფლება ზოგჯერ სახალხო ხელისუფლებაცაა?! გამოხატავს ამ მხარის ძირძველი მოსახლეობის სახალხო ნებას - ქართველთა უფრო სწორად, საკუთარი მოსახლეობის სისხლში, ხელდასვრილი საოკუპაციო მმართველობა?! ჩრდილო-დასავლეთ საქართ-ველოს (აფხაზეთისა) და ცხინვალის მხარის მთელი მოსახლეობისა და, უპირველეს ყოვლისა, აქედან ეთნიკური წმენდების შედეგად გამოძევებული ადამიანების პოლიტიკურ-სამართლებრივი თავშესაფარი ვერ იქნება ეთნოფაბრიკაციული კომბინატი, ასეთ შემთხვევაში რატომ არ ვუზუსტებთ

ამ თვითმარქვიებს სწორ პოლიტიკურ შესატყვისს და არ მოვიხსენიებთ იმად, ვისაც წარმოადგენენ სინამდვილეში?!

რა საკვირველია, დე ფაქტო გახლდათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებაც, რომელიც ქვეყნის სათავეში ძალადობის გზით არ მოსულა, პირიქით, იგი საბჭოთა რუსეთის სამხედრო ძალამ 1921 წლის 25 თებერვალს შეიარაღებული იერიშის საშუალებით დაამხო. ნუთუ ამათ და ცხინვალსა თუ სოხუმში ამ მხარეთა მოსახლეობების ნდობის გარეშე მოთარეშე რეჟიმებს შორის განსხვავების დალანდვა ასე შეუძლებელია?! საერთოდ, ნებისმიერმა ხელისუფლებამ საქართველოში, თუ მას მართლა სურს ქვეყნის სახალხო ნების აღსრულება, უნდა იცოდეს და საგარეო, გნებავთ, შიდა მიმოქცევაში ამკვიდრებდეს ზედმიწევნით ზუსტ და მკაფიო პოლიტიკურ ტერმინებს, მხოლოდ მათ საფუძველზე უნდა ცდილობდეს აფხაზეთისა და ცხინვალის მხარის საკითხების განხილვას საერთაშორისო ინსტიტუციათა დონეზე. ასე მაგალითად, რამდენიმე წლის წინ გ. გვაზავას (აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარის) მითითებით ამ უწყების შესაბამისმა სამსახურებმა თავიანთ საკომპიუტერო გვერდზე *„абхазец“* სეპარატისტთა პროპაგანდისტული დივერსიების *„საპირწონედ“* განათავსეს სააუგოდ ცნობილი, გადაგვარებული კ. მაჭავარიანის ხმაბოდვა შესახებ იმის, რომ აფხაზეთი (ჩრდილო-დასავლეთ საქართველო) არაა საქართველო!..

აი, ასეთი გახლავთ მათი ქმედუნარიანობის დონე!

სწორედ ამის გამო იყო, რომ 2014 წლის 23 დეკემბერს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან ეთნოწმენდის შედეგად გამოძევებულთა შთამომავლობამ, ანუ ახალგაზრდობამ, აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს რეზიდენციის წინ (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №16) საპროტესტო აქცია მოაწყო, თან უვიც და უსაქმურ ე. წ. დეპუტატებს მახათები შეუგზავნა, რათა იმ საქმით დაკავებულიყვნენ, რაც ხელეწიფებათ!.. ამდენად, სიცხადე, რომელიც დროებით ოკუპირებულ ამ ქართულ მამულში გვაქვს, რუსისტული ეთნოფაბრიკაციებისა და ეთნოდივერსიების პირმშოა, ამიტომ, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის), გნებავთ ცხინვალ-ახალგორის მხარეთა დეოკუპაცია საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ფირნიშებისა და სტერეოტიპების დემონტაჟით, წამგებიანი ტერმინოლოგიის დიპლომატიური მიმოქცევიდან გაძევებით, ამ ქართულ ცნობიერ თუ შინაარსობრივ სივრცეთა შესახებ დედანი ისტორიის აღორძინებით და მისდა შესაბამისი პოლიტიკურ-ორგანიზაციული დასკვნებით უნდა გაისაგნოს.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წინაპრებიცა და ჩვენც მათთან ერთად, მომდევნო თაობას კარგ ან ცუდ მაგალითად დავუდგინდებით. დიახ, წინაპრები, როგორც პიროვნებას, ასევე მთლიანად ერსა და ქვეყანას უქმნიან გარკვეულ საამაყო ან სასირცხვილო წინაპირობას, გასწვრივობას, ანუ ფონს.

გასაგებია, დღეს *ძალიან ძნელია, იოცნებო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე მოაზროვნე საქართველოზე, მაგრამ ის მაინც უნდა შევძლოთ, ჩვენს მიერ მოვლენათა შესახებ გახმოვანებული შესატყვისები შთამომავლობას, მორევში ავდროებასთან მომკლავურეს, წისქვილის დოლაბად არ დავკიდოთ კისერზე.*

სწორედ საამისოდ უნდა ირჯებოდეს აფხაზეთის ა/რ-ის უმაღელსი საბჭო დევნილობაში, მაგრამ იგი ამისთვის თავისი ზნეობრივი ხელუსუფთაობისა და უწიგნურობის, უფრო მეტიც, პოლიტიკური *გამსუბუქყოფაქცევების გამო, მკვდრადშობილი ინსტიტუცია გახლავთ:*

4. საეთნოფაბრიკაციო ინდუსტრიის თავისებურებანი დღეისათვის დროებით ოკუპირებულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში); აქ ერთ, შორსგამიზნულად თავსმოხვეულ სადივერსიო ილეთსაც უნდა შევეხოთ. ეს გახლავთ საქართველოს *„მრავალეროვნულობისა“* თუ *„მრავალკონფესიურობის“ „ბუნებრივ“* შინაარსად აღიარება, დაკანონება და ამის შესაბამისად მისი საყოველთაოდ გააურზაურება (გაპიარება).

ასეთი ხერხი ყოველთვის გახლდათ მარჯვე ქამანდი ღიმილით შემონაბიჯებული ავმოსურნის ხელში. არადა, ქართულ მიწებზე ნებისმიერი არაგულითადი ჩამოსახლება „ადგილებზე“ იმპერიათა დასაყრდენი ძალების მოთადარიგებას ემსახურებოდა.

როდესაც ჩვენ შეგვახსენებენ, *რომ ისეთი ავტონომიური რესპუბლიკები, როგორიც საბჭოთა წლებში აბარაჩოს ჩვენთან, იმხანად რუსეთშიც შეიქმნაო, აქ განსხვავება არსშივეა და ეს უნდა ვიცოდეთ: ჩვენთან ქართულ მიწაზე „მომმე“ ავტონომიური რესპუბლიკების შექმნით ქართული მხარეები „გაგვისხვაქვეყნეს“ შემოხიზნულ ხალხებზე. ხოლო რუსეთის იმპერიაში დაპყრობილ, არარუს ხალხებს საკუთარ მიწაზე საბჭოთა ავტონომიების შექმნით რუსიზმის ცალუღი მოაცვეს.*

ცხადია, 1993 წლის სექტემბერში კრემლიდანურმა ძალებმა, მათ მიერვე გამოინკუბატორებულ აგრესორ-სეპარატისტთა დიდმპყრობლურ თარეშზე ამოფარებით, ნაწილობრივ დაამთავრეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დემოგრაფიული სურათის მიზნობრივი შეცვლა. რისთვისაც ისინი, როგორც ვნახეთ, არ დარიდებიან ამ მხარის ძირძველი ქართველების (აფხაზების) გენოციდს და აღმგველ ეთნიკურ წმენდას.

2014 წლის 24 ნოემბერს ქ. სოხუმში რუსული დიდმპყრობლობის მესვეურებსა და აფხაზეთში აგრესიული სეპარატიზმის ეთნოკრატიულ ხელმძღვანელობას შორის დადებული ე. წ. ხელშეკრულება ამჯერად *„რუსულ-აფხაზური ძმობის“* გააურზაურებული ლოზუნგების ქვეშ მოემსახურება ეთნოფაბრიკაციული დივერსიების გზით ინკუბირებული იმ *„ახლო ნაციის“* თანდათანობით გადაშენება-ათქვეფას, რომელიც თავის დროზე“ აფხაზეთის *ასსრ-ის „დემოგრაფიულ დადასტურებად“*, ანუ *„რესპუბლიკის სახელის მატარებელ ხალხად შეკოწიწდა”* სხვადასხვა ეთნონედლეულისგან (იმათ, ვინც უცხოთუმეობით. ხმაბაძვითა და კრემლიდანურ თუ ვაშინგტონ-ნიუ-იორკულ საპოლიტიკო გამოთქმათა გადმოასლებით ცდილობენ თვითდამკვიდრებას, უნდა უწყოდნენ, რომ მოვლენის გახმოვანება ამგვარი ჟღერადობით, *”მოსკოვსა და სოხუმს შორის”* ან *„მოსკოვსა და ცხინვალს შორის“*, ნებსით თუ უნებლიედ,

ხელოვნურად გვიუცხოებს, გვისაზღვარგარეთებს და გვიარამშობლიურებს ჩვენს სისხლ-ხორცეულ მხარეებს).

ცნობისათვის: სწორად ამ წერილს ვამზადებდი დასაბეჭდად, როდესაც (12.12.2014 წ.) გავიგე, რომ რუსმა ოკუპანტებმა *გაგრის რაიონის მაღალმთიანი სოფელი აიღბა მიუერთეს ადლერის რაიონს და იგი რსფსრ შემადგენლობაში „დააკანონეს“.* რაც შეეხება აქ მოსახლე აფსუა კომლებს, ისინი ოკუპანტთა მიერ წაქეზებულმა რუსმა თანასოფლელებმა ძალით და მუქარით გაამევეს, თან მკაცრად მოსთხოვეს, არასოდეს დაბრუნდნენ აქ და დაივიწყონ ეს სოფელი!..

ამრიგად, რუსთა და *„абхазец“*-თა უფრო დიდი მოცულობით დაპირისპირება მხოლოდ დროის საკითხი გახლავთ.

ახლა მე გეკითხებით თქვენ: საქართველოს მარადიულყოფას რომ ემსახურებოდეს ან საინფორმაციო მუშაობაში დახელოვნებული რომ იყოს, აფსუათა მიმართ რუსიზმის მიერ გადმონთხეულ ამ ზიზღის მორევს ასე დუმილით აუვლიდა გვერდს საქართველოში მოსაქმიანე რადიო-ტელევიზია. არაფერს ვამბობ საქართველოში დისლოცირებულ ნამესტნიკებზე, მთავრობად რომ გვასაღებენ თავს.

ის, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში აგრესორ-სეპარატისტთა ეთნოკრატიული და რუსიზმის კოალიციური რეჟიმი პირწმინდად ქართულ (მეგრულ) სივრცეს ღალიძგა-ენგურს შორის კი ატარებს სადენა-ციონალიზაციო ბრძმედში, მაგრამ იმავდროულად მათ არა მეგრელებად, არამედ კრემლოცენტრისტულ *”Мингрелец”*-ობად შენარჩუნებასაც ცდილობს ამ მონაკვეთში, ეს გახლავთ იმის სამომავლო თადარიგი, რომ *1. აფხაზეთში დივერსიულ-ფაბრიკაციული ეთნოკრატიის - „абхазец“-ობის წინააღმდეგ, მათი პოლიტიკური დემარშისა და ორპირობის შემთხვევაში, საპირწონედ დაუპირისპიროს გალის რაიონის მკვიდრთა შორის კრემლიდან საგანგებოდ წაქეზებული სიძულვილი „абхазец“-თა ეთნოკრატიისადმი, რომელთა დიდმპყრობლურ ექსპედიციებს გალის რაიონში მკვიდრი მოსახლეობის მეხსიერებიდან არავითარ შემთხვევაში არ ამოშლის კრემლი; 2. რუსიზმისა და ტექნოკრატიული დასავლეთის საეთნოდივერსიო პროგრამათა ფარგლებში ხელოვნურად კულტივირებული ე. წ. „Мингрелец“-ური „თვითგამორკვევა“ გალის რაიონში მიიღებს უფრო მიზანმიმართული და გეგმაზომიერი ინდუსტრიის ხასიათს, რათა იგი სრულიად ქართველთა გონითი განფენის სივრცეში (პონტო-კავკასიის ცნობიერ სამყაროში) იქცეს კოლხური შინაარსის გამსარაველიანებელ ძალისხმევად.*

დიახაც რომ ასეთ მიზანს ემსახურება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) 2011 წელს აგრესორ-სეპარატისტთა „ხელისუფლების“ მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მონაცემები, რომლის გაყალბებული და სასურველისადმი მორგებული შედეგი ამგვარად გასაჯარისდა: 122069 აღწერილი თავს „абхазец“-ად მიიჩნევს; 43166 ადამიანმა ამ სადენალიზაციო ბრძმედის პირობებშიც თავისი ქართველობა აღიარა, ამჯერად მხოლოდ 5000 მოქალაქე ჩაეწერა „мингрелец“-ად (შეადარეთ თუ რა დიდია ამ ოკუპირებულ და საეთნოფაბრიკაციო პოლიგონად გადაქცეულ სივრცეში სრულიად ქართველური თვითშეგნება. თუმცა, წვიმის წვეთთა ჯერმონაცვლეობასაც გაუხვრეტია ქვა დროთა განმავლობაში. მკითხველს ვთხოვ, ეს ადგილი საგანგებოდ დაიმახსოვროს და თუ რატომ, ამაზე

ქვემოთ, შესაბამის ადგილზე და სათანადო დროს ვისაუბროთ, როგორც რბილ „ლ„-ს შემოვიჭერქვეშეთებთ). ასევე ზემოთდამოწმებული სააღწერო მონაცემების მიხედვით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ამ დროს ცხოვრობდა 41864 არმენი, 22077 რუსი, 1380 ბერძენი და ა. შ.

ყოველივე აღნიშნული გვავალდებულებს, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მიმდინარე ტრაგიკული და საბედისწერო მოვლენები თავის ნამდვილ შინაარსსა და სწორი შესატყვისებით გავისიგრძეგანოთ ჩვენცა და გავუთვალნათლივოთ მსოფლიოს, რომ ეს იყო ქართველთა სამამულო ომი რუსული ეთნოფაბრიკაციული დივერსიისა და საოკუპაციო თარეშის წინააღმდეგ; რომ ე. შევარდნაძეცა და ვ. არძინბაც კრემლის ველიკოდერჟავულ ზრახვებს შემოუძღვნენ; რომ მოტყუებული და სისხლისღვრაში ჩათრეული ქართველები (აფხაზები) თუ ძუძუმტე აფსუები (და არა *„абхазец“*-ები) უფლის წინაშე თავთავიანთი სიმართლით ისროდნენ ტყვიას, ოღონდ იყო თუ არა სამიზნე სწორად შერჩეული, უმოკლესი გზაც ამის სწორად დადგენიდან აითვლება ღვთივდადგენილი სიმშვიდისკენ. მანამდე კი, *ცხადია, ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ საქართველოს დენაციონალიზაციისა და ცნობიერი გამდაბიურების საკითხი, როგორც რუსიზმისთვის, ასევე ტექნოკრატიული დასავლეთის დიდმპყრობლობისათვის, უფრო სწორად, ევრო-ატლანტიკური რასიზმისათვის ერთნაირადაა სასულსწრაფო!..*

5. <u>არის თუ არა დაცული საქართველოში 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმით დადასტურებული სახალხო ნება?!</u> ქვეყანაში მძვინვარებს სწორედ ის ვითარება, როდესაც სადენალიზაციო რეზერვაციაში გახლავთ გამომწყვდეული ქართველთა გიორგიანული თუ ქრისტესმხედრული მემკვიდრეობა. ასეთ დროს, საგანგაშოა, რომ ქართულმა საზოგადოებამ ვერა და ვერ გაისიგრძეგანა მარტივი სიცხადე - *ნებისმიერი ზესახელმწიფური „მზრუნველობა“ ჩვენი საზოგადოებისთვის წარმოადგენს ილეთს (ე. წ. ემიჩმენტს), რომლითაც ზოოპარკში გამომწყვდეულ მხეცებს საგანგებოდ უქმნიან პირობებს, რათა ჭარბი დრო რაიმენაირი დასაქმებით გაიყვანონ და „უსაქმურობაში“ არ გასასტიკდნენ, არ გაცოფდნენ, არ აიწყვიტონ და ა. შ.*

დიახ, ზოოპარკში გამომწყვდეული მხეცებისთვის ასეთი პროგრამები არა მხოლოდ მათი, არამედ გარშემომყოფთა უსაფრთხოებისა და სიმშვიდისთვისაც იქმნება. ცხოველთა უფლებადამცველები, წესით, ამ პროგრამებში უნდა იყონ ჩახედული, რადგან მართლაც სახიფათოა უსაქმურობა (ეს საქმე ჩვენი საპატიმრო ადგილების მესვეურებსაც უნდა ესმოდეთ).

სწორედ ამ პროგრამასთან მიმსგავსება გახლდათ ამ დღეებში (2014 წ. დეკემბერის პირველი ნახევარი), მორიგი კრემლიდანური დივერსიის გასწვრივ (24 ნოემბერი, 2014 წ.) *„ქართულ“* საინფორმაციო სამსახურთა (ე. წ. მედიის) წიოკობა იმაზე, საქართველოს შს სამინისტრომ დანაშაულის გამოძიებისას გამოიყენოს თუ არა ფარული მოსმენები და ა. შ.

ჯერ ერთი, თუ რაიმე სახის გონივრული ეჭვი არსებობს შს სამინისტროს მიმართ, ეს მისი, როგორც სახელმწიფო ინსტიტუციის დათრგუნვის უფლებას არ უნდა იძლეოდეს. კი ბატონო, გატარდეს სათანადო ორგანიზაციული ღონისძიებები, დაისაჯოს დასასჯელი, აიკრძალოს ასაკრძალი, მაგრამ ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციათა (რომლებიც ეშმაკმა უწყის, ვისი ფულით საქმიანობენ) ქუდზეკაცური შეტევა ქვეყნის საწესრიგო ინსტიტუციის წინააღმდეგ, ჩემი აზრით, სახელმწიფოს სიძლიერის ასალაგმად და ქვეყანაში განუკითხაობის შემოსაძღოლი შეთქმულება გახლავთ.

სამწუხაროდ, საზოგადოებისთვის თავსმოხვეულ ამ ისტერიაში არ არსებობს უფლებადაცვითი სიცხადე შესახებ იმის თუ *<u>რა გახლავთ წინამდებარე უფლებადაცვითი პროგრამის მოვლენულობა, მისი მიზანი, რამდენად ემსახურება ეს მიზანი ეროვნულ-სახალხო და სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას, საითკენ მივყავართ ასეთ უფლებადაცვით სვლაგეზს, - ადამიანის ზნეობაში ამაღლებისკენ თუ უსინდისობის თავაწყვეტისკენ?!</u>*

ჩვენს საზოგადოებას რატომღაც საგანგაშოდ ავიწყდება, რომ სავალალო შედეგებში ჩაიმწყვდია ტექნოკრატიული დასავლეთის კულტურა მშობლიურ ვინაობასთან და სახალხო შინაარსთან სისხლაღრევამ.

ამის გათვალისწინებით, მცდარი და დანაშაულებრივია მტკიცება, რომელიც აცხადებს, რომ, ვითომცდა, ქართველი ერის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ნატოში გაწევრიანება.

საბედნიეროდ, არ არის და არც უნდა იყოს ეს ასე, - *<u>ქართველი ერის უპირატესი საზრუნავი პონტო-კავკასიის ცნობიერ სივრცეში საქართველოს გიორგიანული და ქრისტესმხედრული შინაარსის მარადიულყოფა გახლავთ (შეიხსენეთ ზემოთდამოწმებული გერმანელ სწავლულთა აზრი საქართველოზე (კავკასიაზე): არის ამ გზაზე ზურგის ქარი ნატო, კი ბატონო, შევიდეთ.</u>*

ქვეყნის ხელისუფლება, თუ კი ის უცხო ძალათა მიზნებს არ ანხორციელებს, უპირველესად საკუთარი ერისა და მოსახლეობის ნებას უნდა მოემსახუროს, საქართველოს სახალხო სულისკვეთების მიხედვით უნდა გაისარჯოს. ამ მიზანზე მაღლა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დადგეს ნატოში, გნებავთ ევროსაბჭოში გაწევრიანება. სხვა შემთხვევაში იგი ახალი საბჭოთა კავშირი გახდება ჩვენთვის.

ე. წ. უფლებადაცვითი სიმრავლე, რომელსაც ერთხელაც, ყასიდად მაინც არ წამოსცდება ქართველი ერის უფლებების დაცვა, არასამთავრობო ორგანიზაცია კი არა, ასეთ ფირნიშს თავშეფარებული აგენტურაა: *<u>ჩვენთვის ევრო-ატლანტიკური ორიენტაცია კი არა, ქართული ორიენტაციაა უმთავრესი და ამას შემოევლოს ყველა და ყველაფერი.</u>* თუ კი საზოგადოებისთვის დებულება *„საქართველო, უპირველეს ყოვლისა“* (გ. ტაბიძე) არ იქცა სახელ-მწიფოებრივი ყოველდღიურობის ათვლად, ყოველგვარი საუბარი უფლებადაცულობაზე გაიგივდება ქართველი ერისთვის თვალებში ნაცრის უბოდიშოდ შეყრასთან.

ასე მაგალითად, ამას წინათ უმეცრებაში თავდადგენილი თაობის ერთი ნაწილისთვის კინაღამ სადღესასწაულო მოვლენა გახდა ადიგენის რაიონის სოფელ მოხისში *„ქართველი მუსლიმების მუქარა, „-მეჩეთს თუ არ გაგვიხსნით, ამას და ამას გიზამთო“* (ეს დემარში, რომელიც ცალმხრივად გააშუქა ქართული საზოგადოების მიერ დაფინანსებულმა ე. წ. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, ახმოვანებდა მტრული ძალების დესტრუქციულ და ჩასაფრებულ სულისკვეთებას და არა ქართველი ერის ნებას).

დასამალი არაა, რომ *<u>საქართველოდ წოდებულ სახელმწიფოში ქართველი ერი არაა თვითუფლებრივი</u>*: ახლა, როდესაც ამ წერილზე ვმუშაობ (2014 წ. 3 დეკემბერი), ე. წ. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველმა არხმა *„მოამბეში“* აჩვენა თუ როგორ *„ძალადობენ“* ქართველები *„მუსლიმებზე“* (ეს გახლდათ ცილისწამება ქართულ საზოგადოებაზე და სიმართლის გამრუდება). იმავწუთიერად და ფეხაწყობილად *„ქართულმა არასამთავროებმა“* (კ. კოჟორიძე, ე. გიგაური, ნ. ლომჯარია და ა. შ.) მიმართეს საქართველოს პარლამენტს, რათა აღკვეთოს ეს *„ძალადობა“.* სინამდვილეში გარედან პროვოცირებული *„მუსლიმური“* თარეში პროვოკაციულად გაშუქდა, რათა მსოფლიოს საზოგადოებრიობა შეეყვანათ შეცდომაში.

ამ ე. წ. არასამთავრობოთა ძალისხმევას ასაზრდოებს დაუოკებელი სურვილი ქართველი ერის მსოფლიო რუკიდან გაქრობაზე.

<u>ასეთ დროს ქართველ ერს და საქართველოს მოსახლეობას სჭირდება ისეთი ხელისუფლება, რომელიც სახალხო უსაფრთხოებას დაიცავს. იგი თავად არ უნდა წარმოადგენდეს ეროვნულ საფრთხეს.</u>

საქართველოში ნამესტნიკური ხელისუფლებების ჯერმონაცვლეობასთან შელიანდაგებით აგრესიული გლობალიზმის მიერ ჩვენს სამშობლოში განხორციელებულ დივერსიულ ეთნოფაბრიკაციათა ცხრათვიურობების პირმშოა ე. წ. ახალი *„ქართველი“* ნაცია (შეადარეთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მიზნობრივად ინკუბირებულ *„абхазец“*-ობას). იგი, როგორც წესი, ახმოვანებს ტექნოკრატიული დასავლეთის ევრო-ატლანტიკურ რასიზმს, ამიტომ, არათუ არ საუბრობს ის ქართველი ერის სახალხო სულისკვეთებათა შესაბამისად, პირიქით, *<u>ქართველთა სამამულო ძალისხმევაზე მიხრახნული სათვალთვალო მრიცხველი გახდა</u>*, რომელიც მაბეზღარად, ცილისმწამებლად, ჩასაფრებულად საქმიანობს ქართული ვინაობის დასანგრევად.

ესაა სულიერებისგან და მშობლიურობისგან დაცლილი სიმრავლე, რომელიც აღვირახსნილობით ანაგვიანებს საზოგადოებას. იგი პარაჟენცული მიზნებითა და მანიაკური აზროვნების წესით. საყოველთაო ყოვლისმკადრებლობით, სამშობლოს სხეულზე აღმოცენებულ ხორცმეტად იქცა. მათი ყოველდღიურობა ქართველი ერის ნებასთან აცდენაა. ესაა ტერორიზმი *„დემოკრატიის“* სახელით ქართული ცნობიერების წინააღმდეგ:

დიახ, იგი მცდელობაა ქართული სულის როგორმე *„არასამთავრობო ორგანიზაციად“* გადასაქცევად.

ეს ხალხი საქართველოში არ დააბიჯებს გულშემატკივრისა და ჭირისუფლის კეთილმოსურნეობით, ისინი ჯაშუშის ჩასაფრებით ჩამშვებლობენ, უფრო მეტიც, ესაა თვითმკვლელობაზე წამსვლელი ძრავა, რომელიც საქართველოს უეჭველი დაღუპვისკენ მიუძღვება. უკვე ეჭვგარეშე და გასაკიცხ (დასაძრახ) რაობად გვირჯულისკანონდება ჩვენი ვინაობის დაზუსტება ეროვნების, სარწმუნოებისა თუ სქესის მიხედვით. ამ მხრივ ტექნოკრატიული დასავლეთის ზეპურობა (ელიტა) მოითხოვს ჰომოსაპიენსის (შეგნებულად არ ვამბობ ადამიანის) დაყოფა ქალად ან კაცად არ წავახალისოთ, მეტიც, ასეთი მრავალათასწლოვანი მიმართვები, როგორიცაა *„გოგო“* თუ *„ბიჭი“*, გინების, უფრო სწორად, *„უფლებაშელახვისა“* და *„დისკრიმანიციის“* ფარდ გამოთქმად უნდა აღიქვასო საზოგადოებამ. ეს ის ძალები გახლავან, რომლებიც კაცობრიობის ფიზიოლოგიურ მოცემულობად საყოველთაო *„კონჩიტობას“* ანიშანსვეტებენ.

ბუნებრივია, ასეთ გარემოში დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული ინდუსტრიით გვიხარაჩოებენ ისეთ მიზნობრივ განცდას, რომლის მიხედვითაც საქართველოში ქართველად (ქართულ ვინაობაში) თავის მოაზრება უიგივდება ბოროტმოქმედებას.

აქედან გამომდინარე, ე. წ. *„ადამიანის უფლების დაცვა იქცა პაროლად“,* რომელმაც უნდა უზრუნველყოს ლგბტ-ური *„თვითმოძიების“* ჩანაცვლება ქართველთა სულისკვეთებაში, ანუ ქართველი ერის აზროვნების წესი (მენტალიტეტი) უიგივდება *„უმცირესულ“* ჭაობურობას (მიზანი ასეთია: გიორგიანული მსოფლმხედველობა ადაპტირებული იქნება ლგბტ-ურ ყოველდღიურობასთან).

ამავე დროს ქვეყანა უნდა აცხოვრონ თავაწყვეტაში, შემოჩეჩებულ შოუში, ე. წ. რეაქციაში, ისტერიასა და წიოკობაში, რათა საზოგადოების დრო არ დარჩეს აწონ-დაწონილი თუ წინგახედული აზროვნებისთვის, მეურნეობისთვის, მწარმოებლობისთვის, შემოქმედებისთვის, შემეცნებისთვის, სულიერებისთვის... რადგან აშშ-სა და ევრო-ატლანტიკურმა დიდმპყრობლობამ ქართველი ერის ყოველდღიურობიდან შემოქმედებითი, სამეცნიერო თუ მწარმოებლური საქმიანობა თანმიმდევრულად გააძევა, ვინაიდან მას აქ ტეტიური სიმრავლე სჭირდება.

ცხადია, თავსმოხვეულ კონიუნქტურაში, რაშიც ჩაგვითრიეს, ლგბტ-ური თვითაღიარება პრიორიტეტული, უფრო სწორად, სახელმწიფო პოლიტიკა გახდა. გამომდინარე აქედან, *ეს მოითხოვს ტექნოკრატიულ მესადავეთა გაჯიბ-რებას თავად უფალთან, ანუ არაბუნებრივის ჩამაგივრებას ღვთისმშობლის წილხვედრილობაში. ქართველთა გიორგიანელობა (მარგალობა) თავისი ქრისტესმხედრული მოვალეობით სავსებით დამსახურებულად უფლის ლაშქრად მოიაზრება ასეთ შერკინებაში, სწორედ ამიტომ, ძალისხმევა, რომელიც ადამიანის „მარადიულყოფის“ სახელით უპირისპირდება ყოფიერების შემოქმედს, ანუ უფალს,*

მიმდგომლური აღვირახსნილობითა და სისხლაღრევით უსარეცლდება ქართველი ერის შეუგინებლობებს, რაც, ისევ და ისევ, თვით ღვთისმშობლისწილხვედრილობაში ცდილობს გაშინაარსებას თავისი ხრწნადობით.

რა თქმა უნდა, ამისათვის სწორედაც რომ მისწრება გახლავთ მსოფლიოს წინაშე ქართველთა „გიჟვრაცუად“ გაფირნიშება: ასე მაგალითად: ქართული სულიერების ძვრაუქმნელი ბურჯის - მეტეხის გასწვრივ წმინდა აბო თბილელისა და ათთა ბევრთა (ასი ათასი) წამებულის სულიერ საბრძანისში, თვით დედა სიონის გვერდით, მარცხნიდან რომ ერთი საეჭვო, სულიერების თვალსაზრისით გამაუხამსებელი დაწესებულება (სამორინე) აღიმართა, ამაზე მტნაკლუბად ითქვა, ისიც აღინიშნა. რომ სიონის პირდაპირ ქართული ყოველდღიურობისთვის მიუღებელი მიბაძვითი „ხუროთმოძღვრება“ შემოგვენაგავა, მაგრამ ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ წმინდა სიონის მარჯვნივ, ოციოდ მეტრში, ჭაობური დემოკრატიის დაკვეთით საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჰედარასტობისთვის გასამართლებული მოქალაქის ძეგლი მარადიულყოფს პიროვნებას (ს. ფარაჯანოვს), რომელიც თავისი სოდომ-გომორული ვინაობით „მსოფლიოს ათეულში“ შედიოდა და ამით ამაყობდა. უფრო მეტიც, იგი, ამ ქანდაკების მიხედვით, თვით ანგელოსს „განასახიერებს“ შორს-გამიზნულად მიჩაქუჩებული ფრთებით (ნუ გვავიწყდება, რომ როდესაც ხატებსა თუ ფრესკებზე ანგელოსებს (იდიდოს მათი სახელი!) ასახეზოგადებენ, დიდი სიფრთხილით აღბეჭდავენ უცოდველი, ძუძუთა ბავშვის გამოხედვას...

ამ წესის საწინააღმდეგოდ, სწორედ *„ასეთ ანგელოსად“* გამოუსახეს თბილისს ერთი ცნობილი მამათმავალი მოქალაქე. როგორც ჩანს, ამგვარი რამ სატახტოსთვის მისაღებია და შეუგინებლობაზე ძალადობას არ ნიშნავს (ეს გახლავთ რწმენის დანაგვიანება, გაუკუღმართება და გადამგვარებელი ზემოქმედება მასზე).

სიტყვამ მოიტანა და ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ თიქმის იქვე (აბანოთუბანში) მეზობელი აზერბაიჯანის პრეზიდენტის, თავის დროზე ყოფილ საბჭოთა პარტფუნქციონერსა და „КГБ“-ს გენერალს - გეიდარ ალიევს გაუკვარცხლბეკეს ჩვენი სატახტო და იგიც აქედან ემსუნაგება თბილისს.

ასეთ დროს ქართულ საზოგადოებას ძილს არ უშფოთებს ის, რომ ამ ათიოდე წლის წინ ჩვენი დედაქალაქის შუაგულიდან გაძევდა დავით აღმაშენებლის ძეგლი (საქართველოს მარადიულყოფის გაშინაარსება). ასევე, იმ საბაბით, რომ საკმაო დრო არ გასულაო მისი გარდაცვალებიდან (არადა, გეიდარ ალიევზე გაცილებით ადრე უბედურად გაშორდა ამ წუთისოფელს), საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას უკვდავსაყოფად ხელისუფლებამ არ დაუშვა მისი სახელის დარქმევა რომელიმე დაწესებულებისთვის (ძეგლზე ხომ საუბარიც არაა).

მივუბრუნდეთ ისევ საბჭოთა პარტფუნქციონერისა და მეზობელი ქვეყნის მეთაურის, ჰეიდარ ალიევის ძეგლს: თუ მაინცდამაინც ამ ადგილზე აზერბაიჯანელისთვის უნდა დადგმულიყო ძეგლი, მაშინ ხალხთაშორის ჭეშმარიტი ძმობა და სამართლიანობა მოითხოვდა (და მოითხოვს) მსოფლიოსა და, პირველ რიგში, საქართველოს არაქართველ მოქალაქეთა

დასანახად, რაც მთავარია, ქართველთა პატივმიმგებლური გულწრფელობის გამოსახატავად ამ ადგილზე საქართველოსთვის თავდაუზოგავი რაინდის, მასზე მოამაგისა და ერეკლეს უკანდაუხეველი თანამებრძოლი, ასპინძის ბრძოლის გმირის ხუდია ბორჩალოელის ქანდაკება აღმართულიყო. უფრო მეტიც, სწორედ ამ უბანს მოუხდებოდა კრწანისის ბრძოლაში ერეკლეს ერთერთი უსაიმედოესი ხუთასი ბორჩალოელი მხედრის ხსოვნის მარადიულსაყოფად სათანადო ნიშანსვეტში აისახოს მათი მამულიშვილობის შინაარსი.

ამავე დროს, კი ბატონო, იმ მიდამოებში დიახაც რომ სწორად გააშინაარსებდა ჩვენი ერის უღალატო მეგობრისა და პირნათელი თბილისელის, დიდი არმენი მწერლის - ჰოვანეს თუმანიანის ძეგლი.

ასეთ პირობებში უნდა დავინახოთ, რომ გვეწვია კი არა, შემოგვეშლიგინდა ისეთი განუკითხაობა, რომელიც საგანგებოდ მოგვახვიეს თავს და ვეღარ ვედიდმანძილებით. ამიტომ, *<u>როგორც ამნაირ შემთხვევაში მოითხოვს თვითგადარჩენის ძალისხმევა და გვავალდებულებს წინგახედულება. ალღო უნდა ავუღოთ ამ ავბედით მოვლენებს და ქმედუნარიანი საპირწონე შევქმნათ, რათა უკეთესი დროის უფრო ძლიერ ზურგისქარამდე, როგორმე გადავირჩინოთ ჩვენი ვინაობა.</u>*

ის, რომ არის სურვილი, რათა საქართველოს ხელისუფლება ზესახელმწიფოთა მიერ ნამესტნიკურ მმართველობად იქნეს მოაზრებული და ანგარიშვალდებული იყოს პირველ რიგში არა ქართველი ერის, არამედ ტექნოკრატიული დასავლეთის წინაშე, ბევრი რამით თვალსაჩინოვდება. ამის დადასტურება *<u>გახლდათ 2014 წლის 7 ოქტომბერს აშშ-ს ელჩის რიჩარდ ნორლანდის მიერ საქართველოს პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის დაკითხვის მცდელობა.</u>* სამწუხაროდ, ელჩის ინგლისურენოვან შეკითხვებს ინგლისურადვე, თანაც მოსწავლის სიბეჯითით უპასუხა პრეზიდენტმა (ეს წუთია, გავიგე, რომ ზემოთხსენებულმა ე. წ. არასამთავრობოებმა, საგანგაშო ზარის შემოკვრის წესით, სათანადო ევროპულ ინსტიტუციებში ხელმეათედ უჩივლეს საქართველოს იმაზე, რომ იგი, თურმე, ნუ იტყვით, მუსლიმთა უფლებებს არღვევს. მართლაცდა, ვაი, ისტორიის ცხრაკლიტულში უსამართლო მიზნობრივობით გამომწყვდეულო, ქართველი კაცის სისხლითა და ცრემლით დაწერილო ლექსო *„რაც ჩვენს მეზობლად დასახლდა თურქი“ (გრიგოლ აბაშიძე).*

ამაოა იმის მოლოდინი, რომ მეოცე საუკუნის 40-იან წლებში დაწერილ ამ დიდებულ ლექსს და მასში ჩაკირულ ეროვნულ ტკივილს ოდესმე მაინც გადაავლებენ თვალს ქართულ სიწმინდეებზე ასე მოთარეშე *„არასამთავრობოები“* (ვაშონგტონისა და ბრიუსელის პოლიტიკური უღლის ქვეშ საქართველო და ქართველი ერი ე. წ. უმცირესობების წინაშე ჩაყენებულია მუდმივი თავის მართლების მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე, ცხადია, უნდა გავისიგრძეგანოთ, რომ ე. წ. უმცირესობები

ჩვენს ყოველდღიურობაში იპიროვნებენ ჟანდარმისა და საოკუპაციო კონტინგენტის მოვალეობას).

შესაბამისად ამისა, ტექნოკრატიული დასავლეთის მიზანია ჩვენს ქვეყანაში არა მხოლოდ მათი გეოპოლიტიკური მეტოქეების გაუვნებელყოფა, არამედ და პირველ რიგში ქართველთა სულიერი ღირებულებების განადგურებაც.

აგრესიული გლობალიზმის ასეთი მიზნის გასწვრივ დააკვირდით ხელისუფლების აზროვნების წესსა თუ მეტყველებას, იგი არ არის სახალხო, ამდენად ქართული საზოგადოებისთვის ბუნებრივი. ამ მხრივ უამრავ მაგალითს შორის საგანგებოდ მოგაწვდით იმის ნიმუშს თუ როგორ ესაუბრება დღეს საქართველოს განათლების მინისტრი ჩვენს საზოგადოებას: ***„...დირექტორი მოვალეა ნებისმიერი კომუნიკაცია მოახდინოს სკოლაში („მოამზე" 2015 წ, 17 ივნისი), (მართებული გახლავთ ასე: - "დირექტორი მოვალეა, ნებისმიერი სიახლე დანერგოს სკოლაში"....***

ასეთი ჩიქორთული, სამწუხაროდ, უბოდიშოდ შემოჭრილი საზოგადოებაში, სახეზოგადობაა თაობისთვის, რითაც ჩვენი დედა ენა დაემსგავსა წყალდიდობის გადავლის შემდეგ სხვადასხვა ნარჩენითა და ნაგვით დაბინძურებულ ხევს.

<u>ცხადია, ძნელია დაასახელო ეპოქა, რომელმაც დღევანდელზე უფრო გაამდაბიურა, აბუჩად აიგდო და დაანაგვიანა ლაზარეს ენა.</u>

ასე და ამრიგად, ტექნოკრატიულ დასავლეთს, კრემლიდანურ გეგმათა მსგავსად, საქართველოს რესპუბლიკა, ისევ და ისევ შეგახსენებთ, მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოებრივ ფირნიშად, სჭირდება, რათა ***„დიდ-მპყრობლური" („მცირე იმპერიობის")*** ბრალდება წაყენებულ რაობად გაასაჯარისოს ჩვენი ქვეყანა, რითაც ყოველწამიერად იქონიებს საბაბს მის ცნობიერ თუ ყოფით ყოველდღიურობაში ჩასარევად.

მართალია, ასეთი პოლიტიკური ხედის ასახარაჩოებლად დღეს ***„საქართველოდ"*** დარჩენილი სივრციდან ე. წ. ავტონომიური რესპუბლიკები ***„გასხვასახელმწიფოებულია",*** მაგრამ მათ მაგივრობას ქმედუნარიანად სწევენ ამავე მიზნითა და შინაარსით ფაბრიცირებული სქესობრივი, ვითომ ეთნიკური და ცრუ რელიგიური ***"უმცირესობები".***

ისინი, უხვად დაფინანსებულები საზღვარგარეთის საეჭვო წყაროებიდან, წარმატებით იპიროვნებენ ქართული სულისკვეთების წინააღმდეგ ჩასანგრებული აგენტურისა თუ ჟანდარმის მოვალეობას.

6. <u>**როცა სატახტოში ეროვნულ ღირებულებას ვინმე კორკოტა აცენზორებს:**</u> კრემლიდანური ***„ცენტრ-ნაცმენობის"*** ზემდგომ-ქვემდგომობა დღესაც გამოხმობილია ეთნოფაბრიკაციული დივერსიების საიარაღო საწყობიდან.

გასაგებია, თუ საბჭოთა კავშირის ***„ცენტრი",*** ანუ ***„რუსული გული"*** მოსკოვი გახლდათ, მაშინ მასთან ***„ნაცმენშესტვურ"*** მდგომარეობაში იყო-მეთქი უშუალოდ თბილისი, თბილისთან - სოხუმი, სოხუმთან - გალი,

გალთან - ჩხორთოლი და ა. შ. ამას ასე ***ხმამაღლა განსაკუთრებით თბილისის იმ ნაწილისთვის ვღრიალებ, რომლისთვისაც „კუჩხიჩედინერი" სულის გადღესასწაულება არც ერთ დროს არ ყოფილა, იგი უფრო „შალახოთი" იტკბობდა სმენას.*** დიახ, ბატონებო, სამეგრელოს არასოდეს გაუჭაჭანებია თავის ცნობიერებაში ეს ე. წ. ცენტრ-ნაცმენური იერარქია და ამ მხრივ ყველა დროში კრემლიდანური მონდომება მკვდრადშობილი აღმოჩნდა აქ. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ სამეგრელო თავისი იერსახით, რაგადობით, ჰანგებით, როკვით, მეურნეობით, ნადიმით, ლახიალით, გლოვითა და საერთოდ, ქრისტეს-მხედრული გიორგიანელობით თავად გახლდათ ნიკოფსიიდან-დარუბანდამდე მოაზროვნე საქართველოს მესაძირკვლე და მაჯღვერი...

სიტყვა გამოგრძელდა: წეღან, ცოტა ზემოთ დაგპირდით, რომ ამ საკითხს (რბილ „ლ"-ს) დავუბრუნდებოდით: 2014 წლის 8 დეკემბერს ტელესტუდია „ობიექტივში" გამოვიდა ვიღაც კორკოტაშვილი, რომელმაც ერთ-ერთ ქართულ მხარეს, სადაც ასო-ბგერა „ლ"-ს რბილად გამოთქვამენ, ქართველობა დაუწუნა კი არა, უფრო მეტიც, - წარმოშობით აქაური მწერლის შვილს, საქართველოს პირველი პრეზიდენტობა რომ დაუდგინა ქვეყნის გამრიგემ, ქართული ძალისხმევა დაუყენა ეჭვქვეშ. რა თქმა უნდა, არამც და არამც არ მცალია ამ კაცის საკინტაურო ***„გემოვნებასთან საქმის გასარჩევად".*** ეს მოვალეობა ტელესტუდია ***„ობიექტივში"*** ჩემი აზრით, გიორგიანელი კაცისთვის, ბატონ დავით თარხან-მოურავისა და ქრისტესმიერი სულიერი დისთვის, ქალბატონ ირმა ინაშვილისთვის მიმინდვია.

ტექნოკრატიული დასავლეთი, ვისგანაც ასე აუწონ-დაუწონავად და ხეპრული წინგაუხედაობით, იმგვარადვე, როგორც თავის დროზე კრემლიდან, ლამის ღვთისმშობლის წილხვედრილობაზე უფრო მშობლიურ იავნანურს მოველით, უფრო სასტიკი და ყურდახშობილი ოკუპანტია, ვიდრე ბ. ნიკოლსკების დამჩექმებლობა. სავაშინგტონო განმარტებაც ქართველი ერის ვინაობაზე ასევე საზრდოობს რუსისტული თეორიით ***„ქართველი ერის ჰიბრიდულობის შესახებ",*** რაც ქართთა, მეგრელთა და სვანთა ცენტრ-ნაცმენური პრინციპით ხელოვნურ შერწყმას გულისხმობდა, დიახ, კრემლის მუხანათობას ბეჯითად მიმოწაფებული წინამდებარე ევრო-ატლანტიკური აღმგველობა სწორედ ამ ვერაგობაზე გაცილებით მუხანათური ილეთებით მოთარეშობს ჩვენს მამულში, ასევე ერის ცნობიერებასა და სულში. აქედან გამომდინარე, ამჟამად ასეთი ველიკოდერჟავნიკულ ეთნოდივერსიათა შედეგების გათვალისწინებით, კრემლიდანურ თითისქნევას გასწრებული დირექტივით იგი უეჭველად განსახორციელებელ გეგმად გვისახავს ე. წ. ევროპულ ქარტიას რეგიონალური ენებისა და ეთნიკურ უმცირესობათა შესახებ, რაც, უპირველეს ყოვლისა, სრულიად საქართველოს მილევადობის ამძრავი ღვედი გახლავთ, რომელსაც სულაც ფეხებზე ჰკიდია მეგრელთა თუ სვანთა თავსატეხები. ვინაიდან საუბარი ამის შესახებ ვრცლად მე უკვე მქონდა ჩემსავე წიგნში ***„ახალი საეთნოფაბრიკაციო პოლიგონისთვის" (2009 წ.),***

ამაზედაც მოკლედ გეტყვით, რომ ასე გულმხურვალედ ცხრა მთას იქიდან დაფინანსებულ პროექტში (ქიმიურ იარაღში) ქართველი ერის, პირველ რიგში, სამეგრელოსა და სვანეთის გადამშენებელი საშუალებები დაზუსტდა.

დიახ, არ მეშლება და ვიცი თავმდაბლობის ფასი, ამიტომ, სწორედ ასეთი მოკრძალებით, მაგრამ ამასთან დაუზავებლად, ის კაცი ვამბობ ამას, რომელმაც დიდი ზვიად გამსახურდიას დავალებით, ჩემს მეგობრებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, იმხანად წმინდა ილია მართლის განმგმირავი ბერდანკა დახლილი სამეგრელოს მოსახლეობის სასახელოდ და მათივე ძალისხმევით, არ ვაბოგინეთ ამ მხარეში მორიგი ეთნოდივერსიის მიზნით მტრების მიერ საზურგისმახვილად აფრიალებული ლოზუნგები ***"კანონიერი ხელისუფლების აღდგენამდე სამეგრელოს ავტონომიის გამოცხადებაზე"*** (აბა, გაიხსენეთ, რა ერთსულოვნებით დაწვეს ქ. ზუგდიდში მეგრელებმა სატახტოში ***„მეგრულად"*** გამოცემული ე. წ. გაზეთები 1993 წლის 7 იანვარს, შობა დღეს. სულნათელი მუხრანი და ზვიადი ცოცხლები არ ბრძანდებიან, მაგრამ აკადემიკოსმა ელიზბარ ჯაველიძემ, პროფესორმა სოსო სიგუამ და ა. შ. უნდა გაიხსენონ, რომ ამ ყველაფრის მესადავეებში ნამდვილად არ გახლდით ღარიბი ნათესავი მე).

მეტსაც გეტყვით, 2007 წელს დიდი ჯაფა დამჭირდა სახელისუფლებო თუ სხვა სახის ქვედადინებათა გადასალახად, რათა აფხაზეთის ა/რ-ის დევნილ უმაღლეს საბჭოში პოლიტიკური შეფასება მიეცათ ე. წ. რეგიონალურ ენათა თვითმარქვია დამცველებისათვის, ***რომლებიც ცდილობდნენ მეგრულ-სვანური რაგადობები ქართული სამყაროსგან გაემიჯნათ, ანუ თავისივე შინაარსისთვის დაეპირისპირებინათ.***

ამის გამო მე, იმხანად აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არც თუ რიგით თანამშრომელს, ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ ***„სუდილიშჩე"*** მომიწყო და სამეგრელოს სიყვარულის სწავლება მომინდომეს ისეთმა ადამიანებმა, რომელთაც კოლხური სამყარო საყველ-პურად აქვთ მოთვალსაწიერებული. ასეთია გრანტის, ანუ 30 ვერცხლის შინაარსი (რაც შეეხება მეგრულისა (ლაზურის) და სვანურის "რეგიონალურობის", ამის ქმედუნარიანი საპირწონე მხოლოდ ის იქნება, რომ ამ რაგადობებს თელავშიცა და ბორჯომშიც იმგვარად იმშობლიურებდეს საზოგადოება, როგორც ამას გიორგიანული ლასკარი მოითხოვს).

სწორედ ამგვარად თავსმოხვეულ წარამარაობაში გამოვლენილი დაუხევლობა და წინგახედულება მიპიროვნებს ასეთი მიუკიბ-მოუკიბავი განცხადების უფლებას: მე არ დავუშვებ კი არა, საჭირო თუ იქნა (და ვხედავ, დამჭირდება ეს), მიველეწები იმათ, ვისაც დედოქართი პონტო-კავკასიის სულიერი უნჯთშესალაგი კი არა, ახლაც ***„ამიერკავკასიის პროლეტარიატის",*** გნებავთ ***„რეგიონის კოსმოპოლიტური ცენტრი ჰგონია და ე. წ. დეზერტირების ბაზარივით*** შემოირაგვა, რათა მეჩეკესავით დადგეს და მიკირტუმ გასპარიჩთა მსუნაგი მზერით გააცეწზოროს, შემოესახლიკაცება თუ არა აქ, სატახტოში სამეგრელოში რბილად წარმოთქმულ ასო-ბგერა „ლ"-ს (ღმერთმა გვიმარადისოს ის!).

ერთ სიცხადესაც ავუფრიალებ ძილქუშმორეულთა მზერას, მეგრელი (კოლხი საერთოდ), განსხვავებით ***„ვეიქელი"*** მსოფლიო მოქალაქეებისა", ***თბილისს ქართს უწოდებს დღესაც, რითაც თავის თვალსაწიერში აგაზაფხულებს ყოველთა ქართველთა ქალდეურ დასაბამს, რომელშიც პონტო-კავკასიის ცნობიერი ვინაობა მკაფიოვდება: აი, რას ნიშნავს მეგრელისთვის თბილისი!..***

რაკი სიტყვამ მოიტანა, დავაზუსტო უნდა, რომ თავმიზეზი ასეთი საკორკოტო თვითშესტვენისა გაცილებით ღრმად და ავმოსურნედ ჩასან-გრებული გახლავთ, ვიდრე ეს შეიძლება, დაიტიოს წინამდებარე რაობის სატელევიზიო მოსაქმებამ: ერთი აწგანსვენებული, ქართული ლიტერატურის საქრესტომათიო მწერალი, რბილად რომ ვთქვათ, დედო ქართში მეგრულ შემონაკადებას აკაშხალებითა და აჯებირებით ხვდებოდა და ამას არც მალავდა, პირიქით, თავს იწონებდა ამით (ზვიად გამსახურდიამ მითხრა ერთხელ, - ქვეყანას ნამუსი შევუნახოთ, ამის ხმამაღლა თქმა არ შეიძლებაო, ჰოდა, ნუ დავსჯით მკითხველს, ყოველ შემთხვევაში, მე არ გავასაჯაროებ ***„მეგრელებზე წალდით მისეულთა"*** გვარ-სახელს, თუ ეს ვინმეს სჭირდება. ამისათვის, მისი ნებაა, ხელებდაკაპიწებული მიადგეს ისტორიის სანაგვეს).

სამწუხაროდ, ასეთი ***„მოღვაწეები"*** სანთლით საძებნები არ არიან: მეორეცაა, იგი დღეს მომუხლმაგრე პოეტი გახლავთ, - მეგრული არ გავაჭაჭანოთო, და... ვაი, უვიცობავ,, მესამეცაა, მეოთხეც, მეხუთეც...

რა მაგის პასუხია და როდესაც იმპერიათა მეგზურის ე. შევარდნაძის ძალისხმევით სამეგრელო ითოფებოდა, არა და არ აკივლდა რიონსაქეთა საქართველო, ადრეც ვთქვი, - მხოლოდ თინა მღვდლიაშვილს აღმოხდა ჟამთაბერის განაჩენი:

„ვინც შენ ტყვია დაგახალა სამეგრელო,
შემოუწყრეს ნეკრესი და გრემი!.."

ეს კიდევ რაა, ერთხელ, ვიწრო წრეში საუბრისას, პროფესორმა ოთარ ჟორდანიამ (სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილმა რექტორმა) გაიხსენა, რომ მეოცე საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწების შემომშობლიურების საკითხები იხილებოდა, ი. ბ. სტალინთან ჩასულა ჩვენი დედაუნივერსიტეტის რამოდენიმე პროფესორი და ***„საბჭოეთის მამისთვის"*** შეუჩივლია, - ***ლაზეთის შემოერთებით მეგრელებს გავაძლიერებთო!...***

დიახ, ეს იმ ძალისხმევათა გასწვრივ ხდებოდა, როცა ლაზეთის, ტაოს, კლარჯეთისა და ა. შ. სამხარეო ხელისუფლებების თავკაცებიც კი იყვნენ შერჩეულები.

ვერ გეტყვით, ამ, ქართულ ლიტერატურაში უკვე გასახეზოგადებული საკითხის (ი. მოსაშვილის ***„ჩაძირული ქვები",*** გრ. აბაშიძის პოეზია და სხვა)

სისრულეში მოყვანას საბოლოოდ რამ ჩაუწალდა ბოგა, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ქართული ელიტა (ზეპურობა), განსაკუთრებით სატახტოში, არ აღმოჩნდა იმ ლაზი უკბილო დედაბრის შეგნების დონეზე, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მთელი მისი ცხოვრება თურქულ გარემოცვაში ცხოვრობს, დღემდე ასე ილოცება: *„სქიდას ლაზიშა დო მთელი ოქორთუე!"*

როგორც იტყვიან, რაკიღა *„ლაშქრობამ ჩამამბერა, ძაღლ-უმადურად გდებამა" (ვაჟა),* რაც ქართველი კაცისთვის ყოფითი ყოველდღიურობაა, მკაფიოდ უნდა მოგვეხსენებოდეს, რომ აგრესიული გლობალიზმი *„გვესახლიკაცება" პრინციპით, - რა ესაქმებათ ამ ქართველებს ჩვენს საქართველოში?!"* ამიტომ ნებისმიერი მათი *„კეთილმოსურნეობა"* საჭიროებს თვალფხიზელ გასიგრძეგანებას იმ მხრივ, - რაიმე ეთნოდივერსიული ხრიკი არ იყოს მასში ჩახრახნილი. აი, ესაა ქვეყნის თავსატეხი, თორემ, ვიღაც *„კორკოტას"* მიყროყინებას ასო-ბგერა „ლ"-ს რბილად წარმომთქმელი მხარისთვის ყურს გაარიდებდა კაცი სხვა შემთხვევაში: წინამდებარე რაობა აზრზეც არაა, რომ ეს ამჯერად სულაც არ გახლავთ მარტო საქართველოს *„გიჟვრაცუად"* მომთვა-ლსაწიერებელ ძალათა ქრონიკული ცინიზმის სტიქიური ამოფრქვევა. დიახ, იგი, ამასთან ერთად, ე. წ. თანამედროვე მსოფლიო წესრიგიდან გამომდინარე, „*დიდი პოლიტიკის"* ერთ-ერთი საეთნოდივერსიო ქვემიმართულებად გვესვლაგეზება, რაც ერთდროულად იმართება ვაშინგტონიდანაც, ბრიუსელიდანაც, მოსკოვიდანაც, ჩვენი სამეზობლოდანაც და... სრულიად საქართველოს სატახტოდანაც!...

რაც შეეხება ბატონ *„კორკოტას"* ან მისნაირებს (თუ თქვენ გსურთ, შეგიძლიათ, საზოგადოება უწოდოთ), ისინი სწორედ ავმოსურნედ ჩასაფრებული ძალების მიზნის განსახორციელებელ ხელსაწყოებად იქცნენ.

ხმამაღლა ვიმეორებ, ის გამქუდზეკაცებელი ძალისხმევა, რაც *„კორკოტას"* მიერ გაყროყინებულ (ამ შემთხვევაში რომ მეთქვა *„გახმოვანებულ"*-ი მეთქი, აზრს დავამახინჯებდი) მინიშნებას მოჰყვება, თავის გაგრძელებას პოულობს ჩვენს ქვეყანაში ცალკეული მხარეების მიმართ არამშობლიურ თვალშევლებაში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სატახტოდან ასო-ბგერა „ლ"-ს რბილად წარმომთქმელი მხარისადმი ცენტრ-ნაცმენური ურთიერთობის ახარაჩოებას.

ასეთი დამოკიდებულება არ გააერთსხეულებს სრულიად საქარ-თველოს, ეს კი, ჩასაფრებული ძალების გეგმათა შესაბამისად, უმოკლესი გზა გახლავთ ქართველი ერის, როგორც გიორგიანული (მრგველი, ე. ი. მწარმოებლი, ანუ მარგალური) ვინაობის თვითლიკვიდაციისკენ.

ყოველივე ამის მიზანი პონტო-კავკასიის გეოპოლიტიკური მოსაზღვრულობიდან ქართველთა გონითი განფენის სივრცის გაძევება გახლავთ!.. *<u>არის ეს სახარხარო, მიდით, იხარხარეთ!..</u>*

პოდა, ამ დედოქართში დღემდე გვესარაველიანებიან *(შემოგვე-„Сарняк"-ნენ - მეთქი) „ქართულ ლექსიკოვანი"* თვითმარქვიები, რომლებიც ასე

უტიფარი აკორკოტებით *„მეცნახირნახირეობენ"* ერის შეუგინებლობასთან, ანუ მის ცნობიერ გამზირზე.

ზურგს უკან კი არა, პირდაპირ უნდა მოგაენგუროთ, - ეს ის სიმრავლე გახლავთ, რომელთა დასტურითაც გაძევდა დავით აღმაშენებლის მზერა სატახტოს შუაგულიდან. ეს ის ჯოგური ფეხაწყობაა, რომლისთვისაც ჯერაც ვერ გააღმაშენებელდა „Проспект Плеханова". არადა, ვინმეც არ გამოჩნდა, რომ მათ ურჩიოს, სანამ სამეგრელოსკენ ბაცაცური მზერით გაიხედავენ, ჯერ საკუთარი ძარღვებიდან გადაასხან სისხლამღრევი შემონაკადებები, კარგად დაიზუსტონ, ვისი ბაგეები ახმოვანებს მათ საიავნანო ჰანგებს!..

***

<u>ჩამატება ერთი წლის შემდეგ:</u> 2015 წლის 15 ნოემბერს ტელეკომპანია „რუსთავი-2"-მა გადაცემაში P.S. ისაუბრა იმაზე თუ როგორი ველური და *„ევროპული"* ღირებულებებისათვის *„შეუფერებელი"* გახლავთ ქართული საზოგადოება, რომელიც არ აფასებს ისეთ *„სიდიადეს"*, როგორიცაა რუსა ამირეჯიბი. როგორც აღინიშნა, ქალბატონ რუსას შვილი მიმი ჩინეკე - ქ. თბილისის 130-ე საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე თანაკლასელ ვაჟს წაეჩხუბა და გამომწვევი სიტყვებითაც გალანძღა. ამაზე თანაკლასელს უპასუხნია, რომ *„მან კი იცის თუ ვინაა თვითონ, მაგრამ თავისი სადაურობა და ვინაობა თვითონ მიმი ჩინეკესა აქვს გასარკვევი"*.

ეს პასუხი როგორც მიმისთვის, ასევე დედამისისთვის იქცა *„დისკრიმინაციისა"* და *„ზღვარდაუდები რასიზმის"* გამოვლენად, რაზედაც ე. წ. არასამთავრობოების თანადგომით *„მასალები"* მიეწოდა საერთაშორისო ინსტიტუციებს *(„საქართველოში ქსენოფობია მძვინვარებსო")*. რა თქმა უნდა, პირდაპირი თარეშის წესით შეუტიეს და საალყო მდგომარეობაში მოაქციეს ქ. თბილისის 130-ე საჯარო სკოლის პედაგოგები და მოსწავლეები.

დანარჩენი ზუსტად ისე მოხდა, როგორც ჰოვანეს თუმანიანის პოემაში *„ერთი წვეთი თაფლი"* არის აღწერილი.

საქმე ისაა, რომ ქართული ღირებულებებისთვის ვინმე რუსა ამირეჯიბი, რომელიც პირდაპირი შთამომავალი გახლავთ მწერალ ჭაბუა ამირეჯიბის - გარდაცვალებამდე ბერად აღკვეცილი ადამიანის, თვითდამკვიდრებას საზოგადოებაში, ვინაიდან სხვა ფასეულობები არ გააჩნია, მეტად საეჭვო გამოხდომებით ცდილობს.

რჩება შთაბეჭდილება (ყოველ შემთხვევაში მას ასე ჰგონია), რომ აფრიკის რომელიღაც ქვეყნის მოქალაქისგან შვილის გაჩენით, მან დაამსხვრია ყველანაირ ფობიათა ციხე-სიმაგრეები და კაცობრიობა შეაიარაღა წყვდიადისგან თავდასაღწევი ჩირაღდნით.

ასეთი ილუზიის გამო იგი თავს უფლებას აძლევა ქართველ ერს თითისქნევით მიმართოს: *„საქართველოვ, შენ მოგმართავ!.."* და ა. შ.

ის, რომ მისი შვილის მამა ფერადკანიანია, ბუნებრივია, არავისი საქმე არაა, ამაში ქალბატონ რუსას კატეგორიულობა სწორია, მაგრამ ქართველ ერსაც აქვს უფლება, იქნებ რუსა ამირეჯიბის ოდენი არა, მაგრამ მბჟუტავი ჭრაქის

ოდენი მაინც), რომ ეს ქალბატონი ასეთი ფათერაკების გამო, სანამ საგმირო კვარცხლბეკს აღიმართავდეს, დაფიქრდეს მაინც. ბოლოს და ბოლოს, სამშობლოსთვის თავშეწირული ცხრა ძის დედას არ დაუყვედრებია საქართველოსთვის თავი.

არ შეიძლება ბავშვი აცხოვრო ბოღმასა და სიძულვილში, ამყოფო იმ ქვეყნისადმი ჩასაფრებულ მდგომარეობაში, სადაც აკრიალოსნებ შენს ყოველდღიურობას.

და ბოლოს, თუ საბჭოთა იმპერიამ ქართული მიწები *„გაასხვაქვეყნა“* და მათზე შექმნა *„მომმე“* ხალხების რესპუბლიკები, ტექნოკრატიული დასავლეთი ამჯერად პირდაპირ ქართველი ადამიანის ცნობიერებაში აქვითკირებს არაქართულ სულისკვეთებას!..

***

დავუბრუნდეთ, ისევ რბილად წარმოთქმულ ასო-ბერა "ლ"-ს: *<u>აი, ასეთი ასო-ბგერა „ლ“ დახვდა თავის მორდუსთან ჭყონდიდში პატარა დავითს (მომავალ აღმაშენებელს): აი, ასეთ ასო-ბგერა „ლ“-ში იგულმანა ქ. სოხუმში 1903 წლის 24 მაისს დიდმა ილიამ სრულიად საქართველოს გადამრჩენი სვლა-გეზი.</u>* შემდეგ, როდესაც ეს ასო-ბგერა კანონგარეშედ გამოცხადდა ამ მხარეში, სწორედ მაშინ ჩამოგვენგრა ჭერი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში). დიახ, ამ ასო-ბგერა „ლ“-თი სრულიად საქართველოს თვითგამხნევებად ტექნოკრატიული დასავლეთის უსულგულობას გასძახა დიდოსტატმა კონსტანტინემ: *„-ჰეი, შენ, მსოფლიოში ყველაზე პატარა მდინარის პირას გაზრდილო, ბიჭო, არ გაჯობონო...“*

ბოლოსდაბოლოს, ამ ასო-ბგერას და მასთან ერთად ფშაურ, მოხევურ, იმერულ, კახურ, სვანურ, ლაზურ, ქართლურ, ჰერეთულ, იმერხეულ, ლაზურ და ასე შემდეგ სახალხო ღაღადს რომ ვუხშობთ ყურებს, იმიტომაცაა ჭკვიანი მტერი კომლის, ანუ ჭერქვეშეთისა და სარეცლის *„დაცვის“* საბაბით ავხორცულ ხელებს გვიფათურებს მოუკრეფავში, თორემ ვინ უნდა ასწავლოს ქართველს დედის, დისა და ცოლის შეუგინებლობა, როდესაც იგი სარეცლის მეწილეს *„მეულღეს“* ეძახის, უფრო მეტიც, *<u>იმ მხარეში, სადაც ასო-ბგერა „ლ“-ს რბილად წარმოთქვამენ, „თოლიგეთი“ და „შურიგეთი“ მიმართავენ ცოლს, „სკან სანთელოთი“ და „გოლუაფიროთი“ ეფერებიან ჭერის დედაბოძს...</u>* (ქვეყანაში მიმდინარეობს თანმიმდევრული ლინგვოდივერსია და თუ ასე გაგრძელდა, ეს ჩვენს გადაგვარებას მომდევნო თაობაში უზრუნველყოფს).

იქ, სადაც შინერსი და ვაშინერსი იწიხლება და მას ენაცვლება აგრესიული გლობალიზმის ჭაობური დემოკრატია, ასე გაგრძელდება ხვალაც, რადგან ამ პირობებში ნებისმიერი ყოველდღიურობა განუკითხაობაში გაისაგნება. ასეთ დროს, სხვების არ მიკვირს, მაგრამ ტელესტუდია *„ერთსულოვნებიდან“:* ნამდვილად არ მოველოდი: 2014 წლის ოქტომბრის თვეში, მის კორესპონდენტს ჭყონდიდის ეპარქიის ერთ მღვდელთან საუბრისას ძალიან წინდაუხედავად და უვიცად გამოუვიდა *„მეგრული საკითხის“* განხილვა და მასში *„საფრთხის“* დალანდვა. ვგრძნობ რა

ჩასაფრებულ ავმოსურნეთა დადარაჯებულ მზერას დედა ეკლესის მიმართ, ამასთან დაკავშირებით აქ ვწყვეტ საჯარო ლაპარაკს. მით უმეტეს, რომ მამამ თავად იგრძნო ეს და თავისი ბრძნული განმარტებით სწორი მიმართულება აღუდგინა იმ საუბარს. ერთს კი ვიტყვი, ტელესტუდია *„ერთსულოვნება“*-ში მოვალეც არიან და გულდასმით უნდა კითხულობდნენ უწმინდესისა და უნეტარესის ეპისტოლეებსა და უსმენდნენ მის ქადაგებებს...

დედო ქართულისთვის *„საფრთხე“* მეგრული, სვანური, ლაზური რაგადობა ან საქართველოს მხარეთა კილოკავები კი არაა, პირიქით, დედა ენაში უცხოურ სიტყვათა ლაგამამოუდები ინტერვენციის დროს სწორედ ამ საუნჯეშია საძებნი ენის გადარჩენის საშუალებები. ის კი არადა, პონტო-კავკასიური სულიერების უსაფრთხოებაც აქაა, სწორედ, - აქ!

ამიტომ სურვილი, რაც შეიძლება, სწრაფად ჩამოიბანონ ჩვენი ეროვნული ვინაობა, ქართველთა ეროვნული შინაარსიდან არ გამომდინარეობს, იგი ხმაბაძვაში თავდადგენილი თაობის მოთხოვნილებაა.

ეროვნულ ღირებულებათა გადაფასება პირობითია, ღირებულება ყოველთვის ღირებულებად რჩება. აქ მხოლოდ *ისაა გასარკვევი, ქართული სახელმწიფო არის თუ არა ქართველი ერის მარადიულყოფის თავმდები (გარანტი)?!*

ერთი, საუკეთესოდ თვალში საცემი თვისება <u>"სიახლედ" მიეხრახნა</u> ამ თაობის იმ ნაწილს, რომელიც <u>თავისი სულიერი შინაარსით წმინდა ილია მართლისთვის ტყვიის დამხლელებს ემემკვიდრა.</u> მართალია, ამჯერად ისინი არა რუსიზმის, არამედ ტექნოკრატიულ-კოსმოპოლიტური, ანუ აგრესიული გლობალიზმის დროშის ქვეშ დაირაზმნენ, მაგრამ მიზანი ერთი და იგივე აქვთ: <u>ეროვნული (ქართული) ცნობიერების მოღრჩობა!..</u>

აბა, დააკვირდით ამ "ქართულ" საუბარს, იგი არ გახლავთ ეროვნულ-სახალხო აზროვნების წესი, ის იმის ნიმუშს უფრო წარმოადგენს, თუ <u>"რამდენად უბედურები არიან"</u> ეს სიმრავლეები (<u>"შეც ნახირ-ნახირები"</u>) იმით, რომ ამ ქვეყნის სალაპარაკო ენაზე უხდებათ საუბარი.

ცხადია, მათი ინგლისური ანგლო-ამერიკანიზმიდან იმპორტირებული ქუჩისფსკერული გახლავთ და არა ვანო მაჩაბლის ან ნიკო ყიასაშვილისა თუ მათთა მოწაფეთა მიერ ქართული საზოგადოებისთვის განიშანსვეტებული სულიერი დონე.

მეტსაც გეტყვით: ე. წ. ნაცმოძრაობის, რესპუბლიკური პარტიის, ვითომ სახალხო დამცველისა თუ სხვადასხვა გაუგებარ (ყოველ შემთხვევაში არა ეროვნულ) უფლებადამცველთა მეტყველებიდან გაქრა ცნება სამშობლო, დედა ენა და ა. შ.

ამის წილ, ყოველდღიურობენ რა ხმაბაძვაში, ისევე, როგორც აგრესიული გლობალიზმის ნებისმიერი კონტინგენტი, ისინიც თავს იწონებენ და თავიანთი "მრავლისმნახველობის" ("გამოსულობის") პროლად ხმაროობენ მოულარუნე ზესახელმწიფოთა უსამშობლო საზოგადოებაში მიღებულ გამოთქმას: "ნუ, ამ ქვეყანაში..." "ეს ქვეყანა..." და ამისთანები, რაც მათთვის იმის განაცხადს წარმოადგენს, რომ ისინი ნებაყოფლობით უსამშობლობას (მსოფლიო მოქალაქეობას), ანუ არავინობას ენაკადებიან.

რაკი ასეთი თვითშეგნება შორსაა მშობლიურობისგან, წმინდა წიგნი (ფსალმუნი დავითისი) გვაფრთხილებს: "შვილნი უცხოთანი მეცრუვნეს მე..." (ფსალმუნი - 3, 17).

რა მაგის პასუხია და 2006 თუ 2007 წელს, კარგად არ მახსოვს, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ ამ ორიდან რომელიღაცა წლის დასაწყისიდანვე ქ. თბილისში ე. წ. სქესობრივ უმცირესობათა *„უფლებების დასაცავად“*, უფრო სწორად კი ერთსქესიანთა *„სასიყვარულო“* თავაწყვეტების (მრუშობაში ჩაძირვის) წასახალისებლად გრანტის სახით მოზიდული ყოფილა 20 მილიონი აშშ-ის დოლარი.

ეს თანხა ჩვენს სატახტოში პირწმინდად ე. ი. უნაშთოდ იქნა ათვისებული (არაა გამორიცხული, რომ მათ შორის ისიცაა, ვინც 2014 წელს საქართველოს პარლამენტში დაჩქარებული წესით, მიუხედავად უწმინდესისა და უნეტარესის საგანგაშო გაფრთხილებისა, ხმა მისცა ე. წ. ანტიდისკრიმინაციულ კანონს, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა სოდომ-გომორის ცოდვათა დაკანონება).

ამის გასწვრივ ტექნოკრატიული დასავლეთიდან ჩვენთან უშურველად იგზავნება ასმილიონობით იგივე აშშ-ის დოლარი, რათა მორიგი *„უფლებათა დაცვა“* გავრცელდეს ჯერჯერობით მეგრულ-სვანური *”თვითგამორკვევის ხელშესაწყობად“*.

სინამდვილეში ეს გახლავთ ვითომ ხალხთმოყვარეობას ამოფარებული დივერსიული ეთნოფაბრიკაცია, რომლის მიზანი გახლავთ ქართველი ერის გამოცხადება *„ჰიბრიდულ“*, ანუ *„ხელოვნურად შეკოწიწებულ“* ნაციად. ეს ყველაფერი მარტო *„მეცნიერული“* მოთელვა ან პოლიტიკური ძირგამომთხრელობა, კიდევ მეტი, ქართველი ერის წინააღმდეგ საველე-სასანგრო მდგომარეობა კი არაა მარტო, - დღეისათვის მას საზოგადოებაში ყოფით ყოველდღიურობად გვიჭერქვეშებენ ე. წ. თანამედროვე მსოფლიო წესრიგის მესვეურები.

სამწუხაროდ, ასეთი სათავზარო სიცხადე ქართული მწერლობის თვალწინ და მისი საეჭვო ხელგაუნძრევლობითაც კანონიერდება.

კიდევ ერთხელ მივმართავ უგნურთა ყურდახშობას, - *მე რომ მკითხოს კაცმა, ასეთ დროს საპირწონედ დიახაც გამოდგებოდა ის სასწაული, ვთქვათ და ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაანში ან თუნდაც ხონთან, სოფელ გორდში, ან კიდევ სულაც ქ. თბილისის ზეპურთა უბანში - ვაკეში დაწერილიყო მოთხოვნა საქართველოს განათლების სამინისტროსადმი, რათა საჯარო სკოლაში ჩვენი სალიტერატურო ენის გასწვრივ, შემოეღოთ მეგრელ(ლაზ)-სვანთა რაგადობების, კიდევ უკეთესი - ქართულ კუთხეთა კილოკავების სწავლება.*

ყოველ შემთხვევაში, საქართველოს დაყოფა ცენტრ-ნაცმენურ მხარეებად (რეგიონებად), წარმოადგენს ღვთისმშობლის წინლხვედრილობის, როგორც ქართველთა გონითი განფენის სივრცის გაუკუღმართების მცდელობას.

აი, რა არ იცის *„აკორკოტებულმა“* გონებამ და მასზე ამდენს არც ვილაპარაკებდი, რომ არა ერთი, არც თუ უზურგისქარო წამონაროში - ამ კაცს და მის ამყოლებს ძალიან სერიოზულად ეიმედებათ (გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2014 წ. 22 დეკემბერი), რომ 22-ე საუკუნეში შთამომავლობა *„თბილისური გამოსულობის“* სახეზოგადობად *ვინმე* კორკოტაშვილს დაადგენს.

ეს, ისე, იმის გასარკვევად, უსვლაგეზოდ თავაწყვეტისას თუ რა ეოცნებება და რა ესიზმრება ვერმოტახტე გამზირს!..

...და ერთიც, - როდესაც სატახტოდან ვიღაც ვიღაცეებს ყმურ ყმუილში უბგერდებათ აზროვნების წესი, მაშინ ყველას უნდა შევახსენო, *რომ მხარეს, სადაც „ლ“-ს რბილად წარმოსთქვამენ და „ყ“-ს მკვეთრად, კოლხეთი ჰქვია და მარგალობის (მრგველობის), გნებავთ ლაზობის (ლაზარეობის) მოვალეობა გაუპიროვნა ჟამთაბერმა.*

ხომ საბჭოეთის მეხოტბე გახლდათ (თანაც გამორჩეული) ალიო მირცხულავა, მისი ჰანგებიც ხომ „ინტერნაციონალის“ მოტივს მიესხეულა, - ვერა, ვერ ამოწალდა ხობისწყალთან, თხმელის ჩრდილში, შიშველ ქუსლზე შერჭობილი ძიგირის მშობლიურობა უხანო დრომ *(„ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველამ“... გალაკტიონი)* და სრულიად საქართველოს მარადიულსაყოფად *ასეთი თავანკარობა მოსთხოვა იხმანად სტეფანე შაუმიანის პროსპექტით გასვლაგეზებულ თბილისს:*

„არ გამაგონო დაფა-ზურნის ჰანგი ველური,
ჩემს თბილისში ვარ, დაუკარი ტკბილქართველური!
განა დაგვძლია დამპყრობლების ძალამ ურიცხვმა,
კმარა ზურნის ხმა, გამაგონე სალამურის ხმა!
დაფდაფს დაირა მირჩევნია, ჩვენი დაირა,
თეთრი დაირა, რომ ღუღუნებს მტრედისნაირად.
არღანს არა სჯობს ტანწერწეტა ჩვენი ჩონგური?
თამარ დედოფლის გვირგვინივით ჰშვენის ქონგური.
ზურნა არ მიყვარს, დაფდაფის ხმაც, არღნის ჩხავილიც,
ქართლის ქუჩებში მომწყვდეულან ქარიშხალივით.
მაგ დაფა-ზურნით მოდიოდა ურდო უცხოთა,
იგი მძვინვარე შაჰ-აბასის ჯარს მოუძღოდა,
და ისევ ის ხმა, შორეული, ჩვენი კი არა,
ტკბილი კი არა, მწველზე მწველი, როგორც იარა,
არ გამაგონო, თორემ გული, გული ღონდება,
ჩემი სამშობლოს აოხრება მომაგონდება!..“

სხვათაშორის (და ეს მინდა, კორკოტასნაირებმა დაიმახსოვრონ), იმ დროს, როდესაც ეს ლექსი *(„არ გამაგონო“)* დაიწერა, ანუ 1950 წელს, ჩვენი სატახტო ე. წ. მეგრელთა საქმის დასაქსელად იკაპიწებდა ხელებს. როგორც მას ეკადრება, მარადქალდეური კოლხეთი არც მაშინ ჩაკეტილა სამხარეო (რეგიონულ) ხართაში და ყოველთა ქართველთა გონითი განფენის სივრცეში არ აჭაჭანებდა ბაცაცათა შლიგინს. ამ საკითხს დღესაც ასე იპიროვნებენ მეგრელები საკუთარ ჭერქვეშ. ისე კი, ცხადია, ეთნოფაბრიკაციული საზოგადოება, თავისი დაცემული ბუნებიდან გამომდინარე, ყურს იხშობს უფლის რჩევათა წინაშე და დაცემულის ყოფაში იდგენს თავს.

ამ ვითარებაში თავს უფლებას ვაძლევ, შევეკითხო საზოგადოებას, რა მისაგებელი და საპირწონე აქვთ მათ იმისათვის, რათა აუჯებირონ ტექნოკრატიული დასავლეთის დივერსიულ ეთნოფაბრიკაციათა წამლეკავ ნიაღვრებს, რომლებითაც მიზანმიმართულად ეწყობა ხელი ქართველი ერის ჰიბრიდულ, უფრო ზუსტად, ცენტრ-ნაცმენურ რაობაში გაშინაარსებას?!.

ჯერჯერობით არც არაფერი!..

<u>რადგანაც ნებისმიერ ნამესტნიკურ მმართველობას ესმის არა სახალხო განაწესი ან მოსახლეობის ხმა, არამედ ოკუპანტის კარნახი, ამიტომ ქართველმა ერმა თავად უნდა მოახერხოს თავდაღწევა ე. წ. მცირე ხალხების გადასახარში ქვაბიდან.</u>

...და ბოლოს, შეიძლება რაღაც დონეზე ასეთნაირადაც დასვან საკითხი: რაკი ასე დაჟინებით ითხოვს და სხვა გზაც არაო, კი ბატონო, რადგან წინამდებარე წვრთნაშეუსმენელ თაობას ამგვარად ესურვილება, იყოს ნება მისი, - თავად აირჩიოს თუ რომელ ეროვნებასთან, სქესთან ან სარწმუნოებასთან გაიიგივოს თავი.

...მაგრამ იმავე თაობისთვის, უფრო სწორად, არც ერთი დროების ხელმისწრებული მელაგამისთვის არავის მიუცია სახალხო რწმუნება, რომ თავის არჩევანს, ე. ი. მისთვის სასურველ შინაარსად (არ ვამბობ ვინაობად) ყოფნას მოარგოს სისწორის, ზნეობრივობისა და ჭეშმარიტების რაობა. მეტიც, არავისა აქვს უფლება თვითმარქვიად, ეროვნულ-სახალხო განსჯის გარეშე ,უწოდოს მოვლენას „საკაცობრიო ღირებულება“, მით უფრო, შემოუძღვეს მას და ქვეყანას საყოველთაო წესით მოსთხოვოს ასეთნაირად შემოგუგულებული „პროგრესისთვის“ კვარცხლბეკის აღმართვა.

ამავე დროს, მიუმცდარი მატიანე აფრთხილებს ყველას *„დროსა და სივრცეში თავის არჩევანს“* მომყოლ შედეგებზე ნებისმიერი პასუხისმგებელია როგორც წინაპრებისა თუ თანამედროვეების, ასევე და, პირველ რიგში, <u>*შთამომავლობის, - მათი მარადიულყოფის წინაშე. სწორედ ამ მოცემულობათა თანდასწრებით წარსდგება ასე ფეხაწყობილთაგან ყოველი უფლის წინაშე, თუმცა ეს ნაწილი ამ ურწმუნო სიმრავლისთვის ძალზე ბუნდოვანი მსჯელობაა.*</u>

<u>*დიახ, ჟამთაბერის კარი გახლავთ ის ერთადერთი უწყება, რომელთანაც საქმეს ვერ ჩააწყობ, აქ ქრთამი ქურსუმადაა, ვეღარ ანათებს!..*</u>

***

...ძალიან ბევრი, როდესაც იმდროინდელ ისპაჰანში (დღევანდელი ფუნქციით ვაშინგტონსა და ბრიუსელში) მიდიოდა, უკან ერთი ციცქნა ჩიტი მისდევდა და ეგულამომჯდარებოდა, „ნუ გათაორდებიო, ბიჭო!..“ (ასე დაუგაკვეთილა 1971 წელს მ. მაჭავარიანის რედაქტორობით გამოსულმა სბავშვო კალენდარმა „მთიებმა“ ქართველ ახალგაზრდობას.).

ვინც ამ ჩიტის გულამოსკვნას დაისაგზლებდა, ქართველად რჩებოდა ის.

სამწუხაროდ, ისინი, ვინც დღეს ევროპასა და ამერიკისკენ „მიისპაჰანებიან“, მათთვის, ეტყობა ან ეს ჩიტები ამოწყდნენ, ან კიდევ სმენადახშობილებს ვერ ემაფშალიებიან ასე სამშობლიურად ადევნებული ჩიტუნიები...

ერთი კია, სანამ საევროპო თუ საამერიკო, უფრო სწორად, სანამ რომელიმე სვლაგეზს დაადგები, უნდა გაისიგრძეგანო, რომ ამ საუცხოეთო გზებზე ილია ჭავჭავაძეს, ივანე ჯავახიშვილს, კონსტანტინე გამსახურდიას და ა. შ. ამ ჩიტების თავანკარა მშობლიურობამ დაუნაგვიანებლად და შეუგინებლად შეუნარჩუნა საკუთარი ვინაობა.

17.12.2014

წმინდა ბარბარე ჰფარავდეს სრულიად საქართველოს

დაიბეჭდა გაზეთ „ილორში“, 2016 წლის იანვარ-თებერვლის ნომრებში.

≈*≈

5. როდესაც კვლავაც უვიცობაა ხელგამოღებული!..

”...რომელი ჭამდა პურსა ჩემსა, მან განადიდა ჩემ ზედა შეტყუილი”. ფსალმუნი
დავითისი - 40;
”ჭეშმარიტად არც ერთი ნაგებობა არაა ისე მტკიცე, როგორც ის, რომელიც მამაცი წინაპრების ძვლებზეა აშენებული”.
კონსტანტინე გამსახურდია

ის საზოგადოებრივი ფეხაწყობა, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ე. ი. აფხაზეთის (ასევე მამულიდან სხვა წარგლეჯილი მხარეების) საბედისწერო სიცხადეში გარკვევას დღემდე ისევ და ისევ საბჭოთა ეთნოფაბრიკაციებისა თუ ეთნოდივერსიათა გზით თავსმოხვეული არაერთჯერადად ფეთქებადი სტერეოტიპების ”საფუძემდებლო თვალსაწიერიდან” ცდილობს, მოხალისედ იდგენს თავს მტრული ძალების სააგიტაციოდ, გნებავთ სადეზინფორმაციოდ ხელგამოღებულთა რიგებში. ამგვარი თვითდასაქმება სხვა არაფერია, თუ არა ***დედა სამშობლოსთვის არაკეთილმოსურნეთა დაკვეთით მოქნეული საზურგე მახვილი.***

სწორედ ასეთი დაკვეთა გახლდათ ამ ათიოდე წლის წინ (სამწუხაროდ, არა მხოლოდ იგი), ჩვენს სატახტოში, ქართველი ერის ზურგსუკან და დაუკითხავად, ჩასაფრებულ ავმოსურნეთა ძალისხმევითა და უცხოური ფულით წელგამართული ვითომქართული მოძრაობა „ბოდიში“. (ამ წინგაუხედავი და სიცრუის გამრავალცალებელი თავგართობის წინამძღოლს, ბატონ უჩა ნანუაშვილს საქართველოსთან მიმდგომლობა დაუფასდა, იგი დღეს ომბუნდსმენად (სახალხო დამცველად) დაწინაურდა, მაგრამ ეს ის შემთხვევა არ გახლავთ, როდესაც ჩვენს ბედკრულ ქვეყანას ვინმე იცავს). ამ არამკითხე ათარეშებამ იმთავითვე გაიპიროვნა „ვეფხისა და მოყმის“ ღვთივწდომილური შინაარსის გადაქუსლვა და ამის შემდეგ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) დასაბამიდანვე ქართულად მოთავანკარე აფხაზეთის გამშინაარსებელი მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის, მათი ყოველგვარი ნაკვალევის პირწმინდად აღმგველთა, რაც მთავარია, ამ მხარეში საოკუპაციო ძალადობით თვითდამკვიდრებულთა წინაშე ”თავზე ნაცრის გადაყრის” მდგომრეობით წარდგომა.

წინამდებარე მოკრძალებულ წერილში მე არ შევუდგები იმის გათვალსაჩინოებას თუ როგორ *ცდილობდა რუსიზმი სათანადო სახელმწიფო პოლიტიკითა და დივერსიულ-ეთნოფაბრიკაციული ინდუსტრიის საშუალებებით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) „გასხვაქვეყნებასა“ და აქაურ*

ქართველთა - იგივე აფხაზთა „გასხვახალხებას“ (აფხაზში არ ვგულისხმობ ძუძუმტე აფსუას. მსგავსი საკითხები მიმოვიხილე ჩემს რამოდენიმე წიგნში, ისინი ხელმისაწვდომია და დაინტერესებულს მათი მოძიება არ გაუჭირდება).

ამის მიუხედავად, იმის არ თქმა, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, იგივე აფხაზეთისა და საერთოდ, დღემდე ოკუპირებული ქართული მიწების დეოკუპაციის სახელმწიფო პოლიტიკის არ არსებობა ან ამ მხრივ საძალისხმევო სტრატეგიის დაუზუსტებლობა, ჯერ ერთი, ეროვნული მარადიულყოფის ნგრევა გახლავთ, მეორეც, ეს ყველაფერი ხელს უწყობს აფხაზეთის კვლავაც დანაშაულებრივ მოაზრებას კრემლიდანური სტერეოტიპების შესაბამისად, ანუ „არაქართულ ქვეყნად“, არის სიმართლის გაყალბება, ***რაც თავისთავადაა საუკუნის ბოროტმოქმედება!..***

ასეთ ვითარებაში აფხაზეთის ა/რ-ის დევნილი უმაღლესი საბჭო და მისი პოლიტიკური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურულ-შემოქმედებითი და ა. შ. ინსტიტუციები მოვალენი არიან, იზრუნონ აფხაზეთის შესახებ კრემლიდანური სააზროვნო არსენალის გასაუვნებელსაყოფად, მაგრამ ამ 22 წლის მანძილზე, როგორც ვხედავთ, აფხაზეთის საკითხი უკეთესობისკენ ერთი ბიჯითაც არ წაწეულა, იგი არ იქცა სახელმწიფო პოლიტიკის ყოველდღიურობათა საფუძვლად. ამრიგად, ამგვარ პირობებში, როდესაც აფხაზეთი, როგორც ვინაობა და რაობა მიზნობრივად არათუ გაუბუნდოვანდა, კიდევ უარესი, „გაუსხვაქვეყნდა“ კიდევაც თაობას, რომელსაც არავინ უგაკვეთილებს, რომ აფხაზეთი ჩრდილო-დასავლეთ საქართველოა, ქართულ საზოგადოებას მორიგ კრემლიდანურობად გაუსაჯარისდა სააგიტაციო წერილი „უახლესი წარსულის მოვლენების გარკვევისათვის“ (ვაჟა ჟღენტი, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 2014 წ. 5 დეკემბერი).

იგი, ისევე, როგორც რუსისტული „მეცნიერება“, იმავეს, თანაც უფრო დაბეჯითებით „ამტკიცებს“, რაც კრემლის ეთნოფაბრიკაციულმა დივერსიამ ასე საბედისწეროდ ჩაასაგნა ერთ დროს სახლიკაცი და ძუძუმტე აფსუა ხალხის დენაციონალიზებულ, ანუ ”გაოქტომბრისენოვნებულ” ნაწილში: ***„...1944 წელს სტალინმა აფხაზეთში საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებნი ჩაასახლა. ეს იყო, როგორც იტყვიან, ნელი მოქმედების ბომბი. აფხაზები ამ მოვლენას გენოციდად აღიქვამენ. თუ მე-20 საუკუნის დასაწყისში აფხაზები აფხაზეთის მოსახლეობის 58,5%-ს შეადგენდნენ, 1944 წლის შემდეგ ეს პროცენტი დაეცა 17-მდე. ასე რომ არ მომხდარიყო, აფხაზეთი დღესაც საქართველოს შემადგენლობაში იქნებოდა“.***

უნდა დამეთანხმოთ, რომ, ქართულად, თანაც ნიშნისმოგებით გაოთხიკუთხებული ასეთი მსჯელობა ჩასაფრებული ავმოსურნის ხელში, - ***„ნახეთ, ამას ხომ თვითონ ქართველი აღიარებსო“***, სწორედაც რომ „მტკიცებულებაა“ აქედან გამომდინარე გამამტყუნებელი შედეგებით:

სათანადო ჟამს იგი წონად დასტურად გადაიქცევა დროსა და სივრცეში არ არსებულ ქართულ „მცირე იმპერიაზე“.

ახლა თქვენმეტყვით, - დაანებე თავი, რას ჩააცივდიო ამ კაცს, ერთი ციცქნა, ანუ როგორც კოლხეთში (შესაბამისად აფხაზეთში) იტყვიან, ”აკაბუცხა” ამოასობგერებაა და ამით ქვეყანა არ დაიქცევაო...”

- არა, ბატონებო, სამად სამი სიტყვაა „შენი ... ...“, მაგრამ შეუგინებლობათა გამაუპატიურებელი გადათარეშებაა იგი, - მას წინგახედული და ქრისტეს-მხედარი ერი არ ანავარდებს საკუთარ ლასკარში. ეს ერთი, მეორეც, სწორედ აფხაზეთის მიზნობრივმა მოაზრებამ ”არაქართულ” ქვეყნად დაგვატეხა ასეთი სახელმწიფოებრივი, სულიერი და ცნობიერი პარტახი, როცა ძალიან არასწორი, სახიფათოდ მცდარი წარმოდგენა გვაქვს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) რაობა-ვინაობაზე.

სანამ იმაზე განვაგრძობდე საუბარს, რომ ***ბიჭვინთის, ლიხნის, ანაკოფიის, კომანის, ბესლეთის, დრანდის, მოქვის, ილორის, ბედიისა და ა. შ. ქართულად აღაღადებული სულიერი ნიშანსვეტები საქართველოს შემადგენლობაში სახაზინო თუ ხელშეკრულებითი ურთიერთობების შესაბამისად შემოსარეკი „სხვათა ქვეყანა“ ჰგონია წინამდებარე წერილის ავტორს,*** მე უნდა შეგახსენოთ, რომ 1992-93 წლების საომარი ავანტიურის წინმსწრებად (1991 წ.), სოხუმში, რუსულ ენაზე გამოვიდა აგრესიული სეპარატიზმის ერთ-ერთი იდეოლოგის, პროფესორ ბაჯგურ საღარიას (საღარეიშვილთა შთამომავალი) წიგნი, რომელშიც იგი ე. წ. ქართველთა დემოგრაფიულ ექსპანსიაზე ამრავალცალებს (ატირაჟებს) მიზნობრივ ცილისწამებებს და სიყალბეში განავარდებით ”ამხელს” ”ქართულ იმპერიალიზმს”. თავის დროსზე ამ წიგნმაც შეუწყო ხელი ჩვენი ჯიშის სახორცე ნედლეულად დადგენას საკუთარ მამულში და მის მიმართ განხორციელებული გენოციდისა თუ ეთნიკური წმენდის ლაგამოამოუდებ სისასტიკეს. იგი აქ ქართველთა პირწმინდა აღგვას სათანადო „გამამართლებელ საბუთად“ გაუძღვა წინ. აი, რატომ უნდა მიეცეს ***სწორი შეფასება ასეთ ე. წ. წერილებს და გატარდეს აღმკვეთი ღონისძიებები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსთვის (აფხაზეთისთვის) არაჭირისუფალ ავტორთა ხმაბოდვების მიმართ.***

არადა, აფხაზეთის, ანუ დიახაც რომ ჩრდილო-დასავლეთ საქარ-თველოს დედანი ისტორიის შესახებ სქემატური ექსკურსიც კი საკმარისია, რათა გადამთიელისთვისაც, თუკი იგი წინმსწრებმტკიცებითი (აპრიორული) აკვიატებით არ გვისაფრდება, ამ მხარის ქართულობა უდავო იყოს.

დიახ, დიახ, სწორედაც რომ ქართულ ქვეყნად ე. ი. სამეგრელოს სამთავროს ბუნებრივ ნაწილად დახვდა იგი ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში (1639-1640 წლები) რუს ელჩებს ფედიტე ელჩინსა და პავლე ზახარიევს (არც თუ მთლად გულითად სტუმრებს),რომელთაც აღწერეს კიდეც დღევანდელი აფხაზეთის მოსაზღვრულობაში იმ დროს არსებული საზოგადოებრივი განწყობლება. სხვადასხვა ღონისძიების გასწვრივ ეს ელჩები 1940 წლის თებერვლის პირველ ნახევარში ***ღვთისმსახურებას დაესწრნენ დღეს***

„გაარაქართველებულ“ სოფლებში მერკულაში, ილორში, ბედიაში, მოქვში, დრანდში და ა. შ. მათი ძირითადად სწორი დასკვნის შესაბამისად აქ იმ დროს მეგრელები მოსახლეობდნენ და ამ მხარეში ქართოცენტრისტული განწყობილება მუხლმაგრობდა (ვრცლად იხილეთ გაბრიელ გეგენავას, „ფედოტე ელჩინისა და პავლე ზახარიევის ელჩობათა მასალები - 1636-1640 წლები“, თბილისი, 2014 წ.).

ვფიქრობ, დამიჯერებთ, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის 30-40-იან წლებში არც ი. ბ. სტალინი და აღარც ლ. პ. ბერია ვერ იქუდზეკაცებდნენ აფხაზეთში ქართველთა გეგმიურად ჩასახლებისათვის. ერთიანი ქართული სახელმწიფოც დაშლილი გახლდათ და მაინც, რუს ელჩებს ამ მხარეში პირწმინდად ქართულმა (მეგრულმა), თანაც (დიახ, დიახ) ქართოცენტრისტული სულის-კვეთების მოსახლეობამ უმასპინძლა.

ახლა მე ვეკითხები საბჭოთა ეთნოფაბრიკაციული სტერეოტიპე-ბისგან მეხსიერება გაბურუსებულებს, - სად წავიდა, რამ შეუყენა კინაღამ ერთბაშად გადაშენების გზას ასე გაერთმუშტებულ ლასკარში ”მოკუჩხიბედინერე” ხალხი?!.

ასეთი გახლავთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს გაუყალბებელი, ანუ დედანი შინაარსი. აღარაფერს ვამბობ უფრო ადრე *რუსი ლეტოპისეცის დაბეჯითებულ განმარტებაზე - „ობეზი ტოჟე ჩტო ი ივერი“-ო.*

როგორც ამ დებულების დასტური, სავსებით ბუნებრივი გახლდათ, 1903 წლის მაისში, დიდი ილიას სტუმრობას ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) სრულიად ქართველური თვალგახელითა და ძალისხმევით რომ მიეგება. საპასუხოდ ერის წინამძღოლმა აღნიშნა: *„...აღმოსავლეთ საქართველოს ქართველები, იმითა ვარ შესაბრალისნი, რომ მეტად ტაატით მივდივართ ეკონომიურ მოღონიერებისკენ. იქ ყველანი ჩვენ გვჩაგრავენ, თავზე გვასხდებიან. აქ თქვენ რომ გიყურებთ, გული მინათდება, სასოებით მევსება. მთელი ქალაქი თქვენს ხელშია..“.*

ეს მიმართვა მთავრდება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ქართველთა დალოცვით: *„მაშ გაგიმარჯოსთ, ბატონებო, ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად აღორძინების პირველო მერცხლებო! გაუმარჯოს თქვენს გამჭრიახობას, სიმკვირცხლეს. ჩვენი ხალხის, ამერ-იმერეთის, მთლად ჩვენი ქვეყნის სანუგეშოდ და წარსამატებლად“* (ვრცლად იხილეთ ს. საჯაია „დივერსიული ეთნოფაბ-რიკაციების ახალი ტალღა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) 1972-92 წლები“, თბილისი, 2011).

წმიდა ილია მართლის ასეთ დაიმედებას მყარი საფუძველი ჰქონდა, რამეთუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველომ (აფხაზეთმა), რომელიც საუკუნეების მანძილზე მოწყვეტილი იყო ერთიანი საქართველოს ჭერქვეშ ცხოვრებას, იმხანად სახლიკაცი ოდიშის მხარდამხარ კუდით ქვა ასროლინა ვოსტორგოვულ შავრაზმელობას, რომელიც ე. წ. საგანმანათლებლო რეფორმების საფარქვეშ ამ მხარის გარუსებას გეგმავდა.

ამის უყოყმანი პასუხად აქაურმა ქართველობამ *სწავლა-განათლების მიღება და წირვა-ლოცვის აღსრულება კვლავაც „ჩქინობურად“ (ჩვენებურად) ე. ი. ქართულად ისურვა* (ყოველივე ამის შესახებ ვრცელი მასალა შეუძლია დაინტერესებულს მოიძიოს დიდი ერისკაცის - თედო სახოკიას შრომებში). მე პირადად მქონდა ბედნიერება წმინდა ილია მართლის ზოგიერთი სოხუმელი მასპინძელთაგანის შთამომავლებისთვის მომესმინა იმ სახალხო თავყრილობის თაობაზე (პროკლე თურქია, ნიკანდრო ბასილაია, ოთარ ქურღულია...).

აი, ასეთი, უდავოდ ქართული სინამდვილის გასწვრივ როდესაც ვსაუბრობთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ქართველთა ე. წ. გეგმიური ჩასახლების ცალკეულ შემთხვევებზე, არ შეიძლება, ამ საკითხში დავეყრდნოთ კრემლიდანურ სტერეოტიპებს, რადგან ქართველთა ჩამოსახლება ამ მხარეში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, ყოფლიყო ექსპანსიური ხასიათის,რადგან *1. ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) ისეთივე საქართველოა, როგორც ის მხარეები, საიდანაც ხდებოდა ქართველთა ბუნებრივი შემოსახლიკაცება;* 2. საუკუნეების მანძილზე, სხვადასხვა იძულებითი მიზეზის გამო, აფხაზეთს სასახლიკაცოდან მეზობელ ქართულ მხარეებში (სამეგრელო, გურია, იმერეთი...) გახიზნული მოსახლეობის გარკვეული ნაწილს, ანუ იმ *შთამომავლობას, რომელსაც შერჩა მეხსიერება თავისი ვინაობისა და სადაურობის შესახებ, სავსებით ბუნებრივად არ აერთვა ზნეობრივი მოვალეობა საკუთარ წინაპართა გონითი განფენის სივრცეში აღორძინებაზე*. დიახ, ამგვარი ჯიშისმიერი მოთხოვნილება აბრუნებდა მათ მამა-პაპათა საძვალეში; 3. ...XIX და განსაკუთრებით XX საუკუნეში ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) გადაიქცა რუსიზმის დივერსიულ-ეთნოფაბრიკა-ციული ინდუსტრიის პოლიგონად, *სადაც ხელოვნურად და შორსგამიზნულად შეკოწიწდა რა არაქართული სახელმწიფო წარმონაქმნი აფხაზეთის ასსრ-ის სახით, ამ ეთნოდივერსიის შესაბამისად სერიული წესით დაიწყო ე. წ. რესპუბლიკისათვის „სატიტულო ერის“ გამოინკუბატორება*.

ამრიგად, აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში) დემო-გრაფიული სურათისთვის არაქართული ელფერის მიზნობრივი მისადაგება გამოიწვია რუსისტულმა პოლიტიკამ, რომელიც ამ მხარეში აფხაზეთის „გასხვაქვეყნებასთან“ ერთად, ქართველი ერის დენაციონალი-ზაციას ისახავ-და მიზნად, რისთვისაც სახელმწიფო *პოლიტიკის ხასიათი მიეცა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში რუსულენოვანი და არმენული მოსახლეობების გეგმიურ ჩამოსახლებას.* აქედან გამომდინარე, 1926-1989 წლებისთვის ჩრდილო-დასავ-ლეთ საქართველოში (აფხაზეთში) მცხოვრებთა საერთო რაოდენობიდან *რუსულენოვანი მოსახლეობის წილი გაიზარდა 8-ჯერ, არმენთა თითქმის ათჯერ, ხოლო ქართველების 1,2-ჯერ.* ცხადია, ამ მხარეში ქართველი მოსახლეობა, როგორც საკუთარი ოდაბადის გიორგიანულ ვინაობად გამსულიერებელი, ყოველთვის გახლდათ უმრავლესობა, კრემლის სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილი ეთნოდივერსიული აღმგველობის მიუხედავად (ასე მაგალითად, მარტო 1972-75 წლებში საბჭოთა ხელისუფლებამ, „როგორც

უპერსპექტივო“, აფხაზეთში 129 უძველეს ქართულ სოფელს გაუუქმა სოფლის სტატუსი). ამ ფონზე ის ათიოდე დასახლება, სადაც რაჭიდან, ლეჩხუმიდან, სვანეთიდან, სამეგრელოდან და იმერეთიდან ჩამოსახლებული ქართველობა ჩასახლეს და რაც უსაფუძვლო აკვიატებით „ქართველთა დემოგრაფიულ ექსპანსიად“ შუქდება, ვერ გახდებოდა რუს-არმენთა სახელ-მწიფო პოლიტიკის დონეზე მოთადარიგებული საოკუპაციო კონტინგენტის საპირწონე, რომ არა *ძირძველი ქართველი მოსახლეობის უპირატესი რაოდენობა, რომელიც, ვიმეორებ, სავსებით კანონზომიერად, ყოველთვის უმრავლესობა გახლდათ აფხაზეთში* (ამის შესახებ იხილეთ დაზმირ ჯოჯუა, „სოხუმის დაცემა“, თბილისი, 2014 წ., ს. საჯაია, „დივერსიული ეთნოფაბრიკაციების ახალი ტალღა“...).

ამდენად, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) კრემლიდანურ-რუსისტულმა ეთნოდივერსიებმა და ეთნოფაბრიკაციულმა ინდუსტრიამ (მხატვრული სახეზოგადობა - მ. ბულგაკოვის ”მაღლის გულიდან” შარიკოვი და შვონდერი) მეტ-ნაკლებად შესძლო საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში, მაგრამ აფხაზეთის ასსრ-ად ”გასხვაქვეყნებულ” ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში კრემლისთვის მისაღები ეთნიკური შინარსის ინკუბირება, შესაბამისად, 1989 წლის იანვრისთვის (საბჭოთა კავშირში მოსახლეობის ბოლო აღწერის თარიღი) აფხაზეთის ასსრ-ის ეთნონაციონალური სუბიექტები ასეთ სურათად გაისაგნენ:

1. ქართველები: ა) სამხარეო სახელით აფხაზები, რომლებიც ე. წ. აფხაზეცებად არ აღიწერნენ; ბ) გალელი მეგრელები; გ) კოდორის (დალის) ხეობელი სვანები; დ) XIX-XX საუკუნეებში თავიანთ ისტორიულ მიწაზე (სამშობლოში) მობრუნებული ენგურსგაღმა გახიზნული ქართველები; ე) საბჭოთა წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ კოლმეურნეობათა მუშახელად ჩამოსახლებული ქართველობა (რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, სამეგრელო...).

2. ე. წ. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სახელის მატარებელი მოსახლეობა (სატიტულო ხალხი - აფსუა-აფხაზეცები): ა) ჩერქეზული წარმოშობის მთიელები; ბ) გააფხაზეცებული ქართველები (მეგრელები); გ) გააფხაზეცებული ქართველები (არამეგრელები); დ) გააფხაზეცებული მუსლიმი ქართველები (ძირითადად ლაზები); ე) გააფხაზეცებული ნარევი ეროვნებები (რუსები, არმენები, თურქები და ა. შ.); 3) დენაციონალიზებულ მუჰაჯირთა შთამომავლები (იმ დროისათვის მათი კანტი-კუნტი რაოდენობა 1993 წლიდან საგრძნობლად გაიზარდა).

განმარტება:__მიუხედავად ამ მხარის ძირძველ ქართველთა მიმართ განხორციელებული აღმგველობისა, რომელიც ჩატარდა კრემლის ძალისხმევით, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ქართველობა დღემდე ძუძუმტედ და სახლიკაცად მიიჩნევს აფსუა ხალხს, რადგან, ქვეყნისთვის თავსდამტყდარი ქარბორიის შემომგრიგალებელი, უპირველეს ყოვლისა, რუსიზმია და არა მარადი ბრმა იარლობისთვის გამოინკუბატორებული აბხაზეცობა, თუმცა ეს ვერ გახდება ისტორიის გაყალბების დასტური!..

3. რუსები. ა) 1921 წლამდე მცხოვრები); ბ) 1921 წლის სემდეგ კვლავაც მიზნობრივად და ფორსირებული წესით ჩამოსახლებულები; გ) მეოცე საუკუნის 30-40-იან წლებში რუსეთიდან შიმშილობასა და ომს გამოქცეული მოსახლეობა,

რომელმაც შეითავსა საოკუპაციო კონტინგენტის ფუნქცია; დ) ომის შემდგომ იმავე მიზნით გეგმიურად ჩამოსახლებულები.

4. არმენები: ა) 1921 წლამდე ცარიზმის მიერ ოსმალეთის იმპერიიდან მიზნობრივად ჩამოსახლებულები; ბ) იმავე პერიოდში არმენული ლობის მიერ ამ მხარის ასათვისებლად სხვადასხვა გზით დამკვიდრებული კოლონისტები; გ) საბჭოთა წლებში შორსგამხედვარე მიზნით, ასევე საოკუპაციო კონტინგენტად შესაბამისი გეგმის მიხედვით, ვითომცდა საჭირო მუშახელად ჩამოსახლებულები.

5. ებრაელები: ა) ქართველი ებრალები, რომლებიც აქაურ ქართველთა ცხოვრების წესით ბინადრობდნენ აქ; ბ) რუსულენოვან ებარაელთა ფაქტობრივად საოკუპაციო კონტინგენტი.

6. უკარაინელები: 7. ესტონელები. 8. გერმანელები. 9. დასავლეთ სლავები (პოლონელები, ბულგარელები - რუსიზმმა ეს ხალხებიც საოკუპაციო კონტინგენტად ჩამოასახლა).

10. ბერძნები. ა) შუა საუკუნეებიდან დამკვიდრებულები; ბ) XIX-XX საუკუნეებში ოსმალეთის იმპერიიდან შემოხიზნული მოსახლეობა.

11. დანარჩენი ხალხები უმნიშვნელო რაოდენობით.

(ამ საკითხთან დაკავშირებით იხილეთ კრებული „მართლმადიდებლობა აფხაზეთში და ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საკითხები“, თბილისი, 2005).

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს ძირძველ და, როგორც „ქვათა აღაღადებით“ (ილია) დასტურდება, დასაბამიდან ამ მხარის სულიერად გამშინაარსებელი ქართველობა XVII საუკუნის შემდეგ (განსაკუთრებით რუსისტული თარეშის პირობებში) დივერსიულ ეთნოფაბრიკაციათა ინდუსტრიისათვის სადენალიზაციო ეთნონედლეულად დადგინდა, იგი აფხაზეთის ასსრ-ის, ანუ მიზნობრივად „გასხვაქვეყნებული“ *საბჭოთა სახელმწიფო წარმონაქმნის ქართველთსპობითი პოლიტიკის კბილანებშიც კი, საკუთარი მედეგუნარიანობის შედეგად, იმპერიისთვის მისაღებ უმცირეს რაოდენობად არ იქცა,* საბოლოოდ აღარ აითქვიფა, ე. წ. ოქტომბრისენოვან, უფრო სწორად, საეთნოდივერსიოდ გამოინკუბატორებულ ხალხში და *მკაფიოდ შეინარჩუნა ამ მხარის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) გამცნობიერბლის მეხსიერება, შეგნება და მოვალეობა*. სწორედ ამის გამო 1992-93 წლებში კრემლი იძულებული გახდა საქართველოს ამ მოუხლეჩ მიწაზე (ქართველი ერის გონითი განფენის სივრცეში), ადგილობრივ აგრესორ-სეპარატისტებზე დაყრდნობით განეახლებინა 1989 წელს დაწყებული, მაგრამ ქართული ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით ვერ განხორციელებული საომარი მოქმედებები და იგი ქართულ-აფხაზურ ომად გაეფორმებინა შორსგამიზნული მიზნით. დანარჩენი კი, მას შემდეგ რაც ტყვია გავარდა, პოლიტიკური ხელგარჯილობის საკითხად იქცა.

სამწუხაროდ, მრავალმიმართულებითი საბჭოთა პროპაგანდისა და დეზინფორმაციული ”მეცნიერების” წყალობით ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) შესახებ კრემლიდანური სტერეოტიპებითა თუ მიზნობრივი ტერმინოლოგიით მოხელმძღვანელე მსოფლიომ დაიჯერა, რომ

აფხაზეთი "ჩრდილო-დასავლეთ საქართველო არაა", ხოლო ამ მხარის ქართველობა "საკუთარ მამულში არ მოსახლეობდა".

დიახ, ასეთი გახლდათ წარმოდგენები აფხაზეთზე, როდესაც აქ, ისევ და ისევ ვიმეორებ, რუსიზმის ძალისხმევით ქართველთა გენოციდი, ეთნიკური წმენდა და საერთოდ, ქართული კულტურისა თუ ყოფის ყოველგვარი ნაკვალევის პირწმინდა აღგვა განხორციელდა (რაც ამ წუთამდე გრძელდება).

დღემდე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში საოკუპაციო რეჟიმი ქართული კულტურის კერებზე ანადგურებს მათი ქართულობის მტკიცებულებებს, სპობს უხსოვარი დროის ქართულ სასაფლაოებს, ცვლის ათასწლოვან ქართულ ტოპონიმიკას და ა. შ. უფრო მეტიც, ისტორიული საბედიანო (ძირითადად გალის რ-ნი) ახალ საეთნოფაბრიკაციო რეზერვაციად მოისაზღვრა, სადაც დღის წესრიგში დგას მორიგი „ახალი არაქართული" ნაციის ეთნოფაბრიკაცია.

ამგვარი ავმოსურნეობის გასწვრი, არაფერს ვამბობ საქართველოს სხვისი კარნახით მოპეპლავე ვითომხელისუფლებაზე, საუბედუროდ ჩვენდა, თვით ქართული საზოგადოებაა მოუმზადებელი ასეთი ძირგამომთხრელობის წინააღმდეგ ჭკუის ასანაბიჯებლად.

აი, ასეთი გახლავთ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) სათავზარო მდგომარეობა დღეს, რომელიც "საქართველოს შემადგენლობაში კი არ იყო" უბრალოდ, - ***თვითონ დაადგინა საქართველოს საწყისად ღვთისმშობლის წილხვედრილობამ, ამიტომ იგი ამავე შინაარსში უნდა აღორძინდეს!..***

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დედან შინაარსთან დაკავშირებით აფხაზეთის ა/რ-ის დევნილი უმაღლესი საბჭო თავის პოლიტიკურ, სახელისუფლებო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ა. შ. ინსტიტუციებზე დაყრდნობით ***საველე-სასანგრო მდგომარეობის წესით უნდა ქმნიდეს სათანადო სახელმწიფო პოლიტიკისათვის მრავალმიმართულებით პროექტებს და არათუ აწვდიდეს მარტო, თავისი წუთშეუსვენებელი ძალისხმევით აღწევდეს კიდეც მათ დადგენას სახელმწიფოს შესაბამისი სამსახურებისთვის სახალხო განაწესად.***

ამავე დროს, მან უნდა შესძლოს, ავმოსურნე ძალების სადეზინფორმაციო სამსახურთა მიერ აფხაზეთის გარშემო საეთნოდივერსიო საქმეებისთვის მიზნობრივად დამკვიდრებული სიყალბეების საპირწონედ სისწორის ქმედუნარიანი გასაყოველთაოობა და გასიცოცხლისუნარიანება.

სამწუხაროდ, ამჯერად ეს ასე არ ხდება. ამ დაწესებულებაში მდგომარეობა პირიქითაა. უფრო მეტიც, ისეთი ანგარიშგასაწევი გაზეთის, როგორიცაა "ლიტერატურული საქართველოს" ზემოთხსენებული წერილი, როგორც საქმიდან ჩანს, ამ ინსტიტუციის შესაბამის სამსახურებს არც განუხილავთ და არც საგაკვეთილოდ გაუხდიათ. რას იზამ, ჩვენი ჩრდილოელი დიდი მეზობლებიც ხომ ასე განგვიმარტავენ, "მძიმეაო ქუდი მონომახისა"!..

სხვათაშორის, ზემოთხსენებული საგანგაშო დებულება, რომელზეც საუბარი გვქონდა, ჟამთაბერის წინაშე ჩვენი საზოგადოების ანაღვლე სულისკვეთების აკვარცხლბეკება გახლავთ. ამის შესაბამისად, იმის გამო, რომ მას დღემდე პასუხი არ გაეცა, იგი ერთგვარ პლებისციდად უნდა მივიჩნიოთ, რამაც წარმოაჩინა, რომ ქართული ზეპურობა (ელიტა) დღესაც ამგვარადაა ათოხარიკებული - **„...თორემ, მე თუ არ ვიქნები, ქვა ქვაზეც ნუ ყოფილა!.." (აკაკი)**. ამდენად, ასეთ ფეხაწყობაში გამეტასტაზებული წინგაუხედავი კოსმოპოლიტიზმის წარმოსაჩენად ღირდა მისი გამოქვეყნება.

ამასობაში ცხუმ-აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) დევნილი საზოგადოების საჩინო წარმომადგენლობამ 2014 წლის 23 დეკემბერს, წინასაახალწლოდ, სახალხო შეფასება მისცა აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დევნილ დეპუტატთა კორპუსს - მათ სუყველას, დედაკაცსაც და მამაკაცსაც, ერთი ქართული ანდაზის მიხედვით უსაქმურობაში თავგასართობად მახათები დაურიგათ!.. (არ ვხუმრობ. ამის თაობაზე მიმართეთ სახალხო მოძრაობას "აფხაზთა კრება").

ნათქვამია, "- ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო..." არაჭირისუფალ არამკითხეებს აფხაზეთზე სწორედ ამ ბნელ ღამეს უხანგრძლივებს თავისი დანაშაულებრივი ძილქუშით აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს მახათ მისაჩუქრებული შემადგენლობა.

ჭეშმარიტად უმცდარია ეროვნულ-სახალხო დასკვნა!

28.06.2015 წ.

დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში"
2015 წ. 24, 31 ივლისი.

≈*≈

6. ერს ნუ ვუკვარცხლბეკებთ დენთის კასრს!..

„ხოლო ვის უყუარს სიცრუვე, მას სძულს სული თვისი..."
ფსალმუნი დავითისი - 10
„მისაჯე მე, უფალო, სიმართლითა ჩემითა..."
ფსალმუნი დავითისი - 34
„რომელმან დაჰნერგა ყური, არა ნუ ესმოსა? ანუ
რომელმან შექმნა თუალი, არა ნუ ხედავსა?.."
ფსალმუნი დავითისი - 93

„ვინც შენ ტყვია დაგახალა, სამეგრელო, შემოუწყრეს ნეკრესი და გრემი..." მწყობრს ჩამორჩენილივით კენტად შემოიკივლა თვალსაწიერი ერთმა მოკრძალებულმა პოეტმა ქალბატონმა და წინგაუხედავი დროის ყოველდღიურობათა ყურდახშობას შეაყარა ცერცვივით.

ნეტავ ვცდებოდე, ამით ვიბედნიერებდი, მაგრამ არაა ასე, - წინამდებარე მოცემულობა სათავზარო გახლავთ.

ქვეყანაში ყველა (როგორც ახლა უწოდებენ) მედიასაშუალებით აურზაურდება (პიარდება) საგანგებო მიზნობრივობით წინგამოთრეული, ერისთვის უმაქნისი, საეჭოდ ხელშეწყობილი საკითხები იმაზე, თავისი ვინაობით თუ როგორ *"ცნობიერ წყვდიადში ჩაიმწყვდია ქართველმა ერმა თავი"*, ასეთ დროს *"რამდენად სულზე მოგვისწრო"* ამ დილით ჭაობურ დემოკრატიაში ათვლილმა წელთაღრიცხვამ და ა. შ. (ჭაობური ჩვენთვისაა, თორემ, ისინი "ცის გახსნაო", გვიმტკიცებენ).

ამგვარად, ბანზე ხელოვნურად აგდებული საყოველდღიურო აზროვნებაში უნუგეშოდ სამარდება ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის თავსატეხები, უპირველესად კი ის, რომ *"ზონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შველაო..." (აკ. წერეთელი)*. ამგვარი სახალხო სწავლება ერის მეხსიერებიდანაა გაძევებული და იგი ცხრა სკნელს ქვემოთ ჩააქვითკირა არაკეთილმოსურნე ხელმა.

ამის შესაბამისად, 1992-93 და მომდევნო წლებში ხუნტის ზურგის ქარად თავდადგენილ იმ დროის საინფორმაციო საშუალებებს სრულიად ქართველური ერთსხეულების დამანგრეველი ეთნოფაბრიკაციული, უფრო სწორად, ეთნოდივერსიული სტერეოტიპებით ქართული აზროვნების წესისა და ეროვნული სულისკვეთების წინააღმდეგ ძირგამომთხრელი ზემოქმედება იმთავითვე გაუპიროვნდა.

დიახ, დიახ, ასეთმა გავერაგებულმა სტრატეგიამ სხვა ნელი მოქმედების ნაღმების გასწვრივ (მათ შორის, პირველ რიგში, იმავე ჭაობურმა და არა ჭეშმარიტმა დემოკრატიამ, ათარეშებულმა (აგრესიულმა) ე. წ. უმცირესობების ხელოვნურმა გამოინკუბატორებამ, პიროვნების უფლების დაცვის ნიღაბქვეშ ეროვნულ-სახალხო უფლებების აღგვამ და ა. შ.) მორიგჯერ მოითხოვა *„მეგრელთა პირუმტკიცობის"* ჯერ საზოგადოების ცნობიერებაში გაბლაბუდება, შემდეგ კი გაოთხივკუთხებული გასაჯარისება. ამისთვის მისამოწაფებელიც ცხრა მთას იქით არ იყო საძებნი, აქვე გახლდათ საიმედოდ შენახული ის საბედისწერო *„მეგრელთა საქმე"*, რომელმაც მაშინ ვოსტორგოვზე უფრო ხელგამოღებული ჩაწალდვა მოუნდომა ოქროს საწმისზე გაცილებით ადრე ათვლილი ცნობიერებიდან შემოლანდაგებულ ღვთივდადგენილ წელთაღრიცხვას. არადა, „ამ ქვეყნის დასაბამი მხოლოდ ეს დილააო", ასე წინგაუხედავად ჩაგვჩიჩინებენ, თანაც ჯიუტად. სულ რაღაც ოციოდე წლის წინ, საამისოდ ე. წ. სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე ექმნებოდა საგანგებო სიტყვარიც კი მეგრელთა „არაღვიძლობის", შესახებ *(„ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და რაჭა, ყველა ჩემი სამშობლოა, სამეგრელოს გარდა..." „ვიღეთ ზუგდიდი, ფოთი, წალენჯიხა..." (ქართველთა საზოგადოებას თავს მოახვიეს და სამეგრელოს შინაარსს შორსგამიზნულად გაუიგივეს დროსა და და სივრცეში არ არსებული"„პროვინციული ფაშიზმი" და სხვა ამის მსგავსი ხეპრული თვითდასამარებები)*.

იმის შემდეგაც კი, რაც 1992 წლის 24 ივლისს წალენჯიხაში მოიმოქმედეს გონებაარეულმა თოფოსნებმა, მართალია, ჩასაფრებული ავმოსურნე კი იყო

ძალიან ჭკვიანი, მაგრამ სამეგრელოს მაინც ვერ დააააწუწუნებინეს სეპარატისტული შორისდებულობით *(იხ. ს. საჯაია - "ოხვამურის წარყვნა" - გაზ. "აღდგომა", 1992 წ. 17 ივლისი; გაზეთი "წალენჯიხის ზარები", 1993 წ. 16 მაისი; ს. საჯაია - "დღეები ცხედართა უხმო კივილისა", თბილისი, 2006 წ., მკითხველო, ეს ის შემთხვევა არაა, როდესაც თავის კუდს იმოწმებენ, ჩემი თვალითა მაქვს წანახი ამგვარი მუხანათობა)*.

რა თქმა უნდა, საეგზეკუციო თარეში არ გახლდათ შემთხვევითი, გახსოვთ (ყოველ შემთხვევაში უნდა გახსოვდეთ) ალ. საჯაიას გაენგურებული *"საამაყოდ ქართველობა მეყოფა, საფიცავად შენი თაფლის თვალი..."* - აი, *ამ მსოფლმხედველების ამოკაფვა სურდათ მეღუმურგილე თოფოსნებს*. აქ უნდა შევნიშნო, რომ არც გამარადჭაბუკებელ კოკის და მით უფრო, ჩვენს საკომლო ღირსებას არც არაფერი დააკლდება თუ ვიტყვით, რომ ამნაირ სახეზოგადობად გაცხადებული განაწესი სულაც არაა მარტო საჯაიათა საგვარეულო ლასკარის დამსახურება. იგი ამ მხარის, საერთოდ, მეგრელი კაცის *(რომელიც ჩაგუნია ჭგონია ხეპრეს)* სულის მდგომარეობაა, დიახ, ბატონებო, კარგად ამოიწერაქვეთ ეს გონებაში, - გიორგიანელი ქრსიტესმხედრის სარჯულისკანონო დადგენილება გახლავთ ამგვარად აღაღადება. ამიტომ, ჟამიდან ჟამამდე ნურავინ ისაქმებს თავს მკვდრადშობილი ხელგარჯილობით, - *სამეგრელომ ძალიან მკაფიოდ, ცხადად და ზუსტად იცის თავისი სადაურობა, ვინაობა და აქედან გამომდინარე, სრულიად ქართველური პასუხისმგებლობა*.

სამწუხაროდ, ამ მხარის მიზანდასახული გაჩანაგება მიმდინარეობდა საქართველოს ზეპურობის (ელიტის) თვალწინ, ის კი არადა, მათი ნებსითი თუ უნებლიე დასტურითაც კი თუ თანამონაწილეობით არ ა. ამ ძალადობას უნდა ამოეძირკვა სრულიად ქართველური თვითშეგნება. უფრო მეტიც, ამგვარ ზეპურთა მეგრელი წევრები, *„პროვინციული ფაშისტობა"* არ დამბრალდესო და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სამეგრელოსგან გამიჯვნაში. ამაზე ქვემოთ.

...და მაინც, ვინაიდან ეშმაკს არ ეძინა და რადგანაც *„ოლაჭვათირეს ჭვეთი ქუას რხუნს" („აწვეთურთან წვეთი ქვას ხვრეტს")*, რაც სამეგრელომ ძალიან კარგად იცოდა და იცის, 1992 წლის 30 დეკემბერს, ზვიად გამსახურდიასთან ყველაფრის აწონ-დაწონვისა და მოთათბირების შემდეგ, ქ. თბილისში, ელ. ჯაველიძის ბინაზე პროფესორ ჯ. გამახარიასთან ერთად შევხვდით დიდ ერისკაცს, სახალხო მოღვაწესა და შემოქმედს მ. მაჭავარიანს, ბუნებრივია, მასთან ერთად ელ. ჯაველიძეს, ენ. ნიჟარაძეს, ს. სიგუას და თ. ვაშაძეს.

ჩემს მოხსენებაში მე დავასაბუთე, რომ მრავალი მიზეზის გამო (რისი გარედან გაღვივებული რეციდივებიც დღემდე აგრიგალდება ხოლმე), ეროვნული დაუმორჩილებლობის შტაბის მთავარბანაკი ზუგდიდიდან თბილისში უნდა გადმოსულიყო და კიდევ უკეთესი - ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე თვითონ მუხრან მაჭავარიანი გახდებოდა.

ამის უპირველეს თუ უმთავრეს მიზეზად მივიჩნიე ის, რომ *მტრული ძალები, რომლებიც, როგორც დრომ დაადასტურა, ადგილებზე საოკუპაციო კონტინგენტად იქცნენ, ხელთმოგდებული საინფორმაციო საშუალებებით ახერხებდნენ სრულიად საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობისა და ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტის სახით მისი ხელმძღვანელი შტაბის საქმიანობისთვის, რაკიღა იგი ზუგდიდში გახლდათ დისლოცირებული, მიეხრახნათ სეპარატიზმის ფირნიში და მსოფლიო საზოგადოებრიობისა თუ ქართული საზოგადოებისთვის მეგრელთა ვიწრო კუთხურ, სამხარეო დემარშად წარმოეჩინათ სრულიად საქართველოს ეროვნული ძალისხმევა.*

ამგვარ ფაბრიკაციულ ისტერიას სანაგვიდან ამოუქექეს სათანადო პაროლი, ქვეყანას დანაშაულებრივ სიცრუეში წარმოუჩინეს წინამდებარე სახალხო დაუმორჩილებლობა ხუნტისადმი და მას დაერქვა *„პროვინციული ფაშიზმი“.* ამავე დროს იგი (სრულიად საქართველოს ეროვნული ქუდზეკაცობა) მიზნობრივად მიუარტახდა ჩამორჩენილობისა და კნინობითში აზროვნების საძრახ შინაარსს. უფრო მეტიც, ე. წ. ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკური აბრის ქვეშ მთავრობად შემოსაღებული საოკუპაციო ადმინისტრაციამ, უთანასწორო შერკინებაში იმპერიათა მიერ მოგრიგალებული ზურგის ქარით მოახერხა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მიწასთან გასწორება, *რამაც უდიდესი ზიანი მიაყენა არათუ ქვეყანაში სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას, არამედ, გაერთსხეულებული სრულიად საქართველოს ცნებას.*

სამწუხაროდ, თუ თინათინ მღვდლიაშვილის ზემოთ დამოწმებულ ლექსს არ ჩავთვლით, ქართულ მწერლობაში მუხრანის ზოგადქართული ახავაის გასწვრივ თითქმის არავის ამოუღია ხმა და წონადი შემოქმედებით არ დაპირისპირებია სრულიად საქართველოს იმ საქონდაქრეს, რომელიც მტერმა სახელდახელოდ და შორსგამიზნულად სამეგრელოში აახარაჩოა კოლხური გასაგისის - ამ ქართული მარადიულყოფის ხაწის გასანადგურებლად.

ამის შესაბამისად, იმპერიის მთავარი გეგმა, - დაპყრობილი საქართველოდან მოეგლიჯა ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) ცხინვალის მხარესთან ერთად, არარსებულ *”პროვინციულ ფაშიზმს”,* ანუ *”მეგრელთა პირუმტკიცობას”* დაბრალდა.

ნურავინ დაიმშვიდებს ან მოიტყუებს თავს იმით, რომ საზოგადოებას მუდამ შეუძლია თვალფხიზლად, უმცდარი პინით დააზუსტოს თუ სად არის სიმართლე და რომელია ტყუილი. არაა ასე. დიახ, დიახ, ეს მე არ მინდა და მხოლოდ ამიტომ არ ვაკადრებ, წინგაუხედაობად (კინაღამ ვთქვი, გამოთაყვანებად-მეთქი) თავდადგენილ ფეხაწყობას - *თქვენ, საზოგადოების საკმაო ნაწილმა მოხალისედ მოიხვიეთ-მეთქი თავს ცრუმოწმეობა,* შევჯერდეთ იმაზე, რომ მას ძალა ყოველთვის არ შესწევს, აირიდოს მისთვის თვითჩამჩეხი სიცრუის შემოსაღება. მით უფრო, მერამდენე საუკუნეა, დადარაჯებული მუხანათი დღეგამოუტოვებლად ჩასჩიჩინებს, რომ მისი

ქვეყნის ერთ-ერთ მხარეში, თურმე, *არც თუ მთლად თანამოჯიშე ადამიანები ბინადროენენ.*

ჰოდა, ეს აზრი ტილივით შეესია მოკაცუნე ადამიანთა შორსგამიზნულად გასვლაგეზებულ სამწყობრო ფეხაწყობას და ისინიც იფხანენ და იფხანენ, მაგრამ დღემდე ვერ ჩამოიფხანეს სულს მიტკიპებული, ნაღმიხრახნილი ტილი.

დიახ-მეთქი, ბატონებო, სამწუხაროდ, ეს აზრი იმდენად გაციხესიმაგრდა მიზნობრივად დაპროგრამებული საზოგადოების ცნობიერებაში, რომ მეგრელთა *„ორგულობაზე“* არაერთი *„ნაშრომი“*, წიგნი, ტელეგადაცემა და ა. შ. მომზადდა და გასაჯარისდა. ეს დღემდე გრძელდება:

ამასთან დაკავშირებით მე ნაკლებად მაღელვებს და არც სათავშისაცემოდ ვიხდი ფეხისხმას აყოლილი და მეგრელთმოძულეობაში ერთმანეთს გაჯიბრებული შემთხვევითი ავტორების ხმაბოდვებსა თუ ამგვარ აყროყინებებს, - *„მეგრელები არ არიან სანდო“, „მეგრელები აფხაზებს შეეკვრებიანო„* და ა. შ. *(ბიძინა გოლეთიანი, „ღია საფლავები“, ქუთაისი, 1994 წ.), მე მაგანგაშებს დღეს წმინდა წერილს მიმოწაფებული, თავის დროზე ქ. თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრისა და ქართული კინოს თვალსაჩინო ვარსკვლავის, გოგი ხარაბაძის ხელაღებული მტკიცება, რომ სამეგრელომ არ გამოატარა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) ეთნიკური წმენდისა და გენოციდის შედეგად გამოძევებული ჩვენი სისხლხორცი დევნილები:*

„რატომღაც დღეს სრულიად მიჩუმათებულია სამარცხვინო ფურცელი ჩვენი ისტორიისა, როდესაც ქართველებმა ქართველები ბარით არ გამოატარეს და კოდორის ხეობაში გაუშვეს თოვლ-ჭყაპში... დასაღუპად გაწირეს თანამემამულეები, უდანაშაულო ხალხი, ქალები და ბავშვები... ის ტკივილი ჯერ კიდევ ახალი იყო და მურმანის ლექსი გამახსენდა, სადაც ასეთი სტროფია:

„მიყვარს მტკვარი, მიყვარს ქსანი
არაგვი და ენგური,
მიყვარს ლილე, მიყვარს ლალე,
მიყვარს ჩელა მეგრული.
მაგრამ ყველას მირჩევნია
ერთ დიდ მუშტად შეკრული,
რა თქმა უნდა, საქართველო,
ვიყოთ მისი ერთგული...“
(გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №26, 10 ივლისი, 2015 წ.)

ამ შემთხვევაში ბარის ქართველებში მეგრელებია ნაგულისხმევი. ბატონმა გოგიმ ნამუსი შეუნახა ამ მხარეს, პირდაპირ არ დაწერა (ისე, არ გააოთხივკუთხა, როგორც ამას სჩადიოდა ხუნტის საინფორმაციო მანქანა), მიანიშნა, მეგრელებმა არ მიიღესო ტანჯული თანამომძმეები.

ქვემოთ მექნება საუბარი თუ ვინ და რა მუხანათური მიზნით შერეკა კოდორის ზემო წელში დევნილები, რაშიც თუ საგანგებოდ არ დაიბრმავებთ თვალს ან არ დაიხშობთ ყურთასმენას, დარწმუნდებით, რომ არანაირი წვლილი არ მიუძღვის ბარს, ანუ სამეგრელოს, მაგრამ არის სისაძაგლის ზღვარს ქვემოთა ქმედებები, რაც იმხანად იქ, სამეგრელოს გადასახნავად

ხდებოდა და რაზეც ხმამაღლა ვერ ვისაუბრებ, რადგან *„კოლხურ კოშკში“* მასწავლეს, *„- ნამუსი შევუნახოთო სამშობლოს“*.

ის ყველაფერი სათანადო მტკიცებულებებით მე შემიძლია გავანდო ღრმადპატივცემულ ბატონ გოგი ხარაბაძესა და საჩინო მამულიშვილ თამაზ წივწივაძეს (გაზეთ "ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორს) იმ პირობით, - საზოგადოებრივ მიმოქცევაში თუ არ დაამკვიდრებენ განაგონს. ზოგი რამ, რისი თქმაც შეიძლებოდა, ჩემს წიგნებშია.

ამავე დროს, ისეთ ღვაწლმოსილ და ერის სახალხო წესრიგში მოაზროვნე პიროვნებას, როგორიც ბრძანდება ბატონი გოგი ხარაბაძე, კარგად მოეხსენება და *ამიტომ შევახსენებ, რომ ძველ კოლხეთში ქუდზე კაცურ სამსჯავროზე მოსარჩელეს ან შემთხვევის (მოვლენის) დამდასტურებელს (გნებავთ მოწმეს) ძალიან მკაფიოდ უნდა განმემარტა, - წამოჭრილ საკითხს საკუთარი ნანახით (ანუ თვითმხილველის მდგომარეობიდან) ადასტურებდა თუ ვიღაცის გადმოცემით ახმოვანებდა (სამეგრელოს ლაკადასა და სვანეთში* უხუცესთა სახალხო სხდომა დღესაც სარგებლობს ამ წესით).

ვემოწაფები რა ასეთ სახალხო შორსგამხედვარობას, თავს უფლებას მივცემ, ბატონ გოგის, საკითხის სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე-მეთქი (ბარმა ქართველები არ გამოატარა, ნიშნავს სრულიად საქართველოს ღალატს), პირდაპირ მოვთხოვო, *დაუსახელოს სრულიად საქართველოს წყარო, რომლითაც მან ცნობები შეაგროვა მეგრელთა პირუმტკიცობის შესახებ, მკაფიოდ აღნიშნოს, თვითონ შეესწრო იმას, რასაც აცხადებს თუ სხვას იმოწმებს.*

თუ ეს წყარო ე. შევარდნაძის სადეზინფორმაციო სამსახურების მიზნობრივი დივერსია გახლავთ, წინმსწრებმტკიცებით (აპრიორი) შევთანმხდეთ, რომ ეს ჭეშმარიტებაში გარკვევისას დასამოწმებელ წყაროდ არ გამოგვადგება.

ისე, მოვლენებს გავუსწრებ და ნიშნისმოგებით კი არა, აქარიშხლებული გაკვირვებითა და მიწაზე ვერ დატეული ტკივილით უნდა შევნიშნო (ცოტა გაბრაზებითაც), რომ ბატონმა გოგიმ, ისევე, როგორც არაერთმა ზეპურმა მოღვაწემ, *„სიგრძე-სიგანეში“ „დაგვისურათხატა“* იმ დროის მოვლენები სამეგრელოში, სადაც ის არ ყოფილა მაშინ, სამაგიეროდ, აჩემებული სიჯიუტით არ შეამჩნია აქ, სატახტოში მის თვალწინ, სასტუმრო "ივერიაში" (საერთოდ თბილისში), ლტოლვილთა დაყვედრებული ყოველდღიურობა, რადგანაც იმხანად პრესა თუ რადიო-ტელევიზია მეგრელებს დედაქალაქის სულიერების შემრყვნელად მიიჩნევდა (იხ. იმ დროის პრესა, ტელე-რადიოს არქივი).

გავიდა ხანი (არც მომდევნო მოვლენებსაც ხედავენ), "ივერიიდან" დევნილები გაიყვანეს ყაზახებმა, რომელთაც შეისყიდეს ეს სასტუმრო და მათ ბინების შესაძენად თანხაც მისცეს, მაგრამ იმავე "ივერიის" წინ აქანდაკებული წმინდანი მეფის, დავით აღმაშენებლის ძეგლი ქალაქგარეთ გააძევეს, ანუ მსოფლმხედველობრივი ნიშანსვეტი მოუნგრიეს დედაქალაქს.

უფრო *მეტიც, სასტუმრო "ივერიას" სახელი გადაარქვეს და საეჭვო ჟღერადობის არაქართულ ხმოვანთა გროვა მიაბრეს მას*. ეს კიდევ რაა, მის მოპირდაპირედ, ყოფილი იმელის უკან, ყველანაირი საინჟინრო თუ ხუროთმოძღვრული ანაბანის გადაქცევით ქართველებს ფალოსური (თანაც წინადაცვეთილი) სიმახინჯე აღუმართეს. ქალაქი ამის და ამისთანებით ქვის ხანაში მცხოვრებთა დონეზე დააბრუნეს. მოდი და ნუ გაოცდები: ამ გარემოში "ანუ" რედისონ ბლუში ღონისძიების ჩატარება, ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, ქართველ ზეპურთათვის სამოთხის თვალშევლება გახდა, რაც ბატონი გოგის თვალწინაც ხდება, თუმცა ამაზე დუმს.

დავუბრუნდეთ მთავარ საკითხს: ჩვენ აქვე დავრწმუნდებით, რომ ასეთი ბრალდება ("ბარმა საცოდავი დევნილები არ გამოატარა") არა მხოლოდ ცილისწამებაა, არამედ, აქედან გამომდინარე შედეგის თვალსაზრისით იგი ბოროტმოქმედება გახლავთ. ამიტომ, ბატონ გოგის კეთილმოსურნედ ვთხოვ, კიდევ ერთხელ გადაამოწმოს იმ საბედისწერო მოვლენების *„გამშუქებელთა“* ვინაობა. რომელთაც იგი ასეთი ცნობებით მოამარაგეს.

მე კი ჩემის მხრივ, იმავე წმინდა წერილის მადლმოსილების წინაშე, როგორც მორწმუნემ მორწმუნეს ვუავთანდილებ და სიმართლეში მის გარკვევას აქვე გავიპიროვნებ. მით უფრო, ამ საქმეში საფუძვლიანი ჩახედულობა მავალდებულებს ბატონ გოგი ხარაბაძისა და მის მიერ შეცდომაში შეყვანილ მკითხველს მოვახსენო თუ რა ხდებოდა იმჟამად იქ.

მართლაცდა, იმპერიათა დაკვეთით მოქმედი ძალების მიერ რით უნდა დასჯილიყო სამეგრელოს პირმტკიცობა სრულიად საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისადმი, თუ არა ამგვარი ცილისწამებებით, რომლის გვირგვინად იქცა ნებისმიერი კოლხისთვის დამამცირებელი და შემლანძღველი ცნება *„პროვინციული ფაშიზმი“*. სქემა მარტივი გახლდათ, ამით პუტჩისტებისადმი დაუმორჩილებელი მშვიდობიანი თავყრილობების დამხვრეტი ხუნტა, აგრესიული გლობალიზმის მხარდაჭერით ცდილობდა გაევრცელებინა აზრი, თითქოს იგი დემოკრატიას ამკვიდრებდა, ამიტომ დაამხო *„დიქტატურა“* (ე. ი. ეროვნული ხელისუფლება) და ამჟამად ებრძოდა *„სამეგრელოში მომუხლმაგრე პროვინციულ ფაშიზმს“*, ანუ ქართველთა გამათავისუფლებელ ძალისხმევას (შეადარეთ, - იმავე ხანებში ჩეჩენთა სახალხო-გამათავისუფლებელ მოძრაობას შორსგამიზნულად ეწოდა ტერორიზმი. შემდგომში ეს სახალხო მოძრაობა, სამწუხაროდ, იმპერიათა ძალისხმევით ნაწილობრივ მართლა ჩაიგდეს ტერორისტებმა ხელში და ამ ნაწილმა თავისი კონტინგენტი წაიყვანა იჩქერიის სულისკვეთების საწინააღმდეგოდ, ანუ არასახალხო მიზანმიმართულებით. მოვიდა თაობა, რომელმაც დაიჩემა, რომ ჩეჩნეთის ხსნა ამ გზითაა შესაძლებელი. საბედნიეროდ, იჩქერიაში არიან შორსგახედული მოღვაწეები, რომლებიც პონტო-კავკასიის ცნობიერ სივრცეში ხედავენ ხსნას). დიახ, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ამ რეგლამენტს, რომელიც

დისლოცირებული იყო სამეგრელოში, შორსგამიზნულად ეწოდა *„პროვინციული ფაშიზმი“.*

გასაგებია, ერთბაშად აგრესიული გლობალიზმის, ოკუპანტი რუსიზმისა და მათი ადგილობრივი მეგზურების წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში დროებით დამარცხდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა, რამაც პირწმინდა გადაშენებისკენ გაირეკა ქართველი ერი, რაც იმავე გოგი ხარაბაძის მზერას არ გამოპარვია და ეს გახლავთ დამაიმედებელი, რომ მასში ერისკაცის წინგახედულებას მკაფიოდ გაუსიგრძეგანებია ის შედეგი, რომელიც მოჰყვა 1991-92 წლების პუტჩს საქართველოში (ისე, ახლა მაინც ვაღიაროთ, არ გვინდოდა ზვიად გამსახურდია, კი ბატონო, მაგრამ თვითონ ქართველ ერს გადაგვერჩია იგი თავის დროზე, საამისოდ არსებული ჩვენი ახლადაღდგენილი სახელმწიფოს კანონებით).

ბატონი გოგი ამ შემთხვევაში ჭეშმარიტებას ღაღადებს: *„...ის უკვე სხვა სამყაროა, სხვა ქალაქია... დგას სახლები, ცხოვრობენ ადამიანები, რომლებსაც იცნობ, შენიანები არიან, თითქოს გგვანან კიდეც სადღაც, მაგრამ არა...“ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №22, 12 ივნისი, 2015 წ.).* დიახ, მწარე სინამდვილეა, მაგრამ *<u>ეს ის სიცხადეა, რომელიც პირწმინდა გადაგვარებისკენ მიგვანახირებს</u>*, იგი ჩვენივე ხელებით მოვიხვიეთ თავს და მისგან ხსნა არ იქნება, სანამ თავის დროზე საზოგადოებრივ მიმოქცევაში შემოდივერსებული სტერეოტიპებითა და ტერმინებით *(„ცილისწამებითაც“)* ვსაუბრობთ იმ ავბედით დროზე *(„სამეგრელომ დევნილები არ მიიღოო“, „პროვინციული ფაშიზმი“ და მისთანანი).*

აღსანიშნავია, რომ ბატონი გოგი ხარაბაძე მრავალნახული კაცის გამოცდილებით თავის ჯერ დაუმთავრებელ ნაწარმოებში თავანკარა ქართულობის ნიშანსვეტად და დედან შინაარსად არაერთ მაღალმხატვრულ და სწორ სახეზოგადობათა გასწვრივ ქართველთა ერისკაცულ უფლისწვდომილებას ამნაირად გვისურათხატებს:

„...სცენაზე მინახავს ლოურენს ოლივიე, ჯონ გილგუდი, პოლ სკოფილდი, ინოკენტი სმოკტუნოვსკი... არავინ იყო ხორავაზე დიდი... არავინ იყო მასზე შთამბეჭდავი...

მე და ჩემი წინა თაობების მსახიობებმა, ხორავასა და მისთანების ეშხით დაიწყეს თამაში.

...ხორავა ქუჩაში რომ მიდიოდა, მოძრაობა ჩერდებოდა. თეატრში ან თეატრალური ინსიტუტის დერეფნებში მისი გამოჩენისას დიდი თუ პატარა უნებურად კედელს ეკვროდა... არ იყო ეს შიში, მოკრძალება იყო - მისი პიროვნებით, ბიოგრაფიით, არტისტიზმით გამოწვეული.

დიდი იყო ძალიან, ფიზიკურადაც... გრანდიოზული... დაქანებული, შედარებით თხელი ბეჭებით. ლამაზი თავი ამთავრებდა ამ დიდ მონუმენტს...

ასეთი ფიგურები ორ ურთიერთგამომრიცხავ განცდას აღვიძებენ ადამიანებში: ან აღფრთოვანებას და მოწიწებას, რაც, დღესასწაულის მსგავსად, სიცოცხლის ბოლომდე თან დაგყვება, ან შურს, ზიზღსა და აგრესიას, რაც ჭორსა და ათას ბრალდებას ბადებს.

ის ერთითაც და მეორითაც უხვად "დააჯილდოვეს" სიცოცხლის განმავლობაში.

პირველს - აღფრთოვანებასა და მოწიწებას ღირსეულად ხვდებოდა.

მეორეს - ჭორსა და ღვარძლს კიდევ უფრო დიდი ღირსებით, მშვიდად, ირონიით იცილებდა...

...ძლიერი იყო. თავის ძალაში დარწმუნებული. ამიტომაც ძნელი იყო მისი წაქცევა... სიცოცხლეში...

...მაგრამ შეძლო კი მისი "გადარჩენა", მისი წასვლის შემდეგ შთამომავლობამ?..

...ნახეთ, კიდევ ერთხელ ნახეთ ფილმი "გიორგი სააკაძე".

"კარავში შედი, რუსუდან..."

წუთუ ამ სახის შეფასებას განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება?

ნახეთ, დააკვირდით მუნჯურ ფილმებში - "ნათელა" და "ჩემი ბებია" ბატონი აკაკი ხორავას მიერ განსახიერებულ როლებს და ერთი წუთით ჩაფიქრდით!

თუ გინახავთ უფრო მონუმენტური და მაღალნიჭიერი მსახიობი?

სახე იყო, ნიშანი, თუ გნებავთ, სიმბოლოც მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართული არტისტიზმისა...

...და, იქნებ, არა მხოლოდ არტისტიზმისა?!“ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 2014 წ. 21მარტი).

<u>ვერაფერს იტყვი: ეს გახლავთ ეროვნული მსოფლმხედველობის ძეგლისდფეგა, ქრისტესმხედრული საწმისი, გიორგიანელის წესდება, ბინადარი ცხოვრებისა და სამშობლოს მქონეთა ვინაობა!..</u>

დიახ, ბატონებო, ერის ლასკარში თავისი ავ-კარგით არც თუ რიგით კირითხუროდ შენაბიჯებული ამ ამაგდარის ოდაბადე სწორედ ის ბარი, *<u>ანუ სამეგრელო გახლავთ, რომლის მიმართ მიზნობრივად გავრცელებულ ცილისწამებას, სამწუხაროდ, არც ამ ნაწარმოებში ავცდით!..</u>*

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ ყმაწვილი მივემოწაფე გაზეთ *"ლიტერატურულ საქართველოს"*, მისი ფურცლებიდანაც დავიმკვიდრე თავი ვინ ჯგუფში, ჩემთვის მიუღებული კი არაა მარტო აქედან სადღეისოდ გასაჯარისებული ზოგიერთი გამონათქვამი, სიმცდარესთან ერთად ხელში გაუაზრებლად ათამაშებულ ნაღმებად მივიჩნევ მის ზოგიერთ მოწინავე წერილში ამგვარ მსჯელობას: *„მესმის შენიც! დიდი ხანია ქართველებს რაღაც ცოდვისთვის გვსჯი, მაგრამ როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე?!*

კომუნისტური დიქტატურისთვის გვაზღვევინეს!

<u>პროვინციული ფაშიზმისთვის გვაზღვევინეს!</u> (ხაზგასმა ს. საჯ.).

9 აპრილისთვის გვაზღვევინეს!

ნაცისტური რეჟიმისთვის გვაზღვევინეს!“ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №24, 19 ივნისი, 2015 წ.).

ან კიდევ *„თქვენ არ იყავით, „ლაფატკაზე“ რომ დადეთ დეპოში გაჩხერილ ვაგონში მთვლემარე „ვაიკომუნისტური რეჟიმის“ მომხრენი, <u>პოსტკომუნისტური დიპლიპიტო პროვინციული ფაშიზმი</u>“ (აქაც ხაზგასმა ს. საჯ.) და ა. შ. (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, №28, 17 ივლისი, 2015 წ.).*

<u>ჩვენდა საუბედუროდ, ის მოქალაქე, რომლის წერილშიც ასეთ სტრიქონებს ვხედავთ, საფუძვლიანად მგონია,რომ გაგებაში არაა თანამედროვე დივერსიული ეთნოფაბრიკაციების ტექნოლოგიებში, თუ როგორი ქმედუნარიანი რეზერვაციაა ახალი საეთნოდივერსიო ინდუსტრიისათვის ზემოთდამოწმებული ცილისწამებებით</u>

შელანძული სამამულო თვალსაწიერი. რათა მორიგი არაქართველი ერი გამოინკუბატორდეს ქართულ სივრცეში.

...და მაინც, ასე უხვად დაფინანსებულ და ნამესტნიკური ხელისუფლების მიერ უვიცობით (ჩვთვალოთ ასე) მხარდაჭერილმა ეთნოდივერსიამ სეპარატისტული ფრთები ვერა და ვერ გაშალა, ვერ გაიყლორტა, ტანი ვერ აიყარა მარადკოლხურ თვალსაწიერში და მისი ყოველდღიურობა სრულიად საქართველოს აღორძინების მარადი სადაგი დღეა. სამაგიეროდ, ჩვენი სატახტოდან დღემდე ხდება გაუთვლელი და მტრის მხარდამჭერი გასროლები არც თუ იშვიათად, რომელთაც ჭვკიანი მტერი არა მხოლოდ მეორად, მრავალგზის სამოქმედო ნაღმად აქცევს ხოლმე. ასეთ ვითარებაში კი უნდა ვასკვნიდეთ, რომ მარტო გამონაბოლქვით ან მოუწესრიგებელი ნაგავსაყრელითა თუ ხრწნადობათა დასაწყობებით არ ჭუჭყიანდება გარემო, იგი ავყიობითა და მიზნობრივი ცილისწამებითაც ნაგვიანდება. უფრო მეტიც, იბილწება ამით ადამიანთა ცნობიერი, გნებავთ სულიერი თვალსაწიერი.

არადა, ზუსტად იმ დროს, როდესაც სამეგრელოს დაუმორჩილებლობას ხუნტისადმი, ანუ პირმტკიცობას სრულიად საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისადმი ჩვენი სატახტოდან ე. წ. პოლიტიკური ზეპურობა (ელიტა) *„პროვინციულ ფაშიზმს“* უწოდებდა, მაშინ მეგრელთა ხორხის-მიერება ასე ამაფშალიებდა საკუთარ მსოფლმხედველობას:

„ქაჯიშ ჯიხას ხიოლი რე, გილართუნა თარჩიას,
საქორთუოქ ეჭყორდუა, ახარენა ართიანს,
მარა ტყურათ გილასხაპნა გინოჩიჩელი შერეფი,
ჭუმე ჩხანა კინ ელურსუ, კინ მირდუნა გერეფი,
საქორთუოს დოთხილანა, დისირუნა ტერები“

(ხალხური, მას ჩონგურზე მღეროდნენ ხუნტისგან ტყვიადახლილ 1992-93 წლების სამეგრელოში).

კი ბატონო, თუ ეს პროვინციული ფაშიზმია, მაშინ ასეთი ფაშიზმის ფუძემდებლები ყოფილან ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, დუტუ მეგრელი, გიორგი შარვაშიძე, თედო სახოკია, კონსტანტინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე და უბედნიერესი კაცი ვარ, რომ 1992-93 წლებში ამ „პროვინციული ფაშიზმის“ ერთი რიგითი კირითხურო ვიყავი და ასეთად დავრჩები სიცოცხლის ბოლომდე.

რაც შეეხება იმ უხანო დროს სასიმღეროდ გავრცელებულ და ზემოთდა-მოწმებულ წინამდებარე ამონარიდს, ის სალიტერატურო ენაზე შეგნებულად არ ვთარგმნე, რათა რიონსგამოღმელმა თუ ლიხსაქეთა ქართველმაც ისეთ-ნაირად გაიჰანგოს იგი, როგორც სამეგრელოში იმშობლიურებენ ამას სრულიად საქართველოს ნაცადი ქრისტესმხედრები. იქნებ ამგვარად მაინც მიხვდეს ლიხსაქეთელი, რომ მისი სულის აგრიგალებაცაა ეს!..

ახლა კი დავუბრუნდეთ იმ მთავარ საკითხს, რომელიც ბატონმა გოგიმ წამოწია: დავიწყოთ იმის გარკვევით, რომ, როდესაც საუბარია იმაზე, თითქოს სამეგრელომ არ მიიღო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) დევნილები, პასუხია გასაცემი კითხვაზე თუ ვის სჭირდე-ბოდა ამ მხარეში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ქართველ-თა საყოველთაო გენოციდს სასწაულებრივად გადარჩენილი და ეთნიკური

წმენდის შედეგად პირწმინდად გამოძევებული ლტოლვილებისათვის გზის გადაკეტვა, რომელთა უდიდესი ნაწილი ისეთივე მეგრელი გახლდათ, როგორც ზუგდიდის მოსახლეობა და ამით მათთვის კიდევ ერთი ცის ჩამოქცევა დაეტეხათ თავს, უფრო მეტიც, ასეთი ცილისწამებების გამავრცელებლები იმასაც *„ამტკიცებენ“*, თურმე, თავისი თანამოძმეების აღგვასა და ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მიტაცებას სამეგრელო გულხელდაკრეფილი და ნიშნისმიმგები ჩასაფრებით უყურებდა.

ნუთუ კოლხურმა წინგახედულებამ ვერ დალანდა, რომ ასეთი ვერაგობა ამ მხარეს სრულიად ქართველთა ლასკარში სამრახად დაადგენდა და არა-ფერს შემატებდა ხუნტისადმი დაუმორჩილებლობისთვის საჭირო ძალის-ხმევაში?!. ასეთი საქციელი ხომ სამისდღემშიოდ აყრიდა მას პატივს საქართ-ველოს ყველა კუთხიდან აქ ქუდზეკაცად გაერთმუშტებელთა თვალში, რომლებიც ეროვნული ხელისუფლების აღდგენისათვის იბრძოდნენ?!.

საბედნიეროდ, ამგვარი სულმოკლეობით სამეგრელოს წამითაც არ უცხოვრია, საბუთი? ინებეთ, ბატონებო, ეს ცნობა საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლობის მონაწილეობითაა შედგენილი და იტყობინება, რომ 1993 წლის 10-15 ოქტომბრისთვის სამეგრელომ შემოიჭერქვეშეთა 195 ათასი დევნილი:

ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) დევნილთა განაწილება სამეგრელოში 1993 წლის 10-15 ოქტომბრისათვის

რაიონი	ადგილობრივი მოსახლეობა	დევნილი	ჯამი
ზუგდიდის რაიონი	87,7 ათასი	80 ათასი	167,7
ქ. ზუგდიდი	72 ათასი	50 ათასი	122 ათასი
სენაკი	65 ათასი	15 ათასი	80 ათასი
ფოთი	54,5 ათასი	5 ათასი	59,5 ათასი
მარტვილი	46,3 ათასი	3 ათასი	49,3 ათასი
ხობი	40,9 ათასი	12 ათასი	52,9 ათასი
წალენჯიხა	39,1 ათასი	20 ათასი	59,1 ათასი
ჩხოროწყუ	30,9 ათასი	5 ათასი	35,5 ათასი
აბაშა	28,7 ათასი	5 ათასი	33,7 ათასი
ჯამი	465,1 ათასი	195 ათასი	660,1 ათასი

ხმამაღლა ვეუბნები ურწმუნოს და წინმსწრებმტკიცებით ჩასაფრებულს: თუ ამ ცხრილთან დაკავშირებით ზვიად გამსახურდიას ბანაკის მიმართ რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ, არ იჩქაროთ, მშვიდად გაერკვიეთ საკითხში. შეაჯერეთ ყველა ცნობა, გაესაუბრეთ თვითმხილველებს და შემდეგ მოიქეცით ისე, როგორც სინდისმა

გიკარნახოთ. უფრო მეტიც, უფლებას ვიტოვებ, რომ 1993 წლის შემოდგომის მოვლენებზე დაბეჯითებით მოგთხოვოთ, რომ მომავალში თავი შეიკავოთ შეუმოწმებელი ჭორების გამრავალგზალებისგან. რადგან დღეს ეს ცნობები, თუ რა ხდებოდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) უბედურ და უმწეო დევნილთა თავს, ხელმისაწვდომია ყველგან და ყველასთვის. ამიტომ, ნებისმიერი, რომელიც მათზე თვალის გადავლების გარეშე გაიმეორებს სადივერსიო ჭორს - „მეგრელთა პირუმტკიცობაზე“, იგი ნებაყოფლობით დაიდგენს თავს ჩასაფრებული მტრის სამსახურში!..

იმავე დროს უნდა მივმართო და დავავალდებულო აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამჯერად, და აფხაზეთის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის წევრი მაშინ - პროფესორი ჯემალ გამახარია, დღესაც რომ აფრიალებს ზ. გამსახურდიას რწმუნების სიგელს, - დაავალოს თავის საინფორმაციო სამსახურის საქმეშემოლეულ თამაწშრომლებს, მოიძიონ წინამდებარე ცხრილი, შეაჯერონ, გადაამოწმონ და თავისი ხელმოწერით გამოუქვეყნოს საზოგადოებას გამოსაყენებლად, ანუ ჩასაფრებული ავმოსურნეობის გასაუვნებელსაყოფად. ამას მოითხოვს, პირველ რიგში, ზნეობა, შემდეგ საქართველოს მარადიულყოფაზე ზრუნვა და ბოლოს ცხონებული ზვიად გამსახურდიას, საქართველოს პირველი პრეზიდენტის მიერ ბოძებული რწმუნების სიგელის შესაბამისი პასუხუსმგებლობა!.. ბატონ ჯემალს იგივე რწმუნება ავალებს, ისიც გაიხსენოს და *ხმამაღლა შეჰბღავლოს სრულიად საქართველოს, რომ 1993 წლის 16 მარტს, როდესაც აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) ყოფნა-არყოფნა წყდებოდა, ქ. ზუგდიდში ჩატარდა მრავალათასიანი სახალხო თავყრილობა, რომელმაც სამამულო ომში მონაწილეობისკენ მოუწოდა კოლხეთს. ათასობით მებრძოლი მოხალისედ ეწერებოდა სახალხო ლაშქარში. ის კი არადა, საზღვარგარეთიდანაც ჩამოდიოდნენ პოლიტიკური დევნის გამო ქვეყანას გარიდებული მამულიშვილები. ხუნტამ ეს ჩაშალა. სხვათაშორის, არც ის იქნება ზედმეტი, თუ კი ამ კუთხის შვილი და ასევე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პოეტი გენო კალანდიაც დაივალდებულებს თავს ამნაირი გარჯით. გაითვალისწინოს, თავის დროზე თუ რისთვის არ ხვდებოდნენ მას გულთბილად თავის ოდაბადეში.*

ასევე გაიხსენოს მან (ბატონმა გენომ) თუ როგორ მთხოვა, როგორმე მომეგვარებინა ეს უსიამოვნება, ეს იყო 2004 წელს. ვინაიდან დებოში არ გახლავთ ღვთივსათნო საქმე, ზუგდიდელ მეგობრებს მივმართე და მათ აღკვეთეს ამ კაცის მიმართ ხერშვინი. ეს რომ ასე იყო, ამის დადასტურება წესით უნდა შეეძლოს დღეს იმავე ჯემალ გამახარიას. სხვათაშორის, ამ პოეტმა სამაგიერო იმით გადამიხადა, რომ 2011 წლის დიდმარხვაში, თვრამეტ მაბეზღარას შორის მეექვსემ მოაწერა ხელი ჩემს საბეზღებელ წერილს - მ. სააკაშვილის წინააღმდეგ წიგნი დაწერაო!..

ის, რომ იმხანად (1993 წლის შემოდგომაზე) დევნილთა უმეტესობა სამეგრელოში შეისახლიკაცეს, მკაფიოდ ადასტურებს 1999 წლის ნოემბერში არჩეული საქართველოს პარლამენტის ერთ-ერთ სესიაზე გამოქვეყნებული

განცხადება: რამდენადაც მახსოვს 2001 თუ 2002 წელს, დეპუტატ გივი ლომინაძის გამოსარჩელებისას ასევე დეპუტატმა დიმა ჯაიანმა განაცხადა, რომ როდესაც ბატონმა გივიმო, *„1993 წლის ნოემბერში სამეგრელო წესრიგის დასამყარებლად ჩაიბარა“,* აქ 165 ათასი დევნილი იყოო (ეს მასალა მოგვიანებით გაზეთში *„საქართველოს რესპუბლიკა“* დაიბეჭდა დ. ჯაიანისა და მის მომხრეთა ხელმოწერით (თარიღი არ მახსოვს და ვერც მის დასაზუსტებლად მოვცდები.ვისაც დასჭირდება, მან მოიძიოს).

აქ საინტერესო ისაა, რომ ამ ხელმომწერთაგან არაერთი გახლდათ იმ ბანაკში, რომლებიც ქართულ ტელე-რადიოში, გაზეთებში და ა. შ. ხუნტის დაკვეთის შესაბამისად ხმის ჩახლეჩამდე გაჰკიოდნენ, *„-მეგრელებო, დევნილები ხომ მეგრელები არიან, ერთი მაინც მიიღეთო“).*

ასეთი ცილისწამებების გავრცელების, ანუ, ფაქტობრივად დივერსიის გამო, შეურაცხყოფილი სამეგრელოს მოსახლეობა აფხაზეთიდან და ოდიშიდან გამოსულ იმ *„საზოგადო მოღვაწეებს“,* რომლებმაც მოხალისედ დაივალდებულეს თავი ამ სიგლახით, საკმაო ხანს არ უშვებდა მათ საკუთარ ოდაბადეში. უფრო მეტიც, ერთ-ერთი პოეტი, რომელსაც არა ერთი პრემია და წოდება მიეკვაჭა, ერთხელ ნათესავის გასვენებაში ჩასულა ზუგდიდიში, სადაც იგი საკუთარ ოდაბადეზე მის მიერ გავრცელებული ცილისწამებების გამო აღშფოთებულმა ქალებმა ქოლგით სცემეს (მამაკაცებმა მხოლოდ მუჯლუგუნით გამოაძევეს).

ეს კაცი დღესაც აფხაზეთის ა/რ-ის ხელისუფლებაში იღვწის.

კვლავ და კვლავ დავუბრუნდეთ მთავარ სათქმელს: *ცხადია, იმ დროის ნამესტნიკურ ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა იმ მხარეში, სადაც მას სახალხო დაუმორჩილებლობა ხუნტად და არაერთგულ რეჟიმად მიიჩნევდა. ერთბაშად აღმოჩენილიყო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) ასე მუხანათურად გამოგიგზილი მოსახლეობა, რომელთა ერთი ნაწილი, მათ შორის ქალები და არასრულწლოვნები, თავიანთი ოდაბადის დასაცავად შეიარაღებულები იყვნენ და, რაც მთავარია, აფხაზეთის საომარი ავანტიურის საბედისწერო შედეგებში ბრალს მას (ანუ ე. შევარდნაძის რეჟიმს) სდებდა. ბუნებრივია, რისხვას მიმატებული რისხვა წამლეკავი აღმოჩნდებოდა იმათთვის, ვინც უზრუნველყო იმპერიული დაკვეთების შესაბამისად ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს, ანუ აფხაზეთის გასხვისება, ამ მხარის ძირძველი მოსახლეობის გენოციდი, ეთნიკური წმენდა, კულტურულ თუ ყოფით ყოველდღიურობათა ნაკვალევების აღგვა და ა. შ.*

(როგორც აბჟაყველმა (სოხუმის რ-ნი) სამა სილოგავამ მითხრა, მისი 90 წლის მამა,რომელმაც არაფრით არ ისურვა აქეთ წამოსვლა, სიკვდილის საფრთხის მიუხედავად, იქ დარჩენილა. ბუნებრივია, არც შვილმა დატოვა მამა. აბჟაყვის დასაწყისში, აგურის ქარხანასთან, ქალაქიდან და ახლომახლო სოფლებიდან მთელი წლის განმავლობაში მანქანებით მოჭქონდათ ქართული წიგნები, აბრები, სხვადასხვა წარწერები, ქუჩის მიმანიშნებელი ფირნიშები და განუწყვეტლივ წვავდნენ).

აქ ერთი რამეცაა გასათვალისწინებელი: დიახ, დიახ, როგორც გითხარით, მართალია და ყოველმხრივ გამორიცხული გახლავთ, რომ ენგურის ქვემო წელში, ანუ როგორც ბატონი გოგი ხარაბაძე ამბობს ბარში (ე. ი.

სამეგრელოში) სახალხო განწყობას ან ეროვნულ ხელისუფლებას მოსურვილებოდეს წამოეხეპროს „-**დევნილებს გზა გადავუკეტოთო!..**“ არავითარ შემთხვევაში, ვინც ამას დღემდე ასე ახმოვანებს, იგი, ვიმეორებ, მტრის დაკვეთითაა მომდგარი საქართველოს ერთსხეულებას და მის დანგრევას ცდილობს. ეს ასეა, მაგრამ ამავე დროს, არც ისაა გამოსარიცხი, - ზვიად გამსახურდიას გარემოცვაში საქართველოს მტრების მიერ მიზნობრივი ავმოსურნეობით შეგზავნილ უშქარ მსტოვართა და მოღალატეთაგან, ხუნტის დავალებათა შესაბამისად, ***„ეროვნული ხელისუფლების სახელით“*** გამოეღოს ხელი რომელიმე სულგაყიდულ ნაძირალას. ასეთთა გვარ-სახელები ჩემს წიგნებში არაერთი გამისაჯარისებია და მათ შესახებ მათდა შესაფერისი სახალხო აზრიცაა შექმნილი თვით სამეგრელოში.

უნდა დამეთანხმოთ, რომ ამგვარ საქმიანობას დივერსია ჰქვია, რომლის აღსაკვეთადაც იმ უთანასწორო ბრძოლაში სათანადო სამსახურები იღწვოდნენ ეროვნულ ხელისუფლებაში, ხოლო მისი საინფორმაციო საშუალებები უბედურების ადგილებიდან სახალხო ძალისხმევითა და ეროვნული ხელისუფლების მცდელობით გამოყვანილ დევნილებს სათანადო მიმართულებით გამგზავრებაზე, ადგილზე შეძლებისდაგვარად დაბინავებაზე და მოკრძალებულ კვებაზე სათანადო ცნობებით უზრუნველყოფდნენ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ამ დროს თვითონ სამეგრელო იყო ხუნტის თოფოსნებისგან ბლოკირებული და აქ არ შემოდიოდა სურსათი, ხელი საგანგებოდ ეშლებოდა ჰუმანიტარული დახმარების მოწოდებას და ა. შ.

დევნილებისთვის სამეგრელოსკენ გზის გადაკეტვით იმპერიის ნამესტნიკები პირნათლად ასრულებდნენ ქართული სახელმწიფოებრიობის დასანგრევად საჭირო ერთ-ერთ ქმედუნარიან დივერსიას. ისინი ამით აღწევდნენ ***1. თვით მეგრელთაშორის ურთიერთდაპირისპირებას; 2. სვანებისა და მეგრელების კუთხურობის ნიშნით გადამტერებას (სვანეთში გაიძარცვნენ დევნილები, რადგან ეს მოსახლეობა მიზნობრივად შერეკეს საკენ-ჭუბერის უგზო ხეობებში და იქ დაყაჩაღების შემდეგ არათუ განაიარაღეს, არამედ, გაუნადგურეს სადმე, როგორმე ფეხმოკიდების საშუალებაც (დააყაჩაღეს).*** როგორც პოლკოვნიკმა ს. ზ. ...მ მიამბო, ასრულებდა რა საგანგებო მნიშვნელობის დავალებას, იგი პირადად შეესწრო თუ როგორ დაავალა ე. შევარდნაძემ ჯ. იოსელიანს დევნილთა შეტყუება საკენ-ჭუბერის ხეობებში და მათი განიარაღება (ამ პოლკოვნიკის ვინაობა მე შემიძლია, სათანადო სამსახურს დავუსახელო). ეს დავალება გახდა კიდეც საფუძველი იქ დატრიალებული ძარცვის, გაუპატიურების, განუკითხაობათა და ა. შ. მე პირადად მყავს ნანახი ჯ. იოსელიანი აგუძერაში, დალის ხეობიდან გამოსულ რამოდენიმე ***„მხედრიონელთან“*** ერთად, რომლებიც ***„ზომებს ღებულობდნენ“*** უმწეო მოსახლეობის ამ ხაფანგში შესატყუებლად.

ამდენად, იმპერიული დაკვეთა ამგვარი გახლდათ. თავს დატრიალებული უბედურებების გამო განრისხებული და აქედან გამომდინარე,

ამბოხისკენ მიდრეკილი დევნილების, რომელთა უპირატესი ნაწილი მეგრელი გახლდათ, ხუნტისადმი დაუმორჩილებელი სამეგრელოსთვის უნდა გაერიდებინათ ისე, რომ ეს საზოგადოებაში თვით მეგრელთა ***„პირუმტკიცობად“*** აღქმულიყო (რითაც გაუთვითცნობიერებელ საზოგადოებაში ხელი შეეწყობოდა ამ მხარისადმი ზიზღის ამრისხანებას). ამავე დროს საგულდაგულოდ იჩქმალებოდა ის, რომ სრულიად საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტი სწორედ აქ მოღვაწეობდა. ყოველივე ეს, საჭირო პროპაგანდის მეშვეობით, განამტკიცებდა აზრს, რომ ***1. მეგრელები „პირუმტკიცენი“ არიან და „უჭირთ ზოგადქართული აზროვნება“; 2. 1993-94 წლებში დევნილი მოსახლეობა სხვადასხვა ხერხით ჩამოიტყუეს თბილისში (რიგ შემთხვევაში თელავშიც კი), რათა იმხანად სამეგრელოში დისლოცირებული სრულიად საქართველოს დაუმორჩილებლობის მოძრაობიდან შორს ჰყოლოდათ და ამის გამო მეტი საშუალებაც იქმნებოდა მათი გამათხოვრების, განაიარაღებისა და მართვად ელექტორატად გადაქცევისთვის; 3. ამით ხერხდებოდა სამოქალაქო თანხმობის არდაშვება და მუდმივად საკონფლიქტო ვითარების პროვოცირება; 4. ვინაიდან, იმპერიისთვის ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ოკუპირება სრულყოფილი მდგომარეობა მხოლოდ მაშინ გახდებოდა თუ არ იარსებებდა ამ მხარის მოსახლეობაში მეხსიერება აფხაზეთის ქართულობის შესახებ, დღის წესრიგში დადგა დევნილი მოსახლეობის საბოლოო დენაციონალიზაცია, რასაც დაერქვა ინტეგრაცია ახალ გარემოებასთან (1994-95-96 წლებში თბილისის ხარლხმრავალ ადგილებში ეკიდა ვეებერთელა ფირნიშები,რომელზეც მხედრული ასოები ვერ ქრისტესმხედრობდნენ, - იგი მოგვიწოდებდა, რომ „ლტოლვილობა უბედურება არაა, აინშტაინიც ლტოლვილი იყო, ლტოლვილს შეუძლია ახალი სამშობლო იპოვოსო!..“*** აი, ასეთი ***„ნუგეშით“*** დახვდა სატახტო თავის უბედურ, სიკვდილისთვის თვალში ჩანახედ შვილებს, მაგრამ ეს სხვა თავსატეხია, მტკვრის პირზე თვალშევლებული და მომდევნო საკითხად გასასიგრძეგანებული, ჩვენ ისევ ენგურის სანაპიროებისკენ გავინაბიჯოთ...

მანამდე, რაც შეეხება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) რუსიზმის კოალიციური ძალების (რუსი სამხედრო მაღალჩინოსნები, სეპარატისტული ხროვა აფხაზეთიდან, კაზაკობა, რუსი ჯარისკაცები და ოფიცრები, დაქირავებული მეომრები უცხო ქვეყნებიდან, ჩრდილო კავკასიაში ინკუბირებული ანტიკავკასიური შეიარაღებული კოლაბორაცია და ა. შ.) მიერ განხორციელებული გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შედეგად გამოძევებული მშვიდობიანი და უმწეო მოსახლეობისა თუ მასთან ერთად უკანდახეული ქართველი სამხედროების კოდორის ხეობაში განსაიარაღებლად და გასაძარცვად შეტყუებას, - ამაზე, ღრმად პატივცემული გოგი ხარაბაძე დამეთანხმება, რომ ეს არ გახლავთ მხიარულად მოსაყოლი ამბავი, მაგრამ ილორის წმინდა გიორგის მადლმოსილი ხატისა და ჟამთაბერის წინაშე ვივალდებულებ, აშკარად შეცდომაში შეყვანილი (ასე მინდა ვიფიქრო) ბატონი გოგი შემოვირაგადო იმ ამბების კიდევ ერთხელ გასაჯარისებისას, რისი მონაწილეც, მსხვერპლიც და ამდენად, თვითმხილველი გახლავართ.

ვინაიდან ეს ყველაფერი, რის თქმასაც ვაპირებ, არაერთგზის აისახა ჩემს წიგნებში, ძალიან მოკლედ, მაგრამ მაინც დავიწყოთ 1993 წლის 27 სექტემბრის ნაშუადღევით, მდინარე მაჭარასთან (გულრიფშის რ-ნი), სადაც მაშინ აფხაზეთის მთავრობად წოდებულ ოფიციოზს შევხვდი და დაველაპარაკე ზვიად გამსახურდიას რწმუნების შესაბამისად (შეგახსენებთ, რომ ეროვნული დაუმორჩილებლობის კომიტეტში (ბატონი ზვიადის პოლიტიკურ ბანაკში) იმხანად ვასრულებდი სხვადასხვა საპასუხისმგებლო დავალებას, მათ შორის სხვებთან ერთად ორგანიზებას ვუწევდი ეროვნულ წინააღმდეგობას და პირადად ვმონაწილეობდი სოხუმის დაცვაში (დღემდე მრცხვენია, რომ, რომელიღაც ღელესთან, თავდაცვის ზღუდეზე ვერ ვეზვარაკე მტრის ტყვიას, თუმცა ესეც უფლის ნება იყო).

დიახ, 1993 წლის 27 სექტემბერს მდინარე მაჭარის ხიდთან, სადაც გზა-გასაყარი ჩრდილოეთით წებელდა-საკენისკენ, ხოლო აღმოსავლეთით გულ-რიფშ-ოჩამჩირე-გალისკენ აითვლის სვლაგეზს, თავი მოიყარეს ხუნტის მაღ-ალჩინოსნებმა, მათ შორის აფხაზეთის მთავრობად წოდებულმა ადამიანებმა *(ვრცლად იხ. ჩემი წიგნი „დღეები ცხედართა უხმო კივილისა“, თბ., 2005 წ.).*

ამ დროს ჩვენთან, დათქმის შესაბამისად, კინდღიდან მოვიდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას განკარგულებაში მყოფი ეროვნული გვარდიის რწმუნებული და დაგვიდასტურა, რომ მდინარე კოდორზე, სოფელ ოჯიბინესთან მშვიდობიანი მოსახ-ლეობის უხიფათო ადგილებში გასახიზნად შეიქმნა საიმედო დერეფანი, ამ მონაკვეთზე მდინარის მარცხენა სანაპიროს იცავდნენ პოლკოვნიკ გურამ ლაკიას მებრძოლები. ამის მიხედვით, მე ასეთი დროისთვის საჭირო ზომების მიღება უნდა მეცადა.

მივედი ბორის კაკუბავასთან და აწგანსვენებულ თემურ ფიფიასთან, რომლებსაც მაშინ მაღალი თანამდებობები ეკავათ ე. შევარდნაძის ხელისუფლებაში და განვუმარტე, რომ არც ერთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს, რომელიც იბრძოლებდა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) დასაცავად, თმის ღერიც არ ჩამოუვარდებოდა, ასეთი იყო საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების დამოკიდებულება საკითხისადმი. იმისათვის, რომ *ეს დამიჯეროთ, ჩემს 19 წლის შვილს, რომელიც ჩვენთან იბრძოდა, მძევლად გიტოვებთ-მეთქი.*

ამავე დროს განვაცხადე, რომ, რაკიღა კოდორზე, ოჯიბინესთან უმწეო მოსახლეობისთვის საშშვიდობოს გასაღწევად დერეფანი შეიქმნა, მიზანშეწონილი იქნებოდა აქეთ გაგვეშვა დაბნეული ხალხი, რომ მათი მონდომება, ყველა შემთხვევაში წებელდა-ჭუბერისკენ მიეჩიხათ ლტოლვილებიცა და სამხედროებიც, - საეჭვო შორსგამიზნულობას ქმნიდა.

სამწუხაროდ, ამ ადამიანებმა, ხუნტის დავალებითა თუ მასთან თანამო-ნაწილეობით უმწეო ხალხის წინაშე მარტო კი არა, სრულიად საქართველოს წინაშე ჩაიდინეს უზარმაზარი ბოროტმოქმედება, როდესაც მოტყუებულ ხალხს ეუბნებოდნენ, *„-სამეგრელო არ გღებულობთ და დალის ხეობისკენ იჩქარეთო“.* ის კი არადა, ჩვენს ხმისჩახლეჩამდე ყვირილს - *„კოდორზე*

უსაფრთხო დერეფანიაო“, ადამიანის სახედაკარგულმა თოფოსნებმა ათარაშებული განუკითხაობით უპასუხეს. ეს კიდევ რაა, ნარკოტიკებით გაბრუებულმა ე. წ. *„ჯაბას ბიჭებმა“, - „ესენი ზვიადის აგენტები არიან და დედა უტირეთო!“.* როდესაც ამ ცის ჩამოქცევისას თემურ ფიფიას ვკითხე, რას აპირებთ-მეთქი, მან მიპასუხა, ზვიად გამსახურდია აფხაზეთის ჩასაბარებლად ემზადებაო. მე ვუთხარი, რომ არაა ეს ასე, მაგრამ თუ მართლა ასეა, დამაკავშირეთ რაციით გაღმა პოლკოვნიკ გურამ ლაკიასთან, ან ზუგდიდში ბატონ ზვიადთან, და თუ მართლა ასეა, ამას თქვენზე ხმამაღლა განვაცხადებ-მეთქი.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ასე და ამრიგად, მოსახლეობა დალის ხეობაში შეიტყუეს, შემდგომ დღეებში კი, როგორც არაერთგზის მოგახსენეთ, საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით იგივე თემურ ფიფია და მრავალი სხვა მათ შორის *„ადამიანის სულის ინჟინრები“* სოხუმიდან, ურცხვად სისინებდნენ, - *„მეგრელებო, დევნილები ხომ თქვენსავით მეგრელები არიან, ერთი მაინც მიიღეთო!..“*

ასე ექცათ საკენ-ჭუბერის გაუვალი ღრეები წამებისა და მოძმეთა ღალატის სვლაგეზად დევნილებს.

სინამდვილე მხოლოდ ასეთნაირად იჭეშმარიტებს თავის შინაარსს. სხვათაშორის, პირადად მე ოჯიბინესთან ზუგდიდისკენ წამოსვლაში შევუწყვე ხელი პოლკოვნიკ ყიფიანს (იგი გავიცანი სოხუმის დაცვის ზღუდეზე სოფელ იაშთხვაში), ხოლო, როდესაც გენერლებმა ზაურ უჩაძემ და პაატა დათუაშვილმა აქედან დააპირეს უკანდახევა და დაიხიეს კიდეც, ადგილობრივმა მებრძოლებმა, რომლებიც წინააღმდეგობის გაგრძელებას აპირებდნენ, მათი არგაშვება გადაწყვიტეს.

სწორედ ჩვენ მოვახერხეთ ამ კონფლიქტის არიდება და ამ გენერლებმა სინდისის ქენჯნის გარეშე სანგრებს შეატოვეს იქ მერბძოლი მეომრები. ძალიან უხიფათოდ გაიარა თითოეულმა მათგანმა, მათ შორის აფხაზეთის მთავრობამაც, ზუგდიდიცა და მთლიანად სამეგრელოც.

28 სექტემბერს ქ. ზუგდიდში მე პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მოვახსენე ის, რისი თვითმხილველიც ვიყავი და ყოველივე ამის შესაძლო შედეგებიც გავაანალიზე ჩემი მოკრძალებული შესაძლებლობის თვალსამზერში: *1. დივერსია მდინარე მაჭარაზე (ე. შევარდნაძის პროვოკაციული განკარგულება მეგრელთა მიმართ); 2. დალის ხეობაში მშვიდობიანი მოსახლეობისა და სამხედროების შეტყუების მიზანი; 3. კუთხეთაშორისი დაპირისპირებისთვის წინასწარდაგეგმილი დემარშების შესაძლო პროვოცირება; 4. აფხაზეთის (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს) მკვიდრ მეომართა განიარაღება და ა. შ.* (სხვათაშორის, ჯერ კიდევ, 1993 წლის თებერვალში გაზეთში "აღდგომა" გამოვაქვეყნე, წერილი ასეთი შესაძლო საფრთხის შესახებ).

ბატონი ზვიადის მიერ მაშინათვე გაიცა სათანადო განკარგულებები შესაბამისი სამსახურებისადმი, იმავდროულად დაიწყო მოსახლეობაში ტრანსპორტის მობილიზება, საკვების, მედიკამენტების, ტანსაცმლის და სხვა საჭიროებათა შეგროვება, რაც დაუყოვნებლივ იგზავნებოდა ჭუბერისკენ.

თუმცა ამ ყველაფრის მხოლოდ ნაწილი აღწევდა დევნილებამდე, როგორც შემდგომში ე. შევარდნაძის რწმუნებული დალის ხეობაში ე. კვიციანი იხსენებს (ხელისუფლებას განსაკუთრებით აფხაზეთისას), ხელიც არ გაუნძრევია ყაჩაღობისა და განუკითხაობის აღსაკვეთად ***(იხ. გაზეთი „ახალი თაობა“, 2014 წ. 24 მაისი.).***

იმავე დღეებში შეიქმნა აფხაზეთის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც სწორედ დევნილთა უბედურების ზონიდან უსაფრთხო ადგილებში გამოყვანის საკითხებით დაკავდა (თავმჯდომარე ს. საჯაია; იხილეთ გაზეთი "ადგომა", 1993 წ. 2 ოქტომბერი).

სხვათაშორის, ე. კვიციანი ხშირად, სხვადასხვა საჯარო შეხვედრაზე, სდებს რა ბრალს აფხაზეთის ხელისუფლებად წოდებულ ადგილობრივ დასაყრდენს ხუნტისას და ამხელს მას მშვიდობიანი მოსახლეობის უმწეოდ მიტოვებაში, კვლავ და კვლავ იმეორებს ზემოთქმულს და მიუთითებს, რომ ასეთმა ბოროტმოქმედულმა საქციელმა შესაძლებელი გახადა დაუცველ დევნილთა ძარცვა, დაყაჩაღება, შეურაცხყოფა და ა. შ. (იხ. მისი გამოსვლა ტელესტუდია "ობიექტივიდან" 2015 წლის 27 ოქტომბერს).

ვინაიდან, არის დანაშაულობები, რომლებზეც არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა თავისი შემზარაობისა თუ მუხანათობის გამო (ხოლო კოდორის ხეობაში ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) ეთნიკური წმენდის შედეგად გამოძევებულთა მიმართ ჩადენილი ბოროტმოქმედებები სწორედ ასეთ ხასიათს ატარებს), საქართველოს მთავარმა პროკურატურამ ყოველმიზეზგარეშე უნდა გამოიძიოს და საჯარო გახადოს თუ რა ძალა იდგა ამ ღალატის სათავესთან და ვისი ხელგარჯილობით აღესრულებოდა იგი!..

ამასთან დაკავშირებით მკითხველს მოვახსენებ, რომ 1993 წლის შემოდგომაზე დალის ხეობაში დატრიალებულ ქარბორიაზე აფხაზეთის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შესაბამის სამსახურებს იმთავითვე დაუგროვდათ დიდძალი მასალა. ამიტომ, როდესაც, ვამბობთ, ***<u>რომ აქ ხუნტამ ვერაგულად გაწირა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) გამოძევებული ძირძველი მოსახლეობა, ხოლო აფხაზეთის დევნილ ხელისუფლებად წოდებული ოფიციოზი ამ საუკუნის ღალატის თანამონაწილეა, ცხელ გულზე კი არ ვიბრაგუნებთ ხელებს, არამედ, გაგვაჩნია მასალები ადამიანური სახის დაკარგვის უსაშინელეს შემთხვევებზე, როდესაც ა-ზე დამთავრებული ნებისმიერი ქართული (მეგრული) გვარის მატარებელი საკუთარი ცოლ-შვილის წინ ენით უთქმელ შეურაცხყოფას, განიარაღებას, ძარცვას და ა. შ. ექვემდებარებოდა. ასევე გაგვაჩნია მასალები აქ, ამ ხეობაში უმწეო ადამიანთა მიზნობრივი წამების, გაუპატიურებისა და ა. შ.***</u>

ამ მასალებიდან ის, რაც კუთხურ დაპირისპირებებს გამოიწვევს, ჩვენ არ გამოგვიქვეყნებია, მათგან ზოგიერთი, რომლის გასაჯარისება შეიძლებოდა, შევიდა ჩემს წიგნში ***„დღეები ცხედართა უხმო კივილისა“, თბილისი, 2005 წ.*** გასაგებია, რა თქმა უნდა, ძალიან ბევრი რამ ასეთ მუხანათობაზე მოღაღადე

მასალებიდან ფართო საზოგადოებისთვის არ უნდა გასაჯასირსდეს, თუმცა, ვიმეორებ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შესაბამისმა სამსახურებმა იგი არ განიხილონ.

აქ ე. კვიციანს, რომელსაც არც დღეს მივიჩნევ ამ მხარის მახვშად, რადგანაც იგი იმთავითვე ე. შევარდნაძის, ანუ ხუნტის დავალებათა შემსრულებელი იყო, ვიმოწმებ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ამ ინტერვიუში აფხაზეთის ა/რ-ის მესვეურებს ამხელს ჩადენილ დანაშაულში. კვლავ და კვლავ შეგახსენებთ, რომ 2014 წლის 23 დეკემბერს ამ ე. წ. ხელისუფლებას დევნილთა თავყრილობამ უსაქმურობის გამო მახათები მიუსაჩუქრა. ე. კვიციანი მათ სავსებით სწორად აცხადებს დევნილთა განიარაღება-ძარცვის თანამონაწილეებად, ამდენად, ბოროტმოქმედად. ამ საკითხში ცამდე მართალი გახლავთ ეს კაცი.

ის, რომ ამ მოვლენებს ზოგადად, მაგრამ ზუსტად აღვწერ, ამის დადასტურება ცალკეული ეპიზოდებისა თუ მთლიანობაში დღეს შეუძლია აკადემიკოს ე. ჯაველიძეს, ასევე მწერალს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრს გ. პეტრიაშვილს, მის ძმას, ბატონ რობერტს, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა სწორედ დევნილთა საკითხების კურატორობა დაავალა, მათთან ერთად პროფესორ ფ. ტყებუჩავას, წესით ყველაფერ ამაზე ჩემზე ხმამაღლა უნდა ლაპარაკობდეს. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამჟამად აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ გარჯილი პროფესორი ჯ. გამახარია.

ასეთი გახლავთ კონტურული თუ სქემატური მონახაზი ამ მოვლენების, რომელთა გამო სამეგრელოს დროსა და სივრცეში არ არსებული „პირუმტკიცობა“ და „პროვინციული ფაშიზმი“ მიზნობრივად ბრალდება.

ჰოდა, ამ დროიდან, მიუხედავად იმისა, რომ სამეგრელოს თითქმის ყოველ გზაჯვარედინზე სარწმუნო მტკიცებულებად დღემდეა გასაგნებული გაუბედურებული დევნილების ნაფეხურები, შემთხვევიდან შემთხვევამდე, გაიხედავ და, ისევ გაისიორებს 1993 წლის შემოდგომაზე ქვეყნის დასაქცევად შეთითხნილი ცილისწამება, - ***„მეგრელებმა დევნილები არ გამოატარესო!..“*** ამას მოჰყვება ხელახალი ***„მტკიცება“***, რომ... და ა. შ.

გასაკვირია პირდაპირ, - 1992-93 და მომდევნო წლების ჭერჩამომქცევ მოვლენათა წიაღში ასეთ ცილისმწამებლურ ხმაბოდვათა შესახებ სიმართლის სათქმელად რამდენჯერაც პირი მოაღო სახლიკაცისგან ზურგში მახვილ ჩაცემულმა თუ სულში თოფდახლილმა სამეგრელომ (ან ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მრავალტანჯულმა მოსახლეობამ), იმდენჯერ დაიხშო ყურთასმენა კი არა მარტო, არ მიეგულისყურა და კარებიც კი მიუჯახუნა მის მიერ ღარიბ ნათესავად, ანუ <u>***ჩაგუნად***</u> მიჩნეულ ოქროს საწმისოვან (ე. ი. სიბრძნეში მოაზროვნე) ეგრისს ***„ვეიქად“*** თავდადგენილმა ვაკემ - სატახტოს სინჯში რომ იდგენს თავს.

დიახ, მას საამისოდ არა სცალია, რადგანაც იგი თანდათანობით არაქართულ ქვეყნად გაშინაარსებული ხართას (რეზერვაციის) ***„დემოგრაფიულ დადასტურებად“***, ანუ ***„ახალ“*** ეთნოფაბრიკაციულ ნაციად,- უფრო ზუსტად, არაგიორგიანელ(არაქრისტესმხედარ) სიმრავლედ იშინაარსებს საკუთარ ვინაობას.

აქედან გამომდინარე, სად სცალია მას ვიღაც მეგრელს შეუჩერდეს და ყური უგდოს ან არკვიოს, მათდამი დანაბრალებში რაა სიცრუე ან რა გახლავთ მართალი. მეტი საქმე არა აქვს!..

ასეთ წუთებში ისევ და ისევ ის საწყალი იონა მახსენდება ***(А. П. Чехов, «Тоска», „ნაღველი“),*** იონა, თავის გლოვას მარტოკაცად მიარტახებული (არ ვამბობ მარტოსულად და თუ რატომ, ამას ქვემოთ მიხვდებით). კაცობრიობის გადაშენების საამქროა ის საზოგადოება, რომელიც მიზნობრივი ყურდახშობით კარგავს მოსმენის ე. ი. თანაგრძნობის უნარს, რაზედაც აგებულია მისი ადამიანურობის გაშინაარსება, როცა ***„იმას თვალები მიულულავს, ჩანს, არა ბრძანდება მოსმენის გუნებაზე“ («...но тот закрыл глаза и повидимому, не расположен слушать»). აი, დედაარსი ქვეყნიერებაზე ყველა უბედურების.***

დიახ, როდესაც ***„იმას თვალები მიულულავს, ჩანს, არა ბრძანდება მოსმენის გუნებაზე“,*** იქ იქმნება უეჭველი საფრთხე, რომ ერის ლასკარული გაერთსხეულება (სისხლით ნათესავთა საერთო ჭერქვეშეთი და მეურნეობა) არ არსებობს. ***სატახტომ ცენტრ-ნაგმენობის სახაზინო დამოკიდებულებით არ უნდა შეხედოს თავის სისხლხორცეულ მხარეებს. მან მისი ტკივილების ჭირისუფლობა და წამლობა უნდა გაიპიროვნოს.*** რაც შეეხება იონას, აქ საქმე ასეა: კვირაც არაა გასული, რაც მეეტლე იონას შვილი მოუკვდა. ჰოდა, ადამიანთა შორის, საზოგადოებაში არ აღმოჩნდა ერთიც, რათა მწუხარებისგან ახანძრებული ბერიკაცისთვის გულში ვერ დატეული ვარამის ამოფრქვევა ეცლია, ასეთი მოვალეობა ისევ და ისევ მისმა ცხენმა გაიპიროვნა: ***„Жуешь, - Опрашивает Иона свою лошадь, видя ее блестящие глаза, - ну жуй, жуй,,, коли на овес не выездили, сено есть будем... Да... Стар уж стал и ездить... Сыну бы ездить, а не мне... То настояший извозчик был... Жить бы только...***

Иона молчит некоторое время и продолжает:

-Так-то, брат, кобылочка... нету Кузьмы Ионыча... Приказал долго жить... Взял и помер зря... Теперя, скажем, у тебя жеребеночек, и ты этому жеребеночку родная мать... и вдрут, скажем, этот самый жеребеночек приказал долго жить... Ведь жалко,

Лошаденка жует, слушает и дишит на руки своего хозяине...»

ცხენმა გაიგო ის, რაც ადამიანებმა არ გაიმეტეს, არა მარტო უსმინა, არამედ, თანაგრძნობისა და მოფერების ნიშნად ხელებზეც შეასუნთქა.

დიახ, კაცთა ყურდახშობამ ადამიანურ თანაგრძობას დანატრებულ შვილმკვდარს, ცხენში აპოვნინა თანამოცისქვეშე. იგი, ამის გამო, მარტოკაცი კია, მაგრამ არა მარტოსული.

მართალია, მას ღეჭვისთვის თავი არ მიუნებებია, მაგრამ, რაც მთავარია, თანაცისქვეშობის საოცარი წესრიგი გამოავლინა: მან მოუსმინა შვილმკვდარს - აი, რას არ იმეტებს ძალიან ხშირად საზოგადოება მოყვასისთვის, რითაც იგი ნებაყოფლობით დგინდება ხროვად. ვინაიდან ***«...не наидется ли из этих тысяч людей хоть один, который выслушал бы его». (ამდენად, ყურდახშობილობა საზოგადოებას ბრბოდ აქცევს, რადგან "Но толпы бегут не замечая ни его, ни тоски...»).***

ე. წ. ადამიანის უფლებათა დაცვის ლოზუნგმა არ მოიცვა (ყოველ შემთხვევაში ჩვენთან ასეა) ***ადამიანის ყველაზე დიდი უფლება - ღირსეულად წარმოადგენდეს მარადიულყოფილ ერს***. იგი მოისაზღვრა გათითოკაცებული, ხშირ შემთხვევაში სახალხო ნებას ხელოვნურად დაპირისპირებული „მე“-ების აგრესიულ ავტონომიათა მაგვარ ცნობიერ სივრცედ, რომელშიც დასაწყობებულია გარეგანი ავმოსურნეობების ნელმოქმედი ნაღმები.

ამნაირ ვითარებაში თანამედროვე რუსეთს შეეძლო იმპერიული აზროვნების ნაცვლად მსოფლიოსთვის შეეთავაზებინა ხალხთა ლასკარული (პოლიფონიური) ურთიერთობა. ასეთ შემთხვევაში იგი მსოფლიოში ჟანდარმული ჩექმამოცმულობის წილ, მართლა გახდებოდა ქრისტესმხედრული ვინაობა და ბინადარ ცხოვრებაში ღვთივწვდომილური შინაარსის თვალფხიზელი მედღეური.

გასაკვირია თ. დოსტოევსკის, ლ. ტოლსტოის, ა. ჩეხოვის, მ. ბულგაკოვის, ი. ბუნინის, ვ. შუკშინის... რუსი წმინდა მამების, განსაკუთრებით სერაფიმ საროველის უზარმაზარი სულიერების წიაღში რანაირად ფესვიანდება რუსისტული კრემლიდანურობის ველიკოდერჟავნიკობა - ასე გადამშენებლური ქართული ერთმორწმუნეობის!..

თითმიშვერა ***„მეგრულ პირუმტკიცობაზე“*** თავიდან ბოლომდე რუსიზმის სქემებითაა დამონტაჟებული, რომელსაც დღეს ქმედუნარიანად იყენებს აგრესიული გლობალიზმი.

ახლა ერთ რამეს თქვენთან ერთად უნდა გავუმახვილო ყური: - რატომაა დღეს ასე საგანგაშო საქართველოს ერთსხეულებისათვის ჩვენი სამშობლოს ცალკეულ მხარეებზე ნებსითი თუ უნებლიე თითმიშვერები („ბარმა (ანუ სამეგრელომ) დევნილები არ გამოატარაო“?!). მით უფრო, როდესაც ეს საყვედური თავიდან ბოლომდე ეფუძნება ეთნოდივერსიული მოხმარებისთვის თავის დროზე გავრცელებულ ცილისწამებას, რომელიც დღემდე ანგრევს საქართველოს.

ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი, რომ ბატონ გოგი ხარაბაძის წერილების ციკლი ***„ჯერ დაუმთავრებელი წიგნებიდან“,*** რომლის გამოქვეყნებითაც გაზეთი ***„ლიტერატურული საქართველო“*** დიდებულ საქმეს აკეთებს, ქართველად დარჩენის მსურველთათვის სამაგიდო წიგნი გახდება, მაგრამ ამ ვითარებაში, როდესაც აგრესიული გლობალიზმის (და არა მსოფლიოს ხალხთა თანამშრომლობითი ურთიერთობის) ავმოსურნედ ჩასაფრებული, ანუ მტრული ძალები ჯერჯერობით, რუსეთისგან განსხვავებით ტანკებით კი არ მოდიან, ვითომ გვესახლიკაცებიან ***„ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (1950 წ.), მისი დამატებითი ოქმის „ჩარჩო შეთანხმება ეროვნული უმცირესობების შესახებ“ და ა. შ. თითისქნევათა შესაბამისად***, ასევე, აქედან გამომდინარე, საქართველოს

ლინგვისტური რეგიონალიზაციის ისეთი ნორმატიული აქტებით, როგორიცაა *„უმცირესობათა უფლების დეკლარაცია“* ან *„რეგიონალური ენების დაცვის ევროპული ქარტია“ (1992 წ.)*, მოდით, "გიჟვრაცუად" ნუ დავდგინდებით, რადგან ყოველივე ამის გასწვრივ, როდესაც იდევნება ი. გოგებაშვილის მოძღვრება სახალხო განათლების შესახებ, დაკნინებულია ქვეყნის სახელმწიფო ენა და ნებისმიერ დამსმენს უფლებადამცველი ჰქვია, რაც მთავარია, იმ ვითარებაში, როცა ათეული და ასეული მილიონობით დოლარი იხარჯება ეროვნული აზროვნების წესის მოსაშლელად, სიცრუით შეთითხნილი დებულება *„მეგრელებმა დევნილები არ გამოატარესო“* და კიდევ უარესი - პაროლი *„პროვინციული ფაშიზმი“* სხვა სადივერსიო არსენალის გასწვრივ ქმედუნარიანად გამოიყენება საქართველოს ცალკეულ მხარეებში მოსახლეობის ცნობიერებაზე მომწამლავი ქიმიური იარაღით ზესამოქმედოდ.

უფრო მეტიც, ჩვენ უნდა დავინახოთ, რომ ქართულ მიწაზე მორიგი არაქართველი ერის ინკუბირების მცდელობა აგრესიული გლობალიზმის ეთნოდივერსიული სტრატეგიის საეთნოფაბრიკაციო ინდუსტრია გახდა.

ცხადია, ყოველივე, *<u>რაც მოაზროვნეა, თვითუფლებრივი გახლავთ, ამის შესაბამისად, აგრესიული გლობალიზმის მიზანი გახლავთ ქართველმა ერმა არ იაზროვნოს ეროვნულ წესრიგში. ამით, არც მეტი, არც ნაკლები, ქართველს საკუთარ მიწაზე თვითონობის უფლება ერთმევა. ამავე დროს ჩვენს მამულში „კეთილმოსურნის“ ტოგაში ისაგნება ავმოსურნის ჩასაფრებული „მე“, ანუ აქ დღის წესრიგში დგას ქართველი ერის არსებობიდან არარსებობაში გადაშინაარსება.</u>*

<u>საქართველოს ნუ გადავაქცევთ სარეზერვო, გნებავთ სათადარიგო ქვეყნად (სახელმწიფოდ), ის არც სამარქაფო სამშობლოა ჩვენი, მას დედასამშობლო ჰქვია და ნუ დავუშვებთ აქ ეროვნული ღირსების გადაშენებას.</u>

სწორედ ამას ემსახურება როგორც გაზეთი *„ლიტერატურული საქართველო“*, ასევე გოგი ხარაბაძის წერილების ციკლი *„ჯერ დაუმთავრებელი წიგნიდან“*. აქედან გამომდინარე, ყოვლად დაუშვებელი გახლავთ ამ სტრიქონებშუა ტყუილის გაჭაჭანება.

იმედი მაქვს ჩემი კეთილმოსურნე გამოხმაურება არ იქნება აღქმული იმად, რაც, ღმერთმა დამიფაროს, გულში არც გამივლია.

მე, შესაბამისად ანდაზისა, *„ირემმა ირემს ბალახი მოუკითხაო“*, ვცადე, გამეოთხივკუთხებინა ის შინაარსი, რომლის სისწორეზე დროსა და სივრცეში გასაგნებული მტკიცებულებები ღაღადებენ.

***

<u>**გამზირი თვითსაგაკვეთილო დასკვნისათვის:**</u> ასგზისი შეთვალიერება სამერმისო სვლაგეზის არჩევისას, როგორც სახალხო სიბრძნე გვასწავლის, საიმედო განაბიჯების ზურგის ქარი გახლავთ.

ასეთი წინდახედულების დროსაც კი, ამ მხრივ საგანგებოდ განსწავლული და გამობრძმედილი ადამიანის გარდა, საზოგადოებაში ჩვეულებრივ მოკვდავს გაუჭირდება, ამოიცნოს ეთნოდივერსიულ ძრავათა

კბილანების ყოვლისმიმწვდომლობა: აბა, დაკვირდით, განა შემთხვევით ხდებოდა, რომ 1992-93 წლებში, სანამ აფხაზეთი (ჩრდილო-დასავლეთ საქართველო) ასე უბოდიშოდ გასხვისდებოდა, ოდიშართა *„პირუმტკიცობაზე“* ცილისწამებების ბოროტმოქმედული გააბლაბუდების გასწვრივ, სამეგრელოში *„წესრიგის დასამყარებლად“*, ანუ *<u>სახლიკაცთა ასაობრებლად ხუნტას უპირატესად მიმდებარე კუთხეებიდან მოჰყავდა წვრთნაშეუსმენელი. უფრო ზუსტად, ერთბაშად გონება და სულდაბოლილი თოფოსნები. ბუნებრივია, მათთან ერთად არაერთმა ვაიმეგრელმა თუ ლიხსაქთა არამზადამაც გამოიღო ხელი, მაგრამ დადარაჯებული პროპაგანდა ამას საგანგებოდ ასაჯარისებდა მესტიელის, ხონელის, ქუთათურის, ტყიბულელისა და მისთანათა „თავგამოჩენად“ (თუმცა, ვიმეორებ, არც მათი ნაკლებობა იყო).</u>*

აი, ეს გახლდათ თვითმართვადი ჭურვი: *<u>კარის მეზობლები (ვთქვათ, ხონელები და მარტვილელები, აბაშელები და სამტრედიელები და ა. შ.) თუ ყოველდღე არა, თვეში რამოდენიმეჯერ მაინც ერთმანეთს ვერ ასცდებოდნენ ჭირსა თუ ლხინში ან ყოფითი ყოველდღიურობის სხვა გზაშესაკრებზე, რაც სამერმისოდ მუდმივი შფოთის ამმრავ ღვედად თადარიგდებოდა თაობიდან თაობაში გადასაცემად...</u>*

...და მაინც, მიუხედავად ე. წ. ხელისუფლებად თვითდადგენილი ხუნტის ყველანაირი ხელგამოღებისა - არ დაეშვა დევნილთა თავმოყრა სამეგრელოში, *<u>ოდიშმა მაინც შესძლო მათი უდიდესი ნაკადის შემოჭერქვეშეთება და შემოსახლიკაცება და ეს მაშინ, როდესაც თვითონ სამეგრელო იყო დათოფილი, გაძარცული, დახართული (ბლოკირებული) და ბეღელდაცლილი.</u>*

ამიტომ, როგორც ხედავთ, დღემდე საავკაცოდ მოთარეშე აზრი, თითქოს 1993 წლის შემოდგომაზე ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შედეგად გამოძევებული ამ მხარის, ანუ სამეგრელოს სისხლხორცეული გაგრძელების მკვიდრ და გამშინაარსებელ მოსახლეობას სამეგრელომ გზა გადაუკეტა, გახლავთ იმ დროს ხუნტის სათანადო არასახალხო სამსახურების მიერ მიზნობრივად განიშანსვეტებული სიცრუე, რაც ჭეშმარიტებას ამცდარი დებულებაა, იგი სრულიად საქართველოს გათითოკაცებას ამ წუთამდე ემსახურება. ამის საპირწონედ, მე, ჩემი მოკრძალებული, მაგრამ არა ღარიბნათესაური შესაძლებლობით თანამოსანგრედ და ჭირისუფლად ვდგავარ ბატონი გოგი ხარაბაძის სამამულო ქუდზეკაცობის, ამდენად, გაზეთ. *„ლიტერატურული საქართველოს“* სახალხო ძალისხმევათა რიგებში. ამიტომ არამკითხედ კი არა, წინაპართა ბრძენკაცური შეკითხვის - *„ის რაზეც ვსაუბრობ, თვითონ ვნახე თუ სხვისგან განაგონს ვიმეორებ?!“* შესაბამისად, ვცდილობ, არ ვაბოგინო. მიზნობრივი ჭორი ჩემი ერის სიწმინდეებში. მით უფრო, რომ მასზე ნელი მოქმედების ნაღმია მიხრახნილი!.. ეროვნული სახელმწიფოს მარადიულყოფას სჭირდება როგორც ინსტიტუციონალური, ასევე და პირველ რიგშიც კი - სახალხო მეხსიერება, რომელმაც დროსა და სივრცეში უნდა გაისიგრძეგანოს ყოველდღიურობათა შედეგი.

სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შევხედოთ 1992-1993 და შემდგომი წლების ძირგამომთხელობას, რომელმაც კრემლიდანური ცენტრ-ნაცმენობის

ჩასაწყობება განაგრძო სრულიად საქართველოს უბზარო თვალსაწიერში. იმისა-თვის, რათა არ ვიქცეთ ამგვარი საქმიანობისთვის საჭირო მუშახელად, ჭაობური დემოკრატიის ადგილზე უნდა აქვითკირდეს სინდისის დიქტატურა.

2015 წლის 20 ოქტომბერი.

<u>მინაწერი:</u> ის იყო, ბოლო წერტილი დავუსვი ამ წერილს, ტელესტუდია „ერთსულოვნების“ ეკრანიდან - რუბრიკით: „სიმღერის კვალდაკვალ“ (20.10.2015 წ. 19 საათსა და 30 წუთზე) წარმოგვიდგინეს ქუთათურ მხცოვანთა სიმღერის გუნდი „ბერმუხა“, რომელმაც, თითქოსდა საგანგებოდ, აქ წამოჭრილი თავსატეხების საპასუხოდ, „მრავალჟამიერის“ შემდეგ გულშიჩამწვდომად გაიმშობლიურა „სამარგალო გვალო შხვა რე...“

ასე სახალხო ლასკარად ამღერებულ ამ მახვშისდარ ბერიკაცებში აიეტის თანამედროვე და ოქროს საწმისის შემოქმედი ქუთაია შინაარსდებოდა.

ჩემდაუნებურად ფეხზე წამოვუდექი და ამგვარად ვუსმინე 80-90 წლის ბრძენკაცთა გამაფშალიებას, შემდეგ ახლადდაწურული, ჯერ კიდევ მოთუხთუხე ღვინო დავისხი და სანამ რამეს ვიტყოდი, ვნახე და გავიგონე, ტაბაკზე გასაგნებულ დოქში ღვთივდადგენილი შემოენგურება საუფლო ლოცვით გახმოვანდა: „ჯგრაგ გიორგი, დიდება ერთობილ საქართველოს!..“

2015 წ. 20 ოქტომბერი.

≈*≈

7. ფიქრები კვლავაც სამოინალოში „კრავოტმიჩენილ“ ძუკუზე, ანუ „მეგრელთა გამეგრელება გალში“ და უვიცობის ქურსუმი დედოგამზირზე

„და ჰრქუა უფალმან ღმერთმან დედაკაცსა: რაი ესე ჰყავ?..“
დაბადება - 3, 12;
„და მოართვა წყალი დაბანად ფერხთა მათთა
და სცა საზრდული ვირთა მათთა“.
დაბადება - 43, 24;
„...დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს
მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლის, ცხოვრებაში ბრძოლის
უნარის გამოჩენისა, უნდა ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გზით იარონ,
იმათაც თქვენ მოგბაძონ...“
წმინდა ილია მართალი - სოხუმი, 1903 წლის 24 მაისი

თავსმოხვეული სიცხადე ამგვარად გაყოველდღიურდა: საზოგა-დოებიდან გაძევდა სახალხო ნება იმაზე, რომ ქართველმა ერმა იცხოვროს არა ისე, როგორც მას გარედან აიძულებენ, არამედ, იმგვარად აძალისხმევოს სახალხო ნება, რანაირადაც მას თავისი ქრისტესმხედრული სული ავალდებულებს.

მიზნობრივად ინკუბირებული ზეპურობისთვის (ელიტისთვის), უფრო სწორად, ჭაობური *„დემოკრატიის“* ელექტორატისთვის სულაც არაა საგანგაშო, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) ქართული შინაარსი, ანუ ამ მხარის ბუნებრივი იერი აღიგავა და *<u>იგი მხოლოდ საბედიანოში (დაღიძგა-ენგურის გადასარბენზე), ისიც მილევად მდგომარეობაში ღაფავს სულს.</u>*

თუ შეიხსენებთ და კვლავ გადაავლებთ თვალს დღეს საქართველოს თვდაცვის მინისტრის თინათინ ხიდაშელის, მისი მეუღლის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილისა და მათ თანამოაზრეთა ლექტორიუმს აფხაზეთის შესახებ, რომელიც მეოცე საუკუნის ბოლო წლებში დაიწყო და ათ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, თან სქელტანიან ტომეულებად წიგნდებოდა რუსულ ენაზე სახელწოდებით *„Аспекти Грузино-Абхазского конфликта“. Материалы Грузино-Абхазской конференций* (გამოქვეყნდა 10 ტომზე მეტი). ყოველივე ამას აგვირგვინებდა ქალბატონ თინათინის იმ დროის წამონაროში დროებით ოკუპირებული გაგრის შესახებ, *<u>რომ ამ მიწის ნაგლეჯისთვის ვერ გაირთულებდნენ საქმეს</u>* (რაც შეეხება მიწის ნაგლეჯს, განსხვავებით თინათინ ხიდაშელისგან, იგი ოთარ ჭილაძისთვის უფლისწვდომილება გახლდათ, - სახეზოგადობა ადამიანად თავდადგენისა და სამშობლოში გამარადისების: *„...და ამ პატარა მიწის ნაგლეჯ-ზე შემაძრწუნებლად ვარ ბედნიერი“*). მაგრამ ეს ეროვნული ღირსების მქონეთა მსოფლმხედველობაა, რაც სრულიად უცხოა ისეთი სულგაყიდულისთვის, რომელმაც ამგვარად გაასაჯარისა თავისი აღებ-მიმცემლური ბუნება: *„Батал... Я не имею в виду Абхазию как часть Грузии“* (თინათინ ხიდაშელის განცხადება სოჭის კონფერენციაზე 2001 წლის 19-23 მარტს).

ცხადია, ასეთი საზოგადოებრივი ფეხაწყობისთვის ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) სამშობლოს არ წარმოადგენს. სხვათაშორის, მათ მეტყველებაში სიტყვას *„სამშობლო“* ვერ შეხვდები, მას ჩაანაცვლეს გამოთ-ქმა *„ეს ქვეყანა“*, *„ამ ქვეყანაში“* და მისთანები. უფრო თავზარდამცემი რა უნდა მოხდეს,როცა *<u>ამგვარ სიმრავლეთა ხელგამოღებით ჩვენი სახელმწიფოს დედო-გამ-ზირზე უვიცობის ქურსუმი დაგრიგალობს და ე. წ. 17 მაისობა (სოდომ-გომორელთა სააღლუმო დღე) ეროვნული დღესასწაულების ტოლფარდად აღინიშნება ღამის.</u>*

კი ბატონო, რუსიზმისთვის საეთნოდივერსიო პოლიგონია ყველგან, სადაც კი ჩექმა ჩაეტევა, მაგრამ არანაკლებ კი არა, უფრო მეტი მუხანათური მოვლენა გახლავთ აშშ-ს *„სტრატეგიული მოკავშირეობა“*, რადგან მისი ნალამოჭედილი *„ბათინკაც“* საქართველოს გადასათარეშებელ საშუალებად შემოგვეთადარიგდა. ერთიც და მეორეც მხოლოდ და მხოლოდ შეტევა გახლავთ ქართველი ერის ვინაობაზე.

ამნაირი ვითარების გასწვრივ ისეთმა სიტყვააწონილმა გაზეთმა, როგორიცაა *„საქართველოს რესპუბლიკა“*, სადაც მაღალი დონის ჟურნალის-ტები საქმიანობენ, არ ვიცი, რა ეშმაკი შეუძვრა, მაგრამ მოხდა კი ისე, რომ

"SOS" სიგნალის წესით საქართველოს მიუახლამბა "მეგრელთა გამეგრელება გალში" ე. ი. მეგრელობა სრულიად საქართველოს გაერთსხეულებას ეხაფან-გებაო, ამას გაჰყვირის იგი (იხილეთ გაზეთი *„საქართველოს რესპუბლიკა"*, 2015 წ. 15, 16 აპრილი - *„იანოვსკიდან ჰიუტამდე, ანუ მეგრელთა გამეგრელება გალში"*).

თავიდანვე უნდა მოგახსენოთ, რომ თუ ვინმეს თბილისში სწორად ესმის რუსისტულ-სეპარატისტული ეთნოდივერსიების რაობა, მათ შორის სწორედაც რომ ანგარიშგასაწევი გახლავთ ზემოთხსენებული წერილის ავტორი და ამ გაზეთის რედაქტორი, როგორც იტყვიან, ჟურნალისტიკაში დენთნაყნოსი ალეკო ასლანიშვილი, რომელმაც ამჯერადაც წინამდებარე ნაშრომში სქემატურად, მაგრამ ძირითადად დამაკმაყოფილებლად წარმოაჩინა კრემლიდანური ათარეშებების თავმიზნები.

ასეთი არაჭირისუფლური გამოთქმა ჩემთვის მით უფროა გასაკვირი, რომ ზემოთხსენებულ გაზეთში, თვითონ რედაქტორის წინგახედული მხარ-დაჭერით, მე პირადად არაერთი წერილი მაქვს გამოქვეყნებული ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) რუსისტულ ჩასანგრებათა თუ დივერსიულ ეთნოფაბრიკაციათა შესახებ. სწორედ ამიტომ, რადგან ეს საკი-თხი *„საყველ-პუროზე!"* გაცილებით საფუძვლიანად მეთავსატეხება, პირდაპირ უნდა ვთქვა, წერილის სათაური - *„მეგრელთა გამეგრელება გალში"* ვერაა იმ თვალსაწიერისკენ გამბილიკებელი, საითკენაც ყოველთა ქართველთა ქუდზეკაცობამ უნდა აითვალოს ეროვნულ-სახალხო სვლაგეზი. დასანანია, რომ ბატონ ალეკო ასლანიშვილის დონის კალმოსანს ნაცადმა წინგახე-დულებამ ამჯერად არ უკარნახა თუ რა ცენტრ-ნაცმენური ვერგასახლი-კაცება მოინიშნა ამით. უპირველეს ყოვლისა, ეტყობა ჩვენი საზოგადო-ებისთვის (და არა მხოლოდ მისთვის) ჯერ კიდევ ყოველდღე, წამგაუცდენ-ლად, ღვთისმშობლის წილხვედრილობის შესაბამისად გახლავთ განსამარტი ქართველი ერის ვინაობა, მისი მხარეებისა თუ რაგადობათა ლასკარული ერთსხეულება და ა. შ.

ეს სახელმწიფო პოლიტიკისა და ეროვნულ-სახალხო მეხსიერების საფუძველზე გასაკეთებელი საქმეა, რის გარეშეც ვერ გავაუვნებელყოფთ, მით უფრო, ვეღარ გავაცამტვერებთ კრემლისგან შემოჩეჩებულ ეთნოდი-ვერსიულ სტერეოტიპებს დროსა და სივრცეში არ არსებულ *„ჩვენს მცირე იმპერიობაზე", „ცალკეულ ტომთა ხელოვნურ შერწყმაზე", „ჰიბრიდულობაზე", „ცენტრ-ნაცმენურ ვინაობაზე"* და მისთანებზე.

ამასთან ერთად, აქვე ისიც უნდა ითქვას და გამოვუტყდეთ თავს, რომ ეს ყველაფერი იმდენად შეგვისისხლხორცა ავმოსურნემ, - ხალისითაც კი მი-ვიღეთ იგი. უფრო მეტიც, ამ ეთნოდივერსიული ნაღმის შემოსხეულება ისეთივე აუცილებლობად შემოგვიჭერქვეშდა, როგორც გულისძგერა მკერდში.

ასეთი სიცხადის გასწვრივ, მოდით ვცადოთ და წინმსწრებ-მტკიცებითი აკვიატების გარეშე, ***<u>გიორგიანელის გონითი განფენის სივრცეში</u>***

<u>დინჯად მოვითვალსაწიეროთ, რას ნიშნავს მეგრელად ყოფნა?!</u> რატომ მიაჩნია იგი ზოგადქართული მარადიულყოფისათვის საფრთხედ ე. წ. ქართველ ზეპურთა ცენტრნაცმენურად მოხმაბოდვე ნაწილს?! ***<u>მრავალათასწლეულთა მანძილზე ვინმეს შეუძლია, რაიმეგვარი მტკიცებულება მეგრელებში დივერსიულ-სეპარატისტული ნაღმმიხრახნილობის შესახებ ამოგვიქექოს?!</u>***

რად უნდა იყოს დღეს ვინმე ისეთი მიამიტი, რომ დაიჯეროს, თითქოს, კრემლიდანურობა გალში მეგრული იერსახის *„ასაღორძინებლად"* იკაპიწებს ხელებს?!

იციან ასეთებმა, რომ სწორედ ამ მიდამოებში (მეგრულ სიღრმეში) გაიმუხლმაგრა ჭყონდიდურ-აღმშნებლურმა ცნობიერმა თუ პოლიტიკურმა სვლაგეზმა?! აქვე, ბედიაში განისვენებს დიდი ბაგრატ მესამე - მესარძიკვლე მოდიდგორე საქართველოსი?! ვის სჭირდება იმის დავიწყება, რომ ბედიაში (მეგრულ თვალსაწიერში) გამოიჭედა ბედიის ბარძიმის უფლისეულ მადლ-მოსილებათა ეროვნულ-სახალხო შინაარსი?! რატომ, რატომ ცდილობენ თვალი მოარიდონ *„გამეგრელებული"* ილორის წმინდა გიორგის საბრძანისს - ნაცად ქრისტესმხედრულ ძალისხმევას სრულიად საქართველოისას?!

რაც მთავარია, ***<u>„ცენტრის"</u>*** კარნახით კი არა, ილორ-საბედიანოს სულიერი მოთხოვნილებით ***<u>„ჩქინობურად დაიჭარა"</u>***, ანუ დედოქართულად დაიწერა ***<u>მოქვის ოთხთავი.</u>*** - აქაურთა ღვთივწვდომილური გამუხლმაგრება სრულიად საქართველოს საქრისტისმხედრო სივრცეში!.. მხოლოდ ეს გახლავთ მეგრელთა გამმეგრელებელი გალში, რითაც სულნათელმა ხუტუნია შარვაშიძემ გათითოკაცებულ საქართველოში სამშობლოს გასაერთსხეულებლად იქრისტესმხედრა და გმირულად გაწირა თავი!..

<u>აი, რას ნიშნავს მეგრელად ყოფნა გალში და როგორ ფიქრობთ, ამას აძლიერებს კრემლი დღეს ილორ-საბედიანოში?!</u>

არა, ბატონებო, ეს ჩვენთან არ იციან, თორემ მოსკოვში კარგად მოეხსენებათ, რა მარადქართული წყალუხვობაცაა მეგრელობა, რადგანაც *„ჩვენი ზეპურობა"* დღემდე გულდასმით უცხრაკლიტულებს დანარჩენ საქართველოს, რომ მეგრელად ყოფნა აცეტებულ ჩაგუს არ ნიშნავს, მასში ძლიერობს სრულიად საქართველოს მარადიულყოფის ხაწა. დიახ, უფლისეული განჩინებითაა ეს ასე და არა ხმაბაძვაში მონავარდე სიმრავლეების დადგენილებებით!.. აქედან გამომდინარე, ***საქმეც ისაა, რომ გალში არავინ არ ამეგრელებს მეგრელებს. აქ, რუსისტული სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე იქმნება მძლავრი საეთნოფაბრიკაციო ინდუსტრია***, რომლის ნედლეულად ჯერჯერობით საბედიანოს (გალის) მეგრელებს გამოიყენებენ. შემდეგ ენგურის მარცხენა ნაპირზე გაუფართოებენ მიზნობრივად ინკუბირებულ *„ახალ ნაციას"* საეთნოდივერსიო სივრცეს.

პირველი, რაც ასეთ დროს უნდა მოახერხოს ქართულმა საზოგადოებამ, თვითონ უნდა აჩვენოს ჭეშმარიტი მეგრელობის (კოლხურობის, ანუ ქართველობის) სიწკონდე ყოფით ყოველდღიურობასა თუ სულიერ ცხოვრებაში.

ამისათვის მან (ქართულმა საზოგადოებამ) ყოველმიზეზგარეშე უნდა მოიცილოს დღემდე შემორეციდივებული ცენტრ-ნაცმენური, ანუ ცრუთბილისური დამოკიდებულება ამ მხარისადმი და თანამოსანგრედ მარტო კი არა, ღვიძლზე უღვიძლესად დაუდგეს გალის მეგრელობას *„ჩქინობური“* ე. ი. მეგრულ, მაშასადამე, ქართულ ძვრაუქმნელობად გამარადისებაში. ამავე დროს, მათ (გალელებს) უნდა გავახსენოთ და ჩვენც დავიჯეროთ, რომ თვითონ ისინი არიან აფხაზები, დიახ, დიახ, აფხაზი, ანუ ქართველი თავადაა გალელი, რასაც არაფერი აქვს საერთო ეთნოფაბრიკაციულ *„абхазец“*-ობასთან.

სამწუხაროდ, ამ მხრივ საქმე გაცილებით საგანგაშოდაა, ვიდრე ეს საღათას ძილში მყოფ საზოგადოებას ჰგონია: როგორც გახმაურდა, ამ დღეებში ე. წ. სამოქალაქო შერიგებისა და თანასწორობის ვაი მინისტრმა, *„ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“* მოაზროვნე საქართველოსთვის ვიღაც პაატა ზაქარეიშვილმა (მოდი და არ აიკვიატო ანდაზა, *„უძაღლო ქვეყანაში კატებს აყეფებდნენო“*) საჯაროდ განაცხადა, თითქოს ქართველებსა და აფხაზებს ერთ სახელმწიფოში არ გვიცხოვრია თუ მხედველობაში საბჭოთა კავშირს არ მივიღებთო” (ტელეკომპანია ”რუსთავი-2”, 2015 წ. 30 ნოემბერი).

ამ ხმაბოდვაში მან გააყროყინა ტექნოკრატიული დასავლეთის მიდგომა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკითხისადმი, რომლისთვისაც კრემლიდანურ ეთნოდივერსიათა გამოცდილება სწორედაც რომ საგაკვეთილოა.

იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს (უკაცრავად, ოკუპირებულ რეზერვაციას) მართავს დიდმპყრობლის მიერ დანიშნული ჩინოვნიკი, მით უფრო, რომ ეს მოხელე ქართველმოძულეობით გამოირჩევა, კედლისათვის ცერცვის შეყრად რომ არ დაგვრჩეს, სახალხო ცნობიერებაში მაინც ვაჯეჯილოთ უნდა მეხსიერება შესახებ იმისა, რომ დიახაც ქართულ შინაარსად ნიშანსვეტდებოდა და თანაც იმხანად ძვრაუქმნელ ქართულ სახელმწიფოში ქართული ასომთავრულით ღაღადებდა ლიხნი, ბესლეთის ხიდი, მოქვი, ბედია და ა. შ. ეს ერთი, მეორეც, - თვით ქართველ ხელმწიფეთა ტიტულატურა იწყებოდა ამგვარად - *„მეფე აფხაზთაო“...*

მესამე - ჩრილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ტოპონიმიკა, გვარ-სახელები, საერთოდ ამ მხარის ვინაობა ქართულადაა გაშინაარსებული უხსოვარი საუკუნეებიდან.

საქართველოს სამეფოს დაქუცმაცების დროსაც აფხაზეთის მთავართა მსოფლმხედველობა ქართოცენტრისტულ სულისკვეთებას ეფუძნებოდა. ამას თვით რუსული საისტორიო წყაროები ადასტურებენ (განსაკუთრებით ფედოტე ელჩინი და პავლე ზახარიევი).

ასეთ შემთხვევაში პაატა ზაქარეიშვილის წამონაროში გახლავთ ქართული საზოგადოების შემზადება იმისათვის, რომ იგი შეგუებული

დახვდეს უფრო დიდ ვერაგობას აფხაზეთის, ანუ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს *„არაქართულობის“* შესახებ.

რაც შეეხება აგრესორ-სეპარატისტებთან ("абхазец"-ებთან) ერთ საბჭოთა სახელმწიფოში ცხოვრებას, იგი გახლავთ მეოცე საუკუნეში რუსიზმის დივერსიულ ეთნოფაბრიკაციათა პირმშო და მათთან (ვიმეორებ, აგრესორ-სეპარატისტებთან) ერთად აფხაზეთის მოსახლეობა ვერ იცხოვრებდა ჭყონდიდურ-აღმშენებლურ საქართველოში, ვერ იღვაწებდა ბიჭვინთის, კომანის, დრანდის, ილორის ქართულ ვინაობაში მარადიულსაყოფად.

დავუბრუნდეთ ისევ წერილის სათაურს *„მეგრელთა გამეგრელება გალში“*: იმისათვის, რათა გასაგები გახდეს შედეგის თვალსაზრისით თუ რა საფრთხეზე ვსაუბრობ, ჩასმის წესის შესაბამისად ეს გამოთქმა (წერილის სათაური) ასე გადავაკეთოთ: *„კახელთა გაკახელება თელავში“* ან *„იმერელთა გაიმერლება საჩხერეში“*, *„რაჭველთა გარაჭველება ონში“* და ა. შ. (სხვათაშორის, *საჩხე-რე*, რომელიც მეოცე საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში დედაქალაქად სურდათ *ქართულ მიწებზე ოსთა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის* გამდივერსიებლებს, საუკუნეთა მითაჟამიდან სწორედ მეგრულად გვეხმიანება თავის ვინაობაზე და ამით აქაურთა ქართველობას ხიფათი არ დასტეხია თავს: *ჩხე* ნიშნავს ცხელს; რე-არისს).

სად თუ არა თელავში, საჩხერეში თუ ონში უნდა მუხლმაგრობდეს ქართული ვინაობის კახური, იმერული, რაჭული შემოჭერქვეშეთება?! შესაბამისად, რატომაა საგანგაშო გალში, ამდენად ოდინდელ საბედიანოში მეგრელად ყოფნა?! იმიტომ ხომ არა, რომ მეგრელობა დღემდე ცენტრ-ნაცმენურად თვალგახელილ ზეპურთა (ელიტართა) რიგებში არ ნიშნავს სრულიად საქართველოდ გაერთსხეულების მითაჟამს?!

(კვლავ და კვლავ შეგახსენებთ ბაგრატ მესამის სრულიად ქართველური მსოფლმხედველობის ღვთივდადგენილ ნიშანსვეტებს - ილორსა და ბედიას).

ხელისშემშლელი ასეთი სიცხადის გარკვევისას ისიცაა, რომ იგი (ე. ი. მეგრელობა) ამ *„მოზემაღლო“* წრეებში დანაშაულებრივად იგივდება პატარა ძუკუსთან, დღიური შრომის შემდეგ ჯერაც სამოინალოში რომ ელოდება თავის არჩივ ცივ ღომსა და ამოლესილ ლობიოს (ღმერთმა დამიფაროს, ასე აზროვნება დავაბრალო გაზეთ *”საქართველოს რესპუბლიკის“* მესვეურებს, აქ, გაუსიგრძეგანებლად გაიმეორეს ნაღმმიმხრახნილი სტერეოტიპი, თორემ, არა მგონია, ჩემზე ნაკლებად იცოდნენ ის, რომ მოსკოვს *გალში მეგრელის გამეგრელება, ანუ ქართველად ყოფნა კი არა, გარუსება სჭირდება.*

ამიტომ ავიტკივე აუტკივარი თავი, მინდა მოყვასი გავაფრთხილო, არ შეიძლება ამ საკითხების ზერელე განხილვა, ეს სახიფათოა და ხელში აგვიფეთქდება ასეთ დროს ამოქმედებული ნაღმი. ცხადია, დროებით ოკუპირებულ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) დღეს მიმდინარე ეთნიკურმა წმენდებმა თუ დივერსიულმა ეთნოფაბრიკაციებმა ამ

მხარეში, როგორც უკვე გითხარით, მეგრულის აღსაგველი ინდუსტრიის სახე მიიღო, ამიტომ გალის რაიონის სკოლებში კრემლის მითითებათა შესაბამისად და აგრესორ სეპარატისტთა *„დიდმპყრობლური“* ამბიციების მიხედვით ჩატარებული *„რეფორმები“* გალში მეგრელთა გამეგრელებას არავითარ შემთხვევაში არ ემსახურება. *თუ იმაში ვთანხმდებით, რომ მეგრელად ყოფნა, როგორც ამას დრო ადასტურებს, ამ მხარის ნებისმიერ საზოგადოებრივ ფენაში სრულიად ქართველურ ცნობიერებაში აზროვნებას ნიშნავს, ოკუპანტის მიზანია სწორედ ასეთი თვითშეგნების ჩაწალდვა.*

ისე, ცნობისთვის შეგახსენებთ, რომ XVII საუკუნეში (1639-40 წლებში) სამეგრელო აღწერეს რუსმა ელჩებმა პავლე ზახარიევმა და ფედოტე ელჩინმა, რომელთა პატაკების მიხედვით იმ დროის ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) მოსახლეობა მეგრელობაა, რომელიც ამ ვინაობაში მუხლმაგრობს აქ, რაც სულაც არ უშლის ხელს მის ქართოცენტრისტულ სულისკვეთებას. სამწუხაროდ, როგორც კი ეს შინაარსი - გალში, სოხუმში, ბიჭვინთა-გუდაუთში მეგრელის მეგრელობა დასუსტდა ფართოდ ცნობილი მიზეზების შედეგად, სწორედ აქედან იწყება უბედურებაც, თუმცა, XIX საუკუნეში იანოვსკ-ვოსტორგოვისეულმა აღვირახსნილობამაც ვერ მოახერხა ამ მოსახლეობის დაპირისპირება საკუთარ (*„ჩქონობურა“* ე. ი. ქართულ) ვინაობასთან. ეს მოხერხდა უფრო გვიან, დიახაც რომ მეგრული (ქართული) მხარის *„გასხვაქვეყნებით“,* მაგრამ სჯობია, ამაზე არამეგრელი (არააფხაზი), თანაც მაღალი დონის პროფესიონალი, საბჭოთა გენერალი, აწგანსვენებული თენგიზ ეპიტაშვილი დავიმწომოთ (მით უფრო, რომ იგი მეგრელთმოძულე პუტჩისტების ერთ-ერთი დასაყრდენი გახლდათ): *„როდესაც დისერტაციას ვიცავდი, უშიშროების ერთ-ერთ დახურულ ობიექტზე, სადაც მასალებს ვეცნობოდი, საქართველოს ისტორიასაც გადავავლე თვალი, ჭეშმარიტ ისტორიას, რომელიც არა თუ ხალხში, უმაღლეს ეშელონებშიც კი ბევრმა არ იცის, - უნდათ გურულებს, იმერელებს, კახელებს, რაჭველებს თუ არ უნდათ, ჩვენი წინაპრები მეგრელები და სვანები არიან. ეს ყველამ უნდა იცოდეს. ჩვენი ფესვები იქიდან მოდის. ქართული სახელმწიფოებრიობა იქიდან დაიწყო. ჩვენ კი ამ კუთხის განადგურება მოვინდომეთ, რასაც არავინ გვაპატიებს. ეს იყო დანაშაული საკუთარი ერისა და ისტორიის წინაშე“* (გაზეთი *„ასავალ-დასავალი“,* 1998 წ. 2-8 მარტი).

ცხადია, სწორედ ამ მიზეზის გამო, სამეგრელოს ყოფით ყოველდღიურობასა თუ სულიერ ცხოვრებაში, მნიშვნელობა არა აქვს თუ რა ხარისხით იცოდა სალიტერატურო ქართული, გლეხი გახლდათ, მუშა, მასწავლებელი, მჭედელი თუ ექიმი, მეგრელი ქართულ წერა-კითხვას *„ჩქონობურად“* ამშობლიურებდა. ამას სავსებით სწორად აღნიშნავს თვითონ ალეკო ასლანიშვილიც, თუმცა, როგორც გითხარით, წერილი დაზღვეული არ არის საბჭოთა ეთნოფაბრიკაციული სტერეოტიპებისგან. ასე მაგალითად: *„წიგნში მეგრული სიტყვები ქართული ასოებითაა დაწერილი“* (იგულისხმება გალის სკოლებისთვის მოსკოვიდან თავს მოხვეული ე. წ. სახელმძღვანელოები). ასეთი გამოთქმა, რომელიც ქართველთა ვინაობას

კრემლიდანურად განმარტავს, სხვა არაფერს ნიშნავს თუ არა იმას, რომ *„მეგრული სიტყვები ქართული არაა“*, ხოლო *„ქართული ასოები აღარაა მეგრული!“*

როდესაც საუბარია კრემლიდანურ დივერსიათა ეთნოფაბრიკაციულ თუ სეპარატისტულ ინდუსტრიებზე ან მას ჩანაცვლებული აგრესიული გლობალიზმის *„უფლებადაცვებზე“,* აქ ძალიან სუსტი საპირწონე გახლავთ დედაქალაქიდან სამეგრელოში ჩასული მთავრობის რომელიმე წევრის მიერ ჩიქორთული მეგრულით წარმოთქმული სამიოდე სიტყვა. ამიტომ, მე, ადამიანი, რომელიც მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება მიზანმიმართულად ვებრძოდი ნებისმიერ სეპარატისტულ ძირგამომთხრელობას, ვეთანხმები რა სავსებით ბატონ ალეკო ასლანიშვილის დებულებას, - *“ესაა ცდა ქართულ სხეულს ჩამოაცილონ მისი ორგანული ნაწილი“,* უფლებას ვიტოვებ, ხმამაღლა *ვეკითხო: როგორ და რაში ვლინდება მეგრულისგან მოუხლეჩობა ან მისი გამშობლიურება ახმეტაში, თიანეთში, გორში, ქუთაისში (ძველკოლხურ ქუთაიაში)*, წყალტუბოში, რაც მთავარია, ჩვენი სატახტოს დედოგამზირზე კი არა მარტო, თუნდაც მეტროში ან ე. წ. *“დეზერტირების ბაზარში“,* მეტსაც გეტყვით, დედაქალაქის რომელ უბანში (მთაწმინდაზე, გოგირდის აბანოებთან, ვერასა თუ ვაკეში) იტყვის ე. წ. გამოსული *„ტო“* – *„სირცხვილი ის კი არ არის, რომ მეგრულად ლაპარაკობენ, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიცით მეგრული“-ო (ა. შანიძე).*

როდესაც გაზეთ *„საქართველოს რესპუბლიკის“* ფურცლებიდან განგაშის ზარები იმაზე რეკენ, რომ *„მეგრულ სიტყვებს ქართული ასოებით წერენ“* ან *„გალში მეგრელს ამეგრელებენ“,* ეს კრემლიდანური ეთნოდივერსიების ძრავაში გაუთვითცნობიერებლობასთან ერთად, საკუთარ ვინაობაზეც მხოლოდ საბჭოთა ეთნოფაბრიკაციული სტერეოტიპებით თვალშევლება გახლავთ: განა კოლხური თვალსაწიერის წიაღიდან ამოფრქვეულმა მეხსიერებამ ოქროს საწმისზე და კირბებზე, თვით სიტყვა *„ჭარუამ“* მკაფიოდ არ უნდა გაგვითვალსაჩინოოს, რომ მხედრულიც, ასომთავრულიცა და ნუსხურიც მეგრელისთვის (ლაზისთვის) *„ცენტრიდან“* მიჩეჩებული დამწერლობა კი არაა, როგორც ამას კრემლი უკვეთებდა ე. წ. უდამწერლობო საბჭოთა ხალხებს, არამედ, იგი ლაზური, გნებავთ კოლხური დასაბამიდან გადმოენგურებული მარადისობა გახლავთ, ისეთივე სისხლხორცეული მეგრელისთვის, ლაზისთვის, სვანისთვის (მათ შორის ჩრდილო-დასავლეთ საქართველოსთვის (აფხაზეთისთვის), ამ შემთხვევაში გალისთვის), როგორც იმერეთისთვის, აჭარისთვის, სამცხისთვის, ქართლისთვის, ჰერეთისთვის, კახეთისთვის, ტაოსთვის, კლარჯეთისთვის და ა. შ.

სხვათაშორის, ამ თხუთმეტიოდე წლის წინ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გაიელვა ცნობამ იმის შესახებ, რომ თურქეთის რესპუბლიკაში ლაზებს ლათინური შრიფტის მიხედვით უქმნიდნენო დამწერლობას და ეს დიდ მოვლენად მიიჩნეოდა.

სამწუხაროდ, საქართველოში არავის ჩაუთვლია საჭიროდ, ეთქვა, ლაზებს დღეს შესაქმნელი არა აქვთ ანბანი, მათ ათასწლეულების წინ, დანარჩენ საქართველოსთან ერთად დაიდგინეს თუ რა ასო-ბგერებით გაესაგნათ თავიანთი სიტყვიერება: ასე, რომ მსოფლიო მნიშვნელობის ჩვენი სიტყვაკაზმულობა ლაზთა, ეგრთა, სვანთა, თუშთა, კახთა, ქართთა, ხევსურთა, აჭარელთა, იმერხეველთა და ა. შ. გაერთსხეულებულ ცნობიერებაში იშვა. როდესაც ქართული მხარეები პოლიტიკურად ვერ ჭერქვეშეთობდნენ ერთიან სახელმწიფოში, ჯიშისმიერ მეხსიერებაში მათ საერთო ეროვნული თვითშეგნება ჰქონდათ. ამის სახეზოგადი დასურათხატება გახლავთ კონსტანტინე გამსახურდიას *„დიდოსტატის მარჯვენა“*, როცა უფლის დასტურით ერის სულიერი ნიშანსვეტისა და სახალხო მადლმოსილებათა ტაძრის ხუროთმოძღვარიცა და კირითხუროც ლაზი უტა არსაკიძე გახლდათ. დიახ, ლაზი, თუმცა ლაზეთი ამ დროს პოლიტიკურად არ შემოდიოდა ქართული სახელმწიფოს საზღვრებში.

აქვე მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ არც ლათინური შრიფტის საფუძველზე *„ლაზისთვის შექმნილი დამწერლობა“* თურქეთის იმპერიაში და აღარც გალში კრემლიდან შემოდივერსიებული *„მეგრული“* სახელმძღვანელო, ე. წ. მეგრულ გაზეთ *„Гал“*-თან ერთად, არ ემსახურება ლაზად, ვნებავთ მეგრელად აღორძინებას კოლხურ ე. ი. სრულიად ქართველურ ცნობიერებაში. ამდენად, იგი არ გახლავთ ამ მხარეთა სახალხო ნება.

ის, რომ დროებით ოკუპირებულ გალში, როგორც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ეთნოფაბრიკაციული ინდუსტრიის ნაწილში, კრემლი ამჯერად ეცდებოდა ახალი რუსისტული ნაციის გამოინკუბატორებას, ხოლო საამისო ეთნონედლეულად დაადგენდა საბედიანოს ქართველობას (ე. ი. ამ მხარის მეგრელებს), ამის მიხედვით მას შორსგანიზნულად *„Мингредец“*-ს დაარქმევდა, ამაზე ჯერ კიდევ 1994 წელს ვწერდი, აღვნიშნავდი, რომ ამ *„ახალ“* ნაციას მეგრულ (ქართულ) შინაარსთან, გარდა პროვოკაციული ფირნიშისა, საერთო არაფერი ექნებოდა (გაზეთი *„არჩევანი“, 1994 წ. აგვისტო-სექტემბერი): „დღეს ოფიციალური მოსკოვი აფხაზეთში ეცდება არათუ „მეგრელობის“ ცალსახა გაღვივებას, - თუ დასჭირდა ე. წ. სამურზაყანოს ავტონომიის ჯერმონაცვლე აფეთქებების ინსპირირებასაც მოინდომებს...“*

ამის საფუძვლად მაშინ (და დღესაც) მივიჩნევდი: 1. იმ შემთხვევაში, თუ კი *„абхазец“*-ური სეპარატიზმი ზღვის გაღმა - თურქეთისკენ გაიხედავდა, მას შიგნიდან აუფეთქებდნენ სახელდახელოდ მოთადარიგებულ *„Мингредец“*-ურ *„თვითგამორკვევას“* (ანალოგი - აფხაზეთის ასსრ საქართველოს სსრ-ის წინააღმდეგ); 2. ამას მოჰყვებოდა *„Мингредец“-ური თვითგამორკვევის“* გადმოცოცვა ენგურის მარცხენა ნაპირებზე და სრულიად ქართველური გაერთსხეულების გათითოკაცება (დაქუცმაცება); 3. იმ შემთხვევაში, თუ კი ოდესმე აღორძინდება ქართულ (აფხაზურ) - აფსუური

სახლიკაცობის ანტიიმპერიული ფრონტი, *„Мингредец“*-ური (და არა მეგრული) *„თვითგამორკვევის“* სახით მოთადარიგდება ამ სახლიკაცობას მიმიზნებული ნელი მოქმედების ნაღმი.

ასეთი სტრატეგიული სვლაგეზების გასწვრივ, გალში მიმდინარე დივერსიულ ეთნოფაბრიკაციებს თანა სდევს კიდევ არაერთი ძირგამომთხრელობა, რომელთა შესახებ საუბარი საფუძვლიან გარკვეულობას მოითხოვს. ასე, რომ *<u>მეგრელში მეგრელის მოძლიერებით, ანუ სრულიად ქართველურ ვინაობაში მისი აქვიტკირებით არავითარ შემთხვევაში არ მოხდება მეგრელთა „გასხვახალხება“</u>*, როგორც ამაზე პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი თავის გამოხმაურებაში ვარაუდობს (გაზეთი *„საქართველოს რესპუბლიკა“*, 2015 წ. 22 აპრილი). დიახ, მეგრელობა დედოსაქართველოს, ანუ თავის ვინაობას არავითარ შემთხვევაში არ გაუუცხოვდება (თვით დროც ადასტურებს ამას).

სხვა რამე გახლავთ სათავშისაცემო: გალში დღეს: კრემლის ხელისბიჭები მეგრელთა ქუჯისეულობაზე ან ცოტნე დადიანობისთვის კი არ იღვრებიან ოფლად, ისინი მეგრელთა საყოველთაო *„გაძუკუებაზე“* და მოინალად გამწესებაზე ხარჯავენ *„მოსაჩუქრებულ“*: მილიონებს. შედეგად, ხვალ თუ ზეგ ეს მოინალე ავადსახსენებელ, როგორც მის ბიოგრაფიაშია აღნიშნული, უწიგნურ (ბეზგრამოტნი) ისაკი ჟვანიას განაბიჯებად უნდა დაუყვეს ენგურის მარცხენა ნაპირს.

და ბოლოს, აქ გვერდს ვერ ავუვლით მორიგი კრემლიდანური ეთნოდივერსიის - ე. წ. მეგრელთა საქმის გამოორღობებას საზოგადოებაში, რომლის ბოროტმოქმედული შედეგები, როგორც ყველანაირი სარეველა, დროდადრო, სხვადასხვა გამოხდომის სახით, ჩვენს ყოველდღიურობაში გაჯოლოკეტდება ხოლმე.

ეს გახლავთ დროსა და სივრცეში არ არსებული *"მეგრული პირუმტკიცობის"* შესახებ შემოავყიებული ხმაბოდვები. ამ საუგო ხელგამოღებათა მოსათვალიერებლად ჟამთაბერის ცხრაკლიტულებში არაა საჭირო ღრმა წიაღსვლები. ამისთვის საკმარისია, გავიხსენოთ საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ყოფილი მეორე მიდვნის, იმჟამად აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ავთანდილ პეტრეს ძე საყვარელიძის *„აღშფოთება“* 1978 წელს, რომელიც მას იმ დროს (როგორც საქმეში ჩახედული პარტოკრატები იხსენებდნენ შემდგომ) აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან, აფხაზეთის ასსრ-ის სახალხო პოეტ ბაგრატ შინქუბასთან გამოუხატავს, - *„მეგრელებს შეუჭამიათო აფხაზები“.* სხვათა შორის, ბ. შინკუბა არ ამჩატებულა მაშინ ავთანდილ პეტროვიჩის ვირეშმაკობაზე (ბუნებრივია, ა. საყვარელიძეს ვერ მოსთხოვდი ჩრდილო-დასავლეთ საქართველო, ანუ აფხაზეთი თავის დედან შინაარსში მოეთვალსაწიერებინა, ამასთან ერთად აფხაზი ამ მხარის ქართველად,

ხოლო ძუძუმტე აფსუა სახლიკაცად გამოეცხადებინა, იგი ჩვეულებრივი პარტფუნქციონერი გახლდათ).

თითქმის ამგვარადვე მოიმოქმედა კი არა, გაუსწრო კიდეც მას მეგრელთა *„გაარამშობლიურებაში“,* როგორც ამბობენ, აფხაზეთის ასსრ შს მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, წითელ გენერალ გივი ლომინაძის ქვედადინებური გაკვაჭებით 1990 წელს პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებათა *„მრგვალი მაგიდის“ „ექსპერტად აფხაზეთიდან“* შეკვეხებულმა, მანამდე და შემდგომაც აფხაზეთის *„ქართულ პარტოკრატიასთან დისიდენტად“* თანამოსაქმიანე ნუგზარ მგალობლიშვილმა და მასთან ერთად იმავე წითელი გენერლის ძალისხმევით ამ პოლიტიკურ საფიხვნოში სასწრაფო წესით გაწევრიანებულმა ერთმა საკუთარი პატივმოყვარეობის კვარცხლბეკად თავდადგენილმა ქალბატონმა მანამ ძოძუაშვილმა. დიახ, წინამდებარე ორმა გახეპრებამ და ერის შეუგინებლობებთან ვერ მისაშვებმა გატუტუცებამ *„მრგვალი მაგიდის“* რომელიღაც დონეზე მოითხოვეს, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის საარჩევნო სიაში მეგრელები, უკიდურეს შემთხვევაში, სოხუმელი მეგრელები (წმინდა ილია მართალს რომ ეიმედებოდა იმ ადამიანთა ღირსეული შთამომავლები) არ შეეყვანათ საარჩევნო სიაში, რადგან, როგორც ისინი იტყობინებოდნენ, *„აფხაზებს შეეკვრებიანო“* (დააკვირდით, სეპარატისტებს კი არა, *„აფხაზებს შეეკვრებიანო“,* ამ დროს აფხაზები, უფრო სწორად, აფსუები გახლდნენ სრულიად საქართველოს მარადიულყოფისთვის თავშეწირული იური ანუა, რაულ ეშბა და ა. შ. იმ არადა, როდესაც აგრესორები ამ ზნეობრივ ნიშანსვეტებს სახალხოდ ხვრეტდნენ, ავადსახსენებელი ნ. მგალობლიშვილიცა და მ. ძოძუაშვილიც კრემლის მიდამოებში, სამშვიდობოს *„იდგნენ სალ-კლდედ“...*).

სწორედ ასეთი სასიცოცხლო საკითხისადმი ამგვარი წინგაუხედავი, აუწონ-დაუწონავი დამოკიდებულების შედეგად მოხერხდა აფხაზეთიდან (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან) მახვშისდარი ძირძველი აფხაზი, ანუ მეგრელი (ამდენად, ქართველი) და ძუძუმტე აფსუა სახლიკაცებისთვის *„ჭიშკრის მოკეტვაც“* როგორც საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში, ასევე აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში. ის კი არადა, ეს სულნაცდური ორფეხები 1991 წლის არჩევნებში თავგამოდებით ასრულებდნენ აგრესორ-სეპარატისტთა დავალებებს, იმათი მითითებების შესაბამისად ესხმოდნენ თავს საჩინო ქართველ მოღვაწეებსა თუ წინგახედულ აფსუა სახლიკაცებს. ისინი გულითადად თანამშრომლობდნენ იმათთან, რომელთაც შემდგომში ამ მხარის ქართველთა (ძირითადად მეგრელთა) გენოციდი და ეთნიკური წმენდა მოაწყვეს (იხილეთ პროფესორ ლორიკ მარშანიას *„Правда о трагедии Абхазии“, Тбилиси, 1997 г., стр. 23-25*).

ასეთმა წინგაუხედაობამ გაადვილა ის შედეგი, რაც ასე საბედისწეროდ მოგვახვიეს თავს: ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) დღეს არა მხოლოდ ოკუპირებული გახლავთ, არამედ, ამ მხარის ძირძველი

მოსახლეობის (ისევ და ისევ მკვიდრი მეგრელების) გენოციდისა და ეთნიკური წმენდის შედეგად აფხაზეთის ბუნებრივ (ქართულ) შინაარსს ჩაენაცვლა კრემლიდან შემოთარეშებული ეთნოდივერსიული სიცხადე (თავის წიგნში *„მესამე განზომილება“* ჯაბა იოსელიანი ააშკარავებს, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ჯარის (უფრო სწორად, თოფოსნების) შეყვანას იმ სახით, როგორც ეს მოხდა, ანუ აგრესიული რუსიზმისთვის საომარი ავანტიურის დასაწყებად საბაბის გაბლაბუდებას, სხვა ქვედადინე-ბებთან ერთად, ხელი შეუწყო აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ქართული დეპუტაციის მოთხოვნამაც: *„უმაღლესი საბჭოს დეპუტატებიც ამ აზრზე არიან, რომ ჯარი შევიყვანოთ“-ო.* დამოწმებულია აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ძალისხმევით გამოცემული კრებულიდან *„აფხაზეთი ქართულ პროზაში“, თბილისი, 2008 წ., გვ. 220*).

სამწუხაროდ, ჯ. იოსელიანი ამავე წიგნში *„მეგრელთა არაკეთილ-საიმედოობაზე“* თითიდან გამოწოვილი აბდა-უბდის შესაბამისად საუბრობს: *„არძინბა ტყვარჩელისა და ოჩამჩირის მეგრელობას ალიანსისკენ მოუწოდებს“* (იქვე, გვ. 233).

ასევე აფხაზეთში (ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში) საომარი ავანტიურის დაწყებისთვის საბაბის შექმნაში სდებს ბრალს გენერალ გივი ლომინაძესა და აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს ზოგიერთ დეპუტატს (გია გვაზავას, რაისა ქარაიას, ეთერ ასტემიროვას, ნუგზარ მგალობლიშვილსა და ა. შ.) ცნობილი სოხუმელი დასტაქარი და საზოგადო მოღვაწე ნაპო მესხია - აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე 2004-2009 წლებში (იხილეთ მისი ბოლოდროინდელი წიგნები ქართულ და რუსულ ენებზე - ნაპო მესხია, *„როგორ გასხვისდა აფხაზეთი“*, თბილისი, 2009 წ. და 2013 წლიდან გაგრძელებული პუბლიკაციები გაზეთ "ილორში").

რაც შეეხება ჯ. იოსელიანის გახმოვანებულ *„მეგრელ-აფხაზთა ალიანსს“*, ამასთან დაკავშირებით შეგახსენებთ, რომ ვლადისლავ არძინბას 1992 წლის 14 აგვისტოს, დღის 13 საათამდე, ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხა-ზეთის) ქართული მოსახლეობის წარმომადგენლობამ, ისევე, როგორც მანამდე, მოსთხოვა აფხაზეთის ა/რ-ის 1978 წლის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის შესწორებული ვარიანტის) შესაბამისი წესრიგის დამყარება და თავის მხრივ მზაობა გამოთქვა, თავადაც მიეღო მონაწილეობა ასეთი სამოქალაქო თანხმობის ყოველ მხრივ განმტკიცებაში, ეს ყველაფერი კი, სულ ცოტა, საომარ ავანტურას აგვაცილებდა. ამის მიუხედავად, ვლადისლავ გრიგოლის ძე არძინბამ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ძირძველი და გამშინაარსებელი მოსახლეობა (მათ შორის ტყვარჩელის, ოჩამჩირისა და გალის მეგრელობა) კანონგარეშე ხალხად გამოაცხადა და ამ ხალხის განადგურება კანონის სახელით მოითხოვა.

გასაგებია, საუკუნეების მანძილზე იმპერიების მიერ საქართველოში განხორციელებული ეთნოფაბრიკაციული დივერსიები განსაკუთრებულად

სრულყოფილი სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებად ჩამოყალიბდა საბჭოთა სინამდვილეში და იგი იქცა ქვეყნის ინდუსტრიის ერთ-ერთ წამყვან დარგად, რომლის ქმედუნარიანობას უზრუნველყოფდა ასევე ზემძლავრი იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული მანქანა.

ბუნებრივია, საქართველოში რუსისტულ იმპერიას ჩანაცვლებული ანგლო-ამერიკული დიდმპყრობლობა (აშშ-სეული და ევროპაცენტრისტ-ული რასიზმი) ამგვარი კრემლიდანური *„ინდუსტრიის“* მიერ წარმოებული *„მზა პროდუქციის“,* ანუ დივერსიული ეთნოფაბრიკაციის შედეგებს საკუთარი აგრესიული მიზნების მისაღწევად იყენებს დღეს.

აქ ზედმეტი არც იმის შეხსენება იქნება, რომ საბჭოთა იმპერიის წლებში ქართველი ერის ვინაობა განიმარტებოდა კრემლიდანური მითითებების შესაბამისად და იგი, იყო რა მორგებული ე. წ. საბჭოთა ხალხის ერთიან კონ-სტრუქციას, როგორც მთლიანი ძრავის საჭირო, მაგრამ პერიფერიული ნაწ-ილი, სინჯით *„ქვემორე“* შინაარსად იქნა გასაგნებული რუსისტული დიდმ-პყრობლობის ცენტრ-ნაცმენურ იერარქიაში. ასე მაგალითად, თუ კი ამ სქე-მის მიხედვით კრემლიდანური ძრავა ათვლის საწყისი იყო, ანუ საბჭოთა ხალხად გადადნობის შინაარსში ასომთავრულობას იპიროვნებდა, საბჭოთა კავშირში შემავალი დანარჩენი ქვეყნები და ხალხები ნაცმენშესტვოდ მოი-აზრებოდნენ. ჩვენს შემთხვევაში თბილისი მოსკოვთან მიმართებაში კი იყო *„ნაცმენშენსტვო“,* მაგრამ იგი ამავე დროს საბჭოთა იერარქიის მომდევნო (ანუ რესპუბლიკის) დონეზე თავად ხდებოდა ე. წ. ცენტრი და მას *„უქვემდება-რდებოდა“* ცალკეული, მისი მიწიდან *„გასხვაქვეყნებული“* ავტონომიური რეს-პუბლიკები. უფრო მკაფიოდ რომ ვთქვათ, საბჭოთა საქართველოს, როგორც რუსისტული ძრავის სამხარეო ნაწილს, ასევე ქართულ მიწაზე შეუქმნეს „გასხვაქვეყნებული“ ავტონომიური რესპუბლიკები, სადაც ისევე, როგორც ნებისმიერ საბჭოთა წარმოებაში, ხუთწლედურ გეგმათა შესაბამისად საქმია-ნობდნენ. ქართულ მიწაზე უბოდიშოდ *„გასხვაქვეყნებული“* ავტონომიური რესპუბლიკები, *„უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენდნენ მძლავრ ქარხნებს, სადაც ხელოვნურად იწარმოებოდა (ინკუბატორდებოდა) ამ ვითომ რესპუბლიკათა სახელის მატარებელი ხალხები, რომლებიც ე. წ. "სატიტულო ერებად“* დგინდებოდნენ.

აქ თვალშისაცემი ერთი რამაა: როგორც აგრესორ-სეპარატისტების (*„абхазец“*-ობა, ოსური დიდმპყრობლობა), ასევე აგრესორ-*„დემოკრატების“* მიზანი ერთი და იგივეა - ქართული ცნობიერების გადაგვარება. თუ სეპარატისტები ამას საბჭოთა მოწოდებებით ნიღბავდნენ, ვთქვათ ასე, - *„აღვადგინოთ ცხოვრების ლენინური პრინციპები“*, ჭაობური *„დემოკრატიის“* რაზმები *„უფლებადაცვითი“* ლოზუნგების ამოფარებით ძალადობენ.

ცხადია, ამ ე. წ. არასამთავრობოების სახით საქართველოში ევრო-ატლანტიკურმა რასიზმმა მოითადარიგა მეხუთე კოლონა, რომელმაც მსგავსად აფხაზეთის ასსრ-ისა და სამხრეთ ოსეთის აო-ის გადამწყვეტი ძალისხმევა უნდა მოახმაროს ქართველი ერის დენაციონალიზაცია!..

რაც შეეხება სვანებს და მეგრელებს (ლაზებს), საქართველოს მარადიულყოფის გაუსარეველიანებელ ამ შინაარსს, ისინი როგორც კრემლი-დანურმა, ასევე ვაშინგტონურმა (ბრიუსელურმა) დიდმპყრობლობამ სახა-ზინო ეთნოდივერსიათა გამწკრივებაში რიგით რონოდებად მიაბა *„მთავარ გამწევს“,* თან განუმარტა დაუწერელი დებულებაც შესახებ იმის, რომ, ამ მხა-რის შვილს საქართველოში, როგორც *„მექანიკურად" მიკუთვნებულს“* ქართველ-თან, *„პირველკაცობის უფლება არა აქვს“.* ასეთივე გახლავთ კრემლიდანური თუ ტექნოკრატიული დასავლეთის დადგენილება ქართველი ერის ვინაობა-რაობის შესახებ.

აქ ერთიც უნდა ვითერგღრიალო: *<u>როდესაც მეგრულს (ლაზურსა) თუ სვანურს "უმწერლობოს" ვუწოდებთ, ეს გახლავთ პირდაპირი გადამუხლუბება იმ თვითშეგნებაზე, რასაც ამ მხარეებში "ჩქონობურას" უწოდებენ და მეორეც, კვლავ და კვლავ ვიმეორებ, ქართული დამწერლობა სწორედ ამ მითაჯამში შეიქმნა და თუ გნებავთ მესამეც, შოთა რუსთაველიც, ილია ჭავჭავაძეც, მუხრან მაჭავარიანიც, მიხეილ ჯავახიშვილიც, ოთარ ჭილაძეც და ა. შ. რომ ვთქვა, - მეგრელი (ლაზი) ან სვანი მწერლები არიან-მეთქი, როგორ ფიქრობთ, შეცდომა იქნება ეს თქვენი აზრით?!</u>*

რა თქმა უნდა, აშშ-სეული თუ ევროპაცენტრისტული რასიზმი, ფუნდამენტალისტურ, უფრო სწორად, აგრესიულ ლიბერალიზმზე და სახელდახელოდ ფაბრიცირებულ მოთარეშე *„უმცირესობებზე“* დაყრდნობით ცდილობს საქართველოს გამშინაარსებელი ზნეობრივი ნიშანსვეტების განადგურებას.

აქედან გამომდინარე, აგრესიული ლიბერალიზმისა და მისი თანამემწკრივეების სახით ტექნოკრატიული დასავლეთის რასისტულ იერიშებს საქართველოში დისლოცირებული ჰყავთ კარგად გაწვრთნილი და დაგეშილი საეთნოდივერსიო ჯარი, *<u>რომელიც განსაკუთრებით საინფორმაციო პროვოკაციებშია გამობრძმედილი.</u>* მას გააჩნია სათანადო იერარქიულობა, წოდებები, რაზმები, რათა თანმიმდევრულად მოითადარიგონ მორჩილი, არაეროვნული და უსირცხვილოდ გამოჭენებული თაობა. სწორედ *<u>ასეთ საფრთხეზე გვაფრთხილებდა ჯერ კიდევ 1977 წელს ბატონი ზვიად გამსახურდია (იხილეთ მისი „დილემა კაცობრიობის წინაშე“), რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ბრძოლა გამოუცხადა არა მხოლოდ რუსულ, არამედ საერთოდ და მათ შორის ანგლო-ამერიკულ იმპერიალიზმს, რაც „დინების საწინააღმდეგო ცურვად“ შეაფასა აშშ-სა და ევროპაცენტრისტულმა რასიზმმა.</u>*

რა თქმა უნდა, ტექნოკრატიული დასავლეთისთვის, ისევე, როგორც კრემლიდანური დიდმპყრობლობისთვის კოლხური (იბერიული) შინაარსის გაუკუღმართება *„ნიკოფსიიდან დარუბანდამდე მოაზროვნე საქართველოს“* (ზვიად გამსახურდია) საძირკვლის მორყევა კი არაა მარტო, მისი მიზნობრივი გადაშენების საშუალებადაც მოიაზრება, რადგან მეგრელისთვის (ლაზისთვის), ასევე სვანისთვის *„ჩქონობურად“* ყოფნა გახლავთ გაერთსხეულებული საქართველოს ვინაობაში გამუხლმაგრება, ამასთან ერთად, ეროვნულ-

სახალხო წესრიგში შინერსითა (ღვთივნებადართულითა) და ვაშინერსით (ღვთივნებადაურთველით) აზროვნებაცაა ეს, პირველ რიგში.

სამწუხაროდ, ის, რაც საქართველოს სსრ-ად ახარაჩოებულ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ხართაში (რეზერვაციაში) ქართველი ერის ვინაობად დადგინდა, არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობდა ყოველთა ქართველთა ლასკარულ ერთსხეულებას, აქ უფრო ტომთა ხელოვნური შეკავშირება (ჰიბ-რიდულობა) იგულისხმებოდა. აქედან გამომდინარე, ქვედადინებური ძალის-ხმევით ყოფით ყოველდღიურობაში სამეგრელო ზუსტად ისე მოიაზრებოდა, როგორც სამთავრო-სამეფუკოებად დაშლილ ქვეყანაში ერთი იმ დროის ცნო-ბილი მწერალი განმარტავდა მას: ***„წამხდარი ქართულიაო ეს...“*** ჩვენდა სათავ-შისაცემოდ, ეს აზრი დღემდე დაბოგინობს და ზეპური საზოგადოების საყო-ველდღიურო მიმოქცევაშიც მოიმაგრა ფეხი. ბუნებრივია, ასეთ გარემოში ჭყონდიდურ-აღმშენებლური მსოფლმხედველობის რუის-ურბნისეული თუ სადიდგორო ნიშანსვეტები უვიცობაში განავარდებული საზოგადოების სამიზნე გახდა.

ყოველივე ამის შედეგად, დღეს თანდათანობით ვყალიბდებით არა ქართველ ერად, არამედ, ისევე, როგორც აშშ-ს მოსახლეობა, ერთი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული რეზერვაციის კონტინგენტი გავხდით თითქმის, თანაც მისდა შესაბამისი საზოგადოებრივი პროცესების ელექტორატად დაგვამწკრივეს...

სწორედ ამიტომ, ქართული საზოგადოების ერთი მომეტიჩრო ნაწილი დისტანცირებულია თავისი კოლხური საწყისიდან. იგი არ იქცა მის პოლიტიკურ, სულიერ, ლიტერატურულ და ა. შ. ყოველდღიურობათა სვლაგეზად ერის მარადიულყოფისკენ საქუდზეკაცოდ.

სწორედ ეს განაპირობებდა იმას, რომ 1992-93 წლებში სამეგრელოს წინააღმდეგ განხორციელებულ საპარტახო ღონისძიებებს კახეთში, იმერეთში თუ სხვა ქართულ მხარეში *ნაკლებად აღიქვამდნენ ეროვნულ უბედურებად.* პირიქით ხდებოდა და აი, ეს გახლავთ საგანგაშო!

ღმერთმა ნუ მოუშალოს სრულიად საქართველოს ლიხნსა და ბიჭვინთაში ილორ-საბედიანოში მეგრული თვალგახელა, რომლის თვალსა-წიერშიც აღმოცენდა-მეთქი ბაგრატ მესამის სააღმავლო ძალისხმევა და ჭყონდიდურ-აღმშენებლური მსოფლმხედველობა, რომლის სულიერ პურობას მოქვის ოთხთავის უფლისწვდომილება, ილორის წმინდა გიორგის ხატის მადლმოსილება და ბედიანური ბარძიმით ქრისტეს სისხლსა და ხორცს ზიარებული სულისკვეთება განაპირობებდა.

წინ გავიხედოთ, ქართველებო: დღეს საქართველო უქართულშინაარსოდ სჭირდება არა მხოლოდ კრემლიდანურ მოსკოვს, - თვით ***„დემოკრატიის საბრძნისს“,*** - ზესახელმწიფოდ მოთითისქნევე აშშ-საც. მისთვის იგი სარეზერვო სივრცედ (ქვეყნად) მოიაზრება, ხოლო აგრესიული გლობალიზმის ის რგოლი, სადაც სამშობლოს არსი ჯერ კიდევ ახსოვთ,

რატომაც არა, სამარქაფო სამშობლოდაც კი იდგენენ მას, უფრო მეტიც, ამ მიწაზე სათადარიგო სახელმწიფოს აღმშენებლობას არ გამორიცხავენ ***„დემოკრატიის“*** დროშით მობათინკებული ქუსლები.

ფრთხილად, ნუ გავხდებით იმათთაგანი, ვინც მიექირავდება საქართველოსკენ გადმოღვარცოფებულ მტერს.

ამას *მოითხოვს წინგახედულობა და ძალიან კარგს ვიზამთ, თუ კოლხური დასაბამიდან ავითვლით ჩვენს სრულიად ქართველურ ვინაობას, რადგან თუ ჩვენ უარს ვიტყვით ჩვენსავე წარსულზე, სხვა დაეპატრონება მას.*

2015 წ. 14 ნოემბერი

რისხვის ზარები ჩვენი სამრეკლოდან

(სერგი საჯაია - 70)

ამ წიგნის* ყველამკითხველი ჩემი მეგობარია, იმის მიუხედავად, ავტორის მოსაზრებებს, დასკვნებსა და პათოსს სრულად იზიარებს თუ არა; ჩემი მეგობარია, რადგან იმავე **„ნესტარით არის ნაჩხვლეტი“,** რითაც ნებისმიერი ჭეშმარიტი ქართველი. ამიტომ მივმართავ მას ასე:

ძვირფასო მკითხველო!

იცოდე, რომ ამ კრებულის ავტორი სამშობლოს ბედზე ფიქრით გულგასენილი კაცია, რომელმაც ჩვენი ისტორიის უახლოესი ათწლეულების ყველა ქარტეხილი გამოიარა და ეროვნული ავბედობის ჯოჯოხეთში გამოტანჯული ფიქრი და აზრი მოიტანა შენამდე.

სერგი საჯაია ჩვენი სამშობლოს მკლავმოუღლელი და მოუსყიდველი სარანგია. ვერც თანამდებობითა და ვერც ამ თანამდებობების თანამდევი პრივილეგიებით ვერ მოისყიდეს, ვერ გატეხეს იგი, ერთი ნაბიჯიც ვერ წაადგმევინეს იქით, საიდანაც სამშობლოს სიბეჩავის ხარჯზე პირადი კეთილდღეობა იწყება., ვერ გატეხეს, რადგან მისთვის **„სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა“.** ამიტომ არის ასეთი უკომპრომისო ყველასა და ყველაფერის მიმართ, ვინც და რაც ნებსით თუ უნებლიედ ერისა და სამშობლოს ურიცხვი მტრის ბოროტების წისქვილზე ასხამს წყალს.

მტერი კი ბოროტია და დაუნდობელი. მან კარგად იცის: ეთი რომ დაიმონო და გადააჯიშო, ჯერ უნდა დაშალო-დაანაწევრო იგი, მთლიანი სამშობლოსა და ერთიანი ისტორიის ხსოვნა ჩაუკლა მას. საამისოდ კი თვით ამ ერის წიაღში უნდა გამოზარდო სეპარატიზმის ხელშემწყობი და წამქეზებელი მანქურთები. სწორედ ამგვარი მანქურთებით არის სავსე ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციები, მკბენარივით რომ მოსდებიან საქართველოს ეროვნულ სხეულს. ამ წიგნის ავტორმა კარგად იცის, სად და როგორ ინკუბატორში გამოჭყავთ ავი სენის გამავრცელებელი მკბენარი, რომელსაც დუსტი და ქლორი კი ვერ მოსპობს, არამედ ჩვენი გამოფხიზლება ამოძირკვავს მხოლოდ. **ამიტომ არისხებს განგაშის ზარებს ჩვენი სამრეკლოდან,** რომელსაც, რომ არა სერგი საჯაიას მსგავსი თითო-ოროლა მამულიშვილი, ეშმაკები დაეუფლებოდნენ მთლიანად.

არა და, დაუფლებულნი არიან და ეგ არის!

შენ ხედავ, მკითხველო, თუ როგორ სახოვნად გვიჩვენებს ავტორი ეშმაკის მოციქულთა მარულას იმ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომლებიც, სადაც სამართალია, ეროვნულ ღირებულებებს უნდა ედგნენ დარაჯად და ზნეობის ბასტიონებს წარმოადგენდნენ. პირიქით კი არის! უზნეობის, უკულტურობის, სულიერი და გონებრივი სიმახინჯის პროპაგანდის ღვარცოფმა ლამის მთლიანად წალეკოს ქართული ეროვნული თვითშეგნება და ქრისტიანული ცნობიერება, საუკუნეთა წიაღში რომ უდგას ლიბო და ბალავარი. ეს ღვარცოფი სწორედ იმ სამრეკლოებიდან მოედინება, საიდანაც ზნეობისკენ უნდა უხმობდნენ ადამიანებს.

ამ ცოდვის ღვარცოფის წინააღმდეგ არისხებს ზარებს ეს წიგნი და მისი ავტორი კი ერთგული სარანგის შეუპოვრობით ებრძვის ურჩხულს, იმ იმედით, რომ **„ცუდად... არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება“.** დიდი გაბედულება სჭირდება ამას და არ აკლია იგი ამ წიგნის ავტორს.

სერგი საჯაიას ამ წიგნში საქართველოს თანამედროვე ისტორიის ერთობ ტრაგიკულ-დრამატული ეპიზოდებია აღწერილი და გაანალიზებული. ძნელია თანამედროვეობაზე წერა ბევრი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ისტორიული მოვლენა და მისდამი თანამედროვეთა დამოკიდებულება რომ შეაფასო, დროში დისტანცირებაა აუცილებელი. მეორე და, იქნებ უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ამ მოვლენათა ავად თუ კარგად მონაწილენი, შენი თანამედროვენი არიან და პირში მთქმელობის გაბედულებაა აუცილებელი.

სერგი საჯაიას გაბედულებაზე უკვე ვთქვი! რაც შეეხება დროში დისტანცირებას, იგი მას არ სჭირდება, რადგან დღევანდელ მოვლენებს მხოლოდ აწმყოს გადასახედიდან კი არ უცქერის და აფასებს, არამედ ისტორიული წარსულის პრიზმაში ხედავს მას და ამიტომაც მოუმცდარი მგონია მისი შეფასებები და დასკვნები.

ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როდესაც ხალხი თავის წარსულ ისტორიას ივიწყებს, - დიდი ილია ჭავჭავაძე გვაფრთხილებდა და დღესაც გვაფრთხილებს. ჩვენ კი ეს გაფრთხილება, ისევე, როგორც ერის მამების ბევრი სხვა დარიგებაც, ყურად არ ვიღეთ. შეგძრავს პირდაპირ, საკუთარი ისტორიის დავიწყების ის საშინელი შედეგები, რაც, თითქოს, ჩვენც ვიცით, ამ წიგნში კი დასაბუთებულად არის ნაჩვენები. ვიცით მაგრამ, მერე რა? ერთმანეთსაც კი არ ვემოწმებით. სწორედ ამიტომაა ამ წიგნის ავტორის რისხვა სრულიად სამართლიანი და მე ასე მგონია, ყველამ უნდა გავინაწილოთ იგი. პირველ ყოვლისა მე, მიუხედავად იმისა, რომ აგერ ოთხი ათეული წელია პრესაშიც და ისეც, საჯაროდ გავყვირი: ქართველი ბავშვების დიდ ნაწილს ქართულს არ ვასწავლით და ზრდასრულობაში ასე ჰგონიათ მეგრული და სხვანური ქართული ენები არ არის.ამერიკის სულს ჩასწვდითო, - ჩასძახიან ქართველ ახალგაზრდებს უცხოეთში დაგეშილი "ჩვენიანები", ქართულ სულს კი უუცხოებენ-მეთქი!

ერთი კაციც კი არ გამომხმაურებია!

სერგი საჯაია ამ წიგნშიც და სხვაგანაც კარგად უჩვენებს ყველას, **რა მოსდევს ამგვარ სულიერ უვიცობასა და სიღატაკეს, რაც ზნეობრივ გათახსირებაში გადადის: ჩრდილო-დასავლეთ საქართველო ჩვენი სამშობლოს სხეულის ნაწილად არ მიაჩნიათ ჩვენს „პოლიტიკოსებს“ და არაპოლიტიკოსებსაც და მასზე ისე ლაპარაკობენ, როგორც მეზობლის შემოღობილ ეზოზე, რომელსაც ჭიშკარი არ დააყოლეს ჩვენს მხარეზე.** ასეთივე დამოკიდებულებაა შიდა ქართლისა და სხვა ჩამოშორებულ თუ

ჩამოსაშორებლად გამზადებულ მხარეების მიმართაც. **„თუ ჩვენ უარს ვიტყვით ჩვენივე წარსულზე, სხვა დაეპატრონება მას“**, - წერს ამ წიგნის ავტორი. და ეს ჭეშმარიტად ასეა! ამის მაგალითები ჩვენ თვალწინ ძევს და უარის მთქმელებიც ჩვენს წინ არიან (სამწუხაროდ, ცოცხლებიც!).

ვკითხულობდი ამ წიგნს და ის განცდა მეუფლებოდა, კვირიას რომ აფორიაქებდა ვაჟა-ფშაველას "ბახტრიონში": **„მთელი ქვეყანა ქცეულა ჩიქილამოხდილ ქალადა. არა ჩანს ხელის შამქცევი, მტრის ამამყრელი ჯავრისა...“** მაგრამ მაინც... იმედი არ ჩავიკლათ, ამ წიგნის მკითხველო, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ღმერთი არ გასწირავს და მოუვლენს გადამრჩენელს, როგორც არაერთხელ მოუვლინა წარსულში.

ახლა ორიოდე სიტყვას ჩემს რედაქტორობაზეც მოგახსენებთ.

ეს წიგნი რომ წავიკითხე, დავრწმუნდი, რომ მას რედაქტორი არ სჭირდება. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ავტორი ისეთ ფაქტებსა და მოვლენებზე წერს, რომელთა მომსწრე და აქტიური მონაწილე თვითონარის და რაში უნდა შევიტანო ეჭვი ან კორექტივი? მეორე და მთავარი კი ის არის,რომ სერგი საჯაია, როგორც მწერალი-პუბლიცისტი საკუთარი ორიგინალური აზროვნებისა და მისი შესაბამისი სტილით გამოირჩევა და, რა, რედაქტორმა თავისი გემოვნება უნდა უკარნახოს? რომც უკარნახოს კიდეც, სერგი საჯაია ის კაცი არ არის, სხვისი კარნახით გააკეთოს თავისი მრწმასისათვის შეუსაბამო რამე.

ბატონ სერგის საკუთარი ხმა, ქართული ენისადმი თავისი დამოკიდებულება აქვს და იგი უნდა მიიღო (ან არ მიიღო!) ისეთი, როგორიც არის. მე პირადად, ძალიან მომწონს იგი. მისი სტილი იმ ძელგ ღვინოს მაგონებს, ორი-სამი ჭიქის შემდეგ რომ ხდება ერთობ სასიამოვნო სასმელი. იგი ღრმად იცნობს ქართული სიტყვათწარმოების უკიდეგანო შესაძლებლობებს, რაც ასე უხვად არის ნაჩვენები ამ წიგნში.

სერგი საჯაიას სამწერლობო ენა ფრიად გამომსახველობითია და საინტერესო. ერთი ეგ არის, მკითხველი ერთგვარად შემზადებული უნდა იყოს საამისოდ: ქართული ენის გულისგულში წვდომა უნდა შეეძლოს.

ისე, რომ ამ წიგნს რედაქტორი არ სჭირდება და თუ მაინც რედაქტორად მომიხსენიებს, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს წინასიტყვა ლეგიტიმური იყოს.

ჩემი მხრივ, მადლობელი ვარ ამ წიგნის ავტორისა იმ უზადო მამულიშვილობისათვის, რომელიც არა მარტო სამაგალითოა, გადამდებიც არის.

ზურაბ ცუცქირიძე,
განათლების მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი, პროფესორი

სარჩევი

1.ჭაობური „დემოკრატია“ და იერიში ქართულ ცნობიერებაზე 3

2. ჭაობური „დემოკრატიის“ დიქტატურა
ანუ შეტევა ქართულ ცნობიერებაზე 21

3. რიხი, რომელიც უვინაობაში ჩაიკნინა... 54

4. ახავაი დო ვავა უვიცობავ, ქედდადრეკილთა აზროვნებავ,
უხვალდღეობისკენ თავაწყვეტილო ფეხაწყობავ და ჯოგურო
თვითკმაყოფილებავ!.. 62

5. როდესაც კვლავაც უვიცობაა ხელგამოღებული!.. 110

6. ერს ნუ ვუკვარცხლბეკებთ დენთის კასრს!.. 118

7. ფიქრები კვლავაც სამოინალოში „კრავოტმიჩენილ“ ძუკუზე, ანუ
„მეგრელთა გამეგრელება გალში“ და უვიცობის ქურსუმი
დედოგამზირზე 141

რისხვის ზარები ჩვენი სამრეკლოდან 156

სერგი საჯაიას ავტორობით გამოცემული წიგნების სია

1. ებრძვიან ქრისტეს, ანადგურებენ საქართველოს, თბილისი, 1999 წ.
2. ცხუმ-აფხაზეთი და უზურპატორის დივერსიული ტაქტიკა, თბილისი, 1999 წ.
3. „კოლხური კოშკის“ ლასკარი და ცხუმ-აფხაზეთი, თბილისი, 1999 წ.
4. აფხაზეთის საომარი ავანტიურის მიზეზები და შედეგები, თბილისი, 1999 წ.
5. როცა თორმეტსავე სავარძელზე იუდა გაიშხლართა, 1 ნაწილი, თბილისი, 2001 წ.
6. როცა ტორმეტსავე სავარძელზე იუდა გაიშხლართა, 2 ნაწილი, თბილისი, 2001 წ.
7. ე. წ. თანამედროვე მსოფლიო წესრიგი და დივერსიული ეთნოფაბრიკაციები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, თბილისი, 2003 წ.
8. ვინ ჩაშალა ცხუმ-აფხაზეთში ერის დემოგრაფიული პროგრამა?!. თბილისი, 2003
9. ზვიად გამსახურდია - ერის წინამძღოლი ქრისტესმხედრული მოვალეობით, თბილისი, 2003 წ.
10. „დემოკრატიული“ გადაგვარებით - „ცივილური“ გადაშენებისაკენ“, თბილისი, 2005 წ.
11. შეგინებულ სარეცელთა ბოღმა, თბილისი, 2005 წ.
12. დღეები ცხედართა უხმო კივილისა, თბილისი, 2007 წ.
13. საითკენ მიჰყავთ ქართული აზროვნების წესი?! თბილისი, 2008 წ.
14. ახალი საეთნოდივერსიო პოლიგონისათვის, თბილისი, 2009 წ.
15. ზვიად გამსახურდია - 70.
16. ზვიად გამსახურდია და პონტო-კავკასიის ცნობიერი რაობისთვის, თბილისი, 2009 წ.
17. როცა ზნეობა მთვარის შუქზე საწმერთულს იხდის, თბილისი, 2010 წ.
18. დივერსიული ეთნოფაბრიკაციების ახალი ტალღა ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში), თბილისი, 2011 წ.
19. შეთქმულ თვრამეტიანელთ თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, 1 ნაწილი, თბილისი, 2012 წ.
20. შეთქმულ თვრამეტიანელთ თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, 2 ნაწილი, თბილისი, 2012 წ.
21. შეთქმულ თვრამეტიანელთ თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, 3 ნაწილი, თბილისი, 2012 წ.
22. რაგადობანი უხვალდღეობის დღესასწაულიდან, თბილისი, 2013 წ.
23. შეთქმულთა თაღლითობანი აფხაზეთის ა/რ-ის უმაღლეს საბჭოში, 4 ნაწილი, თბილისი, 2016 წ.
24. გულს მიწერაქვებული ახავაი, თბილისი, 2016 წ.